

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლა

ნერიმან ალბაირაქი

იუსუფელის მხარის
ჰიდრონიმია და ტოპონიმია

სადოქტორო პროგრამა „ქართველური ენათმეცნიერება“

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ფილოლოგიის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ტარიელ ფუტყარაძე,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

თბილისი

2018

ანოტაცია

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი: "იუსუფელის რაიონის ჰიდრონიმია და ტოპონიმია" შედგება წინასიტყვაობის, შესავლის, სამი თავის, ძირითადი დასკვნებისა და დამოწმებული ლიტერატურის სიისაგან. დანართში წარმოდგენილია დოკუმენტური მასალა.

წინასიტყვაობაში წარმოდგენილია საკვლევი თემის აქტუალობა; ასევე: კვლევის მიზანი, ძირითადი მეცნიერული სიახლე და ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება.

შესავალში მიმოხილულია თანამედროვე თურქეთის იუსუფელის რაიონის (ისტორიული ტაოს) მდებარეობა, საზღვრები, ასევე - ძირითადი დასახლებული პუნქტები და მდინარეები (ხეობები). გარდა ამისა, მოკლედ აღწერილია მხარის მოსახლეობა და ისტორია.

პირველ თავში განხილულია იუსუფელის რაიონის ტოპონიმები და მიკროტოპონიმები სოფლების მიხედვით. სოფლების და მათი უბნების ძველ (ადგილობრივ) სახელებს ვწერთ ისე, როგორც ადგილობრივი მოსახლეობა (ეთნიკური წარმომავლობის განუსხვავებლად) წარმოთქვამს. როგორც წესი, მოყვანილი გვაქვს ოფიციალურად მიღებული თანამედროვე თურქული სახელებიც. ტოპონიმთა და მიკროტოპონიმთა უმრავლესობა ეტიმოლოგიზებულია (ტოპონიმთა ნაწილის ეტიმოლოგია ჩვენთვის გაურკვეველია, ან - სადავოა).

მეორე თავში განხილული გვაქვს იუსუფელის რაიონის ჰიდრონიმები ხეობათა მიხედვით. აქაც, მდინარეთა/ღელეთა დასახლებებს ვწერთ ისე, როგორც ამას ადგილობრივი მოსახლეობა წარმოთქვამს, პარალელურად კი მოგვყავს თანამედროვე, ოფიციალურად მიღებული თურქული სახელები. ჰიდრონიმთა უმრავლესობა ეტიმოლოგიზებულია (ტოპონიმთა ნაწილის ეტიმოლოგია ჩვენთვის გაურკვეველია, ანდა სადავოა).

მესამე თავში მიმოვიხილავთ საკვლევი არეალის დასახლებული პუნქტების, ხეობების, მდინარეებისა თუ ღელეების იმ სახელწოდებებს, რომლებიც დასტურდება ოსმალურ საარქივო მასალებში. მათგან, როგორც წესი, ცალ-ცალკე განვიხილავთ იმას, რომლებიც დღემდეა შემორჩენილი და იმათაც, რომლებიც დღეს აღარ შემორჩენილა.

მირითად დასკვნებად ჩამოყალიბებული დებულებებით სრულდება სადისერტაციო ნაშრომის კვლევითი ნაწილი.

დამოწმებული ლიტერატურის სრული სია ნაშრომს თან ერთვის.

დანართში წარმოვადგენთ თურქეთის რესპუბლიკის ოფიციალური დაწესებულებებიდან მიღებულ სათანადო ცნობებსა თუ ჩვენ მიერ არქივში მოძიებული დოკუმენტების ასლებს; ასევე, კომპაქტდისკების სახით - იუსიფელის სოფლების სურათები და ვიდეომასალები.

Annotation

Present dissertation thesis: **The hydronymy and toponymy of Yusufeli District (Turkey)** consists of the foreword, the introduction, the three chapters and the main conclusions. Various materials will be attached as an attachment and a list of literature certified.

In the foreword, the actuality of the research topic is substantiated, also, the aim of the research, basic scientific innovation, results and practical value of the work.

In the introduction, the location and boundaries of the Yusufeli region of modern Turkey, as well as the main settlements and rivers (valleys) have been reviewed. In addition, the population and the historical past are briefly described.

The first chapter discusses place names studies and micro place names studies of the Yusufeli region according the villages. We write the old (local) names of their neighborhoods in villages, as well as the local population (to distinguish ethnic origin) pronounce. As a rule, we have used modern – officially accepted Turkish names too. At the same time, most of the place names studies and micro place names studies are etymologized by us. Other etymologies of other researchers are also used. We will also note that even the place names studies or micro place names studies which etymology is unclear to us.

In the second chapter, we have reviewed the names of bodies of water (hydronyms) of Yusufeli District according the valleys. Here too, we write the names of the rivers/valley as the locals pronounce and in parallel, we note modern officially accepted Turkish names. On the same principle, as in the first chapter – the majority of the names of bodies of water are etymologized by us. We have other researchers or folk etymologies. We also list such the names of bodies of water which etymology – at the given stage – whether it is uncertain or dubious for us.

In the third chapter, we review the names of the populated areas of the research points, the valleys, and the rivers that are confirmed in the Ottoman archival materials. As a rule, we will list separately by those which have survived until today, and those which are not existed anymore.

The research part of the dissertation work is completed by the provisions established as the main conclusions.

In additional part, we represent appropriate reports, or the copies of the documents we have archived received from the official authorities of the Republic of Turkey.

A complete list of certified literature is attached to the work.

შინაარსი

ანოტაცია	2
Annotation.....	3
წინასიტყვაობა	8
შესავალი	13
1. ისტორიული ტაო და თანამედროვე იუსუფელის რაიონი.....	13
2. იუსუფელის რაიონის რელიეფი და მოსახლეობა.....	18
3. ტაოს ონომასტიკის კვლევის ისტორიიდან.....	22
თავი I: ტოპონიმები და მიკროტოპონიმები სოფლების მიხედვით	28
1.1. ტაოს ტოპონიმის ძირითადი თავისებურებანი.....	28
1.2. პარხლის ხეობა: ჯევეგ//ჯევაფ, ერმენი ჯევეგი, ჯევეგ-ი-ულმა.....	31
1.3. სოფელ უტავის მიკროტოპონიმია.....	37
1.4. სოფელ ვანისჯევის მიკროტოპონიმია.....	49
1.5. სოფელ ოთხთას მიკროტოპონიმია.....	55
1.6. სოფელ ფეტერეჟის//პეტერეკის მიკროტოპონიმია.....	67
1.7. სოფელ გოჯეჟის მიკროტოპონიმია.....	74
1.8. სოფელ ხაზუგეთის მიკროტოპონიმია.....	78
1.9. სოფელ ქოლიქის//ქოლიკის მიკროტოპონიმია.....	80
1.10. სოფელ ბალხის მიკროტოპონიმია.....	82
1.11. სოფელ ჯევაფს მიკროტოპონიმია.....	89
1.12. უბან დევთისეს მიკროტოპონიმია.....	103
1.13. სოფელ ხერმუტის მიკროტოპონიმია.....	104
1.14. სოფელ ქვაბაფს//ქობაფს მიკროტოპონიმია.....	107
თავი II: ჰიდრონიმია ხეობების მიხედვით.....	121
2.1. ტაოს ჰიდრონიმიის ძირითადი თავისებურებანი.....	121
2.2. ჭოროხის ხეობის ჰიდრონიმია.....	126

2.3. პარხლისწყლის ხეობის ჰიდრონიმია.....	129
2.4. თორთუმისწყლის ხეობის ჰიდრონიმია.....	136
თავი III: იუსუფელის რაიონის ტოპონიმები და ჰიდრონიმები ოსმალურ არქივებში.....	137
3.1. იუსუფელის რაიონის მიწები ოსმალეთის იმპერიაში.....	137
3.2. იუსუფელის რაიონის წარმოქმნა.....	143
3.3. იუსუფელის რაიონის ართვინის ოლქისადმი გადაცემა.....	157
ძირითადი დასკვნები.....	159
დამოწმებული ლიტერატურა.....	163
დანართი.....	177

წინასიტყვაობა

თემის აქტუალურობა:

ონომასტიკური მონაცემები (კერძოდ - ტოპონიმები და ჰიდრონიმები) ნებისმიერი ეთნოსისა თუ ქვეყნისთვის წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან ფაქტობრივ მასალას, რომლის მეშვეობით შესაძლებელია მრავალი საკითხის გამორკვევა: ეთნოსთა თავდაპირველი საცხოვრისის მიკვლევა, უძველესი ისტორიულ-კულტურული და ენობრივი ურთიერთობები, ეთნოგრაფიულ, ენობრივ თუ ისტორიულ მოვლენათა დაზუსტება და ა.შ. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ნებისმიერი ონიმა/ონომა ცვალებადია: ტოპონიმი ან ჰიდრონიმი, ანთროპონიმი თუ ეთნონიმი (რომელიც თავისთავად, როგორც წესი, გარკვეულ ინფორმაციას შეიცავს) საუკუნეთა მანძილზე, შესაძლოა, იმდენადაც კი შეიცვალოს, რომ მისი თავდაპირველი მნიშვნელობა გაზუნდოვანდეს კიდევ. ამიტომ მკვლევრები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ონომასტიკური მონაცემების დროულ აღნუსხვასა და გამოკვლევა-შესწავლას.

ისტორიული ტაოს (დღეს - თურქეთის რესპუბლიკის იუსუფელის რაიონი ანუ ილჩე) ონომასტიკური მონაცემები გაანალიზებულია ქართველ მკვლევართა (ტ. ფუტკარაძე, შ. ფუტკარაძე, ე. დადიანი, მ. მიქაუტაძე...) ცალკეულ ნაშრომებში, მაგრამ დღემდე მონოგრაფიულად არავის შეუსწავლია ამ მხარის ტოპონიმია და ჰიდრონიმია. თურქეთშიც ძალიან ცოტაა ისეთ მკვლევართა რიცხვი, რომელიც იკვლევს იუსუფელის რაიონის ძველ თუ ახალ ონომასტიკას. მეცნიერთა უმრავლესობა იქაც უფრო სხვა - ენობრივ, ეთნოგრაფიულ, ისტორიულ თუ კულტურულ საკითხებთან დაკავშირებით განიხილავს რაიონის ტერიტორიაზე მოპოვებულ ონომასტიკურ მონაცემებს.

ისტორიული ტაოს ანუ დღევანდელი იუსუფელის რაიონის ტოპონიმების და ჰიდრონიმების არათუ შესწავლა-გამოკვლევა, არამედ უბრალოდ აღნუსხვა-სისტემატიზებაც, უკვე ძალზე საშური საქმეა სამი არსებითი გარემოების გამო:

- ადგილობრივ მოსახლეობაში ნელ-ნელა იკარგება ძველი ქართული თუ შედარებით გვიანდელი თურქული ონომასტიკური მასალა თანამედროვე თურქულის გავლენის გამო;
- თურქეთში გაქრობის საფრთხის წინაშეა ადგილობრივი ქართული მეტყველება (მათ შორის, ონომასტიკური მასალაც) სამწიგნობრო ქართული ენის გავლენის გამო, რამდენადაც თურქეთ-საქართველოს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობების გამყარების, ასევე - ქართულენოვანი ინტერნეტისა და თურქეთის უნივერსიტეტებში ქართულენოვანი სექტორების დაარსების გამო, ნელა, მაგრამ მაინც იზრდება სალიტერატურო ქართული ენის მცოდნეთა რიცხვი.
- მდინარე ჭოროხის ხეობაში ზემოქვემო ჰიდროელექტროსადგურის ამოქმედების შემდეგ იუსუფელის რაიონის დიდი ნაწილი წყალქვეშ უნდა მოექცეს. იმ სოფლების მცხოვრებნი, სადაც ჩვენ ამ ნაშრომზე მუშაობის დროს მასალას ვკრებდით, უკვე სხვა ადგილებში არიან გადასულნი საცხოვრებლად, ან - მალე აიყრებიან...

დასახელებულ მიზეზთა გამო სულ რამდენიმე წელიწადში სამუდამოდ შეიძლება გაქრეს იუსუფელის რაიონის ისტორიული ონომასტიკური მემკვიდრეობა - ტოპონიმთა თუ ჰიდრონიმთა უმრავლესობა; ამის გამო, მათ შესახებ არსებულ ყოველ მონაცემს, დროთა განმავლობაში ფასეული დოკუმენტის მნიშვნელობა მიენიჭება. უდავოა, რომ საქართველოსთვისაც და თურქეთისთვისაც მეტად მნიშვნელოვანია ისტორიული ტაოს (ამჟამად - იუსუფელის რაიონის) ტოპონიმებისა თუ ჰიდრონიმების მეცნიერული ანალიზი, რომლის მეშვეობით, თავის მხრივ, გაირკვევა ამ ორი ქვეყნის და ერის ხანგრძლივ ისტორიულ-კულტურულ, ეთნოგრაფიულ და ენობრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული მრავალი საინტერესო საკითხი; ეს კი მეტად წაადგება და გაამყარებს მათ მეგობრობასა და კეთილმეზობლობას.

კვლევის ძირითადი მიზნები და ამოცანები:

ჩვენი ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს ისტორიული ტაოს (დღევანდელი თურქეთის რესპუბლიკის იუსუფელის რაიონის) ძირითადი დასახლებული პუნქტებისა თუ მდინარეების/ღელეების სახელწოდებათა აღნუსხვა, ძველ ქართულ თუ ოსმალურ მონაცემებთან შეპირისპირება ეტიმოლოგიზება და ენათმეცნიერული ანალიზი. ტოპონიმებსა თუ ჰიდრონიმებში დადასტურებული ენობრივი მასალის წარმომავლობის (ქართველური, თურქული, სომხური...) გარკვევა; აგრეთვე: ენობრივ კოდთა შერევა/აღრევის ნიმუშთა გამოვლენა და გამოკვლევა, საკვლევ მასალაში შემჩნეული ფონეტიკური და მორფოლოგიური ცვლილებებისა თუ ზოგადი კანონზომიერებების გამორკვევა და დადგენა.

ნაშრომის ძირითადი მეცნიერული სიახლე:

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში ნაშრომში აღნუსხულია იუსუფელის რაიონის ძირითადი დასახლებული პუნქტებისა და მდინარეების/ღელეების სახელწოდებები, მოცემულია ზოგიერთი მათგანის ეტიმოლოგია და ენათმეცნიერული ანალიზი. გარკვეულია ტოპონიმებსა თუ ჰიდრონიმებში დადასტურებული ენობრივი მასალის წარმომავლობის (ქართველური, თურქული, სომხური...) ზოგიერთი საკითხი; აგრეთვე: გამოვლენილია ენობრივ კოდთა შერევა/აღრევის ნიმუშები, დადგენილია საკვლევ მასალაში შემჩნეული ფონეტიკური და მორფოლოგიური ცვლილებებისა თუ ზოგადი კანონზომიერებები. სისტემატიზებული მასალა შეპირისპირებულია ძველ ქართულ და ოსმალურ არქივებში დაცულ მონაცემებთან. კრიტიკულადაა გაანალიზებული წინამორბედ მკვლევართა დებულებები.

კვლევის ძირითადი მეთოდები:

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას ჩვენ გამოვიყენეთ აღწერითი, შედარება-შეპირისპირებითი და ენობრივი ანალიზის მეთოდები. საკუთრივ ენათმეცნიერულ მეთოდებთან ერთად, კომპლექსურად ვიყენებდით ასევე, ეთნოგრაფიულ, ისტორიოგრაფიულ, დემოგრაფიულ თუ გეოგრაფიულ კვლევათათვის დამახასიათებელ მეთოდებს, რასაც როგორც წესი, მოითხოვს თანამედროვე ონომასტიკური კვლევა-ძიება.

კვლევის შედეგები და ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება:

ჩვენს სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის შედეგები თანაბრად გამოსადეგი იქნება როგორც ონომასტიკოსთა, ისე ქართულ და თურქულ კილოთა ფონეტიკის, მორფოლოგიის თუ ლექსიკის საკითხებით დაინტერესებულ მკვლევართათვის. ნაშრომი დიდ სამსახურს გაუწევს ასევე ისტორიკოსებს, ეთნოლოგებს, გეოგრაფებსა და დემოგრაფებსაც. ამასთან, იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს საუნივერსიტეტო სწავლების სამივე დონეზე - დამხმარე სახელმძღვანელოდ როგორც საენათმეცნიერო, ისე ისტორიული და ეთნოლოგიური დისციპლინებისათვის; მასში გაანალიზებული მასალა, ასევე, გარკვეულ სამსახურს გაუწევს ამ მიმართულებით მომუშავე თუ ზოგადად, საკითხით დაინტერესებულ მკვლევრებს.

ნაშრომის აპრობაცია:

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პერიოდში წარმოებული კვლევის რიგი შედეგების შესახებ გამოქვეყნებული გვაქვს შემდეგი ნაშრომები:

1. „სოფელ ოთხთის მიკროტოპონიმიკა“. ონომასტიკური კრებული. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ახალციხე, 2013, გვ.255-262 (თანაავტორები: ხატია ჯანგაძემე, სვეტა ადამია).

2. „იუსუფელის რაიონის სოფელ უტავის მიკროტოპონიმია“ დიალექტში“, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის III საერთაშორისო კონფერენცია „ტაო-კლარჯეთი“ მოხსენებათა თეზისები, 2014 წელი, გვ.94-95 (იბეჭდება);
3. ფოცხოვის ტოპონიმია „გურჯიტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“. ონომასტიკური კრებული. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ახალციხე, 2015, გვ 14-20;
4. „სოფელ ვანისხევის მიკროტოპონიმია“, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის IV საერთაშორისო კონფერენცია „ტაო-კლარჯეთი“ მოხსენებათა თეზისები, 2016 წელი, გვ.76-77 (იბეჭდება);
5. „ენობრივი სიტუაცია სოფელ ფეტერეჟში“ ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის VIII საერთაშორისო კონფერენცია 2016 წელი, გვ. 9-11.

შესავალი

1. ისტორიული ტაო და თანამედროვე იუსუფელის რაიონი

ტაო მდინარე ჭოროხის შუაწელში მდებარე ისტორიული მხარეა. მისი სახელწოდება ასახულია ძველი ქართული ტომის - ტაოხების - სახელში. ტაო წერილობით წყაროებში (ასურულ დოკუმენტებში) პირველად მოიხსენიება „დაიაენის“ ფორმით ძვ. წ. 1112 წელს. ძვ. წ. IX-VIII საუკუნეების ურარტულ ძეგლებში, როგორც ცნობილია, ტაო ფიქსირდება „დიაუხის“ სახით: "დიაოხი" იყო ქართველთა ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფო (მელიქიშვილი, 1960:424). ორივე სახელი (დაიაენი, დიაოხი) წარმოსდგება სათანადო ქართული ფორმებისაგან: ასურულისთვის ამოსავალია ფორმა ტაონი (რომელიც გულისხმობს ტაოს ორ ნაწილს - ამიერტაოსა და იმიერტაოს), ურარტულს კი საფუძვლად უდევს თემონიმი ტაოხი (რომელსაც, თავის მხრივ, მოგვიანებით ქსენოფონტეს [ძვ. წ. 427-355] იხსენიებს „ანაბასისში“).

ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში, მთელი ტაოს დიდი ნაწილი კოლხას/კულხას სამეფოს შემადგენლობაში აღმოჩნდა. "კოლხა" (კოლხეთი) ქართველთა ვრცელი საცხოვრისის უძველესი სახელწოდებაა; კოლხური არქეოლოგიური კულტურის გავრცელების საზღვრები ცხადყოფენ, რომ იგი მოიცავდა კავკასიის უდიდეს ნაწილს და ანატოლიის ნაწილს. დიდი ალბათობით, კოლხას სახელმწიფო ენა იყო საერთოქართველური ენა (ტ. ფუტკარაძე, 2005). ისტორიული ტაო იყო ამ საერთოქართული კულტურის მძლავრი კერა.

ფარნავაზისა და ქუჯის მიერ ისტორიული ქართლის სამეფოს აღდგენის დროსაც (ძვ. წ. IV-III საუკუნეები) ტაო ამ სახელმწიფოს ნაწილს წარმოადგენდა. ახ. წ. I-II საუკუნეებშიც ტაო ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა, თუმცა, ამ დროიდან მოყოლებული, დრო და დრო, ტაოს მიწებს იპყრობდნენ ხოლმე კავკასიის რეგიონში ახალდამკვიდრებული არმენები (სომხები). IV-VII საუკუნეებში ტაო

მამიკონიანთა გვარის სამფლობელოდ გადაიქცა და დაიწყო ადგილობრივი ქართული მოსახლეობის დეეთნიზაციის პროცესი.

ქართველთა და სომეხთა შორის ცნობილი ეკლესიური განხეთქილების შემდეგ საქართველოს მართლმადიდებლურმა სამოციქულო ეკლესიამ გაიზიარა **ქალკედონის კრების** (451) დადგენილებები და დაიცვა დიოფიზიტური მრწამსი, სომხეთის ეკლესია კი, რომელმაც არ ცნო ქალკედონის კრების დადგენილებები, მონოფიზიტურად იქცა. რამდენადაც ტაოს მოსახლეობა ქართულენოვანი იყო, მათ მხარი დაუჭირეს ქართველთა არჩევანს, შესაბამისად, ტაოს ტერიტორიაზე უპირატესობა მოიპოვეს დიოფიზიტებმა; სწორედ ამან შეასუსტა ტაოში სომხების პოზიციები. VIII საუკუნიდან ტაო კვლავაც უშუალოდ შეუერთდა ქართლის სამეფოს და უკვე IX-X საუკუნეებიდან, ტაო ისევ ქართული სახელმწიფოებრიობისა და კულტურის მძლავრ კერად იქცა - აქ ფართოდ გაიშალა მონასტრების მშენებლობა (აშენდა ბანა, ხახული, ოშკი, პარხალი, ოთხთა ეკლესია და სხვა ტაძრები) და ასევე, სწორედ ტაოში დასაბამი მიეცა **ბაგრატიონთა** სამეფო **დინასტიას**: ტაოში მოღვაწეობდნენ გამოჩენილი ქართველი სახელმწიფო მოღვაწენი: **აშოტ I დიდი კურაპალატი**, **დავით III კურაპალატი**, **თორნიკე ერისთავი**; სასულიერო და კულტურის მოღვაწენი: **გრიგოლ ხანძთელი**, **იოანე მთაწმინდელი**, **ექვთიმე მთაწმინდელი...**

XII-XIII საუკუნეებში ტაო საქართველოს სამეფოს მონაპირე საერისთავოს წარმოადგენდა. XIII საუკუნის II ნახევარში **სამცხე-საათაბაგოს** შემადგენლობაში შედიოდა. ტაოს ნაწილი (ამჟამინდელი იუსუფელის რაიონი) ქართველ თავადთა, გვარად **კავკასიძეთა** სამკვიდროს შეადგენდა: „კავკასისძე მისითა მამულითა: პარხალი მისი შესავლითა და აზნაურის შვილებითა საყმო სამწყსოთი..“. ეკლესიური თვალსაზრისით, ეს მხარე ამ დროს შედიოდა მცხეთის საკათალიკოსოს იმზნის ეპარქიის შემადგენლობაში (ტ. ფუტკარაძე, 2007).

XIV საუკუნიდან ერთიანი საქართველოს სამეფოს ნაწილად იქცა, ხოლო XV საუკუნის II ნახევრიდან - ერთიანი საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდგომ, - ტაო სამცხე-საათაბაგოში შედის.

XVI საუკუნის 50-იან წლებში სამცხე-საათაბაგოს დასავლეთ მიწები და მაშასადამე, ტაოსაც ოსმალეთის იმპერიამ დაიპყრო. ამ პერიოდიდან დაიწყო აქ თურქული ენისა და კულტურის გავრცელება, რაც თან სდევდა ადგილობრივ მოსახლეთა ისლამიზაციის პროცესს. აქვე აღვნიშნავთ, რომ ისლამიზაციის პროცესი მიმდინარეობდა ე.წ. საგადასახადო შეღავათების დაწესების კონტექტში (მსჯელობისათვის იხ. მ. ბერიძე, 2005: 50-51).

ტაოში თანდათან დაესახლნენ აგრეთვე მოსული თურქულენოვანი ტომები, ბოშები და ქურთები. ქართველობამ, ვინც ისლამის მიღება არ ისურვა, ეს კუთხე დატოვა, ან თავი შეაფარა მაღალმთიან, ძნელად მისადგომ სოფლებს პარხლის ხეობაში, სადაც ჩვენს დრომდე შემორჩა მათი მეტყველება - **ქართული ენის ტაოური დიალექტი**. ბარში დარჩენილმა მოსახლეობამ, როგორც ითქვა, თანდათან თურქული ენა შეითვისა. დავძენთ ასევე იმასაც, რომ ამ უკანასკნელთა დღევანდელ თურქულ მეტყველებაში (თურქული ენის დიალექტში) დღემდე საგრძნობია ქართული ენის გავლენა (რეგიონში მომხდარი სამეტყველო კოდების შერევა ცალკე კვლევის საგნად უნდა იქცეს).

ოსმალთა მიერ შედგენილ აღწერის წიგნებში დღევანდელი **იუსუფელის რაიონს** ეწოდება **ქისქიმი**. ოფიციალურ დოკუმენტებში გვხვდება ვარიანტი **ქესქიმი** - ოსმალურ დაწერილობაში გამოიყენება სათანადო დიაკრიტიკული ნიშანი, რომლის მეშვეობით ამ პროვინციის დასახელების პირველი ხმოვანი წარმოითქმის, როგორც ე; ზოგ დოკუმენტში კი მოცემულია ასევე დასახელება **ქესქინი**. ამ შემთხვევაშიც, **ქესქიმ** და **ქესქინ** სახელებს შორის მინიმალური - ერთასოიანი განსხვავებაა.

XIX საუკუნის შუა წლებამდე - 1877-1878 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის დასაწყისისთვის - დღევანდელი იუსუფელის რაიონი **ჩილდირის ვილაიეთის** ნაწილი იყო. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ომის შემდეგ ეს ტერიტორია

კვლავ ოსმალეთს დარჩა, თუმცაღა უკვე გადაეცა **ერზრუმის (ერზურუმის) ვილაიეთს** ანუ პროვინციას.

ერზრუმის პროვინციის **ქისქიმის** ანუ **ქესქიმის რაიონისა** და ანკარის პროვინციის **ქესქინის რაიონის** სახელების მსგავსების გამო ხშირად ხდებოდა შეცდომები საფოსტო გზავნილების დარიგებისას. საფოსტო გზავნილების შეცდომით დარიგების თავიდან აცილების მიზნით საფოსტო-სატელეგრაფო ზედამხედველობამ მალე შიდა (სახელმწიფო) ზედამხედველობას შესთავაზა დასახელება **ქისქიმი** შეცვლილიყო დასახელებით **ერსისი**. ეს წინადადება შიდა ზედამხედველობამ არ მიიღო და 1914 წლის 7 თებერვლის მითითებით, ანკარის პროვინციის მმართველობას შესთავაზა, მათ შეეცვალათ სახელწოდება **ქესქინი**. ამ მითითებას ანკარის პროვინციამ უპასუხა, რომ ქესქინის რაიონი ანკარის განვითარებული ნაწილი იყო; ამავე დროს, **ქესქინი** წარმოადგენდა ძველ თურქულ სახელწოდებას და შესაბამისად, უფრო მართებული იქნებოდა შეცვლილიყო დასახელება **ქისქიმი** ერზრუმის პროვინციაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შიდა ზედამხედველობამ 1914 წლის 24 თებერვალს ერზრუმის პროვინციას უბრძანა, რომ **ქისქიმის რაიონის** სახელი შეეცვალათ შესაფერისი ახალი - თურქულენოვანი დასახელებით (დემირელი, 2010: 95-96). ერზრუმის პროვინციის ხელმძღვანელობამ, 1914 წლის 6 მარტს, ბრძანება გადასცა ქისქიმის რაიონს. ქისქიმის რაიონის მეჯლისი¹ შეიკრიბა 1914 წლის 6 მაისს (1330 წლის 23 აპრილს) და განიხილა აღნიშნული საკითხი. ოსმალეთის ტახტის მემკვიდრის, შაჰზადე (უფლისწულ) **იუსუფ იზზედდინ ეფენდის** სახელის პატივისცემის ნიშნად, მეჯლისის თავმა **აჰმეთ ნეჯათ-ბეიმ** მეჯლისს შესთავაზა, რომ რაიონს დარქმეოდა სახელი **იუსუფელი**. მეჯლისმა მართლაც, კენჭისყრით დაადასტურა წარმოდგენილი ცვლილება. აღნიშნული

¹ ქისქიმის მეჯლისი შედგებოდა რაიონის მმართველის - **აჰმეთ ნეჯათ-ბეის**, ყადის, მუფთის, ოფიციალური საქმისმწარმოებლის (ქათიბი), ორი არჩეული მუსლიმანი და ორიც არამუსლიმანი წევრისაგან.

გადაწყვეტილება, რაიონის მეჯლისის ყველა წევრის მიერ ხელმოწერილი ოქმის სახით, იმავე დღეს ეცნობა ერზრუმის პროვინციას.

მეჯლისის აღნიშნულ გადაწყვეტილებაში ნათქვამი იყო, რომ საფოსტო განყოფილებებში წარმოქმნილი შეცდომების აღმოფხვრის მიზნით, მართლაც უსარგებლო იქნებოდა ქისქიმ სახელის შენარჩუნება და მიზანშეწონილი იყო მისი შეცვლა სახელით იუსუფელი. მეჯლისის გადაწყვეტილება პროვინციის მმართველობამ განიხილა და აცნობა მთავრობას, მან კი საბოლოოდ დაამტკიცა და ფადიშაჰ მეჰმედ რეშანის ფირმანით ქესქიმის რაიონს ეწოდა იუსუფელი (დემირელი, 2010:97-98).

1914 წელს, იუსუფელის რაიონი იყოფოდა ოგდემისა და ჰოჩუდურის თემებად. მოგვიანებით, ოსმალეთის მინისტრთა კაბინეტის 1921 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით, გაუქმდა იუსუფელის რ-ნის შემადგენლობაში შემავალი ჰოდუჩურის თემი. მისი ოთხი სოფელი დაექვემდებარა პირდაპირ რაიონის ხელმძღვანელობას. იმავე გადაწყვეტილებით, შეიქმნა სერიგიოლის თემი. ოგდემის თემის ზოგი სოფელიც ახლადშექმნილ სერიგიოლის თემს მიეკუთვნა. ეს სოფლები გახლდათ: ქობაქი, ჰევეკის ლივანე, ჰევეკის ქისქიმი, ჰაზათი/ჰარათი, ზემავანი, ბალხი, უტავი, ბარხალი/პარხალი, ზიგაფორი, ვანისხევი და გუდასხევი. რაიონული დაქვემდებარებიდან, სარიგოლის თემს ასევე გადაეცა სოფლები: ხერმუთი და ქისპოროთი.²

1926 წლის 30 მაისს გამოცემული „სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის“ შესახებ კანონის თანახმად, იუსუფელის რაიონი ერზრუმის პროვინციიდან ართვინის პროვინციის შემადგენლობაში გადავიდა. რაიონის ცენტრად დასახელდა დაბა ოგდემი, რადგან ის უფრო ახლოს მდებარეობდა ართვინთან და მისი თემის სოფლები გეოგრაფიულად რაიონის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობდნენ.

ამავდროულად, ცუდი ინფრასტრუქტურის გამო ოგდემში იმავე წელს მმართველობის ზოგიერთი ინსტანციის გადატანა ვეღარ მოხერხდა. სოფლის

² აღნიშნულ სოფლებს მოსახლეობა დღესაც ამ სახელებით მოიხსენიებს.

მოსახლეობა ჯერ კიდევ მცირერიცხოვანი იყო. გზების უმეტესობა უბრალო მთის ბილიკებს წარმოადგენდა, რის გამოც ტვირთის გადაზიდვა ხდებოდა ან სასაპალნე პირუტყვით, ან ზურგით. ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო მოსახლეობა დიდ სირთულეებს განიცდიდა (დემირელი, 2010:100-101)

1933 წლის 20 მაისს გაუქმდა ართვინის პროვინცია და შეიქმნა ჭოროხის პროვინცია, რომლის ცენტრი გახდა რიზე. იუსუფელის რაიონი მთლიანად ისევ ერზრუმის პროვინციის გადაეცა.

მოგვიანებით - 1936 წლის 4 იანვარს მიღებული კანონის თანახმად, ჭოროხის პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი რიზედან გადატანილ იქნა ართვინში. იმავე კანონით იუსუფელის რ-ნი ერზრუმის პროვინციას გამოეყო ისევ ჭოროხის პროვინციას გადაეცა. 1950 წლის 11 თებერვლის No 5531 კანონის თანახმად, იუსუფელის რაიონის ცენტრმა **ოგდემიდან** გადაინაცვლა **ვეჯენგეთისა და კაზახორას** უბნებისაგან შემდგარ სოფელ **ახალთში**.

1956 წლის 17 თებერვალს **ჭოროხის პროვინციას** შეეცვალა სახელი და დაერქვა **ართვინის პროვინცია**. მას დღემდე ამგვარად ეწოდება და მოიცავს ართვინის, არტანუჯის, ხოფის, არხავის, ბორჩხის, მურლულის, იუსუფელის და შავშეთის რ-ნებს. თავის მხრივ, იუსუფელის რაიონის შემადგენლობაშია **ერკინისის, ერსისის, ოგდემის, სარიგიოლის** თემები და 56 სოფელი (სოფლების სია იხ. აქვე, გვ 23).

იუსუფელის წყალსაცავის მშენებლობის გამო წყლის ქვეშ მოექცევა რაიონის ცენტრი, რის გამოც იუსუფელის ცენტრთან დაკავშირებით თურქეთის დიდმა ეროვნულმა მეჯლისმა 1998 წელს გამოსცა შესაბამისი კანონი. ამ კანონის თანახმად, იუსუფელის რაიონის ცენტრი გაშენდება იუსუფელის ჩრდილოეთით, ვრცელ მთაგორიან ტერიტორიაზე.

2. იუსუფელის რაიონის რელიეფი და მოსახლეობა

იუსუფელის რაიონის ფართობია 1 742 კმ². იგი მდებარეობს ართვინის პროვინციის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. დასავლეთით ესაზღვრება რიზეს

პროვინციას (კერძოდ, ფაზარის რაიონს), ხოლო აღმოსავლეთით - ერზურუმის პროვინციას (ოლთუსა და ოლურის რაიონებს); ჩრდილოეთით ესაზღვრება ართვინის პროვინციის ართვინისა და მურღულის რაიონებს, ხოლო სამხრეთით კი - ერზურუმის პროვინციის თორთუმისა და უზუნდერეს რაიონებს.

იუსუფელის რაიონის რელიეფი მთიანია. მთათა შორის ყველაზე უფრო მაღალია ალთიფარმაქის ქედი (თურქ. Altıparmak dağları) - რიზეს პროვინციის საზღვარზე; ჩრდილო საზღვარზე (ართვინის მხარეს) მდებარეობს ჯილჯიმის (Cilcim) და დანალეთის (Danalet) მთები, ხოლო დასავლეთით აღმართულია ჰარგივერის (Hargiver) მთები. საერთო სიმაღლე ზღვის დონიდან აღწევს 560 მეტრს. აქვე დავძენთ იმასაც, რომ რაიონის თითქმის მთელი ტერიტორია დაფარულია ტყით.

უდიდესი მდინარეა ჭოროხი (Çoruh) ორივე მხრიდან მას მრავალი მდინარე და ღელე ერთვის, რომელთა შორის აღსანიშნავია: პარხლისწყალი (Barhalsu), სელანთი (Güngörmaz deresi), პალსუი (Balsu), გუმათჰევი (Gumathev deresi) და ა.შ. რაიონის ძირითადი მოსახლეობა - 28 000 კაცამდე (მათ შორის: 13 494 მამრობითი და 14 606 მდედრობითი სქესისა), თავმოყრილია უმეტესად მდინარეთა ხეობებში. თურქეთის 2012 წლის აღწერის მონაცემების თანახმად, ქალაქის (ადმინისტრაციული ცენტრის - იუსუფელის) მოსახლეობა შეადგენს სულ 6 856 კაცს; ანუ რაიონის მოსახლეთა უმეტესობა სოფლის მცხოვრებია.

იუსუფელის რაიონის მკვიდრთა აბსოლუტური უმრავლესობა ფლობს ოფიციალურ თურქულ ენას, რელიგიით კი სუნიტი მუსლიმია. ეთნიკურადაც უმეტესობა თურქია; საკმაოდ არიან ასევე, ქურთები და ბოშებიც, რომელთა დიდ ნაწილს არაიშვიათად დავიწყებული აქვს დედაენა და მხოლოდ თურქულ ენაზე მეტყველებს. ქართველებს რაც შეეხება: როგორც უკვე აღინიშნა, ამჟამად ადგილობრივი ქართული მეტყველება - ტაოური დიალექტი შემორჩენილია მხოლოდ მაღალმთიან სოფლებში: ჭევაი (თურქ. Bıçakçılar), ბალხი (Balcılı) და ქვაბაი (//ქობაი//ქობაქი//ქუაბაქი//ქუაბახი; თურქ.

Yüksekoba). დავძენთ იმასაც, რომ ეთნიკური ქართველები სხვა სოფლებშიც მრავლად არიან, მაგრამ უკვე დავიწყებული აქვთ დედაენა და თურქული ენის ადგილობრივ დიალექტზე მეტყველებენ. მათი წარმომავლობის თაობაზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის სწორედ სოფლების მიკროტოპონიმია - უბნების და ადგილების დასახელებები, რომელთაც მრავალი ქართული ელემენტი შემოუნახავთ.

ტაოური ქართულის გაგება საკმაოდ რთულია საგანგებო შესწავლის გარეშე (ვრცლად იხ. ფუტკარაძე 2014:280); ასევე: ტაოელ ქართველთა თურქულ მეტყველებაზეც შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ის თურქულ-ქართველურის ნარევია და ფონეტიკურად ქართველურ (ქართულ) ენობრივ სისტემას უახლოვდება, მორფოლოგიურად კი - თურქულს. აღსანიშნავია ისიც, რომ დღესდღეობით ეს შერეული თურქულ-ქართველური მეტყველება შემონახულია უფრო მეტად 60 წელზე მეტი ხნის თაობაში, ხოლო ახალგაზრდა თაობა უკეთ ფლობს თურქულ ენას, რომელიც მათთვის დედაენაა; შესაბამისად, თურქული დიალექტოლოგიის თვალსაზრისით, საშურია, უფროსი თაობის ტაოელთა თურქული მეტყველების შესწავლაც.

ოფიციალური თურქული ენის ფართოდ გავრცელებას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ იუსუფელის რაიონის ყოველი მცხოვრები - ეთნიკური თუ რელიგიური თვითაღქმის განურჩევლად - თურქად აღირაცხება. დასახლებულ პუნქტებსა და მდინარეებსაც ოფიციალურად, მხოლოდ თურქული სახელები ჰქვიათ. ძველი სახელები ახსოვს მხოლოდ უფროს თაობას; თან, არაიშვიათად - მეტად ბუნდოვნად. იმ სოფლებში, სადაც ქართული უკვე აღარ იციან, ხშირად ვერც კი ცნობენ ქართული წარმომავლობის ჰიდრონიმსა თუ ტოპონიმს. ზოგან კი კარგად ახსოვთ წინაპრების ვინაობაც და დასახელებების ქართულობაც.

აქვე ტაბულის სახით წარმოვადგენთ იუსუფელის რაიონის სოფლების სიას ოფიციალური თურქული დასახელებების, კომლთა რაოდენობისა და მოსახლეობის რიცხოვნობის მითითებით:

	ძველი სახელი ხალხის მეტყველებაში	ახალი სახელი	კომლთა რაოდენობა	მოსახლეობა
1	კისკიმ(ი)	ALANBAŞI	142	446
2	პარხალ(ი)	ALTIPARMAK	150	394
3	-	ARPACIK	40	141
4	-	AVCILAR	34	140
5	ჭოვარ(ი)	BADEMKAYA	40	96
6	ქისპოროთ(ი)	BAHÇELİ	58	119
7	თუნგეს(ი)	BAKIRTEPE	71	124
8	არჯივან(ი)	BALALAN	41	79
9	ბალჯ(ი)	BALCILI	65	126
10	ჭევეზ(ი)// ჯევაძ	BIÇAKÇILAR	185	571
11	უტავ(ი)	BOSTANCI	180	574
12	საჯვარეთ(ი)	BOYALI	35	93
13	ჭილჭიმ(ი)	CEVİZLİK	77	210
14	ხოსთაფირ(ი)	ÇAĞLAYAN	14	26
15	ლისუნჯურ/ნუსუნჯურ(ი)	ÇAMLICA	44	124
16	გოჯექ(ი)	ÇELTİKDÜZÜ	84	352
17	ფეტერექ(ი)	ÇEVRELİ	195	674
18	შადუთ(ი)	ÇIRALI	78	154
19	ვაშკენ/ვაშკან(ი)	DAĞETEĞİ	25	123
20	-	DARICA	65	230
21	ზემოვან(ი)	DEMİRDÖVEN	55	121
22	ერქინის(ი)	DEMİRKENT	153	356
23	ნიზგოვან/ნიზგივან(ი)	DEMİRKÖY	74	182

24	ხერემუთ(ი)	DEREİÇİ	154	481
25	ჰუნგამეც(ი)	DOKUMACILAR	95	433
26	ხერს(ი)	ERENKÖY	35	140
27	არმაშენ(ი)	ESENDAL	74	209
28	არაქოს(ი)	ESENYAKA	160	292
29	აჯუთ(ი)	GÜMÜŞÖZÜ	31	67
30	ადარ(ი)	GÜNYAYLA	43	62
31	ოყერ(ი)	HAVUZLU	25	82
32	-	İNANLI	34	39
33	ქოლიქ (ი)	IRMAKYANI	62	122
34	იშხან(ი)	İŞHAN	137	370
35	ერსის(ი)	KILIÇKAYA	401	1.953
36	აშფიშენ(ი)	KINALIÇAM	180	501
37	ხერს(ი)	KİRAZALAN	55	132
38	-	KÖMÜRLÜ	54	115
39	ოშნახ(ი)	KÖPRÜGÖREN	106	264
40	-	KÜPLÜCE	65	204
41	ლოქ(ი)	MORKAYA	140	434
42	სარზეფ(ი)	MUTLUGÜN	55	150
43	ხომალ(ი)/ხუმხალ(ი)	NARLIK	45	104
44	ქირვენს(ი)/ქირვანს(ი)	ORMANDİBİ	37	114
45	ოგდემ(ი)	ÖĞDEM	53	128

3. ტაოს ონომასტიკის კვლევის ისტორიიდან

სამეცნიერო ინტერესი ტაო-კლარჯეთისადმი ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გამოვლინდა. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში არსებული მასალის თანახმად, ფრანგ მკვლევარ მარი ბროსესეს დიმიტრი

მეღვინეთუხუცესთან ერთად ტაო-კლარჯეთში წასვლა და იქ არსებული სიძველეების სურვილი ჰქონია. როგორც ირკვევა, რუსეთის მეცნიერებათა აკადემია დაეთანხმა მარი ბროსეს წინადადებას, ტაო-კლარჯეთში ექსპედიციის მოწყობის თაობაზე. აკადემიამ თხოვნა გაუგზავნა თბილისში „ნამესტნიკს“. ამ უკანასკნელის დასტურის შემდეგ კი მარი ბროსემ მოგზაურობის ინსტრუქცია შეადგინა და გამოუგზავნა დიმიტრი მეღვინეთუხუცესს. მარი ბროსე ერთ-ერთ მომდევნო წერილში სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ ეს მოგზაურობა არ შედგა. ამ მოგზაურობის შესახებ ცნობა დღესდღეობით არც ქართული წყაროებით დასტურდება. მიუხედავად ამისა, თავად ფაქტი - ას ორმოცდაათ წელზე მეტი ხნის წინათ ტაო-კლარჯეთით, როგორც ქართული სახელმწიფოებრიობის საწყისით დაინტერესება, საგულისხმო და მნიშვნელოვანია.

ტაოს ტერიტორიაზე სრული ონომასტიკური კვლევა ქართველ მეცნიერებს დღემდე არ ჩაუტარებიათ, მაგრამ ტოპონიმით დაინტერესება ჩანდა ჯერ კიდევ მეოცე საუკუნეში. როგორც ცნობილია, 1917 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა იმოგზაურა ტაო-კლარჯეთში და გარდა მეტყველების თავისებურებების აღნუსხვისა, იგი ასევე ასახელებს სოფლებს: ბინათი, ზავრიეთი, უთავი, ორჯოხი (219 სული); ვინმე მატეასევიჩის მიერ გადაცემული ქართული სოფლების სია, რომელსაც თავის წიგნში წერს: კობაკი, არმენხევი, ხევეკი, გუდახევი, ხუმხალი, ბალხი, ხოდ-სუფლია, უტავი, ვანისხევი, კირვანსი, ოთხთა ეკლესია და ბინათი. ჩილჩიმი//ჭიმჭიმი (208 სული) (თაყაიშვილი 1917:223).

ტაოს ონომასტიკით დღემდე არც თურქი მეცნიერები ინტერესდებოდნენ. უნდა ითქვას, რომ ამ მხარის შესწავლისადმი თურქეთში გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოდან უფრო გამოიკვეთა დაინტერესება - ამის მიზეზი, ჩვენი აზრით, ის იყო, რომ საქართველოსა და თურქეთს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარების შემდეგ აქ ტურიზმის განვითარების დიდი პერსპექტივა გაჩნდა - ძველი ქართული

ისტორიული ძეგლების მოსანახულებლად ტაო-კლარჯეთში დღემდე საკმაოდ ბევრი ტურისტი ჩამოდის საქართველოდანაც და სხვა ქვეყნებიდანაც.

2000 წლის ოქტომბერ-დეკემბერში, ქალაქ სტამბოლში ქართულ ენაზე გამომავალ ჟურნალ „ჩვენებურში“ დაიბეჭდა თანერ ართვინლის საყურადღებო ნაშრომი „იუსუფელის ქართული სოფლები“. ავტორის მიერ გაანალიზებული ონიმების დიდი ნაწილი იქამდე უცნობი იყო როგორც ქართველი, ისე თურქი მეცნიერებისათვის.

მეორე მნიშვნელოვანი ნაშრომი, რომელშიც განხილულია იუსუფელის ტოპონიმია და ჰიდრონიმია, გახლავთ თანერ ართვინლისავე „ართვინის ტოპონიმთა ლექსიკონი“ (თურქ. Artvin Yer Adları Sözlüğü), რომელიც გამოიცა სტამბოლში 2013 წელს. აქ არამარტო იუსუფელის, არამედ მთლიანად ართვინის ოლქის ტოპონიმიაა მოცემული. იუსუფელის ტოპონიმისა და ჰიდრონიმის ცალკეულ საკითხთა თაობაზე სტატიები ქვეყნდება ადგილობრივ პრესასა თუ ელექტრონულ მასმედიაშიც. მათი დიდი ნაწილი სამეცნიერო-პოპულარული ხასიათისაა, თუმცა მასალა, რომელიც ამგვარ პუბლიკაციებშია მოცემული, ძლიერ ფასეულია.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს საქართველოში საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობს ტაოური დიალექტის და ტაო-კლარჯეთის ისტორიულ-გეოგრაფიულ საკითხთა კვლევა, ამ მხარის ონომასტიკა მონოგრაფიულად თითქმის არც ყოფილა შესწავლილი. ნაშრომებში, რომლებიც ტაოს შეეხება, ონომასტიკა მხოლოდ მცირედაა მიმოხილული. ტაოს ქართულისა და ტაოს ონომასტიკის შესახებ საინტერესო მასალაა პროფ. შუშანა ფუტკარაძის წიგნში: "ჩვენებურების ქართული" (ბათუმი, 1993); ასევე ნუგზარ ცეცხლაძის გამოკვლევაში: "შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია" (ბათუმი, 200 წ.), სადაც შესულია ტაოს მასალაც. ასევე, საინტერესოა, 2006 წელს, ვ. სილოგავასა და კ. შენგელიას ავტორობით ბათუმში გამოცემულ წიგნში „ტაო-კლარჯეთი“, რომელშიც განხილულია ამ მხარეში უწინ არსებულ

ქართულ ეპარქიათა ისტორიული ძეგლები, ვხვდებით უშუალოდ ტაოში დადასტურებულ ტოპონიმებს, როგორც ისტორიული ეპარქიების დასახელებებს.

პროფ. ტარიელ ფუტყარაძის თაოსნობით, 2000 წლიდან მოყოლებული, ტაოში თითქმის ყოველწლიურად ეწყობა მეცნიერული ექსპედიციები, რომელთა მიზანი, დიალექტოლოგიურ კვლევებთან ერთად, ონომასტიკური კვლევის წარმოებაც გახლავთ. ამ ექსპედიციების მიმდინარეობისას მოპოვებული ფასეული მასალა გაანალიზებულია რამდენიმე სტატიაში; კერძოდ:

ტ. ფუტყარაძე, ქართული ენა, როგორც თურქეთის რესპუბლიკის კულტურის ერთ-ერთი შემადგენელი: პრობლემები, პერსპექტივები; საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის (ფაკულტეტის) ქართველოლოგიის ცენტრის V საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „თურქეთელი ქართველები: ისტორია და პერსპექტივები“; 28-29 მაისი, 2015 წელი. დაიბეჭდა ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები IV ტ., 2015, გვ. 7-49;

ტ. ფუტყარაძე, თურქეთის მოქალაქე ავტოქტონ ქართველთა ენობრივ-ეთნიკური იდენტობისათვის (ტაოელი ქართველები); ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის II საერთაშორისო კონფერენცია: ტაო-კლარჯეთი (მასალები); ბათუმი, 2012 წლის 05-08 სექტემბერი. აქვე აღვნიშნავთ, რომ პროფ. ტარიელ ფუტყარაძე მუშაობს მონოგრაფიაზე: "ქართული ენის ტაოური დიალექტი" (ნაშრომში მნიშვნელოვან ნაწილს იკავებს ტაოს მხარის ონომასტიკა).

ტ. ფუტყარაძე, რ. გუჯეჯიანი, იუსუფელის (ისტორიული ტაოს) ქართულენოვან სოფელთა ეთნო-ლინგვისტური მიმოხილვა - I: ჰევაი (biçakçılar); ქართველური მემკვიდრეობა, XIII, 2009, გვ. 65-78;

ეკა დადიანი, მ. მიქაუტაძე, „სოფელ ხევას (ტაოს) მიკროტოპონიმია“³;

ტ. ფუტყარაძე, მ. ლაბაძე, თურქეთში მცხოვრებ ქართველთა იდენტობის საკითხები; ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწადეული, III, ქუთაისი, 2011, გვ. 221-239;

ტ. ფუტყარაძე, ქართული ენა თურქეთში /"რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ქარტიის" კონტექსტი/; გორის სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო კონფერენცია; 14-16 დეკემბერი, 2017 წ.;

ტ. ფუტყარაძე, სახელმწიფო ენისა და ეთნიკური უმცირესობის ენ(ებ)ის შესწავლა-სწავლების პრობლემები (საქართველოსა და თურქეთის ენობრივი სიტუაციის მიხედვით); ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია; თბ., 13-15 ოქტომბერი 2016 წ.

ტ. ფუტყარაძე, ართვინის ილის (თურქეთის რესპუბლიკა) ავტოქტონ ქართველთა დიალექტების საზღვრებისათვის; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის 2010 წლის 05-08 ოქტომბრის I საერთაშორისო კონფერენცია: ტაო-კლარჯეთი; მასალები (სტატიები); თბ., 2010, გვ. 391-401 (ინგლისური რეზიუმე გვ. 401);

ტ. ფუტყარაძე, "რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტია" და ქართული ენა თურქეთის რესპუბლიკაში, ქართულ-თურქული პარალელები, I, თბ., 2009, გვ. 90-102.

ე. დადიანი, „სოფელ ბალხის (თურქ. Balçılı) მიკროტოპონიმია“⁴,

ე. დადიანი „სოფელ ქვაბაის (თურქ. იუქსექობა) ტოპონიმია“⁵;

³ ე. დადიანი, მ. მიქაუტაძე, სოფელ ხევას (ტაო) მიკროტოპონიმია. ონომასტიკური კრებული, ახალციხე-თბილისი, 2013. Gv. 45-58

⁴ ე. დადიანი, სოფელ ქვაბაის (თურქ იუქსექობა, ტაო) ტოპონიმია, ონომასტიკური კრებული, ახალციხე, 2014. გამომცემლობა „ახალციხის უნივერსიტეტი“, გვ. 49-61.

აღსანიშნავია ასევე, 2016 წელს ავტორთა კოლექტივის მიერ, პროფ. მამია ფაღავას რედაქტორობით ბათუმში გამოცემული წიგნი „კლარჯეთი“, რომელიც სოლიდურ სამეცნიერო ნაშრომს წარმოადგენს. წიგნში იუსუფელის რაიონის შესახებ ცნობები შედარებით მწირია - განხილულია მხოლოდ ის ტოპონიმები, რომლებიც კლარჯეთის მომიჯნავე ტერიტორიაზე გვხვდება, ისიც - არც თუ ვრცლად.

უდავოა, რომ საქართველოსთვისაც და თურქეთისთვისაც მეტად მნიშვნელოვანია ისტორიული ტაოს (ამჟამად - იუსუფელის რაიონის) ტოპონიმებისა თუ ჰიდრონიმების მეცნიერული ანალიზი, რომლის მეშვეობით, თავის მხრივ, გაირკვევა ამ ორი ქვეყნის და ერის ხანგრძლივ ისტორიულ-კულტურულ, ეთნოგრაფიულ და ენობრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული მრავალი საინტერესო საკითხი; ეს კი მეტად წაადგება და გაამყარებს მათ მეგობრობასა და კეთილმეზობლობას.

⁵ ე. დადიანი, სოფელ ბალხის (თურქ. Balcili) მიკროტოპონიმია, ონომასტიკური კრებული, სამცხე-ჯავახეთის სახლმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, 2015.

I თავი

ტოპონიმები და მიკროტოპონიმები სოფლების მიხედვით

1.1. ტაოს ტოპონიმის ძირითადი თავისებურებანი.

ტაოს სოფლების ძველი (ძირითადად - ქართველური) და ახალი (ოფიციალური - თურქული) სახელწოდებები, უმეტესად სხვადასხვა ფუძეებისაგან იწარმოება. თურქეთის სხვა მხარეთაგან (მაგ., რიზეს მხარე, ართვინის მხარის ხოფის, მურღულისა და ბორჩხის რ-ნები და ა.შ.) განსხვავებით, აქ ძალზე იშვიათია ისეთი შემთხვევა, როცა ძველი ფუძე შემონახულია თანამედროვე თურქულ სახელწოდებაშიც.

გარდა ამისა, ტაოს ონომასტიკაში ძალიან ბევრი მოჩანს ისეთი ფუძეები, რომელთა ეტიმოლოგიზებაც ან სულ ვერ ხერხდება, ან კიდევ - შესაძლებელია აიხსნას როგორც ქართულ, ისე უცხოენოვან ნიადაგზეც. აქვე დავძენთ იმასაც, რომ ქართულ დასახლებულ პუნქტთა ძველ დასახელებათაგან დიდი ნაწილის ეტიმოლოგია გამჭვირვალეა, მაგ.: **კევეზი** // **კევაი** იგივეა, რაც თანამედროვე სამწიგნობრო ენის ფორმა „ხევაკი“ ან „ხევა“ და ცხადია, ნიშნავს „პატარა ხევს“; აგრეთვე **ქობაი** // **ქუაბაქი** იგივეა, რაც თანამედროვე სამწიგნობრო ენის ფორმა „ქვაბა“ ან „ქვაბაკი“ და ნიშნავს „პატარა [გამო]ქვაბულს“ და ა.შ. არაიშვიათად, ქართული ლექსიკური ერთეული ძნელი საცნობიერაა: მაგალითად, ტოპონიმს: **ერქინისი** ჩვენ ვშლით ასე: ერქინ-ის-ი; ფუძე **ერქინ-** იგივეა, რაც ლაზურში შემონახული ფორმა **ერკინა** „რკინა“, ხოლო **-ის** კი ქართულ ენაში ნათესაობითი ბრუნვის ნიშნად ცნობილი **-ის-** სუფიქსი; ანუ **ერკინისი** ნიშნავს „რკინისი“ (შდრ. „თბილისი“, „ყინწვისი“ და ა.შ.)⁶; ტოპონიმის ფუძეში რკინ- ფუძე სხვაგანაც გვხვდება: სარკინე (იხ. ბ.ბერიძე, 2006: 13-15).

⁶ ამ ფუძის ეტიმოლოგიის მოწოდებისათვის დიდ მადლობას ვუხდით ფილოლოგიის დოქტორს მიხეილ ლაბაძეს.

ამასთანავე, ისეთ დასახელებებში, როგორიცაა მაგალითად **ლისუნჯურ** მკაფიოდ ჩანს სომხური ელემენტები: **լսւն յուր** [ლესუნ ჯურ] „ჩქამიერი, ხმაურიანი წყალი“. **-ჯურ** ელემენტი, რაც სომხურად „წყალს“ ნიშნავს, ხშირად გვხვდება ქართველურ ან თურქულ ელემენტებთან ერთად.

ტაოს სოფლების **მიკროტოპონიმია** მეტად საინტერესოა სამეტყველო კოდთა შერევა/აღრევის თვალსაზრისით: სოფლების უბნებს და ადგილებს თითქმის ყოველთვის ორენოვანი - ქართველურ-თურქული დასახელებები აქვთ. ცხადია, ახალგაზრდა თაობამ უმეტესად, თურქული დასახელებები იცის, ქართველური კი მხოლოდ მოხუცებსღა ახსოვთ. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგჯერ ოფიციალური თურქული სახელწოდების პარალელურად, იხმარება არაოფიციალური სახელწოდებაც, რომელიც ასევე თურქულია. მაგ., ერთ-ერთი სოფლის ოფიციალური სახელწოდებაა **Çeltikdüzü**, თუმცაღა თავად ამ სოფლის მკვიდრნი ყოფითი კომუნიკაციების დროს იყენებენ დასახელებას **გოჯექ** (თურქ. დიალექტ.: **Göcek** „ბოსტანი, სადაც მწვანილს თესენ“). დავძენთ ასევე იმასაც, რომ სოფლებები ამ სიტყვას სადა ხმოვნით წარმოთქვამენ.

გეოგრაფიულ სახელთა შედგენილობა და მათი წარმოება არაფრით განსხვავდება ჩვეულებრივ სახელთა შედგენილობისა და წარმოებისაგან; სახელები იშლებიან ფუძედ და აფიქსებად. სწორედ ამის მიხედვით, ტაოს ონომასტიკაშიც გამოვყოფთ ტოპონიმიკურ სახელთა წარმოების რამდენიმე სახეობას: პრეფიქსულს, სუფიქსურს და პრეფიქს-სუფიქსურს. მაგალითად:

პრეფიქს-სუფიქსები: სა-არ; სა-ე; სა-ეთ; სა-ევ; ნა-ეთ; -ე; მა-ელ-ა, სა-ურ-ე;

სა-გუბ-არ, სა-ფუზ-ალ-ა, სა-ნაწრი-ეთ, ნა-ხს-ეთ, სა-ზუნ-ე, სა-თიხ-ე //
სა-ტიხ-ე, სა-ტ-ევ, სა-ტრედი-ათ, სა-ჭიჭვ-ე, სა-ფუსკ-ეთ-ი, სა-ლბი-ათ,
მა-რჩუბ-ელ-ა, სა-ნზ-ურ-ე დერე;

სუფიქსები: -ან; -იან; -ევ, -ზე, -ელ, -რე;

ხარბაკ-ევ, კეტ-ევ-რე, კავლ-ან, ანწლ-იან, მაჩხა-ზე, გუნგუ-ზე, ჭემნ-ევ,
კურდ-ევ-ლა, ჭორ-ელ, ფრნად-ელ-ი, ავაზ-ან...

როგორც ვხედავთ, ტაოს ონომასტიკაშიც პროდუქტიულია ძირითადად ქართველური აფიქსები და ელემენტები. აქვე უნდა აღინიშნოს რომ დღესაც კი, ტაოს მკვიდრი, ოღონდ თურქულენოვანი მოსახლეობა ქართული წარმოშობის ონიმებს (ტოპონიმებს, მიკროტოპონიმებსა თუ ჰიდრონიმებს) ქართველური წარმოთქმის წესების სრული დაცვით წარმოთქვამს - **ხშირად, სახელობითი ბრუნვის -ი ნიშნის გარეშე: ხარბაკ-ევ, კავლ-ან, ანწლ-იან...**

მიკროტოპონიმები სტრუქტურული თვალსაზრისით შეიძლება დაიყოს რამდენიმე ჯგუფად:

ა) მარტივფუძიანი, უაფიქსო ტოპონიმები იშვიათია. მაგალითად: **ვაკე, ოროკი...**

ბ) სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმები. აქ გამოიყოფა **-ეთ, -თი, -ნარ (>ნალ), -ებ** სუფიქსები:

-ეთ: ბალდი-ეთ-ი//ზარდი-ეთ-ი, ბიკრი-ეთ-ი, მახათ-ეთ-ი, ფილაღრ-ეთ-ი, ქუაბელ-ეთ-ი...

-თი: კილდია-თი, კვერნალა-თი, წითელ-თი, წნარ-თი, წყარო-თი, ჭილა-თი...

-ნარ/-ნალ: ვაკევ-ნარ-ი, ლეკ-ნარ-ი, ვირიგვერდ-ნალ-ი...

-ებ: დალეწილკატრ-ებ-ი, წისქვილ-ებ-ი, ჭონჭ-ებ-ი...

გ) ხშირია პრეფიქს-სუფიქსით გაფორმებული ტოპონიმები. პრეფიქსებად გვხვდება **სა-** და **ნა-**, ხოლო სუფიქსებად **-ე, -ო, -ეთ, -არ, -ავ**. მაგალითად:

სა-ე: სა-თიხ-ე, სა-ფურ-ე, სა-მარილ-ე, სა-ნეხვ-ე...

სა-ო: სა-ხაზ-ო, სა-ვილვილ-ო...

სა-ეთ: სა-ფლაქვ-ეთ-ი.

სა-არ: სა-ხუნდ-არ-ი.

სა-ავ: სა-ყვერ-ავ-ი.

ნა-ავ: ნა-სილ-ავ-ი.

დ) მრავლად გვხვდება კომპოზიტური აგებულების ტოპონიმები. ისინი სხვადასხვა ტიპის სახელთა (სიტყვათა) შეერთებით მიიღება. საზღვრულად

წარმოდგენილია საზოგადო სახელები: ტყე, მთა, ქედი, ყანა, ჭალა, ვაკე, ჰევი, დელე, წყარო... მსაზღვრელად გვხვდება ზედსართავი და ნათესაობით ბრუნვაში მდგარი სახელი.

რთული/თხზული ტოპონიმები სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

1. ორივე კომპონენტი ქართულია: გაჭვრეტილ კილდე, გაღმა ტყე, გულიყანა, დამპალწყარო, დიდვაკე, დიდი მთა, დიდდელე, ზემო ლეკნარი, უკანტყე...

ახოწყური, ვირიგვერდნალი, ზეჟარიქეთი, ლეკნარი ძირი, ტყიძირი, ტყიძირი...

2. ორივე კომპონენტი თურქულია (ამგვარი ტოპონიმები ტაოში არცთუ ისე იშვიათია): გორჯიგოლი, გუნემ მაალლე, ღუზემ მაალე, ჰაჯიმეზერი...

ზოგადად, ტაოს ტოპონიმია მეტწილად ქართულია; გაფორმებულია ქართული გეოგრაფიული სახელებისთვის ნიშანდობლივი აფიქსებით. თუმცა კიდევ ერთი თავისებურება, რაც ტაოს ონომასტიკაში შევნიშნეთ, არის ის, რომ ერთი ტოპონიმში შესაძლოა, ერთად იყოს წარმოდგენილი ქართული და თურქული ელემენტები: მაგალითად, სამოვრის სახელი ასკილოვანლარ სოფ. ჰევეში წარმოადგენს ამგვარი მოვლენის ნათელ ნიმუშს: მასში ქართულ ფუძეზე (ასკილოვან-) დართულია თურქული მრ. რიცხვის სუფიქსი -ლარ; აქ დავძენთ იმასაც, რომ ასეთი წარმოება ყველაზე მეტად გვხვდება იმ სოფლებში, რომელთა მოსახლეობასაც დავიწყებული აქვს მშობლიური ენა - ქართული.

ჩვენ მიერ ჩაწერილ მასალში ბევრია მიკროტოპონიმის კომპოზიტური წარმოების შემთხვევა: კომპოზიტის ორივე ნაწილი არსებით ან ზედსართავ სახელს წარმოადგენს და მხოლოდით რიცხვში დგას: ჯელიჯვარ(ი), დიდმუხა, გულიყანა, წყაროთვალი, უტაიკევ(ი), ჭალყანა, ბუაყანა, ფევეყანა, ტავშან(ი) იაილა, დოდოფლი ვაკე, ჭილბოლო, დიდ მინდორ(ი), ხახვეთის დერე, სანზურე დერე, ღომელთის დერე, ყირმისთარლა, ბაძაზთარლა, ქურუნდიზი, ბაქთუნ დერესი, ფუნდარე დერე...

ხშირად, მსაზღვრელად გამოიყენება თურქული, ხოლო საზღვრულად - ქართული არსებითი სახელი, მაგ.: გურდიკალო//გურჯიკალო, დუბითქალა, არნუთცევ(ი), გობილცევ(ი), კარულცევ(ი)...

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ისიც, რომ ჩვენ მიერ ჩაწერილ ტოპონიმებში გაქცავებული სახით შემორჩენილია ერთი მეტად საინტერესო ფონეტიკური პროცესი, რომელიც უწინ უთუოდ ახასიათებდა ადგილობრივ ქართულ მეტყველებას - მხედველობაში გვაქვს ვ ბგერის გაქრობა ხმოვანთაშუა (ანუ ინტერვოკალურ) პოზიციაში: მაგალითად, უტავ(ი) სოფლის სახელია, ხოლო უტაიკევ(ი) (< უტავის კევ-ი) - მიკროტოპონიმი. ასევე: ვიწროღელეთაი (< ვიწრო ღელეს თავი), შაი ტპა (< შავი ტბა), შაი ტყე (< შავი ტყე) და მისთ. ხმოვანთა შუა ვ ბგერის გაქრობა დღეს ახასიათებს ლაზთა ერთ-ერთ კილოს - ხოფურს.⁷ უწინ ეს პროცესი ასევე დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ტაოური მეტყველებისთვისაც, თუმცა აქ დავძენთ იმასაც, რომ ბევრ ტოპონიმსა თუ მიკროტოპონიმში ვ ხმოვანთაშუა პოზიციაში დაცულია: ხიდიტავი (ყანა სოფ. გოდლეკარში), ფიქალტავი (სოფ. ქობაის უბანი) და სხვ.

ტოპონიმები ხშირად წარმოდგენილია სახელობითი ბრუნვის -ი ნიშნის გარეშე: ხარბაკევ, კავლან, ანწლიან, დიდ მინდორ, გავნარ/გივნარ... ამისი მიზეზი შეიძლება იყოს არა მხოლოდ ქართულ-თურქულ ენობრივ კოდთა შერევა, არამედ, ისტორიული მემკვიდრეობა; კერძოდ, როგორც ცნობილია, ბევრ ქართველურ კილოში (სვანურში, ჰერულში, თუშურში, ხევსურულში...) სახელობითი ბრუნვა შეიძლება იყოს უნიშნო. როგორც ჩანს, ეს მოვლენა ტაოურ დიალექტსაც ახასიათებდა. აღვნიშნავთ იმასაც, რომ ჩვენს ვარაუდს ამყარებს მეზობელ ქართველურ ქვესისტემათა - ვიწურ-არქაბული კილოს არქაბული კილოკავის და ლივანური კილოს მურღულური კილოკავის მონაცემებიც: ორივეგან სახელობითი ბრუნვის ნიშანი შეიძლება სვანურის ან

⁷ ფილოლოგიის დოქტორ მიხეილ ლაბაძის ცნობით.

ჰერულის, თუშურის, ხევსურულის... მსგავსად, არ იყოს წარმოდგენილი (ამის შესახებ ვრცლად იხ.: ლაბაძე, 2013:123).

დასასრულს, აქვე დავძენთ, რომ ჩვენ მიერ ტაოში ჩაწერილი მასალით საშუალება გვაქვს ნათლად ვაჩვენოთ, თუ როგორ აგრძელებს არსებობას თურქულენოვანი მოსახლეობის მეხსიერებაში ძველი ქართული ტოპონიმური სახელები, რომელთა მნიშვნელობაც და წარმომავლობაც, ხშირ შემთხვევაში, მათ აღარ იციან. აქედან გამომდინარე, ზოგჯერ ვეღარ ხერხდება ადგილთა სახელთა თავდაპირველი მნიშვნელობების დადგენა. მიუხედავად ამისა, ჩვენ მომდევნო პარაგრაფებში შევეცდებით, შეძლებისდაგვარად მოვახდინოთ ამ ტოპონიმებისა თუ მიკროტოპონიმების ეტიმოლოგიზება.

1.2. პარხლის ხეობა: ჯევეგ(ი)//ჯევაჲ, ერმენი ჯევეგი, ჯევეგ-ი-ულაჲ.

პარხლის ხეობაში ტოპონიმი **ჯევეგ(ი)** დასტურდება სოფლის სახელად. **პატარა ჯევეგს** ანუ **ჯევაჲს**, რომელიც დღესაც ქართველებითაა დასახლებული, თურქულად ჰქვია **Bıçakçılar**, სიტყვასიტყვით „დანის ოსტატები“. **ერმენი ჯევეგს** (თურქ. „სომხური ჯევეგი“) და **ჯევეგ-ი-ულაჲს** (თურქ.-ოსმ. „ზემო ჯევეგი“) დღეს ოფიციალურად ეწოდება **Yaylalar**, სიტყვასიტყვით „იალალები“. ეს უკანასკნელი დასახლებული პუნქტი (სოფელი) რაიონული ცენტრიდან 50 კილომეტრითაა დაშორებული. იქ ქართულად დღეს აღარ საუბრობენ.

მიქელის(ი) მდებარეობს **ჯევეგის** დასაწყისში. იგი სოფლის ცენტრალურ ნაწილს მოშორებულია და უფრო ახლოა სოფელ ზემოვანთან. ამ უბნიდანაა გადასასვლელი სოფელ **ოთხთაში**. **მიქელისის** ეტიმოლოგია გამჭვირვალეა: გამოიყოფა ფუძე **მიქელ-** (ანთროპონიმ „მიქაელის“ გახალხურებული ფორმა), ხოლო **-ის** კი ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია. მაშასადამე, **მიქელის-ი** ნიშნავს მიქელის კუთვნილ ადგილს.

ზენამათ(ი) - საზაფხულო სამყოფია ანუ „ყიშლაა“. მისი ახალი სახელია **Adatepe**, სიტყვასიტყვით „კუნძულოვანი სერი“. ადგილი **ტაბახგილის** უბანის მოპირდაპირედაა. აქედან გადასასვლელია რიზეს მხარის ხემშინის რაიონში.

ზამთარში არავინ რჩება. ეტიმოლოგია ოდნავ გაბუნდოვანებულია: ჩვენეული ვარაუდით, უნდა ყოფილიყო **ზენამათი**: **ზენა**- „ზემო“, **-მა**- იგივე ელემენტი, რაც გვაქვს **წინა-მო** ფორმაში - საფიქრებელია, ის ზმნისწინი **მო**- იყოს; **-თი** კი ქართველური ტოპონიმური სუფიქსია. შდრ. ასევე ლაზური **ჟილემონა** „ეზოს უკანა ნაწილი“, სადაც გამოიყოფა **ჟილე**- „ზემო“, **-მო**- და ტოპონიმური სუფიქსი **-ონა**;

ქიორ აჰმეთ(ი) (Kör Ahmet) - უბანია. დასახელება ითარგმნება, როგორც „ბრმა აჰმედი“. შესაძლებელია, ეს იყოს ადგილობრივ მცხოვრებთა რომელიმე წინაპრის სახელი. ქართველური ვარიანტი ვერ დავადგინეთ.

შარაზე - სოფლის ცენტრალური უბანია. ახალი სახელია **Çamyuva**, ანუ „ფიჭვის ბუდე“; შდრ. ქართული გვარსახელი **შარაძე**; მეორე ვარაუდით, აქ **-ზე** სუფიქსს შესაძლოა, ტოპონიმური დანიშნულება ჰქონდეს. ასეთ შემთხვევაში, ტოპონიმის მნიშვნელობა იქნება „შარის ორივე მხარეს გადამლილი ადგილი“, რაც მის მდებარეობას ზუსტად შეესაბამება.

ჯამი მაჰალლესი - სოფლის ცენტრის ზემოთ მდებარე პატარა უბანია, სულ რამდენიმე კომლი ცხოვრობს. სახელწოდება თურქულიდან ითარგმნება, როგორც „მეჩეთის უბანი“.

ტაბახგილ(ი) - სოფლის ცენტრის ახლოს ცალკე უბანია, ტყის პირას. **-გილ** არის თურქული სუფიქსი და აღნიშნავს გვაროვნულ კუთვნილებას. აქედან გამომდინარე, **ტაბახ**- შესაძლოა, ეპონიმის მეტსახელი იყოს. ადგილობრივთა დიალექტური გამოთქმით, **ტაბახ** ნიშნავს თაბახს (რუს. поднос) და ხშირად გვხვდება როგორც მეტსახელთა/გვარსახელთა (მაგ.: Öztabak, Tektabak) ნაწილი ან გადატანით, ვაკე ადგილის სახელწოდებად

ხუმაგილ(ი) - სოფლის ცენტრალური უბანია **შარაზეს** ზემოთ. აქაც იგივე გვაროვნული კუთვნილების **-გილ** სუფიქსი გამოიყოფა. **ხუმა**- შესაძლებელია, ანთროპონიმი ან მიკროანთროპონიმი იყოს. **ხუმაგილ** = ხუმანა, ვინმე ხუმას შთამომავლები.

ააზგილ მაჰალლესი - უბან ჯამი მაჰალლესის გვერდითაა. ააზგილ თურქულად ნიშნავს „ვინმე ააზის შთამომავალს“, მაჰალლე (თურქ.-არაბ) კი „უბანია“. შესაბამისად, ააზგილ მაჰალლესი „ააზის შთამომავლების უბანი“;

მერეთე(ი) - ახალი სახელით **Olgunlar**, სიტყვასიტყვით „მოწიფულები“ - უბანია სოფლის ცენტრიდან მოშორებით. ტოპონიმში გამოვყოფთ ქართველურ -**ეთ** სუფიქსს, ფუძეა **მერეთ-**, რომლის ეტიმოლოგიაც გაურკვეველია.

ბუდიქ თაშუნ ბაში - ადგილის სახელია, თურქულად (ადგილობრივთა დიალექტური გამოთქმით) ნიშნავს „დიდი ქვის თავს“.

ფოსუნ ჩაირ(ი) - ქართველურ-თურქული ტოპონიმია: **ფოსო** იგივე მოჩანს, რაც „ფესვი“ (შდრ. ლაზური **ფესო**); ამ ქართველურ ლექსემას ერთვის ნათეს. ბრუნვის თურქული დიალექტური სუფიქსი -**უნ**; **ჩაირ** თურქულადვე „ჭალას“ ნიშნავს. აქედან, **ფოსუნ** ჩაირ „ფესვის ჭალა“ ანუ ისეთი ადგილი, სადაც მიწაში ჩარჩენილია ოდესღაც აქ მდგარი ხეების ფესვები. ადგილი **ჯამი მაჰალლესის** ზემოთ მდებარეობს.

ფუჩელეთ - ჭალაა. აქ გამოვყოფთ **ფუჩელ-** ფუძეს, რაც შესაძლებელია, დავუკავშიროთ დიალექტურ **ფუჩა/ფუჩინა** „ხბო“ ვარიანტს და ქართველურ -**ეთ** ტოპონიმურ სუფიქსს. სავარაუდოდ, ტაოურ ქართულში ხბოს მოფერებითი სახელი იყო "**ფუჩელა**" (ტ. ფუტკარაძე).

მეშე დიბი- ჭალაა. ტოპონიმი თურქული სიტყვაა: თურქულად ნიშნავს „ტყის ძირს“ და მართლაც ტყის პირას მდებარეობს.

ქორეთ(ი) - სამოვარია. ეტიმოლოგია წმინდა ქართველურია - გამოიყოფა ფუძე **ქორ-** და ტოპონიმური სუფიქსი -**ეთ**. სემანტიკურად ნიშნავს ადგილს, სადაც ბევრი ქორი ბინადრობს. შდრ. ასევე, იდენტური ტოპონიმები ქართულ კუთხეებში - იმერეთში (საჩხერის რ-ნის სოფ. **ქორეთი**), კახეთში (პანკისის ხეობის სოფ. **ქორეთი**) და სხვ.

ქორეთუნ დერესი - წყაროა ქორეთის სამოვართან. მეორე კომპონენტი **დერე** თურქულია, ნიშნავს „ღელეს“. შესაბამისად, **ქორეთუნ დერესი** ნიშნავს „ქორეთის ღელეს“

ბაქშეთ(ი) -სამოვარია. ეტიმოლოგია გაურკვეველია, თუმცაღა ვფიქრობთ, მასში უნდა გამოიყოს -**ეთ** სუფიქსი.

ჩუმათ(ი) - სამოვარია. შესაძლებელია, ამ ტოპონიმის ამოსავალი ფორმა ყოფილიყო **ჯუმათ** - შდრ. გურიაში იგივე სახელწოდების სოფელი, რომლის დასახელებაც ზანური წარმომავლობისად მიაჩნიათ. ტაოში არსებობს ასევე ტოპონიმი **ჯუმაქეთ**, რომელშიც **ჯუმა-** (ლაზ. „ძმა“) ფუძე უნდა გამოიყოს.

დინგუნ ბაში - ქალაა. **დინგი** ტაოურ და ლაზურ დიალექტებში აღნიშნავს ხელის წისქვილის ერთ-ერთ დეტალს; **დინგუნ** „დინგისა“, **ბაში** (თურქ.) - თავი; ქართულ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევის ნიმუშია;

ბორჩ(ი) - ღელეა, ორ კლდეს შორის მდებარეობს. ადგილობრივ მკვიდრთა ნაწილი ამ ტოპონიმს უკავშირებს თურქ.-სპარს. **Borç** „ვალი“ ფორმას, რაც გამორიცხულია. უფრო გასაზარებელია პროფ. ტ. ფუტყარაძის ვარაუდი, რომ ტოპონიმი ქართული წარმომავლობისაა და უკავშირდება სიტყვაფორმებს: ბორჯღი/ბარჯღი (განტოტვილი; ფესვები; გადატანით: "ქვებიანი ადგილი"), ბორჯღალი, ბორჩხა...

ბორევან(ი) - ყანაა. გამოიყოფა -**ევან** რთული სუფიქსი. **ბორ-** ფუძე კი უნდა დავუკავშიროთ **ბორია** ფორმას (< ბერძნ.), რომელიც მეგრულ კილოში „ქარს“ ნიშნავს. აქედან გამომდინარე, **ბორევან** „ქარიანი ადგილი“ გამოდის.

ბაგათუნ დიბი ქართველურ-თურქული კომპოზიტური ტოპონიმია: **ბაგა-თ-ი**: „ბაგად ითქმის ახალი ვენაჯი“ (საბა), **-თ-ი** კი ქართველური სუფიქსია; **დიბი** თურქულად ნიშნავს „ძირს“ - ბაგათის ძირი;

ბარაქ(ი)- მთაა.

ღოიო- მთიანი ადგილია უბან **მერეთეთის** ზემოთ.

ასკილოვანლარ(ი) - დიდი სამოვარია: **ასკილ-ოვან-ი** (ქართ.) და თურქ. მრ. რიცხვის ნიშანი **-ლარ**. ქართულ-თურქული სამეტყველო კოდების შერევის აშკარა ნიმუშია.

ყუზელარ(ი) - დიდი სამოვარი ადგილია. Kuzey (თურქ.) „ჩრდილოეთი“; ადგილობრივ დიალექტზე ითქმის **ყუზედ**. აქედან გამომდინარე, **ყუზელარ(ი)**, ადგილობრივთა განმარტებით, ნიშნავს ადგილებს, რომელთაც მზე არ ადგება.

ხორანუნ დერესი - ღელეა. **ხორა** შეშისა და მისთანათა წყებას ნიშნავს, **დერე** - თურქულად „ღელეა“; **ხორანუნ დერესი** ქართველურ-თურქული კომპოზიტიური ტოპონიმია და ნიშნავს „ხორის ღელეს“; მეორენაირად, იგივე ტოპონიმში შეიძლება გამოვყოთ ლაზური ლექსემა **ხურა** „სხეული“; აქედან გამომდინარე, სემანტიკური მნიშვნელობა იქნება „სხეულის [დასაბანი] ღელე“;

ქაჩქარ(ი) - ყველაზე მაღალი მთაა რიზეს მხარის და იუსუფელის რაიონის საზღვარზე. თურქეთში სიმაღლით მეოთხეა. მ. ლაბადის ვარაუდით (გამოითქვა ზეპირი საუბრის დროს), ამოსავალი ფორმა შესაძლოა ყოფილიყო „კლარჯთ კარი“ - ეს სახელი ჯერ ერქვა უღელტეხილს და მერე დაერქვა მთას: კლარჯთ კარი > კლაჯკარი > კაჯკარი > ქაჩქარი. ქაჩქარის მთა ლაზეთის და ტაო-კლარჯეთის საზღვარია (ბევრი მიზეზის გამო შეუძლებელია ტოპონიმი მომდინარეობდეს სომხური **ხაჩქარ** „ქვაჯვარი“ ფუძისაგან).

ფიშოვით(ი) - მთაა. ქართველური ტოპონიმური **-ეთ** სუფიქსის ფარდი **-ით** დაჩნდება ლაზეთის ტოპონიმიკაში და აქაც ზუსტად ეს უკანასკნელი უნდა გამოვყოთ - მით უმეტეს, რომ მთა რიზეს მხარის საზღვარზეა. ფუძე გამოდის **ფიშოვ-**, რომლის ეტიმოლოგიაც გაურკვეველია; ვფიქრობთ, ის ძველ ლაზურ გვარსახელს - **ფიშოვა** // **ფუშუვას** უნდა უკავშირდებოდეს

ბოგუთ(ი) - მთაა. აქაც ქართველური **-ეთ** სუფიქსის ვარიანტი უნდა იყოს, ფუძის ეტიმოლოგია კი გაურკვეველია. საფიქრებელია, რომ **ბოგუ-** საკუთარი სახელი ყოფილიყო.

თივ(ი) - მთაა. ეტიმოლოგია გაურკვეველია. ასეთივე ტოპონიმი (სოფლის სახელი) არსებობს საქართველოშიც - ყვარლის რაიონშიც.

ზირინოვა - მთაა. ჩვენეული ვარაუდით, ეს უნდა იყოს ქართველურ-თურქული კომპოზიტური ტოპონიმი: **ზირი** „ძირი“ და თურქ **მოვა** „ბუდე“ ანუ, მისი სემანტიკური მნიშვნელობა იქნება „ძირის ბუდე“;

ჩინუთ დაღი - მთაა. ვგონებთ, ქართველურ-თურქული კომპოზიტური ტოპონიმია: **ჩინუთ** ფორმაში უნდა გამოიყოს -**ეთ** ქართველური ტოპონიმური სუფიქსის ვარიანტი, ხოლო ფუძე **ჩინუ-** კი, ჩვენი აზრით, ანთროპონიმი უნდა იყოს (შდრ. მამაკაცის ქართული სახელი **ჩინო**); **დაღი** (თურქ. **Dağ**) -მთა;

ქობიშალა- მთაა. ჩვენეული ვარაუდით, ლაზური კომპოზიტია: **ქობიშ** **ფალა** სიტყვასიტყვით ნიშნავს „ქვაბულის ნაწილს“

პოჰნიჩ- მთაა. ეტიმოლოგია გაურკვეველია. ჟღერადობით სომხური გვგონია.

ლაი - წყაროა. „ღარი“ ანუ წყარო რომელიც მიწის ზედაპირზე გამოდის. ტაოურ დიალექტში (ისევე, როგორც ლაზურში) ხმოვანთაშუა **რ** სონორის დაკარგვა ჩვეულებრივი მოვლენაა.

დიმაჩ(ი) - ხრიოკი მთაა. ეტიმოლოგია გაურკვეველია.

ქაიმოვით(ი) - მთაა რიზეს მხარეს. ქართველური ტოპონიმური -**ეთ** სუფიქსის ფარდი -**ით** დაჩნდება ლაზეთის ტოპონიმიკაში და აქაც ზუსტად ეს უკანასკნელი უნდა გამოვყოთ - მით უმეტეს, რომ მთა რიზეს მხარის საზღვარზეა. ფუძე გამოდის **ქაიმოვ-**, რომლის ეტიმოლოგიაც გაურკვეველია. საფიქრებელია, რომ ***ქაიმოვა** ან უფრო ***ქაიმუვა** გვარსახელი იყოს. თუ ასეა, მაშინ ქაიმოვით-ი არის **ქაიმოვა//ქაიმუვას** კუთვნილ მთას.

ქოქოვით(ი) - მთაა რიზეს მხარეს. ქართველური ტოპონიმური -**ეთ** სუფიქსის ფარდი -**ით** დაჩნდება ლაზეთის ტოპონიმიკაში და აქაც ზუსტად ეს უკანასკნელი უნდა გამოვყოთ. ფუძეა **ქოქოვ-**, რომლის ზუსტი ეტიმოლოგიაც გაურკვეველია. საფიქრებელია, რომ ***ქოქოვა** ან უფრო ***ქოქუვა** გვარსახელი იყოს. თუ ასეა, მაშინ ქოქოვით-ი არის **ქოქოვა//ქოქუვას** კუთვნილ მთას.

ზიხ(ი) - მთაა. ეტიმოლოგია გაურკვეველია.

ქუჩქ დალ(ი)- პატარა მთაა. ამასვე ნიშნავს მისი სახელი თურქულად.

მამუჯვარ(ი) - მამუ- საკუთარი სახელია: ან პირსახელ „მამუკას“ შემოკლებული ფორმაა. შეიძლება დავუშვათ, "მამუ" (შდრ.: მამია) ვარიანტის არსებობაც. ამოსავალი ფორმაა; „მამუს ჯვარი“. არ გამოირიცხება სხვაგვარი ახსნაც: "მამის(ეული) ჯვარი". ყველა შემთხვევაში მამუჯვარი სუფთა ქართველური ტოპონიმია.

მაჰლემლარუნ დერესი - დელეა. თურქ. **Mahrem** ნიშნავს „შორებელს“ ან „ურწმუნოს“ რ -> ლ პროცესს თუ დავუშვებთ, მაშინ მნიშვნელობა იქნება „შორებლების/ურწმუნოთა დელე“, მაგრამ ჩვენ ამგვარი ეტიმოლოგია მაინც შეუძლებლად გვეჩვენება.

1.3.სოფელ უტავის მიკროტოპონიმია.

უტავ-ი იუსუფელის რაიონის ერთ-ერთი სოფელია, რომელიც ზღვის დონიდან 1500 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. სოფლის მოსახლეობა ამჟამად მთლიანად თურქულენოვანია; მიუხედავად ამისა, მისი ტოპონიმია უწინდებურადვე ქართულია. ჩვენი აზრით, სოფლის სახელწოდების თავდაპირველი ფორმა უნდა ყოფილიყო უტევი ანუ სემანტიკურად „სოფელი, რომელიც მოსახლეთაგან არასოდეს დაცლილა“; არ გამოირიცხება სხვაგვარი ეტიმოლოგიაც: უტევი - ბევრის დამტევი.

სოფლის ამჟამინდელი ოფიციალური სახელია **Bostancı**, რაც ქართულად ნიშნავს „მეზოსტნეს“, „მემწვანილეს“.

სოფელ უტავის მიკროტოპონიმიაში ხშირია -ეთ სუფიქსიანი წარმოება: დუბელეთ(ი), გოჭიეთ(ი), სანაწრიეთ(ი), დიდკეთ(ი), ნახსეთ(ი), დივერდეთ(ი), ღუზებეთ(ი), ვარღანეთ(ი), შალატკეთ(ი)... ძველ ქართულ წყაროთა მოწმობით, -ეთ მორფემა ერთ-ერთი თავდაპირველი, ყველაზე გავრცელებული სართია, რომლითაც გეოგრაფიული სახელებია ნაწარმოები.

ჩვენი მასალის მიხედვით, გვხვდება როგორც ტოპომაწარმოებელი -**ეთ**, ასევე, ამ ქართველური აფიქსის სხვა ვარიანტებიც და მრავლობითობის უძველესი ნიშანი -**თ**.

თურქული აფიქსებით გაფორმებული სახელები, როგორც აღინიშნა, ძალზე ცოტაა. ყველაზე მეტად, გვხვდება ორგვარი თურქული სუფიქსი: გვაროვნული -**გილ** და მრ. რიცხვის მაწარმოებელი -**ლარ**, რომელიც ადგილობრივ თურქულ დიალექტში ასევე, გვაროვნული მნიშვნელობითაც გამოიყენება.

ქვემოთ წარმოვადგენთ ჩვენ მიერ ჩაწერილ მასალას (სხვადასხვა დროს ჩაწერილს), რომელიც დაჯგუფებულია ადგილების მიხედვით:

დუბელეთ(ი) - ადგილის სახელია. მასში უნდა გამოვყოთ ქართველური ტოპონიმური -**ეთ** სუფიქსი და რთული **დუბე-ლ-** ფუძე. თავის მხრივ, ამ უკანასკნელში გამოიყოფა ძირი **დუბე** „დაბალი ადგილი“ (საბა); ასევე, დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონის მიხედვითაც ასეა - „დაბალი ადგილი, ჩოლი“. **დუბეს** ან **დვიბეს** აჭარაშიც დაბლობ ადგილს უწოდებენ. -**ლ-** დეტერმინანტი სუფიქსია.

ყიშლა - პატარა, ორკომლიანი უბანი და მიმდებარე საძოვარია მდინარე პარხლისწყლის მარჯვენა მხარეს, სოფელ ვანისკევის ერთ-ერთი უბნის - **მახათეთის** პირისპირ. ადგილობრივთა თურქულ დიალექტზე **ყიშლა** ნიშნავს „საზამთრო სადგომს“, თურქული სიტყვაა.

დუზლარ(ი) - ადგილის სახელია იქვე ახლოს. თურქულად düz „სწორი, ვაკე ადგილი“. ადგილობრივი მკვიდრნი სიტყვასაც და ტოპონიმსაც სადა ხმოვნით წარმოთქვამენ. -**ლარ** თურქული მრ. რიცხვის სუფიქსია, რომელიც თურქული გვარების სუფიქსადაც გამოიყენება. შესაბამისად, **დუზლარ(ი)** ნიშნავს ან „ვაკეებს“, ან „ვაკეანთს“. შდრ. ასევე: უბნის სახელი **დუზი** სოფელ სარფში (საქართველო, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი) და **ვაკე** თბილისში.

ახთოფრახ(ი) - ადგილია. აქ მეტად კირქვიანი ნიადაგია და აქედანაა მისი სახელი: თურქულად Aktoprak „თეთრი მიწა“; ფორმა **ახთოფრახ**

გვხვდება ადგილობრივ დიალექტურ მეტყველებაში. თურქულენოვან ქვეყნებსა თუ მხარეებში ეს ტოპონიმი მეტად გავრცელებულია - გვხვდება როგორც თურქეთში, ისე აზერბაიჯანში, აგრეთვე შუა აზიის ქვეყნებშიც.

ფიჩხეთ(ი) - პატარა, სამკომლიანი უბანია სოფლის ცენტრიდან 15 კმ-ის მოშორებით, მდინარე პარხლისწყლის მარჯვენა მხარეს. ადგილობრივთა თურქულ მეტყველებაში ქართულიდან შესული სიტყვა **ფიჩხ** ნიშნავს „ხმელ, განტოტვილ ჯოხს“, რითაც მიერეკებიან პირუტყვს. სამწიგნობრო ქართულში კი იგივე სიტყვას „ხმელი შეშის“ მნიშვნელობა აქვს. ასევე, აქაც გამოიყოფა -**ეთ** ტოპონიმური სუფიქსი. ეტიმოლოგიურად, **ფიჩხეთ-ი** არის ადგილი, სადაც ხმელი შეშა ან ხმელი განტოტვილი ჯოხებია ბევრი.

ლომელთ(ი) - უტავის ყველაზე მაღალი უბანია. სოფლის ცენტრიდან 24 კმ-ის მოშორებით მდებარეობს, სოფ. **ბალხიზარის** აღმოსავლეთით - 10 კმ-ში. ცხოვრობს 15-მდე კომლი. შდრ., მსგავსი ტოპონიმი აჭარაში: **ლომელათი** - სოფ. **მეჩხერეთში** (სიხარულიძე, 1958:118). ფუძედ გამოიყოფა რთული შედგენილობის ლექსემა **ლომ-ელ-**, რომლის ძირიც უნდა იყოს **ლომ-** „*Setaria italica*“; შდრ. ასევე მიკროტოპონიმი **ლომელა** აჭარის სოფ. ხიხადირში (სიხარულიძე, 1958:103). -**ელ-** კნინობითი სუფიქსია (შდრ. აჭარ.: ბები-ელ-ა „ბებიკო“). -**ეთ-** და -**თ-** სუფიქსები ალომორფებია.

ლომელთუნ დერესი - დელეა უბან **ლომელთში**. თურქულად **დერე** „დელეს“ ნიშნავს. უბნის ქართველურ სახელწოდებას დაერთვის თურქული ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის დიალექტური ვარიანტი -**უნ**.

დუთდერე - პატარა დელეა და სამკომლიანი უბანია მდ. პარხლისწყლის მარჯვენა სანაპიროზე. ხარობს ხეხილი და ვენახი. სახელწოდება თურქულია და ნიშნავს „თუთის დელეს“. ამასთან, **Dut** სპარსულიდან შემოსული სიტყვაა (ქართულშიც ამავე ენიდანაა ნასესხები „თუთა“). ანალოგიური ტოპონიმები გავრცელებული გახლავთ თურქულ სამყაროში - როგორც თავად თურქეთში, ისე აზერბაიჯანსა და ჩრდ. კვიპროსშიც. შდრ. საქართველოშიაც: **თერჯოლა** ანუ „თეთრი ბჟოლა“ (**ბჟოლა** დიალექტურად „თუთა“).

ჩუხურლარ(ი) - ადგილის სახელია, წარმომავლობით თურქული: **Çukurlar** ანუ ადგილობრივ დიალექტზე - **ჩუხურლარ** ნიშნავს „ორმოებს“, „გადათხრილ ადგილებს. **Çukur** ლექსემა მიკროტოპონიმებში მრავლადაა დაფიქსირებული ოსმალეთის ყოფილ ტერიტორიაზე (სეზენი, 2006: 132-133).

უტაიჯევ(ი) - სოფელ უტავის ცენტრის სახელწოდებაა. ადგილობრივები ამ სახელით ზოგჯერ მთლიანად თემსაც იხსენიებენ; მაგალითად, იტყვიან: **ბენ დე უტაიჯევილიმ** „მეც უტაველი ვარ“. ეტიმოლოგია გამჭვირვალეა: უწინ იქნებოდა უტავის **ჯევ-ი**, მაგრამ მერე ორხმოვანშუა პოზიციაში **ვ** თანხმოვნის და ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის **-ს** ელემენტის დაკარგვით მივიღეთ ფორმა **უტაიჯევი**, რომელსაც წესისამებრ, ჩამოსცილდა სახელობითი ბრუნვის ნიშანი.

კარულჯევ(ი) - ადგილის სახელია. ჩვენი ვარაუდით, უკავშირდება სიტყვა **კარს** - „კარული ჯევი“ სემანტიკურად ნიშნავს ხეობას, რომელიც წააგავს **კარს**; მეორე მხრივ, თურქულში სიტყვა **Karal** (დიალექტური გამოთქმით **კარალ**) არის ყურძნის ერთ-ერთი ჯიშის სახელი. ამდენად, **კარულჯევ** შეიძლება იყოს ხეობა, სადაც ხსენებული ჯიშის ყურძენი ხარობს. თუმცა ამ შემთხვევაში **ა > უ** ხმოვანთმონაცვლეობა ძნელი ასახსნელია.

სუსუზლარ(ი) - ადგილის სახელია. თურქულად **Susuzlar** ნიშნავს „უწყლო ადგილებს“ და რელიეფი მართლაც ხრიოკია. ანალოგიური მიკროტოპონიმი დავადასტურეთ სოფელ **ოთხთაშიც**.

ყუზეილარ(ი) - ადგილის სახელია იქვე. მზე არ უდგება, ამიტომაც ჰქვია ამგვარად - თურქულად **kuzeyler** „ჩრდილოეთის მხარეები“; ქართულში ბევრი მაგალითია მსგავსი: მაგალითად, **ჩრდილი** სოფელია ხევსურეთში.

დივერდეთ(ი) - ადგილის სახელია იქვე. ეტიმოლოგია ბუნდოვანია და საჭიროებს შემდგომ კვლევას, თუმცა შეგვიძლია გამოვყოთ ქართველური **-ეთ** სუფიქსი.

ჭალყანა - ადგილის და ნაყანების სახელი. მიკროტოპონიმი კომპოზიტს წარმოადგენს: **ჭალა** + **ყანა**. აქვე საყურადღებოა ისიც, რომ ადგილობრივთა

ცნობით, ადგილი, სადაც ადრე ყანა ყოფილა, მერე დაჭაობებულია. დღესაც უტაველები ამ სახელწოდებას წმინდა ქართულად წარმოთქვამენ, თუმცა მნიშვნელობა უკვე აღარც ესმით. ანალოგიური მიკროტოპონიმი **ჭალიყანა** დადასტურებული აქვს ასევე მერაზ ბერიძეს ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფ. **ჭობარეთში** (ბერიძე, 2012:149)

ჭანჭახ(ი) - ადგილის სახელია **დუბელეთის** ზემოთ, უბან **ბალაზელარში**. პატარა, დაჭაობებული ჭალაა. **ჭანჭახი** ლაზურად ნიშნავს „ტალახს, საფლობ ადგილს“. შდრ.: **ჭანჭხი** „თხელი ტალახი“ (ქეგლ). **ჭანჭახაი** ჭალის სახელად დასტურდება **იმნიეთში** (იმერხევი) (მიქაუტაძე, ფუტკარაძე, 2006: 196); ასევე, **ჭანჭახი** ტოპონიმად გვხვდება საქართველოს სხვა მხარეებშიც: მთა **დუშეთის** მუნიციპალიტეტში, თუშეთ-ხევსურეთის კავკასიონზე. მთა აჭარაში, **ხულოს მუნიციპალიტეტში**, არსიანის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე; **ჭანჭახისწყერი** - მწვერვალი ონის მუნიციპალიტეტში, რაჭა-ლეჩხუმის კავკასიონზე.

ბააზთარლა - ადგილის სახელია. ერთ-ერთ ადგილობრივ მკვიდრს იქ თეთრი სიმინდის (ტაოში ძირითადად, ყვითელი სიმინდია გავრცელებული) ყანა ჰქონია და სახელიც აქედან შეურქმევიათ: თურქულად **Beyaz tarla** ნიშნავს „თეთრ ყანას“. ამ მიკროტოპონიმში ასახულია ადგილობრივი დიალექტური წარმოთქმა. ჩვენი ვარაუდით, მიკროტოპონიმის თურქულობა გამოწვეულია იმით, რომ სიმინდი საქართველოსა და ზოგადად კავკასიაში XVII საუკუნიდან გავრცელდა, მაშინ კი ტაოს ტერიტორია უკვე ოსმალეთის საზღვრებში იყო.

მინდორ(ი) - სამოვარია სოფ. უტავის მთაში (იალაღზე). წმინდა ქართული მიკროტოპონიმია; **მინდორი** „ველი უმცროსი, მცირე ველი. უტყეო“ (საბა). ეს ლექსემა აჭარის ტოპონიმებშიც გვხვდება (სიხარულიძე, 1958: 138-139).

ვაკეზაირი - პატარა აღმართის სახელია იქვე ახლოს. კომპოზიტური, ნარევი ქართველურ-თურქული მიკროტოპონიმია: ქართ. **ვაკე** და თურქ. **Bayır** „აღმართი“;

დუბითჭალა - ჭალაა ვაკეზაირთან. ჩვენი ვარაუდით, კომპოზიტური მიკროტოპონიმია: პირველი ნაწილი **დუბით-** შეიცავს **დუბე** ძირსა და **-ით** სუფიქსს; მეორე ნაწილია სიტყვა **ჭალა**; სიტყვასიტყვით: დუბიდან ჭალა, დუბის ჭალა. **-ით** სუფიქსს ადრე გამოსვლითობის ფუნქციაც ჰქონდა; შდრ., "სიო საით (= საიდან) მონაბერი". უტავის მკვიდრნი ამ სახელწოდებას წმინდა ქართულად წარმოთქვამენ, თუმცა აღარ ესმით მნიშვნელობა. სემანტიკურად ესაა „ჭალა, რომელიც ჩავარდნილ ანუ დუბე ადგილასაა“;

ფიქალლარ(ი) // ფიქალარ(ი) - ადგილის სახელია იქვე ახლოს. ნიადაგი ძალზე ქვიანია და ამიტომაც ჰქვია ასე - ქართულად „ფიქალი“ არის თლილი ქვა, რაც მშენებლობაში გამოიყენება. **-ლარ** თურქული მრ. რიცხვის სუფიქსია. სახელის მეორე ვარიანტში მორფემათა შეყრის ზღვარზე ორი იდენტური თანხმოვანი იძლევა ერთს ქართული ენის ორთოეპიული წესის თანახმად. **ფიქალლარის** იქით უკვე სოფ. **ვანისკევი** იწყება.

ავაზან(ი) - წყაროს და მიმდებარე ადგილის სახელია. მიკროტოპონიმის ქართულობა ეჭვს არ იწვევს: **ავაზანი** „წყალთ საგუბარი“ (საბა). ანალოგიური მიკროტოპონიმი დასტურდება აგრეთვე **მესხეთშიც**: სოფ. „ზველში რამდენიმე ადგილს ჰქვია **ავაზნები**“. **ავაზან-** ფუძის შესახებ საინტერესო მსჯელობა აქვს მერაბ ბერიძეს (მ. ბერიძე, 1992: 62; იხ., ასევე: ე. ბერიძე, 2012:39);

ქურუნდები - ადგილის სახელია. ადგილობრივ თურქულ დიალექტში **ქურუნ-** არის „გეჯა“, **დიფ** ანუ **დიბ** „ძირია“. აქედან გამომდინარე, ხსენებული მიკროტოპონიმის სემანტიკური მნიშვნელობაა „გეჯის ძირი“; მართლაც, ცოტა ჩავარდნილი ადგილია.

თარონგოლა - საძოვარია. ლაზური მიკროტოპონიმია: **თარო** ნიშნავს „განჯინას“, **ნგოლა** კი „საძოვარს, იალაღს“. ეს ისეთი ადგილია, სადაც საძოვარს სამი მხრიდან კლდეები ერტყმის და მართლაც ისე ჩანს, თითქოსდა განჯინა იყოს;

საფუსკეთი - ადგილის სახელია იქვე ახლოს. მასში გამოვყოფთ **სა-** **-ეთ** კონფიქსსა და **-ფუსკ-** ფუძეს. ეს უკანასკნელი იგივე უნდა იყოს, რაც ლაზური

ფუშქი „ნაკელი, ძროხის პატივი“. შ > ს გადასვლა განპირობებული ჩანს სა- -ეთ კონფიქსის სა- ელემენტის გავლენით. მ. ლაბადის აზრით, სემანტიკურად საფუძვეთი ნიშნავს ადგილს, სადაც ბევრია ნაკელი. ამოსავალი ფორმა იქნებოდა „საფუშქეთი“ (მოსაზრება გამოითქვა ზეპირ საუბარში);

თიხბირლარ(ი) - ადგილის სახელია. ეტიმოლოგია გაურკვეველი უნდა იყოს. შეგვიძლია გამოვყოთ -**ლარ** თურქული სუფიქსი; **თიხბირ-** ფუძეა.

ხულაყევ(ი) - პატარა ხევის სახელწოდებაა. წმინდა ქართული მიკროტოპონიმია: **ხულა** „პატარა ქოხი“ და **ყევ** < **ჰევ**-ი „ხევი“; აჭარის ავტონომიის ხულოს მუნიციპალიტეტის ცენტრის - დაბა ხულოს სახელი უწინ **ხულა** ყოფილა. -**ჰევ** ელემენტის პირველი თანხმოვანი მიკროტოპონიმში გამკვეთრებულია;

დალალის(ი) - ადგილის სახელია; ესეც წმინდა ქართულია - **დალალ-**ი ნიშნავს „ცხენით მოვაჭრეს“, -**ის** კი ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია; **დალალ-ის-ი** დაერქმეოდა იმ ადგილს, რომელიც ეკუთვნოდა ვინმე დალალს. მეორე ვარაუდით, **დალალ-**ი შესაძლოა, ანთროპონიმიც კი ყოფილიყო (შდრ. ქალის სახელი **დალი**);

ჭორევ(ი) - ადგილის სახელია. წმინდა ქართული მიკროტოპონიმია: ტაოს ქართულ დიალექტში **ჭორი** არის „ბალახიანი ადგილი, ჭაობი“, -**ევ** კი, როგორც ცნობილია, მრ. რიცხვის -**ებ** სუფიქსის ვარიანტია (დღესაც ცოცხალია ჰერულ კილოებში). ანუ **ჭორევ** ნიშნავს ჭონჭყობ, დაჭაობებულ ადგილებს. -**ევ** სუფიქსი დაჩნდება საქართველოს ტოპონიმიაში (მაგ., **ბოსლ-ევ-ი**, **ხუნ-ევ-ი**, **ვაჭ-ევ-ი**), რაზეც პირველად მიუთითა აკაკი შანიძემ.

ჯარბაზელერ(ი) - ნასახლარია იქვე ახლოს. მიკროტოპონიმს საფუძვლად უნდა ედოს გვარსახელი - შდრ. თანამედროვე გვარი **ჭარბაძე**. -**ლერ-**, როგორც აღინიშნა, თურქული მრ. რიცხვის მაწარმოებელი სუფიქსია, რომელიც ტაოში გვაროვნულ სუფიქსადაც გამოიყენება. ანუ, **ჯარბაზელერ** არის „ჭარბაძეანთი“, ჭარბაძეების კუთვნილი ადგილი. მკვეთრი-შიშინა ჭ და

მჟღერი-სისინა ძ უკვე გადასულია ჯ და ზ ბგერებში, რაც თურქულის გავლენის შედეგია;

ხორბეთლურ(ი) - ესეც ნასახლარი ადგილია. ეტიმოლოგია ცოტა არ იყოს, გაურკვეველია. ჩვენი აზრით, ამოსავალი უნდა ყოფილიყო ***ხორბეთლურ-ი** ფორმა. ***ხორბეთელი** შესაძლოა ყოფილიყო გვარსახელი (შდრ. თანამედროვე **ორბელი**) და ასეთ შემთხვევაში, მიკროტოპონიმის მნიშვნელობა იქნებოდა „ხორბეთელის გვარისეული ადგილი“;

ფგრნაღელი - ღელისა და მიმდებარე ადგილის სახელია იქვე ახლოს. ჩვენი ვარაუდით, **ფგრნა** იგივეა, რაც „ფურნე“, **ღელი** - „ღელე“;

ჭორელ(ი) - იქვე მდებარე ჭაობიანი ადგილია. **ჭორ-ი**, როგორც აქ ზემოთ აღვნიშნეთ, „ბალახიანი ადგილი, ჭაობი“, -ელ კი იგივე სუფიქსი უნდა იყოს, რაც **ცარ-იელ-ი**, **ხვავ-რ-იელ-ი** ფორმებში გამოიყოფა. ანუ, **ჭორ-[ი]ელ-ი** უნდა ყოფილიყო „ჭაობიანი“;

კოზისკეც(ი) - პატარა ხეობაა. ჩვენი ვარაუდით, ამოსავალი ფორმა უნდა ყოფილიყო **კოვზის კეც-ი**, რაკილა თავად ეს ადგილი ზუსტად კოვზივითაა მცირედ ჩაღრმავებული.

ფუჭი - ხრიოკი ადგილია იქვე ახლოს. მიკროტოპონიმის ეტიმოლოგია გამჭვირვალეა: ქართულად **ფუჭი** ნიშნავს „უსარგებლოს“;

ჭავუთლარ(ი) - ადგილის სახელია. გამოიყოფა **ჭავუთ-** ფუძე და თურქული **-ლარ** მრ. რიცხვის სუფიქსი. ლაზეთში (არქაბის თემში) გავრცელებულია ძველი გვარსახელი **ჭაუთიში**. მიკროტოპონიმის ფუძე სწორედ ამ პატრონიმს უნდა უკავშირდებოდეს.

საჭიჭვე - სამოვარია იქვე ახლოს. წმინდა ქართული მიკროტოპონიმია - ფუძეა **ჭიჭვ-**, რაც ტაოურ დიალექტზე ნიშნავს „მსხვილ წიწვს“. ამ ადგილას, თურმე მართლა ხარობდა წიწვოვანი ხეები, რაც შემდეგ გაუჩეხავთ. **სა-** ე კი მაწარმოებელი კონფიქსია.

სალბიათ(ი) - ადგილის სახელია. ესეც წმინდა ქართული მიკროტოპონიმი ჩანს: ამოსავალი ფორმა უნდა ყოფილიყო **სალობიეთი**. აქ

მართლაც ეთესათ თურმე ადრე ლობიო. **სალბიათ** ფორმა მიღებულია ო ხმოვნის ჩავარდნისა და ე > ა გადაბერების შედეგად.

ორნეთხარ(ი) - ნაყანებია იქვე ახლოს. ჩვენეული ვარაუდით, ამოსავალი ფორმა უნდა ყოფილიყო **ორნათხარი** - ტაოსა და მურღულში ასე უწოდებენ ყანას, რომელიც ორჯერ არის გამოყენებული (მოხნული);

ფააქალა - ჭალაა. ძველად მისი ნაწილი ყოფილა **ორნეთხარის** ნაყანები. აქედან გამომდინარე უნდა იყოს წარმოშობილი მიკროტოპონიმი: თურქულად **ფაა** ნიშნავს „ნაწილს, წილს“, ხოლო **ჭალა** კი ქართული ლექსემაა.

ანწლიან(ი) - ადგილია. ბევრი ანწლი ხარობს და სახელწოდებაც აქედანაა.

ხარბაკევ(ი) // ხორბაკევ(ი) - ნაყანების სახელია. ძველად ხორბალი ეთესათ და უეჭველია, რომ მიკროტოპონიმიც ამას უკავშირდება: პირველი ვარიანტის ამოსავალ ფორმად გვესახება ***ქარ[ა]ბაკ-ევ**: „ქარაბაკი“ წარმოშობით სომხური სიტყვაა (**քարաբակ**) და ნიშნავს „ქვის გალავანს“; ამ სიტყვისგან ნაწარმოები ზმნური ფორმა გვხვდება „ვეფხისტყაოსანშიც“; ყანას მართლაც ჰქონია ქვის ღობე. მეორე ვარიანტი წმინდა ქართულია: **ხორბალკევ-ი** ანუ ისეთი ხევი, სადაც ხორბალია დათესილი. ორივე დასახელება ერთად იხმარება.

ჩაირლარ(ი) - სამოვარია. დასახელება თურქულია: **Çayır** ნიშნავს სწორედ „სამოვარს“;

ლუტალარ(ი) - ადგილის სახელი იმ სამოვართან. ქართველურ-თურქული მიკროტოპონიმი: **ლუტან-ი** (ქართლური) „სწორი, უტოტო ხე“ (ქეგლ) და **-ლარ** თურქული სუფიქსი. ამოსავალი ფორმა უნდა ყოფილიყო ***ლუტანლარი**.

ახოლარ(ი) - ადგილის სახელია. მიკროტოპონიმი ქართველურ-თურქული სამეტყველო კოდების შერევის შედეგადაა წარმოქმნილი: **ახო** „საყანური გაკაფული“ (საბა), „სახნავად გაკაფული ჭალა“ (დ. ჩუბინაშვილი) და **-ლარ** მრ. რიცხვის თურქული სუფიქსი. ტაოშიც ისევე,

როგორც შავშეთ-იმერხეცსა და ლივანაში, აგრეთვე საქართველოს სხვა კუთხეებში გავრცელებული იყო ე.წ. „ახოობა“ - ტყის გაკაფვა ხვნა-თესვის მიზნით. „ახო“ როგორც ტოპონიმი, ფართოდაა გავრცელებული, მაგალითად, თუშეთში - სოფ. ქუმელაურთაში, შტროლთაში, ვერხოვანში...(კურდღელაიძე, 1983:90).

შალატყეთ(ი) - ადგილის სახელია იქვე ახლოს. ჩვენეული ვარაუდით, უწინ შესაძლოა, ყოფილიყო **ჭალატყეთ-ი**, რომელმაც შემდგომ - როცა მოსახლეობამ შეითვისა თურქული ენა, სახე იცვალა და მივიღეთ დღევანდელი ფორმა. კომპოზიტური მიკროტოპონიმია: გამოიყოფა ელემენტები **ჭალა**, **ტყე** და ასევე, ტოპონიმური სუფიქსი **-ეთ**. უამსუფიქსოდ, ფორმა **ჭალატყე** ტოპონიმად თუ მიკროტოპონიმად იმერეთშიც დასტურდება.

ბუაყანა - ნაყანების სახელია. წმინდა ქართული მიკროტოპონიმია: **ბუა** ნიშნავს საფრთხოებლას, რითაც ბავშვებს აშინებენ და **ყანა** - ნათესი.

ჩეფერდები - ადგილის სახელია. თურქული მიკროტოპონიმია: **çeper** ნიშნავს წნულ ღობეს, ხოლო **dip** კი „ძირია“; **ჩეფერდები** „ღობის ძირი“;

ყირმისთარლა - ყანაა. იმ ადგილებში წითელმიწა ნიადაგია და, აქედან გამომდინარე, სახელწოდება ამაზე მიუთითებს (თურქ. **kırmızı tarla** „წითელი ყანა“). თურქული მიკროტოპონიმია.

კეიტერე - უბანია სოფლის ცენტრში, ცხოვრობს 7 კომლი. ჩვენი აზრით, სახელწოდება წმინდა ქართულია: შდრ. **კვეტრა** - ისტორიული ციხე-ქალაქი საქართველოში, კახეთში, ახმეტის მუნიციპალიტეტში. მდინარე ილტოს მარჯვენა ნაპირზე. მიუხედავად ამისა, ეტიმოლოგია მაინც დასაზუსტებელია.

არუნზე - სოფლის უბანია. ცხოვრობს 8 კომლი. ჩვენეული ვარაუდით, პატრონიმული წარმოშობის მიკროტოპონიმია: **არუნ-** იგივე უნდა იყოს, რაც ბიბლიური ანთროპონიმი **აარონ-ი** (ებრ. **אֶהָרֹן**, არაბ. **ჰარუნ**), **-ზე** კი იგივეა, რაც ქართულ პატრონიმთა სუფიქსი **-ძე**. აქედან არუნზე ნიშნავს „აარონის ძეს“ (შდრ. თანამედროვე ქართული გვარი **არონიშვიდი**, რომელშიც წარმოდგენილია მეგრულ-ლაზური ნათეს. ბრუნვის ნიშანი **-იმ[ი]** და

სუფიქსი -ძე). უდავოდ, ამ უბანში ძველად არონიძეები/არუნიძეები ცხოვრობდნენ. ჰარუნ ანუ არუნ (ეს უკანასკნელი დიალექტური ვარიანტია) დღესაც გავრცელებული სახელია ტაოში.

გუნგუზე - უბანია. ცხოვრობს 5 კომლი. ჩვენეული ვარაუდით, ესეც პატრონიმული წარმომავლობის მიკროტოპონიმია: **გუნგუ-** ეპონიმია, ხოლო **-ზე** კი სუფიქსი -ძე. შდრ. თანამედროვე გვარი **გორგოძე**. სხვა ვარაუდით, აქ შეიძლება გვქონდეს ფუძე **გუნგე-**, რაც ლივანურ კილოზე ნიშნავს „გორაკს“ და **-ზე** კი იყოს თანდებულიანი ბრუნვის ნიშანი, გამოყენებული ტოპონიმის მაწარმოებლად.

ბალაზე/ბალაზელარი(ი) - პატარა, ორკომლიანი უბანია. პატრონიმული წარმოშობის მიკროტოპონიმია: შდრ. ამჟამინდელი გვარი **ბალაძე**, რომლის წარმომადგენლებიც დღეს ქობულეთლები არიან. საყურადღებოა, რომ უბნის სახელის მეორე ვარიანტი გაფორმებულია თურქული **-ლარ** სუფიქსით.

იმედიოღულლარი - დიდი, 11 კომლიანი უბანია. მიკროტოპონიმი ქართველურ-თურქული სამეტყველო კოდების შერევიტაა წარმოქმნილი და აშკარად პატრონიმული წარმოშობისაა: მასში გამოვყოფთ **იმედი-** ქართულ ეპონიმს და **-ოღლუ** თურქულ ფორმანტს, თურქულივე **-ლარ** სუფიქსითა და იზაფეთის **-ი** სართით. **იმედიოღულლარი** ანუ „იმედიშვილები“; შდრ. დღეს გურიასა და თუშეთში გავრცელებული გვარსახელი **იმედაშვილი**.

სოფიგილ(ი) - პატარა, სამკომლიანი უბანია. გამოვყოფთ ქართველურ ანთროპონიმს **სოფი-**, რომელიც ცალკე დღეს აღარ გვხვდება, მაგრამ შემორჩა სამეგრელოსა და ლაზეთში გავრცელებულ გვარსახელებში **სოფია** და **სოფიში**. აქვე **-გილ** თურქული გვაროვნული სუფიქსი. შესაბამისად, **სოფიგილ** ნიშნავს „სოფიანთი“.

კერევლათ(ი) - დიდი, 22 კომლიანი უბანია, ოფიციალურად - თურქულად ეწოდება **Çayağzı** („მდინარის პირი“). გაშლილ ადგილასაა, ადგილობრივებს იქ ყანებიც აქვთ. მიკროტოპონიმი ქართულია - ჩვენეული ვარაუდით, ლაზური წარმომავლობისა, რაკილა მასში წარმოდგენილია -ეთ

სუფიქსის ლაზური ვარიანტი -**ათ**. ფუძედ გამოიყოფა **კერეკლ-ი**, რაც ხოფური კილოს ჩხალურ კილოკავზე „კერიისადმი კუთვნილს, კერისეულს“ აღნიშნავს. შესაბამისად, ამ მიკროტოპონიმის მნიშვნელობა იქნება „კერისეული ანუ თავდაპირველი ადგილები“;

ბაღლიქ(ი) - რვაკომლიანი უბანია. მიკროტოპონიმი თურქულია - აქ ახლაც ბევრი ბაღია და აქედან გამომდინარე, **Bağlık** „ბაღნარი“;

ჭემნეც(ი) - პატარა, სამკომლიანი უბანია. ჩვენეული ვარაუდით, აქ უნდა გამოვყოთ ქართველური მრ. რიცხვის სუფიქსის ვარიაცია -**ევ**, მაგრამ **ჭემნ-** ფუძის სემანტიკური მნიშვნელობა გაურკვეველია.

ბუკაზელარ(ი) - ესეც პატარა, ხუთკომლიანი უბანია. მიკროტოპონიმი აშკარად პატრონიმული წარმოშობისაა: შდრ. ამჟამინდელი გვარი **ბურკაძე**, რომლის წარმომადგენლებიც დღეს გურიისა და ქვემო იმერეთის მკვიდრნი არიან. რ ბგერის დაკარგვა ტაოური დიალექტისათვის დამახასიათებელი და საკმაოდ ხშირი მოვლენაა. -**ლარ**, როგორც უკვე აღინიშნა, თურქული მრ. რ.-ის სუფიქსია, რომელიც ადგილობრივ გვაროვნულობის აღსანიშნავადაც ხშირად გამოიყენება. შესაბამისად, **ბუკაზელარ** არის „ბუკაძეები/ბურკაძეები“;

ახალთ(ი) - მოზრდილი, 12 კომლიანი უბანია მდინარე პარხლისწყლის მარჯვენა მხარეს. პირდაპირ ეზმის სოფ. **სარიგდოლს**. მიკროტოპონიმი წმინდა ქართული წარმომავლობისაა: **ახალთი** ანუ ახლებისეული, ახლად შექმნილი უბანი ანდა დასახლება. მართლაც, ადგილობრივთა თქმით, **ახალთი** სოფლის სხვა უბნებთან შედარებით უფრო გვიან შეიქმნა.

ყურთლი ბოღაზი - ადგილის სახელია. მიკროტოპონიმი თურქულია და სიტყვასიტყვით ნიშნავს „მგლების უბეს“. სამწიგნობრო თურქულად არის **Kurtlu boğazi**.

კაუთკეც(ი) - პატარა, დამშრალი ხევია იქვე ახლოს. **კაუთ-ი** ანუ **კავუთ-ი** ტაოურად არის ერთგვარი კერძი, თუმცაღა მიკროტოპონიმში ძირად უნდა გამოიყოს ანთროპონიმი - მეტსახელი **კაუ-**; შესაბამისად, კაუთკეც იქნება

„კაუ“ს შვილების ან შთამომავლების ხევი“. ადგილობრივმა მოსახლეობამ ჩაგვაწერინა ლეგენდა, თითქოს აქ მცხოვრებნი კაუთის კეთებით იყვნენ განთქმულნი.

დოდოფლი ვაკე - ადგილის სახელია იქვე. უდავოდ წმინდა ქართული მიკროტოპონიმია, რომელსაც ადგილობრივები დღესაც ქართული ორთოეპიის დაცვით წარმოთქვამენ. ანალოგიური მიკროტოპონიმი ჩვენ დავაფიქსირეთ ასევე მეზობელ სოფ. **საჯვართში** (თურქ. Boyalı) - **ოგდემის** მხარეს, ერთ-ერთი იალალის სახელწოდებად.

ტავშანლი ძაღლა - იალალის სახელია. თურქული წარმომავლობისაა და სიტყვასიტყვით ნიშნავს „კურდღლიან იალალს“. ადგილობრივი მოსახლეობა ამ მიკროტოპონიმს ქართულ ყაიდაზე - **ტ მკვეთრი** ხშულით წარმოთქვამს.

გოჭიეთ(ი) - ადგილის სახელია იალალს ქვემოთ. წმინდა ქართველური მიკროტოპონიმია. ჩვენი აზრით, ფუძედ უნდა გამოიყოს **გოჭია** ეპონიმი. ანუ **გოჭიეთ-ი** ნიშნავს „ვინმე **გოჭიას** შთამომავლების ადგილს“; -**ეთ** სუფიქსი, რა თქმა უნდა ქართულია.

სანაწრიეთ(ი) - ადგილის სახელია იქვე. ეტიმოლოგია, ჩვენი აზრით, გამჭვირვალეა: ამოსავალი უნდა ყოფილიყო **სანაცრიეთ-ი** ანუ ადგილი, სადაც ცხოვრობდა ვინმე **ნაცრია** ანდა სხვადასხვა საჭიროებისათვის ამზადებდნენ ხოლმე **ნაცარს**. სა- -**ეთ** კონფიქსია.

დიდკეთ(ი) - ადგილის სახელია. ჩვენი ვარაუდით, მიკროტოპონიმში ფუძედ უნდა გამოიყოს ანთროპონიმი ***დიდიკა**. შესაბამისად, **დიდკეთ(ი)** ანუ ***დიდიკეთ-ი** ნიშნავს „ვინმე **დიდიკას** საცხოვრებელ ადგილს“.

ნახსეთ(ი) - ნაყანებია იქვე ახლოს. მიკროტოპონიმის ეტიმოლოგია, ჩვენი აზრით, გაურკვეველია, თუმცა ის კი უდავოა, რომ მასში უნდა გამოიყოს -**ეთ** ქართველური სუფიქსი.

ღუზებეთ - ადგილის სახელი. ჩვენეული ვარაუდით, მიკროტოპონიმში ფუძედ უნდა გამოიყოს ანთროპონიმი ***ღუზებ-ა**. შესაბამისად, **ღუზებეთ** ანუ ***ღუზებეთ-ი** ნიშნავს „ვინმე **ღუზებას** შთამომავალთა საცხოვრებელ ადგილს“.

ვარღანეთ ადგილის სახელია. ჩვენეული ვარაუდით, მიკროტოპონიმი ფუძედ უნდა გამოიყოს ანთროპონიმი *ვარღან. შესაბამისად, ვარღანეთ ანუ *ვარღანეთ-ი ნიშნავს „ვინმე ვარღანის შთამომავალთა საცხოვრებელ ადგილს“.

1.4. სოფელ ვანისჯევის მიკროტოპონიმია.

ვანისჯევი (თურქ. küplüce) მდებარეობს მდ. პარხლისწყლის ხეობაში, რაიონის ცენტრიდან 18 კილომეტრის დაშორებით. სოფელში 9 უბანია, რომელთაგან ორი - მახათეთი და ჭილათი - დღესაც საუბრობს ქართულად, ტაოურ დიალექტზე. უბანთა უმრავლესობა გათურქებულია. სოფელში დაახლოებით 47 კომლი ცხოვრობს. ადგილების სახელთა უმრავლესობა ქართულია: უბნების (კილაზე, ჭილათი, მახათეთი, ფიქალთავი), მთების (ნამზუვარი, სასვენი, კანკლიტი, ჭირღელე, კანკლითი, ბურატახო, ჭუმატუნ დუზი, სამყინარო), ყანების (ჩირდილეთი, დიდ მამული, ნავრევი, გორგოლი, ჭაჭიეთი, მორევი, ადევნარი, ელათჯევი, ბოსტანჯევი, კილდიკარი, სორო), ღელეების (ვანისჯევის ჯევი, კონწოლოთჯევი, ელათჯევის ჯევი), იალაღების (ვაკიათი, სარგულე, სალყანა), წყაროების (წპინ წყარო, ტაბაღა წყარო, ჭანნახი) და სხვ. იშვიათია თურქული მიკროტოპონიმები.

ადგილობრივ მკვიდრთა გარდა, ვანისჯევიში სხვადასხვა სოფლებიდან - მაგალითად, ქობაიდან, უტავიდან, ხერმუთიდან... გადმოსული ხალხიც არის, რაც განპირობებულია, ძირითადად, აქაური ვაკე ადგილით. ვანისჯევი ისეთი სოფელია, სადაც პარხლისწყლის ზემო სოფლების მცხოვრებნი ზამთრობით ცხოვრობენ. მიკროტოპონიმია უმთავრესად ქართულია და წარმომავლობაც ნათელია. თვით სოფლის სახელი ვანის ჯევი სემანტიკურად ნიშნავს „ხეობას, სადაც დასავანებული ანუ დასასვენებელი ადგილია“.

ჭილათი - უბნის სახელია. ოფიციალურად, თურქულ ენაზე ეწოდება **Karayigit**, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს „გამორჩეულ ვაჟკაცს“. მიკროტოპონიმი წმინდა ქართველური წარმომავლობისაა: ჭილ-ი (ქართლ.) ღვარეული (ქეგლ), მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მიკროტოპონიმის ფუძე უნდა იყოს ამ

სიტყვისაგან მომდინარე **ჭილა** ანთროპონიმი, რომელიც ეპონიმის სახითაა წარმოდგენილი გვარში **ჭილაძე**. -**ეთ** ქართველური ტოპონიმური სუფიქსი კი აქ მოცემულია -**თ**- ვარიანტით. დავძენთ იმასაც, რომ ამ უბნის მოსახლეობა ქართულად მეტყველებს (ტაოურ დიალექტზე) და შესაბამისად, სახელწოდება **ჭილათი** ინარჩუნებს სახელობითი ბრუნვის ნიშანს.

მახათეთი - **ვანისწყვის** მეორე უბანია, სადაც ამჟამადაც ქართულად მეტყველებენ, თუმცა აქაურები წარმოშობით უფრო **ქობაძე** მკვიდრნი არიან - ზაფხულში იქ ადიან, ზამთრობით კი **მახათეთში** ჩამოდიან. დღეს ამ უბნის თურქული სახელწოდებაა **Serintepe**, სიტყვასიტყვით „წყნარი, მყუდრო გორა“; ქართული მიკროტოპონიმი **მახათეთი** კი ჩვენი აზრით, შეიძლება ორგვარად აიხსნას: 1. როგორც პატრონიმული ან ანთროპონიმული წარმოშობისა, ანუ სემანტიკური მნიშვნელობით „ვინმე **მახათას** შთამომავლების/**მახათაძეების** საცხოვრებელი ადგილი“; 2. ადგილი, სადაც თესდნენ ძველქართულ ხორბლის ჯიშს - **მახას**; პირველი ახსნა უფრო სარწმუნოდ გვესახება.

კილაზე - უბნის სახელწოდებაა. მოსახლეობა ენობრივად უკვე მთლად გათურქებულია, თუმცაღა მიკროტოპონიმი პატრონიმული წარმომავლობისაა და წმინდა ქართველურია. საქართველოში დღესაც არის გვარი **კილაძე**.

ფიქალთავ - უბანია. აქაც, მოსახლეობა უკვე გათურქებულია, თუმცაღა ინარჩუნებს ამ წმინდა ქართულ მიკროტოპონიმს, რომლის ეტიმოლოგიაც ნათელია: **ფიქალ-ი** „სამშენებლოდ გამოსადეგი თლილი ქვა“ და **თავ-ი**. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამავე უბნის თურქული, ოფიციალური სახელწოდება - **Taşlık başı** სემანტიკურად ახლოა ქართულთან და ნიშნავს „ქვიანი ადგილის თავს“.

ნამზუვარ - მთა და სამოვარია. წმინდა ქართული მიკროტოპონიმია: ტაოურად სიტყვა **ნამზუვარ-ი** ნიშნავს განამზევებს, ადგილს. რომელსაც მზე ადგებოდა.

სასვენი - ესეც მთა და სამოვარია. მიკროტოპონიმი წმინდა ქართულია, რომლის ეტიმოლოგიაც ეჭვს არ იწვევს. ადგილობრივთა გადმოცემით, აქ

მწყემსების საყვარელი დასასვენებელი ადგილი ყოფილა. აღსანიშნავია ისიც, რომ ანალოგიური მიკროტოპონიმი გვხვდება ასევე ბორჩხის თემში, **ლეკობნის** იალაღზეც.

კანკლიტი - მთა და სამოვარია. ჩვენი ვარაუდით, ამოსავალი ფორმა შეიძლება ყოფილიყო ***კანკულითი**. ლაზთა ათინურ-ართაშენულ კილოზე **კამკული** // **კანკული** ნიშნავს „ბუზს“. შესაბამისად, **კანკულითი** არის ადგილი, სადაც ბევრი ბუზი ირევა.

ჭირღელე - ადგილის სახელია. პროფ. ეკა დადიანის ახსნის თანახმად, ძველი, ამოსავალი ფორმა უნდა ყოფილიყო **ჭილ-ღელე** - ჭილის ღელე. თუმცა არაა გამორიცხული, რომ სახელწოდება უკავშირდებოდეს სიტყვა „ჭირს“ ანუ გაჭირვებას - ასე შესაძლებელი იყო, დაერქმიათ ისეთი ხევისათვის, რომლის გადალახვაც კაცს ან პირუტყვს გაუჭირდებოდა. **ჭირღელეს** იხსენიებს და, რა თქმა უნდა, ქართული წარმომავლობისად მიიჩნევს ასევე, თანერ ართვინლიც (1993:97)

ბურატახო - მთისა და მიმდებარე ტერიტორიის სახელია. ჩვენი აზრით, კომპოზიტიური მიკროტოპონიმია და მისი ამოსავალი ფორმა უნდა ყოფილიყო **ბურათ ახო**. **ბურა-** სავარაუდოდ, ეპონიმია (შდრ. ამჟამინდელი ქართული გვარი **ბორაშვილი**), **ახო** „განაკავი ადგილი“.

ბაგათი - მთაა. წმინდა ქართული წარმომავლობის მიკროტოპონიმია: **ბაგა** „პირუტყვთა საზრდელთა დასადებელი ადგილი. ეწოდების სახლთა შინა მოდებულ სარკმელთა... ითქმის ახალი ვენაჯი“ (საბა) და **-ეთ** ქართული სუფიქსის დიალექტური ვარიანტი **-თი**. ანალოგიური მიკროტოპონიმი ასევე, გვხვდება სხვაგანაც: 1.შავშეთის სოფელ ჩუქურში უბნის სახელია. 2.ქალაქ იუსუფელის უბან ახალთში ადგილის სახელია. 3.ართვინის სოფელ დერინქოში ადგილის სახელია. 4.ართვინის სოფელ სარიბუდაქში ადგილის სახელია. 5.ართვინის სოფელ სუმბულლუში ადგილის სახელია. 6.ართვინის სოფელი ზეითინლიქში ყანის სახელია და ა.შ.

სატიხე - მთაა. წმინდა ქართული წარმომავლობის მიკროტოპონიმია და უწინდელი ფორმა უნდა ყოფილიყო **სათიხე** „თიხის მოპოვების ადგილი“;

სამყინარო - მთა. წმინდა ქართული წარმომავლობის მიკროტოპონიმია: ამოსავალი ფორმა უდავოდ იქნებოდა **სამყინვარო** ანუ ისეთი ადგილი, სადაც სხვადასხვა საჭიროებისათვის მოიპოვებდნენ ყინულს.

ჭუმატუნ დუზი - სოფ. **კევეგ-ი-ულაას** სამოვრის - **ჩუმათ**-ის გადმოღმა, **ვანისკევისკენ** მდებარე მაღლობია; შდრ. ქუთაისის უბნის სახელი **ჭომა**. აქვე უნდა გამოვყოთ -**ეთ** სუფიქსის ვარიაცია -**თ** და თურქული ნათეს. ბრუნვის დიალექტური ნიშანი -**უნ**. მიკროტოპონიმის მეორე ნაწილი **დუზი**-ი თურქულ ენაზე ნიშნავს „ვაკეს“. მიკროტოპონიმი წარმოქმნილია ქართულ-თურქული სამეტყველო კოდების შერევის შედეგად. საინტერესოა ასევე ისიც, რომ თუ სოფ. **კევეგ-ი-ულაას** მოსახლეობა მიკროტოპონიმ **ჩუმათ**-ს ფშვინვიერი ჩ და თ თანხმოვნებით წარმოთქვამს, ხოლო ქართულად მეტყველ ვანისკევში კი შემორჩენილა იგივე მიკროტოპონიმის ამოსავალი ვარიანტი **ჭუმატ**- მკვეთრი თანხმოვნებით. დავძენთ იმასაც, რომ -**თ** > -**ტ** ჭ მკვეთრის გავლენით.

ორთა პალი - ყანის სახელია. თურქული წარმოშობისაა, სიტყვასიტყვით ნიშნავს **შუა ბაღს**.

ჩეფერდიბი - ნაყანებია. თურქული მიკროტოპონიმია: **ceper** ნიშნავს წნულ ღობეს, ხოლო **dip** კი „ძირია“; **ჩეფერდიბი** „ღობის ძირი“; იხ. აქვე ზემოთ ანალოგიური მიკროტოპონიმი სოფ. უტავშიც.

ადევნარი - ყანაა. ჩვენი ვარაუდით, უნდა გამოვყოთ -**ევ-ნარ** რთული სუფიქსი, რომელიც ტაოურ დიალექტში მრ. რიცხვსაც აწარმოებს. ფუძეა **ადა-**, რაც თურქულად ნიშნავს „კუნძულს“. აქედან გამომდინარე, **ადევნარი** იქნება „კუნძულები“

მეზერლული - სასაფლაოა. მიკროტოპონიმი თურქულია და ნიშნავს „სასაფლაოს“.

ყირმები - ყანაა ხრიოკ ადგილას. ადგილობრივთა განმარტებით, სიტყვა **ყირმი** ნიშნავს „უწყლო ადგილს“.

ელიათვევი - ყანაა. წმინდა ქართული, კომპოზიტური მიკროტოპონიმი გახლავთ: **ელია** იგივეა, რაც თანამედროვე ანთროპონიმი **ილია**; შესაბამისად, **ელიათ** **ვევი** ნიშნავს ვინმე ელიას შთამომავალთა საცხოვრებელ ან კუთვნილ ხეობას.

ჩრდილეთ // **ჩრდილოეთი** - ყანაა. მიკროტოპონიმი წმინდა ქართული წარმოშობისაა, ეტიმოლოგიაც ნათელია. შდრ. აქვე - სოფ. **კვეფ-ი-ულა** და უტავში დადასტურებული **ყუზედ**- ფუძის შემცველი მიკროტოპონიმები.

დიდ მამული - ყანაა. მიკროტოპონიმი წმინდა ქართულია, ნათელი ეტიმოლოგიით.

ნავრევი - ადგილია. ჩვენეული ვარაუდით, უწინ უნდა ყოფილიყო ***ნაღვრევი** ანუ ნაღვარევი „ადგილი, სადაც ყოფილა წყალდიდობა“; შემდგომში თურქული მეტყველების გავლენით, **ღ** უნდა გამქრალიყო;

გორგოლი// **გორგალი** - ადგილია. მიკროტოპონიმი წმინდა ქართულია: **გორგო** „უხეჭბო მთელი ნიგოზი“ ან **გორგალი** „ნასთი დახვეული“ (საბა).

ჭაჭიეთი - ადგილია. ჩვენი ვარაუდით, აქ უნდა გამოიყოს ანთროპონიმი ან მიკროანთროპონიმი **ჭაჭია** და **-ეთ** ტოპონიმური სუფიქსი.

ბოსტანვევი - ადგილია. ეტიმოლოგია ნათელია: **ბოსტანი** სხვათა ენაა, ქართულად „მტილი“ ჰქვია (საბა) და **ვევი**.

კილდიკარი - ადგილია. ტაოურ დიალექტზე ეს სიტყვა ნიშნავს იმასვე, რასაც სამწიგნობრო ქართულში **კლდეკარი**. წმინდა ქართული, კომპოზიტური მიკროტოპონიმია.

ბოზოლვევი - ხეობაა. კომპოზიტური მიკროტოპონიმია. ბოლოკიდური ელემენტი **-ვევი** უთუოდ ქართულია, პირველი ელემენტი **ბოზოლ-** კი, ცოტა არ იყოს, გაურკვეველი მნიშვნელობისაა. შდრ. ლაზური: **ბოზო** „გოგო“, თუმცა გვეჩვენება, რომ მიკროტოპონიმი ამ სიტყვას შეიცავდეს.

ნამოხარ ყაა - მთა და სამოვარია. ქართულ-თურქული კომპოზიტური მიკროტოპონიმია: **ნა-მოხა-არ-ი** ანუ **ნომოხერი** ლაზურად არის „ადგილი, სადაც მოხას (მახას) თესდნენ“, ხოლო **ყაა** თურქულად ნიშნავს „კლდეს“.

მეორე ვარიანტით, ამოსავალი უნდა ყოფილიყო **ნამუხარ ყადა** „კლდე, სადაც მუხა იდგა“;

სალყანა სირთ - სამოვარია. ესეც ქართულ-თურქული კომპოზიტიური მიკროტოპონიმია: **სალყანა** ტაოურად ნიშნავს „კლდოვან ადგილში დათესილ ყანას“, ხოლო **სირთ** კი თურქულად ნიშნავს „გორაკს“.

სასლაჯევ(ი) - მთაა. ჩვენეული ვარაუდით, მისი ეტიმოლოგია ნათელია: **სასლა ჯევ-ი** ნიშნავს იმგვარ ხეობას, რომლის გადაღახვა („სვლა“) ადვილია.

სორე - პატარა გაღმა მთაა. ჩვენი ვარაუდით, უნდა უკავშირდებოდეს ან „სოროს“, ანდა არქაულ სიტყვას **სორეხ-ი** „ვენაჯი“ (საბა).

შიკეთ(ი) - უბანი **ვანისჯევის** ცენტრალური ნაწილის ზემოთ. ჩვენი აზრით, სახელი პატრონიმული წარმოშობისა უნდა იყოს: შდრ. დღევანდელი გვარი **უშიკიშვილი**; თუ დავუშვებთ, რომ უწინ შეიძლებოდა ყოფილიყო ***უშიკეთ** და აქედან უნდა მიგვეღო დღევანდელი **შიკეთ**, გამოდის, რომ მიკროტოპონიმის სემანტიკური მნიშვნელობაა „უშიკიშვილთა საცხოვრისი“;

ვანისჯევის ჯევი - მდინარე **ვანისჯევის** მიმდებარე ტერიტორიის სახელი გახლავთ. ეტიმოლოგია გამჭვირვალეა.

კონწოლოთჯევი - პატარა ღელე და მისი მიმდებარე ტერიტორიაა. ესეც წმინდა ქართული მიკროტოპონიმია: **კონწოლი** „წენგოთა და ხულოთა ტევანი“ (საბა) და **ჯევი**.

აგარები - ადგილია. **აგარა** არქაულ სამწიგნობრო ქართულში და დღეს - მესხურ დიალექტებში (მათ შორის - ტაოურშიც) „სახნავ-სათესად გამოსადეგ მიწას“ აღნიშნავს, -**ებ** კი მრ. რიცხვის ნიშანია. აგარა ტოპონიმად დასტურდება როგორც ისტორიულ სამხრეთ საქართველოში, ისე - აჭარასა და ქართლშიც.

ვაკიათი // ვაკიანთი - ადგილია. წმინდა ქართული მიკროტოპონიმია და ნიშნავს „ვაკეზე მცხოვრებთა („ვაკეანთ“) კუთვნილ ადგილს“

სარგულე - ადგილია. ესეც წმინდა ქართული წარმომავლობისაა: ჩვენი ვარაუდით, ფუძეა -**რგულ-**, რაც უდავოდ „ნერგს“ ნიშნავს. **სა-** ე კონფიქსია.

ასე რომ, ამ მიკროტოპონიმის სემანტიკური მნიშვნელობა იქნება „ადგილი, სადაც ნერგები გამოჰყავთ/აქვთ“.

ჭანნახი - ადგილია. „ჭანის ნანახს“ ნიშნავსო, განმარტავენ იქაურები.

1.5. სოფელ ოთხთას მიკროტოპონიმია.

სოფელი **ოთხთა** მდებარეობს ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე - ისტორიულ ამიერტაოში, ზღვის დონიდან 700 მეტრზე, ართვინიდან 112 კმ.-ის, იუსუფელიდან 10 კმ.-ის დაშორებით. იგი ენობრივად მთლიანად გათურქებული სოფელია, სადაც სახლობს 200-მდე კომლი. მის სიახლოვეს აღმართულია ცნობილი **ოთხთა ეკლესია**, რომელიც თავისი არქიტექტურული თავისებურებითა და მისტიკური ენერგიით ყოველ მნახველს აჯადოებს. ოშკის, ხახულისა და იშხანის შემდეგ ის ტაოში მეოთხე დიდი ტაძარი იყო და ასეთი სახელი იმიტომ დაურქმევიათ. **ოთხთა ეკლესია X** საუკუნის ძეგლია და თურქულადაც **Dortkilise** ეწოდება.

ოთხთაში ასეთი ლეგენდა ჩავიწერეთ: ეკლესია უცნობი მეფის ასულს, ვინმე თამარს აუშენებია. მამამისს ყველა შვილი ისლამზე მოუქცევია, თამარის გარდა. ქალს ტაძრის შენებისას ფული შემოლევია, ამიტომაც თმა შეუკვეცავს, გაუყიდია და ამგვარად დაუმთავრებია მშენებლობა. ამ თამარს ისეთი თეთრი რაში ჰყოლია, ოთხივე ეკლესიის შემოვლა ერთ დღეში შეეძლო. გადმოცემის თანახმად, ტაძარში ქალის ხელის ანაბეჭდიცაა შემორჩენილი.

სოფელ ოთხთაიდან 1,5 კილომეტრის დაშორებით, ჭოროხის მარცხენა - კლდიან ნაპირზე დგას ციხე **კავკასიძე** (თურქ. **Tekkale**). რაც შეეხება საკუთრივ სოფელ ოთხთას მიკროტოპონიმიკას, როგორც სხვაგან, ასევე აქაც სოფლის მკვიდრთ ერთი გარკვეული პრინციპით, რაღაც გარკვეული ნიშნის მიხედვით დაურქმევიათ სახელები მთებისთვის, წყლებისთვის, საძოვრებისთვისა თუ სხვა ადგილებისთვის.

მასალის მიხედვით გამოიკვეთა, რომ სოფელ ოთხთას ტოპონიმიკური სახელების წარმომავლობა ორგვარია - საკუთრივ ქართული და თურქული

(ოსმალური), ანდა კიდევ იმგვარი ფორმა, რომელიც ფუძედ იყენებს ქართულ სახელს და ირთავს თურქულ სუფიქსს (მაგ., **ქუაზუნ ბოინი** „საქვაზე ადგილი“).

ანგარიშგასაწევია ის ფაქტი, რომ ოთხთას მიკროტოპონიმიკაში სწრაფი ტემპით იკვლევს გზას თანამედროვე ცხოვრების ამსახველი სახელწოდებანიც, აქ კი უკვე მოსახლეობა ქართულენოვანი აღარ არის, შესაბამისად, დღითიდღე შეიძლება იკვლებოდეს გეოგრაფიული სახელები.

ყალადიბი - ადგილის სახელია. მიკროტოპონიმი აშკარად თურქულია და ნიშნავს „ციხის ძირს“ შდრ. ანალოგიური ქართული ტოპონიმი აჭარაში.

დელუქლი ტაშ(ი) - ადგილის სახელია. მიკროტოპონიმი თურქულია და ნიშნავს „გამჭვირვალე ქვას“, „ბროლს“. საყურადღებოა, რომ ოთხთელები მის მეორე ნაწილს ქართულ ყაიდაზე, მკვეთრი თანხმოვნით წარმოთქვამენ.

თილქიგილუნ ბაიირ(ი) - ადგილის სახელია. უწინ ნასახლარები ყოფილა. მიკროტოპონიმის პირველი ნაწილი **თილქიგილ** ნიშნავს „მელიაანთს“ ანუ იმ გვარს, რომლის ეპონიმი იყო **თილქი** ანუ „მელია“; **ბაიირ** (თურქ.) „ფერდობი“. შესაბამისად, **თილქიგილუნ ბაიირ** „მელიაანთ ფერდობი“. შდრ. თანამედროვე ქართული გვარები: **მელაძე, მელაშვილი, მელივა...**

სოლბიათ(ი) - ადგილის სახელია. ქართული მიკროტოპონიმი ჩანს: ამოსავალი ფორმა უნდა ყოფილიყო **სალობიეთი**. აქ მართლაც ეთესათ თურმე ადრე ლობიო. **სოლბიათ** ფორმა მიღებულია ო ხმოვნის გადასმისა და $e > a$ გადაბგერების შედეგად. შდრ. ასევე, მიკროტოპონიმი **სალობიათ** სოფ. **უტავში**.

სალ(ი) - ადგილის სახელია. **სალი** „მაღალი ტინი, კლდე“ (საბა).

იფინთ(ი) - ადგილის სახელია. უნდა გამოიყოს **იფნი** „ხე“ (საბა) და **-ეთ** ტოპონიმური სუფიქსის **-ით** ვარიაცია: ***იფნ-ით > იფინთ**

პატარა ბოლაზ(ი) - ადგილის სახელია ოთხთა ეკლესიის წყლის პირას. ეს ქართულ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევით წარმოქმნილ, კომპოზიტურ მიკროტოპონიმს წარმოადგენს: ქართ. **პატარა** და თურქ. **ბოლაზ** „ყურე“;

ლალელი დურქი(ი) - ადგილის სახელია. **ლალე** თურქულად ნიშნავს „ტიტას“, **ლალელი** - „ტიტოვანი“. **დურქ** ლექსემის მნიშვნელობა ჩვენთვის გაურკვეველია.

ქუაბუნ ბოინი - ადგილის სახელია. ქართულ-თურქული სამეტყველო კოდების შერევით წარმოქმნილი მიკროტოპონიმია: ქართ. **ქუაბ-ი** „ქვაბული“ და თურქ. **Boyun** (დიალექტურად **ბოინ**) „კისერი, ქედი“. ქართულ ლექსემას ერთვის თურქული ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის **დიალექტური** ვარიანტი **-უნ**.

ხოლოსლუხ(ი) - ადგილის სახელია. ჩვენი ვარაუდით, ესეც ქართველური და თურქული სამეტყველო კოდების შერევით წარმოქმნილი მიკროტოპონიმი გახლავთ: **ხოლოს** (ლაზ.) „ახლოს“ და თურქული დიალექტური სუფიქსი **-ლუხ**; შესაბამისად, ხოლოსლუხ „ახლომახლო ადგილები“

ზათქეთვეც(ი) - ხეობაა. ქართული კომპოზიტური მიკროტოპონიმია - პირველი ლექსემა **ზათქეთ-** უნდა დაიშალოს ასე: **ზათქ-ეთ**; **ზათქ-ი** ტალღათა ხმიანობაა, **-ეთ** ტოპონიმური სუფიქსი. **ვეც-ი** ხეობაა. ანუ, მიკროტოპონიმის სემანტიკური მნიშვნელობაა „ხევი, სადაც მდინარის ტალღების ზათქი ისმის“;

ათქეთვეც(ი) - ადგილია. „აქეთა ხევი“ (?)

ჩამლუხ(ი) - ადგილის სახელია. თურქული დიალექტური გამოთქმით **ჩამლუხ**, ხოლო სამწიგნობრო ენაზე **Çamlık** ნიშნავს „ნამცნარს“.

სირთლა - ადგილის სახელია. მიკროტოპონიმი წმინდა თურქულია - **sırtlar** ნიშნავს „სერებს, გორაკებს“. ბოლოკიდური **რ** დაკარგულია.

საქუთ(ი) - ქალაქ **იუსუფელის** და სოფელ **ოთხთის** საზღვარზე მდებარე ის ადგილია, სადაც ჰიდროელექტროსადგურის ამოქმედების შემდეგ, რაიონის ახალი ცენტრი უნდა აშენდეს. ეტიმოლოგია გაურკვეველია.

ავუნქეთ(ი) - მოშიშვლებული ადგილია, მთაგორიანი. მიკროტოპონიმი წარმოქმნილია თურქულ-ქართულ ენობრივი კოდთა შერევით: თურქ. **ავუნ**

„ნადირისა“ და ქართ. **ქედ-ი**. სახელობითი ბრუნვის ნიშნის ჩამოშორების მერე დ დაყრუებულია და მიგვიღია თ.

ღარზილ(ი) - ადგილი იფინთის ქვემოთ, წიწვოვანი ტყეა. ეტიმოლოგია გაურკვეველია.

გონგირეც(ი) - ღარზილის ზემოთ არის, პატარა მოგრძო ჭალასავით. ჩვენი აზრით, ქართველური მიკროტოპონიმი უნდა იყოს - შდრ. ტოპონიმი **გირევი** თუშეთში. -**ევ** სუფიქსი მრ. რიცხვის -**ებ** ნიშნის ვარიაციად გვესახება, თუმცა გაურკვეველია, რას უნდა ნიშნავდეს ფუძე **გონგირ-**. შესაძლოა, გვექონოდა ***ქონგურეც** ანუ „ქონგურები“ და მერე ამ ფორმისაგან, ***გონგვირეც** საფეხურის გავლით, მიღებულია ამჟამად დადასტურებული **გონგირეც(ი)**.

ბასილეთ(ი) - სოფლის ცენტრალური უბანია. ოფიციალური სახელწოდება გახლავთ **Yeni Mahalle**, ანუ „ახალი უბანი“. ერთი მხრიდან ჩამოუდის პატარა ღელე **სელანთი**, მეორე მხრიდან - მდინარე **ჭოროხი**. უბანი ძალიან ძველია და უწინ ის იყო სოფელ ოთხთას ძირითადი დასახლება, თუმცა შემდეგ, როგორც ადგილობრივი მკვიდრნი ჰყვებიან, მოხდა დიდი წყალდიდობა და **ბასილეთი** ძალიან დაზარალდა. აქაურ მოსახლეთა ნაწილი წავიდა და დაესახლა ახალ ადგილას - დღევანდელ უბან **ტაშაშაშიში**. თავად **ბასილეთის** ეტიმოლოგია, რა თქმა უნდა, წმინდა ქართულია: სემანტიკურად, ისაა „უბანი, სადაც სახლობენ **ბასილაშვილები** ან **ბასილაძეები**“.

ფარზეთუნ ტაში - ადგილია უბან **ბასილეთის** იქით: დაახლოებით 800 მეტრის სიგრძეზე გადაჭიმული ხეობაა. კომპოზიტური, ქართულ-თურქული მიკროტოპონიმი: **ფარზეთ-** ქართული ლექსემაა, მასში წარმოდგენილია -**ეთ** ტოპონიმური სუფიქსი; დაერთვის თურქული ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის დიალექტური -**უნ** ვარიანტი. **ტაში** თურქულის ადგილობრივ დიალექტზე ნიშნავს „ქვას“. შესაბამისად, **ფარზეთუნ ტაში** არის „ფარზეთის ქვა“.

კალტამაქ(ი) - გაშლილი ვაკე ადგილია. სამოვარი. თურქული წარმოშობის მიკროტოპონიმი: ადგილობრივ დიალექტზე **კალ ტამაქ** ნიშნავს

„ნახვამდის თქმას“, „დამშვიდობებას“; ადგილობრივთა თქმით, უწინ აქამდე აცილებდნენ ხოლმე სოფლიდან მიმავალ ხალხს.

აბონოთ(ი) - უბან **იმამგილის** იქით, პატარა მაღლობია. ჩვენი ვარაუდით, შესაძლოა, უწინ ყოფილიყო ***აბანოთი** „აბანოთა ადგილი“

ქელაზორ(ი) - მთაა. კომპოზიტური მიკროტოპონიმია და უნდა დავყოთ ასე: **ქელა-ზორ**; მეორე ნაწილი **-ზორ** სომხურად „ხევს“ ნიშნავს, მაგრამ **ქელა-** ელემენტის სემანტიკა ჩვენთვის გაურკვეველია;

ალმათურ(ი) - ადგილია **ღელე სელანთის** პირას. ადგილობრივ გაგონილი ლეგენდის თანახმად, ეს წმინდა თურქული მიკროტოპონიმია: ამ ადგილას შეტაკება მომხდარა და ერთ მეზრდოლს მეორისთვის დაუყვირია: **ალმა, ღურ!** ანუ „აბა, დამიდექ საბრძოლველად!“-ო და, შემდგომში ეს შემახილი ხალხს ადგილის სახელწოდებად უქცევია.

სათიბელ(ი)- ადგილია. წმინდა ქართული, ნათელი ეტიმოლოგიისაა.

ნიკარტუნ ტაში - ადგილია **ღელე სელანთის** პირას. კომპოზიტური და ქართულ-თურქულ ენობრივ კოდთა შერევით წარმოქმნილი მიკროტოპონიმია - **ნიკარტ-** ტაოურ დიალექტზე არის „ნისკარტი“, ხოლო **ტაში** კი თურქულის ადგილობრივ დიალექტზე - „ქვა“. ამდენად, **ნიკარტუნ ტაში** „ნისკარტის ქვა“;

შექერლი - **ჭოტკევის** ღელის იქითა ჭალაა. მიკროტოპონიმი აშკარად თურქულია და ნიშნავს „შაქრიანს“.

ჭოტკევ - **ჭოტკევის** ღელის აქეთა ჭალაა. წმინდა ქართული, ნათელი ეტიმოლოგიის მიკროტოპონიმია: **ჭოტი** „ერთგვარი ღამის ფრინველი“ და **-ჯევი**.

ფასყალა - მთაა. კომპოზიტური, თურქულ-არაბული წარმომავლობის მიკროტოპონიმია: თურქულად **ფას** ნიშნავს „ჟანგს“, ხოლო **ყალა** - „ციხეს“; ეს უკანასკნელი არაბულიდანაა ნასესხები.

ყარსეთ(ი) - მთაა. წმინდა ქართული წარმომავლობის მიკროტოპონიმია: ჩვენი ვარაუდით, ფუძე **ყარს-** უნდა დავუკავშიროთ გვარსახელს (შდრ. **დღეს**

აჭარაში გავრცელებული გვარი **ყარსელაძე**), ხოლო -**ეთ** კი ქართველური ტოპონიმური სუფიქსია; შდრ. ასევე, თურქეთის ერთ-ერთი ქალაქის სახელი **ყარსი**.

ტაშბაში - უბანია. წმინდა თურქული წარმოშობის მიკროტოპონიმია და ნიშნავს „ქვის თავს“. სამწიგნობრო თურქულით ითქმის **Taşbaşı**. აღსანიშნავია, რომ ამ უბანში დაესახლნენ ცენტრალური უზნის - **ბასილეთის** მკვიდრნი, მას შემდეგ, რაც წყალდიდობის შედეგად დაზარალდნენ. **ტაშბაშის** უბანი უფრო მაღალ ადგილასაა, ვიდრე ცენტრალური - **ბასილეთ**.

ბოლუქბაში - პატარა უბანია. თურქული წარმოშობის მიკროტოპონიმია - სამწიგნობრო თურქულად სიტყვა **Bölükbaşı** ნიშნავს „დივიზიის უფროსს“; ამ ადგილებში ძველად ოსმალური ჯარის ნაწილის ბანაკი ყოფილა.

მოლლემე[რ]გილ(ი) - პატარა უბანია. აშკარად თურქული წარმოშობის მიკროტოპონიმია: ფუძე **მოლლემე[რ]** იგივეა, რაც **Molla Ömer** „მოლა ომარი“, ხოლო -**გილ** გვაროვნული სუფიქსია. შესაბამისად, **მოლლემე[რ]გილ** ნიშნავს „მოლა ომარაანთს“;

ჩეთინ თაშლა - უბანია. აშკარად თურქული მიკროტოპონიმია, ნიშნავს „ძნელ [სავალ] ქვებს“; სამწიგნობრო თურქულად ითქმის **Çetin taşlar**.

იმამგილ(ი) - უბანია. თურქული წარმოშობის მიკროტოპონიმია: **იმამ** არის მუსლიმური თემის მეთაური (სიტყვა არაბულია), ხოლო -**გილ**, როგორც უკვე ითქვა, გვაროვნობის აღმნიშვნელი სუფიქსია. სემანტიკურად **იმამგილ** არის „იმამაანთი“.

ერიქლუხ(ი) - უბანია. აშკარად თურქული მიკროტოპონიმია და ნიშნავს „ტყემლოვანს“; სამწიგნობრო თურქულად ითქმის **Eriklik**. შდრ. აგრეთვე, ანალოგიური მნიშვნელობის ტოპონიმები იმერეთსა და აჭარაშიც.

ტაშდიზი - სოფლის ყველაზე დიდი უბანი. მიკროტოპონიმი თურქული გახლავთ და ნიშნავს „ქვის ძირს“; აღსანიშნავია, რომ ადგილობრივები მას სწორედ მკვეთრი **ტ** თანხმოვნით წარმოთქვამენ.

სულიგილ(ი) - საზაფხულო სამყოფია (ყიშლა). მიკროტოპონიმს ხშირად ადგილობრივები განმარტავენ, როგორც „წყლიან ადგილს“ (მათ თურქულ კილოზე **სული** ნიშნავს „წყლიანს“), მაგრამ აქ **სული-**, ჩვენეული ვარაუდით, ანთროპონიმია (შდრ. **სულიკო**); ამდენად, **სულიგილ** ნიშნავს „სულიაანთს“;

ბუმიქ ჩაირ(ი) - ადგილია. აშკარად თურქული მიკროტოპონიმია და ნიშნავს „დიდ სამოვარს“

ვერანე - ადგილია. თურქულ-სპარსულად ეს სახელწოდება ნიშნავს „უდაბურ, გავერანებულ ადგილს“; სიტყვა „ვერანი“ ქართულშიც სპარსული ენიდანაა ნასესხები.

დუზ თარლა - ვაკე ადგილია. მიკროტოპონიმი აშკარად თურქულია და ნიშნავს „სწორ, ვაკე ყანას“

ბეახეთ(ი) - საზაფხულო სამყოფია (ყიშლაა). აქ ერთდება სოფელ ოთხთას ორი ღელე - **სელანთი** და **საგულე**. ადგილობრივები სახელწოდებას ხშირად განმარტავენ, როგორც „საბატონო ადგილს“ (რაკილა **ბეა** თურქულად „ბატონს“ ნიშნავს), თუმცაღა ჩვენი აზრით, ამ აშკარად ქართულ მიკროტოპონიმს სხვა ახსნაც შეიძლება: **ბეახ-** ფუძე, შესაძლოა, დავუკავშიროთ ანთროპონიმს ანდა პატრონიმს (შდრ. ამჟამად თუშეთში გავრცელებული გვარი **ბაიხოიძე**), ხოლო **-ეთ**, უდავოდ ქართული ტოპონიმური სუფიქსია.

ჯიჭალა - პატარა ტყიანი ადგილი და საზაფხულო სამყოფია. აშკარად ქართული მიკროტოპონიმია: საფიქრებელია, რომ ამოსავალი ფორმა უნდა ყოფილიყო „ჭილ-ჭალა“;

მურხაშგილ(ი) - საზაფხულო სამყოფია. მიკროტოპონიმში უნდა გამოიყოს ფუძე **მურხაშ-**, რომელიც შესაძლოა, ლაზთა შორის გავრცელებული რაიმე პატრონიმი იყოს (შდრ. თანამედროვე გვარი **მოხვაში**), ხოლო **-გილ** კი, ზემოთ როგორც აღინიშნა, თურქული - გვაროვნობის აღმნიშვნელი სუფიქსია.

ელექუმლე - საზაფხულო სამყოფია. მაღალზე მდებარეობს, აქედან კი გზა მიდის პატარა ეკლესიისკენ. ჩვენი აზრით, ეს ლაზური მიკროტოპონიმია: **ელაჩუმალე** ნიშნავს „ასადენ, ასარეკ ადგილს“.

ქუსარა - ესეც საზაფხულო სამყოფია და ჩვენეული ვარაუდით, აქაც ლაზური ფუძე უნდა გამოიყოს: **ქუს-ი** // **ქრუს-ი** ლაზურ კილოებში ნიშნავს ქუსლს. აქედან გამომდინარე, **ქუსარა** (-არ- დეტერმინანტი სუფიქსი ჩანს: შდრ. **ქუს-ლ-ი**; ბოლოკიდური -ა'ც სუფიქსია)

სათხეთ(ი) - საზაფხულო სამყოფია. ქართული მიკროტოპონიმია ნათელი ეტიმოლოგიით: **სა-თხ[ა]-ეთ-ი** ანუ თხების სამყოფი

ფოძსანთ(ი) - ადგილია ღელე **საგულეს** სანაპიროზე. ჩვენი აზრით, აქ უნდა გამოვყოთ -**ანთ** ქართული სუფიქსი, ხოლო ფუძე **ფოძს-** კი, შესაძლოა, იყოს **ანთროპონიმი**;

ხუშუთგილ(ი) - ტყიანი ადგილია ღელე **საგულეს** სანაპიროზე. **ხუშუტ-ი** ანთროპონიმია ლაზეთში და გვარიც არის **ხუშუტ-იშ-ი**. ამ მიკროტოპონიმშიც უნდა გამოვყოთ ხსენებული ანთროპონიმი (რომელიც სოფელ ოთხთაში არც ისე იშვიათად, მეტსახელადაც კი გვხვდება). შესაბამისად, **ხუშუთგილ** არის „ხუშუტაანთი“;

ბამბაჯიგილ(ი) - პატარა უბანია. სახელი აშკარად თურქულია: **ბამბაჯი** ნიშნავს „მეზამბეს“, ხოლო -**გილ** კი გვაროვნულობის აღმნიშვნელი სუფიქსია. შესაბამისად, **ბამბაჯიგილ** ნიშნავს „მეზამბეანთს“; შდრ. აგრეთვე, თბილისის მიკროტოპონიმი **ბამბის რიგი**;

ღალვანე - უბან **ბამბაჯიგილ**'ის მოსახლეთა საზაფხულო სამყოფია და ტყიან მაღლობზე მდებარეობს. სუფთა ქართული მიკროტოპონიმია: **ღალვანე** ანუ იგივე **ღელოვანი** ნიშნავს ადგილს, სადაც ბევრი ღელეა. აქ ჩამოდის პატარა ღელე **საგულე**.

გუფ(ი) - პატარა საზაფხულო სამყოფია **ღალვანეს** ახლოს. ესეც სუფთა ქართული მიკროტოპონიმია: **გუფ-ი** ანუ **გუბ-ი** სამწიგნობრო ქართულად

„გუბეა“, ხოლო ლაზურ კილოებში კი იგივე სიტყვა „ქვევრს“ ნიშნავს. შდრ. ანალოგიური ტოპონიმი აფხაზეთშიც.

ალიკოლათ(ი) - პატარა საზაფხულო სამყოფია. ჩვენი აზრით, აქ უნდა გამოვეყოთ ქართული **-ეთ** ტოპონიმური სუფიქსის ვარიანტი **-თ** და პირსახელი (ანთროპონიმი ან მიკროანთროპონიმი) **ალიკოლა-**;

ჭორლა - ყანაა უბან იმამგილში. ჩვენი აზრით, ეს წმინდა ქართული ტოპონიმია და ნიშნავს „ტალახიან ადგილს“;

ხუჩურ(ი) // ხუჭურ(ი) // ხუწურ(ი) - უბან ბასილეთის მოპირდაპირედ მდებარე ბრინჯის ყანებია. ესეც წმინდა ქართულ მიკროტოპონიმად გვესახება და ჩვენი აზრით, უნდა ნიშნავდეს ვინმე **ხუჭუ**’ს ან **ხუწუ**’ს კუთვნილ ადგილს.

ქაფქარ(ი) - ვრცელი ადგილია სოფლის შესასვლელში. იუსუფელის რ-ნში ჰიდროელექტროსადგურის ამოქმედების შემდეგ, იქ უნდა აშენდეს ახალი დასახლება. მიკროტოპონიმი თურქულია, ნიშნავს „ქარიან ადგილს“;

იოხარქი ჰარხ(ი) - არხი და მისი მიმდებარე ადგილია იქვე ახლოს; ქართულ-თურქული შერეული მიკროტოპონიმია და ნიშნავს „ქვედა არხს“.

შუარე - ადგილია. წმინდა ქართული მიკროტოპონიმია, ნათელი ეტიმოლოგიისა: შუა ადგილი, შუა არე.

დინგუნ ჭოთი - იმამგილ’ის ადგილია. **ჭოთი** „ლობიოთა და ცერცვთ გრძელი ქერქი“ (საბა). **დინგი** ხელის წისქვილის დეტალია; შესაძლოა, ადგილს ასე შეერქვა, რადგან აქ მოსახლეობა ფქვის დროს მორჩენილ ქატოს ჰყრიდა.

ყიზილლარუნ ჭოტი - ეს ადგილიც იმამგილშია. თურქულად **ყიზილ** ჰქვია წითელ კენკრას. **ჭოთი** „ლობიოთა და ცერცვთ გრძელი ქერქი“ (საბა). თურქულ-ქართული მიკროტოპონიმია: „წითელ კენკრათა ქერქი“

კოშკირევ(ი) - მაღლობია, ძველად აქ ოთხთელებს ყანები ჰქონიათ და მერე კი მიუტოვებიათ. ქართული მიკროტოპონიმია: **კოშკირევ** < **კოშკვირევ** < ***კოშკურებ-ი**;

ფართ(ი) - სათხეთის იქით, ფართე და ვრცელი ადგილია. წმინდა ქართულ მიკროტოპონიმს წარმოადგენს, ნათელი ეტიმოლოგიით.

ჭოტი // ჭოთ(ი) - ადგილია. წმინდა ქართული მიკროტოპონიმია ნათელი ეტიმოლოგიით: **ჭოთი** „ლობიოთა და ცერცვთ გრძელი ქერქი“ (საბა).

ჯვარქეთ(ი) - ოთხთა ეკლესიის გვერდით მდებარე ჭალაა და აქედან მისი სახელწოდებაც: ჯვარის იქითი ადგილი. წმინდა ქართულია.

რისტავ(ი) - ადგილია იქვე ახლოს, მდინარე ჭოროხის სანაპიროზე. რაღა თქმა უნდა, მიკროტოპონიმი ქართულია: **რისტავ < რუისტავ < რუის თავი**;

სეგმან(ი) - ეს ადგილიც მდინარე ჭოროხის სანაპიროზეა. ეტიმოლოგია გაურკვეველია;

კოზანეთ(ი) - ადგილია. წმინდა ქართული მიკროტოპონიმია. ჩვენი აზრით, უნდა ყოფილიყო **კოზმანეთ-ი** - კოზმანაშვილების ადგილი;

ფირფეთ(ი) - **მოლემერგილ**'ის უბნის იქით, ვენახებია. წმინდა ქართული ტოპონიმია: ჩვენი აზრით, უწინ უნდა ყოფილიყო **ფილიპეთი**, რომლისგანაც ჯერ მიღებულია **ფირპეთ** და მერე კი **ფირფეთ**.

კიტროლლა - ადგილია უბან **მოლემერგილ**ში. ეტიმოლოგია გაურკვეველია. ყურადღებას იქცევს ელემენტი **კიტირ-**, რაც იგივე **კიტრ-**ი უნდა იყოს.

ჭანგირევ(ი) - დაბლობია უბან **მოლემერგილ**'სა და **ბოლუქბაშ**'ს შორის. **ჭანგი** მესხურ და ლაზურ კილოებში „ბრწყალს“ ნიშნავს, ხოლო **ჭანგურა** კი იქვე „ბირკას“ ჰქვია. ამ მიკროტოპონიმის ამოსავალი ფორმაც, ჩვენი აზრით, ***ჭანგურევ-ი** ანუ „ბირკები“ უნდა ყოფილიყო. შდრ. ასევე ტოპონიმი **ბირკიანი** საქართველოში - კახეთში.

შავშეთ(ი) - ადგილია იქვე ახლოს. წმინდა ქართული მიკროტოპონიმია - **შავშეთი** ისტორიული სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთი მხარეა.

ადილლა - მოლლემეგილ'სა და იმამგილ'ს შორის მდებარე ადგილია. თურქული წარმოშობის მიკროტოპონიმია: **ağllar** ნიშნავს „ფარეხებს“ და, აქ მართლაც არის თხათა სადგომი ფარეხი.

ერდექ(ი) - ადგილია იქვე ახლოს. ეტიმოლოგია გაურკვეველია.

ჭვან ევლეგი - იმამგილ'ის უბნის ჭალებია. ქართულ-თურქული მიკროტოპონიმია, სიტყვასიტყვით ნიშნავს „ჭვანის ნაკვეთს“. **ჭვანა** სოფელია საქართველოში, აჭარის შუახევის მუნიციპალიტეტში.

ფალახ ჭოთლა - ესეც მომცრო ჭალაა იქვე ახლოს. ქართულ-თურქული მიკროტოპონიმია, სიტყვასიტყვით ნიშნავს „ბალახის ჭოთებს“

ჭომურე - ადგილია. ჩვენი აზრით, წმინდა ქართული მიკროტოპონიმი უნდა იყოს. ვუკავშირებთ ლაზურ **ონჩამურე** // **ჩამურე** ლექსემას, რაც ნიშნავს „საცეხველს“

შორახპარა - პატარა ღელე და მიმდებარე ჭალა უბან **მოლლემერგილ**'ში. ეტიმოლოგია გაურკვეველია.

ჭვინთ(ი) - გორაკიანი ადგილია. წმინდა ქართული მიკროტოპონიმია - **ჭვინტ-ი** ნიშნავს „წაწვეტებულს“. შდრ. ასევე, სოფელი **ჭვინთა** ახალციხის მუნიციპალიტეტში.

გურჯი ბაღლარ(ი) - ადგილია. თურქული წარმოშობის მიკროტოპონიმია და ნიშნავს „ქართულ ბაღებს“.

მალაქეთ(ი) - საზაფხულო სამყოფია. წმინდა ქართული მიკროტოპონიმია: ფუძე **მალაქ-** უნდა უკავშირდებოდეს ანთროპონიმს **მალაქია**, ხოლო **-ეთ** კი ქართული ტოპონიმური სუფიქსია. შესაბამისად, **მალაქეთ-ი** ნიშნავს „მალაქიას შთამომავლების კუთვნილ ადგილს“.

მოხუსთან(ი) - ჯიჭალის ქვემოთ მდებარე ვაკე ადგილია. ჩვენი აზრით, მიკროტოპონიმს შეიძლება ორგვარი ახსნა მოეძებნოს: 1. თუკი მას ქართული წარმოშობისად ჩავთვლით, მაშინ შესაძლოა, იმლებოდეს ასე: **მოხუ-ს-თან**, ანუ გამოიყოფოდეს ფუძე **მოხუ-**, რომელიც ჩვენეული ვარაუდით, ანთროპონიმია (შდრ. მსგავსი ერთეული ლაზურ გვარში **მოხვა-შ-ი**), ხოლო **-ს-თან** ელემენტი

კი რთული ბრუნვის ფორმანტია, რომელიც ტოპონიმის საწარმოებლადაა გამოყენებული (შდრ. ანალოგიური წარმოება თუშეთში: წყაროსთანა, ხესთანა და ა.შ.); 2. თუკი მას თურქული წარმოშობისად ჩავთვლით, მაშინ ფუძე ისევ **მოხუ-** იქნება, რომელიც უშუალოდ თურქული ენის მეშვეობით ვერ აიხსნება, ხოლო ელემენტი **-სთან** იგივე იქნება, რაც სპარსული წარმოშობის სუფიქსი, რომელიც ქორონიმებს (თურქესთან, გურჯისტან...) აწარმოებს.

ფიღრანთ(ი) - სათხეთ'ის იქით მდებარე ქალებია. ჩვენეული ვარაუდით, უწინ ალბათ იქნებოდა **ფირიანთ-ი** ანუ ვინმე **ფირის** (ეს შესაძლოა, ყოფილიყო ანთროპონიმი ან არს. სახელი: შდრ. **ფირ-ი** „იეზიდის ღვთისმსახური“) ოჯახის, შთამომავლების კუთვნილი/საცხოვრისი ადგილი;

მარალა - **ელეჭუმლე**'ს გადაღმა მდებარე ქალაა. ეტიმოლოგია ჩვენთვის უცნობია.

პეტაისე - საზაფხულო სამყოფია **ბოლუქბაში**'ს მოპირდაპირედ. ჩვენი ვარაუდით, წმინდა ქართული მიკროტოპონიმი უნდა იყოს: ალბათ, ამოსავალი უნდა ყოფილიყო ***პეტრაისი** ანუ „ვინმე პეტრეს კუთვნილი ადგილი“

დარაბალი თარლა - ყანაა. თურქული წარმოშობის მიკროტოპონიმია: სიტყვასიტყვით ნიშნავს „უჯრედებად დაყოფილ ყანას“;

საგულე - იალაღია, საიდანაც იმავე სახელწოდების პატარა ღელე იღებს სათავეს. წმინდა ქართული, ნათელი ეტიმოლოგიის მიკროტოპონიმია.

სელანთ(ი) - იალაღია, საიდანაც იმავე სახელწოდების პატარა ღელე იღებს სათავეს. წმინდა ქართული, ნათელი ეტიმოლოგიის მიკროტოპონიმია: უწინ უნდა ყოფილიყო ***სელანთ-ი** ანუ „ვინმე **სელას** შთამომავლების კუთვნილი ან საცხოვრისი ადგილი“;

დუაღ ღართ(ი) - საზაფხულო სამყოფია. თურქულ-ქართულ ენობრივ კოდთა შერევით წარმოქმნილი მიკროტოპონიმია და სიტყვასიტყვით ნიშნავს „შენალოც ღართობს“.

1.6.სოფელ ფეტერეკის//პეტერეკის მიკროტოპონიმია.

იუსუფელის მერიის მონაცემებით, სოფელში 674 ადამიანი ცხოვრობს. იუსუფელის რაიონის სოფლებს შორის ყველაზე მეტი მოსახლეობა **პეტერეკსა** და **ოთხთაშია**⁸. სოფლის ოფიციალური სახელია ჩევრელი (Çevreli), რაც სიტყვასიტყვით „გარემოს“ ნიშნავს. სოფელი ართვინიდან 124 კმ.-ით, იუსუფელიდან 19 კმ.-ითაა დაშორებული.

ამჟამინდელი იუსუფელის რაიონის სოფელი **ჩევრელი** ოსმალეთის პირველი პერიოდის ჩანაწერებში მოხსენიებულია **პერტეკრეკის** სახელით. XIX საუკუნის ჩანაწერებში, ასევე 1928 წლის თურქეთის რესპუბლიკის ადმინისტრაციული დაყოფის შესახებ ჩანაწერებში სოფელი მოხსენიებულია როგორც **პეტეკრეკი**. დღეს მოსახლეობა ამ სოფელს **პეტერეკის** სახელით მოიხსენიებს.

პერტეკრეკის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით არ არსებობს ზუსტი ცნობები, თუ რომელი ენიდანაა ის წარმომდგარი ან რას ნიშნავს. სომხურ ენაზე **პარტ**//**პერტ** ნიშნავს ციხეს და არსებობს ვარაუდი, რომ **პერტეკრეკი** შესაძლებელია იყოს **პარტ აკრაკ** „ციხის წინა მხარე“ კომპოზიტისაგან მიღებული ფორმა (დემირელი, 2010:127).

„პეტერეკი“ ვერც ქართულენოვან, ვერც თურქულენოვან ლექსიკონებში ვერ ვიპოვეთ. სომხურად კი **ბედ-აგარაკი** ციხეს ნიშნავს. სოფელში ზოგი ტოპონიმი სომხურია, ზოგი - თურქული და უფრო მეტი, - დაახლოებით 90 %, - ქართული; მაგ., სოფლის თავკაცის - **ნურეთთინ ქილიჩის** - ცნობით, პეტერეკის ქართული მიკროტოპონიმებია: **გივნარი**, **გურუეთი**, **შაფეთი**, **ბაბქეთი**, **ჰაქანეთი**, **ავაზანი** და ა.შ. უბანი **გივნარი**, სადაც ახლაც ქართველები სახლობენ, მკვლევარ მუამერ დემირელის (2010:128) ცნობით, უწინ დამოუკიდებელი სოფელი ყოფილა. სხვათა შორის, თურქულად მას

⁸ http://yusufeli.gov.tr/koyler-803_tr_lc.html. ართვინის ადგილებისა და გეოგრაფიული სახელების ლექსიკონი (ტოპონიმია); 2013; http://yusufeli.gov.tr/koyler-803_tr_lc.html 20.09.2016

ორი სახელი აქვს: **givnar** და **Ballıdut**. აღსანიშნავია, რომ მეორე სახელწოდება სიტყვასიტყვით ნიშნავს „თაფლივით [ტკბილ] თუთას“.

ჩვენ გავარკვეით, რომ ამ უბნის მოსახლეობა **ჯევაა**დან არის ჩამოსახლებული. **გივნარი** მიკროტოპონიმში -**ნარ** კრებითობის აღმნიშვნელი ქართული სუფიქსია. შდრ.: **კლდევნარი** „ადგილი, სადაც ბევრი კლდეა“, **თხილნარი** „ადგილი, სადაც ბევრი თხილის ბუჩქი ხარობს. მიკროტოპონიმის ფუძე **გივ-** შესაძლოა, იგივე იყოს, რაც **გვიმრ-** "გვიმრა"; შესაბამისად, **გვიმრ-ნარი** „ადგილი, სადაც ბევრი გვიმრაა“: **გვიმნარი > გვინარი > გივნარი**.

სადისერტაციო თემაზე მუშაობის დროს პეტერეკელ რესპოდენტებს რამდენჯერმე შევხვდით. აქ მხოლოდ 50 წლისა და მეტი ასაკის ადამიანები საუბრობენ ქართულად; ამდენად, ქართული ენა, როგორც სამეტყველო კოდი, ცოტა ხანში შესაძლოა, სულაც დაიკარგოს.

უბანი **გივნარი** ოსმალეთის დროს, - 1549 წლიდან 1930 წლამდე - სოფელი იყო. ამ სოფელში, 1555 წლების მონაცემების მიხედვით, სამი კომლი ცხოვრობდა. სულადობა სულ 15 ადამიანს შეადგენდა. 1574 წლებში ოსმალეთის არქივებში 18 კომლი იყო აღრიცხული - 98 ადამიანი. ამ დროს, სოფელში მუსლიმანები არ იყვნენ. 1682 წლიდანაა მთლიანი სოფელი მუსლიმანურია. 1848 წლების მონაცემებითაც, მოსახლეობა 13 კომლს შეადგენს და მათგან 65 ადამიანი მუსლიმანია⁹.

გივნარის მაცხოვრებლების მონაყოლის მიხედვით, სოფელში ორი უბანია, რომელთაგან ერთი - მათივე თქმით, ქართველებისაა, მეორე კი - ადგილობრივების, ანუ არა ჩამოსახლებულების.

1938 წელს პეტერეკში **ჯევაა**დან ჩამოსახლებულა ორი ქართული ოჯახი და მერე გამრავლდნენ. სოფელი ხევაა მდებარეობს პარხლისწყლის ხეობაში და ძალიან შორს არის ამ სოფლიდან. იქ მოხუცებმა ძალიან კარგად იციან ქართული ენის ტაოური დიალექტი, საშუალო თაობამაც საკმაოდ კარგად

⁹ თანერ ართვინლი იუსუფელის ქულლიათი (დაფთარი) -Taner Artvinli yusufeli küllüyatı 1cilt sayfa 328, 2013.

იცის, ბავშვებს ესმით, მაგრამ ვერ ლაპარაკობენ. დაინტერესებული ახალგაზრდები ცდილობენ ქართული ინტერნეტიდან ისწავლონ¹⁰.

გიგნარში თურქული ყველამ იცის; მოხუცებმა საკმაოდ კარგად იციან ქართული ენის ტაოური დიალექტი. რამდენიმე ქართველს ვესაუბრეთ ქართული ენის ცოდნის პროლემაზე; ესენი იყვნენ: **ფეჰიმე სილაჯი, ნედიმ სილაჯი, ნუსრეთ იშიქი, ბეჰიჯე იშიქი, აბდი ქიზილქანი, ემინე ქიზილქანი, ფუნფულ დემირელი, ნეჯათი დემირელი...** მათ ძალიან გაუხარდათ ჩვენგან ქართულის მოსმენა და თვითონაც ძალიან ცდილობდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, უკვე თითქმის გადავიწყებული აქვთ დედაენა.

ზამთარსა და ზაფულში ამ უბანში იცვლება მოსახლეობის რაოდენობა: ზამთარში აქ დაახლოებით 10 კომლი რჩება და დანარჩენები ქალაქებში მიდიან. სოფლის ცენტრში დასახლება უფრო მჭიდრო და მრავალრიცხოვანია.

აშკარაა, რომ სოფელში თავიდანვე მეზობლად ცხოვრობდნენ ქართველები და სომხები; შდრ., მაგალითად XVIII საუკუნის სომეხი ავტორი **ლუკას ინჭიჭიანი** წერს: „ბერდაგრაკის სანჯაყი იყო ხილიანი, კარგი ღვინოც ჰქონდა. სოფლები მდებარეობდა ჭოროხის ნაპირზე“.¹¹

სხვა უბნებში, ქართული ფაქტობრივად არ იციათ. მათი ძირითადი სამეტყველო ენაა თურქული ენის ადგილობრივი, ჭოროხული დიალექტი. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ მათ მეტყველებაში შესამჩნევად ბევრია ქართული ლექსიკა, რომელიც აშკარად სუბსტრატულ ფენას წარმოადგენს (სუბსტრატული ფენა ცალკე კვლევის საგანი უნდა გახდეს).

¹⁰ გიგნარში ჩვენ ჩავატარეთ გამოკითხვა, რომელის მიზანი იყო ქართული ენის ფლობის დონის გარკვევა; სტატისტიკური მონაცემების მიხედვით სურათი ასე გვაქვს: ქართულს ფლობს 8 ადამიანი: 4 - ქალი, 4 კი - კაცი; მათი ასაკი იყო 65 წლიდან 75 წლამდე. ჩვენ დავინტერესდით თუ როგორი იყო მათი თვითშეფასება ქართული ენის ფლობასთან დაკავშირებით და დაუუსვით კითხვა: „**100-ბალიანი სისტემით რამდენი ქულით შეაფასებთ თქვენი ქართული ენის ფლობის დონეს?**“ ქართულის ცოდნის დონე რესპონდენტებმა ძირითადად 60 ქულით შეაფასეს.

¹¹ ლუკას ინჭიჭიანი, სამყაროს მეოთხედის გეოგრაფია, ნაწილი 1, ტომი 1, ასია. - ვენეცია, 1806, გვ. 132-133. *Հովսեփ Ինճիճեան, Աշխարհագրութիւն չորից մասսանց աշխարհի, մաս I,*

ქურუნგეთ(ი) - სოფლის პირველი უბანია. პირდაპირ ებმის სოფელ ოთხთას უბანს **ახეთი//ახოთი** (< ახო-ეთ-ი). მიკროტოპონიმში უნდა გამოიყოს ქართველური ტოპონიმური სუფიქსი --**ეთ**. ფუძე **ქურუნგ-** ჩვენთვის ბუნდოვანი ეტიმოლოგიისაა.

ქოფრუ ბაში - ადგილის სახელია უბანში. თურქული მიკროტოპონიმია: **ქოფრუ** ან **köprü** თურქულად „ხიდი“, ხოლო **ბაში** (სამწიგნ. თურქ. **başı**) „მისი თავი“; შესაბამისად, **ქოფრუ ბაში** - ხიდის თავი. ანალოგიური ტოპონიმები ბევრია საქართველოში, ასევე სხვა ქვეყნებშიც. ისინი ოსმალეთის ტერიტორიაზეც მოიპოვება.¹²

მეიდან მაჰალლეს(ი) - უბანია. ესეც თურქული მიკროტოპონიმია: **Meydan mahallesi** სიტყვასიტყვით ნიშნავს „მოედნის უბანს“.

ადა - უბანი ჭოროხის სანაპიროზე. იუსუფელი-ისპირის გზატკეცილის პირას. თურქულად **Ada** ნიშნავს „კუნძულს“. ამ უბნის ტერიტორია ძველად კუნძული იყო და მერე ჭოროხმა კალაპოტი იცვალაო, გვითხრეს ადგილობრივებმა.

მარაში(ი) - უბანია ჭოროხის სანაპიროზე. მიკროტოპონიმი დაკავშირებული უნდა იყოს თურქეთის სამხრეთ-დასავლეთში მდებარე ქალაქ **მარაშთან**, რომელსაც აგრეთვე 1923 წლიდან ეწოდება **ქაჰრამანმარაში** („გმირი მარაში“)¹³, ანტიკურ ხანაში კი ეწოდებოდა **ცეზარია გერმანიკა**. მიკროტოპონიმი (ისევე როგორც ქალაქის სახელწოდება) სომხური წარმომავლობისაა (შდრ. ერევნის უბანი **მარაში**).

ჯინნარ(ი) - ადგილის სახელია. არც თურქული, არც სომხური ენის მეშვეობით არ იხსნება. ჩვენეული ვარაუდით, ეს შეიძლება იყოს ქართული

¹² Köprübaşı (Şarkîgüneşera) كوپرى باشى Nahiye Kaza (≅1990) Sürmene →Trabzon, Köprübaşı (Elemi) كوپرى باشى Nahiye Vezirköprü →Samsun, Köprübaşı كوپرى باشى Nahiye Kaza (≅1990) Gördes, Manisa (სეზენი, 2006:325)

¹³ **Maraş (Kahramanmaraş)** (1923'te adı Kahramanmaraş olmuştur.) مرعش Eyâlet Mrk. (1522) Sancak (1848) Sancak (1866) Vilâyet (1924) Zülkadriye eyâleti Adana eyâleti Halep vilâyeti Kahramanmaraş

ფორმა ***ჭილ-ნარ-ი**, რაც შემდგომში თურქულისა თუ სომხურის გავლენით შეიცვალა და მივიღეთ ჯინნარ(ი).

მერიეთ(ი) - პატარა უბანია. ოფიციალური, თურქული სახელი არის **Şehitlik**, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს „მოწამეთა ადგილს“. "მერიეთი" უდავოდ ქართულია; ეტიმოლოგია ორგვარი შეიძლება იყოს:

- ფუძეა მარია" (<მარიამი): მარია-ეთ-ი > მარიეთი > მერიეთი. -**ეთ** ქართული ტოპონიმური სუფიქსია. შესაბამისად, **მერიეთ** სემანტიკურად იქნება „მარიამის შთამომავალთა საცხოვრისი ან კუთვნილი ადგილი“.

- ფუძეა "მერე". მერე - ქართულად ნიშნავს წყლის სანაპიროზე მდებარე ვაკე ადგილს. -**ეთ**- ქართული სუფიქსია; შესაბამისად, მერე-ეთ-ი - მდინარის ახლოს მდებარე მიწა.

დასახელებული უბანი ჭოროხის ნაპირასაა, შესაბამისად, უფრო ლოგიკურია მეორე ეტიმოლოგია.

შაფეთ(ი) - პატარა უბანია. ამ მიკროტოპონიმშიც, ჩვენი აზრით, უნდა გამოიყოს ქართული ტოპონიმური სუფიქსი -**ეთ**. ამ შემთხვევაში, **შაფ-** იქნება ფუძე, რომლის სემანტიკა ჩვენთვის გაურკვეველია. შდრ. სოფელი **უშაფათი** სამეგრელოში.

ქაშიქგილ(ი) - უბანია. მიკროტოპონიმი აშკარად თურქული წარმომავლობისაა: **Kaşık** თურქულად ნიშნავს „კოვზს“, ხოლო -**გილ** სუფიქსი კი, როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, გვაროვნულობაზე მიუთითებს. შესაბამისად, **ქაშიქგილ** არის „კოვზაანთი“. შდრ. თანამედროვე ქართული გვარები: **კოვზაძე, კოვზირიძე, კიზირია** (კიზი მეგრულ კილოზე „კოვზია“).

სირთ(ი) - ადგილის სახელია უბანში. თურქ. **Sirt** „გორაკი“;

ჭიდროღლუ // ხიდროღლუ - უბანია. ეს მიკროტოპონიმი პატრონიმული წარმოშობისაა და თურქულია: **ჭიდირ** // **ხიდირ** მამაკაცის საკუთარი სახელია, **ოღლუ** „შვილი“; შესაბამისად, სემანტიკურად **ჭიდროღლუ // ხიდროღლუ** „ჭიდირის/ხიდირის შვილების უბანია“.

ააზგილ(ი) - უბანია. ეს მიკროტოპონიმიც ასევე, პატრონიმული წარმოშობისაა და თურქულია: **ააზ** მამაკაცის სახელია (შდრ. თურქ. **Ayaz** „სიცივე, ქარიანი ადგილი“), ხოლო **-გილ** გვაროვნული სუფიქსია. შესაბამისად, **ააზგილ** არის „ააზაანთი“; შდრ. აგრეთვე, თანამედროვე ქართული გვარი **აივაზაშვილი**.

ლაჩინგილ(ი) - უბანია. ეს მიკროტოპონიმიც ასევე, პატრონიმული წარმოშობისაა და თურქულია: **ლაჩინ** მამაკაცის სახელია (შდრ. თურქულად **Laçın** „მიმინო“), ხოლო **-გილ** გვაროვნული სუფიქსია. შესაბამისად, **ლაჩინგილ** არის „მიმინოანთი“; შდრ. აგრეთვე, თანამედროვე ქართული გვარი **მიმინოშვილი**.

ოორიეთ(ი) - უბანია. მიკროტოპონიმი აშკარად ქართული წარმომავლობისაა: ფუძედ უნდა გამოიყოს ანთროპონიმი ***ოორია** - ასე შეიძლება დაერქმიათ ბავშვისთვის, ვინც ოჯახში მეორე გაჩნდებოდა (სვან. კილოებში **ოორი**, ლაზ. კილოებში **ჟურ** < ***აურ** „ორი“); -ეთ ქართული ტოპონიმური სუფიქსია. შესაბამისად, **ოორიეთ-ი** არის „ვინმე **ოორიას** შთამომავლების/შვილების საცხოვრისი“ შდრ. ასევე, მდინარე **იორი**;

გივნარ(ი) - ქართული უბანია. ამ ტოპონიმში **-ნარ** კრებითობის აღმნიშვნელი ქართული სუფიქსია. შდრ.: **კლდევნარი** - ადგილი, სადაც ბევრი კლდეა, **თხილნარი** - ადგილი, სადაც ბევრი თხილის ბუჩქი ხარობს. ფუძე **გივ-** შესაძლოა იყოს **გვიმრ-** "გვიმრა"; შესაბამისად, **გვიმრ-ნარი** - ადგილი, სადაც ბევრი გვიმრაა: **გვიმნარი** > **გვინარი** > **გივნარი**.

ალუზარ(ი) - საზაფხულო იალაღია (ყიშლა). ჩვენეული ვარაუდით, მიკროტოპონიმი სომხური წარმოშობისაა: უნდა ყოფილიყო **ჰალუ ზორ** (**հալու ջոր**) „ალისფერი ხეობა“; შდრ. საქართველოში რამდენიმე ადგილას (აჭარა, იმერეთი...) დადასტურებული მსგავსი სახელწოდება **წითელხევი**.

ჭავარ(ი) - საზაფხულო იალაღია (ყიშლა). ჩვენი აზრით, მიკროტოპონიმი უნდა წარმოსდგებოდეს სიტყვისაგან **ჯავარ-ი**, რომელიც ქართულში სპარსულიდანაა შესული და ნიშნავს „ძვირფას ლითონს“ (უფრო

კი „სპილენძს“). თუკი ეს ჩვენი ვარაუდი მართებულია, მაშინ მიკროტოპონიმში გვაქვს $\text{ჭ} < \text{ჯ}$ თანხმოვანთმონაცვლეობა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი, თურქულენოვანი მოსახლეობა ამ სახელწოდებას კვლავაც მკვეთრი თანხმოვნით წარმოთქვამს.

ჰაქანეთ(ი) // ჰაქენეთ(ი) - საზაფხულო იალაღია. ეს მიკროტოპონიმი, ადგილობრივ ქართველთა მტკიცებით, წმინდა ქართულია. მართლაც, ფუძედ აქ გამოიყოფა **ჰაქან-** ან **ჰაქენ-**, რაც ჩვენი აზრით, იგივე უნდა იყოს, რაც დიალექტური (გურულ-იმერული) ფორმა **აქანა** „აქ, აგერ“, ოღონდ - ფშვინვიერი შემართვით (შდრ. ლაზური **ჰაქ** „აქ“); ასე რომ, **ჰაქანეთ(ი) // ჰაქენეთ(ი)** ნიშნავს „აქანეთს“ ანუ აქეთ, აქაურობაში მდებარე ადგილებს.

სვანზორ(ი) // სვანიზორ(ი) - საზაფხულო იალაღია. ეს მიკროტოპონიმი სომხურიდან პირდაპირ ითარგმნება, როგორც „სვანის ხეობა“, მაგრამ ჩვენი აზრით, ამოსავალი უნდა ყოფილიყო ***სავანი ზორ** ანუ „სავანის ხეობა“. შესაბამისად, ირკვევა, რომ ის ქართულ-სომხური სამეტყველო კოდების შერევის შედეგადაა წარმოშობილი. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ტოპონიმები ტაოში ძალზე ცოტაა გამოვლენილი.

მალარა - საზაფხულო იალაღია. მიკროტოპონიმი წარმოსდგება ძველი არაბული სიტყვისაგან, რომელიც ნასესხებია თურქულშიცა და ქართულშიც და ნიშნავს „მღვიმეს“, „მალაროს“. ქართულის ლაზურ და მესხურ კილოებში დღესაც იხმარება **მალარა** „პატარა ქვაბულის“ მნიშვნელობით. მალარა საქართველოს სხვა კუთხეებშიც დასტურდება (მ. ბერიძე, 2009:43).

ჩინთათ(ი) - საზაფხულო იალაღია. მიკროტოპონიმში გამოიყოფა ქართული **-ეთ** ტოპონიმური სუფიქსის **-თ** ვარიანტი და ფუძე **ჩინთა-**, რომელიც ჩვენეული ვარაუდით, უნდა იყოს ანთროპონიმი (შდრ. **ჩონთა** პირსახელი აღმ. საქართველოს მთაში); ამდენად, **ჩინთათ-ი** ნიშნავს „ვინმე ჩინთას შთამომავალთა საცხოვრის“.

ავაზან(ი) - პატარა უბანია. მიკროტოპონიმი წმინდა ქართული წარმომავლობისაა.

იფინთი(ი) - სოფელ ოთხთას მხარეს მდებარე პატარა უბანია. ამოსავალი ფუძე შეიძლება იყოს "იფანი"; -თ- ტოპონიმის მაწარმოებელი სუფიქსია: "იფან-თ-ი > "იფენთი > იფინთი.

1.7.სოფელ გოჯექის მიკროტოპონიმია.

ამ სოფლის ახალი სახელია **Çeltikdüzü** ანუ სიტყვასიტყვით „ბრინჯის გარსის ვაკე“ (ძველი სახელი - **გოჯექი** დიალექტურ თურქულ მეტყველებაში ნიშნავს „ბოსტანს, სადაც მწვანილს თესენ“). ამ ადგილებში - ჩელთიქის ზეგანზე, დღესაცაა ბრინჯის ყანები და აქედან წარმოსდგება მისი ახალი, ოფიციალური სახელწოდებაც.

სოფელი მდებარეობს ჭოროხის სანაპიროზე, ქ. იუსუფელიდან დაახლოებით 21 კმ-ის დაშორებით. ცხოვრობს 110 კომლამდე - სულ 410 კაცი. სოფლის ძველი სახელი წყაროებში გვხვდება როგორც **გოჯიქი**, **გოჩიქი** ან **გოჩექი** (დემირელი, 2010: 132)

გოჯექი წარმოადგენს უძველეს დასახლებულ პუნქტს - აქ მრავლადაა ადრეული ქრისტიანული პერიოდის ნამოსახლარები, ეკლესიის ნანგრევები, **ხალამეთის** კლდის წვერზე შემორჩენილია პატარა ციხეც. ცენტრში არის 4 უბანი. ადრე ამ სოფლის უბანი იყო **ხაზუგეთიც (Meşecik)**, ახლა კი ცალკე სოფელია (იხ. ქვემოთ.)

ოფუზ - სოფლის ცენტრალური უბანია. მიკროტოპონიმი თურქულია: **O yüz** ანუ ადგილობრივთა მეტყველებაში - **ო ფუზ** ნიშნავს „იმ მხარეს“.

ყარშიქი მეჰლე - **ოფუზ**-ის მოპირდაპირე მხარეს მდებარე ცენტრალური უბნის სახელია. ოფიციალურად ეწოდება **Karşı mahalle**, რაც ნიშნავს „გაღმამხრის უბანს“. ესეც, რასაკვირველია, თურქული მიკროტოპონიმია.

ორთა მეჰლე - **ოფუზ**-ისა და **ყარშიქი მეჰლე**-ს შუა მდებარე ცენტრალური უბნის სახელწოდებაა: თურქულად **Orta mahalle** ნიშნავს „შუა უბანს“.

სამანქეთ(ი) - უბანია. წმინდა ქართული სახელია: **სამანს იქეთ-ი** ნიშნავს რაიმე საზღვრის ანუ სამანის იქით მდებარე მიწებს.

ჯეჯეთ(ი) - საზაფხულო იალაღი ანუ ყიშლაა. მიკროტოპონიმი წმინდა ქართულია: გამოიყოფა ქართული ტოპონიმური სუფიქსი **-ეთ**, ხოლო ფუძე - **ჯეჯე**- კი, ჩვენეული ვარაუდით, ანთროპონიმი უნდა იყოს (შდრ. სამეგრელოში კაცის სახელი **ჯეგე**) ასე რომ, **ჯეჯეთ-ი** ნიშნავს „ვინმე ჯეჯეს შთამომავალთა კუთვნილ საცხოვრისს“;

ხეშნეთ(ი) - საზაფხულო იალაღია და ზამთარშიც რჩება ორიოდ კომლი. ჩვენეული ვარაუდით, გასომხურებული ქართული მიკროტოპონიმია: უწინ შესაძლოა, ყოფილიყო ***ხაშმეთ-ი** ანუ დახაშმული, ცუდჰავიანი ადგილი. თუკი ჩვენი ვარაუდი მართებულია, მაშინ გვექნება $გ < ა$ ხმოვანთმონაცვლეობა და $ნ < მ$ თანხმოვანთმონაცვლეობა.

მაჰიქ(ი) - საზაფხულო იალაღია. მიკროტოპონიმი აშკარად სომხური წარმოშობისაა: **մահիկ** [მაჰიკ] „ნახევარმთვარეს“ ნიშნავს და მართლაც ასე ჩანს ზემოდან.

ბალ სუი - ბაღია მაჰიქში. უწინ აქ ხევიც ყოფილა და დამშრალა. მიკროტოპონიმი თურქულია: **ბალ სუი** ადგილობრივ დიალექტზე ნიშნავს „თაფლის წყალს“;

დახიტებულ(ი) - სამოვარია და ბაღიცაა იქვე. აშკარად ქართული წარმოშობისაა, თუმცაღა მნიშვნელობა ცოტა არ იყოს ბუნდოვანია. შესაძლოა, ამოსავლად იყოს: "დახატული": დახატებული > დახეტებული > დახიტებული.

ხალამეთ(ი) - მთა და მიმდებარე ჭალებია, სოფლის ზემოთ არის. იქვე პატარა ციხის ნანგრევებიცაა. ქართული წარმომავლობის მიკროტოპონიმი ჩანს: **ხალამ-ეთ-ი**. ფუძე პირსახელი უნდა იყოს.

ტუზახ დერე - ჭალებია. კომპოზიტური მიკროტოპონიმია, რომლის პირველი ნაწილის ეტიმოლოგია ჩვენთვის უცნობია, ხოლო მეორე ნაწილი კი თურქულია და ნიშნავს „ღელეს“.

შინამთა - ჭალა და მთაა. წმინდა ქართული მიკროტოპონიმია, ეტიმოლოგიაც, რა თქმა უნდა, ნათელია: შინა მთა - შიდა მთა.

საქოროქ(ი) - სამოვარია მაჰიქში. ჩვენეული ვარაუდით, მიკროტოპონიმში უნდა გამოვყოთ ქართული სა- -ო კონფიქსი და ქორ- ფუძე. ფუძე შეიძლება იყოს რდუპლიცირებული ვარიანი: ქორ-ქორ-: სა-ქორქორ-ო „სადაც ბევრი ქორია“. *საქორქორო > *საქოროქო > საქოროქ.

კოტოროთ(ი) - სამოვარი და ჭალა მაჰიქში. ჩვენეული ვარაუდით, ამოსავალი ფუძეა "კოტორი" - კურდღლის შვილი, ბაჭია". კოტორ-ეთ-ი /> კოტორ-ოთ-ი/ - ადგილი, სადაც მრავლად არიან კურდღლის ბაჭიები. შეიძლება სხვაგვარი ახსნაც:

სომხური **խոտոր** [ხოტორ] „ნაკაწრი; ნაგლეჯი“ და ქართული -ეთ სუფიქსის დიალექტური ვარიანტი -ოთ; ამდენად, კოტოროთ-ი „ადგილი, სადაც ბევრი ნაკაწრი თუ ნაგლეჯია“. რელიეფის (ადგილის) თავისებურების თავისებურების გათვალისწინებით, უფრო ლოგიკურია ტოპონიმის ფუძედ ვივარაუდოთ "კოტორი" - ბაჭია.

ჭანჭახი - სამოვარია მაჰიქში. წმინდა ქართული მიკროტოპონიმია, რომელიც ასევე, სხვა სოფლებშიც გვხვდება. **ჭანჭახი** - ჭაობიანი ადგილი.

კოხტანა - ბაღებია და სამოვარიც მაჰიქში. წმინდა ქართული მიკროტოპონიმია: კოხტა- ფუძეა, ხოლო -ნა კი კნინობითი სუფიქსია (შდრ. აჭარულში: ქოხინა „პატარა ქოხი“). შესაბამისად, კოხტანა ნიშნავს „პატარა კოხტა ადგილს“;

გაზნაურ(ი) - სამოვარია მაჰიქში. წმინდა ქართული მიკროტოპონიმია: ჩვენი აზრით, მასში უნდა გამოვყოთ ფუძე გაზნა-, რომელიც ალბათ, ანთროპონიმს წარმოადგენდა და სუფიქსი -ურ; ანუ, გაზნაურ-ი - გაზნასეული.

ყაა ბაში- ჭალებია ჯეჯეთში. აშკარად თურქული მიკროტოპონიმია და ნიშნავს „კლდის თავს“. სამწიგნობრო თურქულად ითქმის Kaya başı.

ჩუხურ მეშე - ტყეა ჯეჯეთში. ესეც აშკარად თურქული მიკროტოპონიმია და ნიშნავს „ორმო-ტყეს“. სამწიგნობრო თურქულად ითქმის Çukur meşe.

ბელეთ(ი) - სამოვარი და სასაფლოა ხეშნეთში. ჩვენი აზრით, უწინ უნდა ყოფილიყო **ბელ-ეთ-ი**. შდრ. ბორჩხის თემში სოფ. ბელლევანი. ბელელი - პურეულის (პურის, ქერის, ჭვავის, ფეტვის...) შესანახი ნაგებობა, უმთავრესად ხისა (ქეგლ).

სეფეთბაკ(ი) - სამოვარია ხეშნეთში. ესეც აშკარად თურქული მიკროტოპონიმია და ნიშნავს „კალათის სანახავ [ადგილს]“. სამწიგნობრო თურქულად ითქმის Sepetbaki.

ქარხილ(ი) - სამოვარია ხეშნეთში. სომხურად **քար խիլ** [ქარ ხილ] ნიშნავს „ქვის მტვერს“;

ხასაგერე - სამოვარია სირთის უბანში. ეტიმოლოგია გაურკვეველია.

გურნაშენ(ი) - ადგილის სახელია. ქართული მიკროტოპონიმია: ჩვენი აზრით, უნდა ყოფილიყო ***გულნაშენი** ანუ გულდაგულ ნაშენები რამ.

ტაშუნ არხასი - სამოვარია გურნაშენში. აშკარად თურქული მიკროტოპონიმია და ნიშნავს „ქვის უკანა მხარეს“. სამწიგნობრო თურქულად ითქმის Taşın arkası.

ქუჩუქ გივნარ(ი) - ადგილი და სამოვარია. ესეც გურნაშენის მხარესაა. ადგილობრივ თურქულ დიალექტზე ნიშნავს „პატარა გივნარს“.

ბუიქ გივნარ(ი) - სამოვარია გივნარში. ადგილობრივ თურქულ დიალექტზე ნიშნავს „დიდ გივნარს“.

ყამიან(ი) - გივნარის უკანა მხარეს მთაა. ქართული მიკროტოპონიმია: ყამ-იან-ი.

ყარიადლი - სამოვარია. აშკარად თურქული მიკროტოპონიმია და ნიშნავს „ცოლის სატირალ ადგილს“. სამწიგნობრო თურქულად ითქმის karı ağdı

დუზ ქოქნარლუხ(ი) - გივნარის უბანში ტყეა. ჩვენი აზრით, ქართულ-თურქული სამეტყველო კოდების შერევით წარმოქმნილი, კომპოზიტური ტოპონიმია: დუზ ნიშნავს „ვაკეს“, ხოლო სიტყვაში ქოქნარლუხ უნდა გამოიყოს ფუძე **ქოქნარ-** ეს იგივე უნდა იყოს, რაც ქართ. **კოკნარ-ი** და თურქ. სუფიქსი **-ლუხ**. შესაბამისად, **დუზ ქოქნარლუხ** ნიშნავს „კოკნაროვან ვაკეს“.

ლოქუნ დუზუ - ხეშნეთში ვაკე და საძოვარია. თურქული მიკროტოპონიმია და ნიშნავს „რაჰათლუხუმის ვაკეს“. სამწიგნობრო თურქულად ითქმის *Lukum düzü*.

ააღლა- საძოვარია. თურქული მიკროტოპონიმია.

1.8. სოფელ ხაზუგეთის მიკროტოპონიმია.

სოფლის ახალი, თურქული სახელია **Meşecik**, რაც ნიშნავს „მომცრო ტყეს“. მდებარეობს მდინარე **ჭოროხის** სანაპიროზე, ქალაქ იუსუფელიდან 6 კმ-ის დაშორებით. სოფელში ცხოვრობს 10 კომლი. ძველად, **ხაზუგეთი** იყო სოფელ **გოჯექის** უბანი, მაგრამ მერე ცალკე სოფლად გამოიყო იმის გამო, რომ შორს იყო გოჯექის ცენტრიდან.

ჩვენი აზრით, სოფლის სახელწოდება ქართულია - უწინ უნდა გვექონოდა ფორმა ***ხანზურგეთ-ი**: სპარსულიდან ნასესხები სიტყვა **ხანი** მესხურ კილოებში (ლივანურსა და ტაოურში) ნიშნავს „მწყემსების სადგომს“. აქედან გამომდინარე, **ხანზურგეთი** ნიშნავდა იმ ადგილებს, რომლებიც მწყემსთა სადგომის უკანა მხარეს მდებარეობდა. შემდგომში, ფონეტიკურ პროცესთა შედეგად მივიღეთ დღევანდელი ფორმა **ხაზუგეთ(ი)**.

ბოსტანლა - მომცრო ყანაა. აშკარა თურქული ტოპონიმია: **Bostanlar** (ადგილობრივ თურქულ დიალექტში ბოლოკიდური თანხმოვანი დაკარგულია) „ბოსტნები“;

ყააა დიბი - ყანებია კლდის ძირას და აქედან სახელწოდებაც: თურქულად **ყააა დიბი** არის „კლდის ძირი“.

ამაჩ თარლა - ყანაა. აშკარა თურქული ტოპონიმია: **Yamaç tarla** „გაღმა ყანა“;

სირთ ევლეგ(ი) - ყანაა. აშკარა თურქული ტოპონიმია: **Sirt evlek** „გორაკის ნაწილი“;

ნარლი თარლა - ყანაა. თურქული ტოპონიმია: **Narlı tarla** „ბროწეულიანი ყანა“

თუთლარუნ დიბი - ადგილია. თურქული მიკროტოპონიმია და ნიშნავს „თუთის ხეების ძირს“;

თიქანლი თარლა - ადგილია. თურქული მიკროტოპონიმია და ნიშნავს „ეკლიან ყანას“; სამწიგნობრო თურქულად ითქმის **Dikenli tarla**.

სუსუზ პაღლა - ადგილია. თურქული მიკროტოპონიმია და ნიშნავს „უწყლო ბაღებს“. სამწიგნობრო თურქულად ითქმის **Susuz bağlar**.

დერენუნ აღზი - ადგილია. თურქული მიკროტოპონიმია და ნიშნავს „ღელის პირს“. სამწიგნობრო თურქულად ითქმის **Derenin ağzı**.

დეგირმან ძერი - ნაწისქვილარი ადგილია. თურქული მიკროტოპონიმია და ნიშნავს „წისქვილის ადგილს“. ახლა აქ ადგილობრივებს ბრინჯის ყანები აქვთ.

ქისაჯურ - პატარა უბანია სოფლის დასაწყისში. -**ჯურ** ელემენტი სომხურია და „წყალს“ ნიშნავს.

ლამფარეთ(ი) // ლამფარათ(ი) - ცენტრალური უბანია, მდ. ჭოროხის ორივე ნაპირზე. მიკროტოპონიმი სუფთა ქართულია: **ლამპარეთ-ი** „ადგილი, სადაც ლამპარაშვილები ან ლამპარაძეები ცხოვრობენ“;

აგარა // ჭინაგარა (<წინა აგარა) ადგილია. სუფთა ქართული მიკროტოპონიმია.

ფალახლი - ადგილია. ადგილობრივ თურქულ მეტყველებაში ქართული ლექსემა „ბალახი“ წარმოდგენილია **ფალახ** ფორმით. აქედან **ფალახლი** - ბალახოვანი. შდრ. ასევე, ქუთაისის უბნის სახელწოდება **ბალახვანი**.

ყირმალარ(ი) - ადგილია. თურქული მიკროტოპონიმია და ნიშნავს „ხრიოკებს“;

მუსუქ(ი) - ჭალის სახელია. ეტიმოლოგიურად არც ერთ ენაზე არ იხსნება, თუმცაღა ჩვენი აზრით, ერთ-ერთი ძველი ქართველური ტომის - მოსხების ანუ მესხების სახელს შეიძლება დავუკავშიროთ.

სირთთაქი თარლა - ადგილია. თურქული მიკროტოპონიმია და ნიშნავს „გორაკზე მდებარე ყანას“.

არდუჩლი - ადგილია. **არდუჩ** თურქულ დიალექტურ მეტყველებაში (თურქულ სალიტერატურო ენაზე **Ardıç**) „ღვია“ (*Juniperus*) **არდუჩ-ლი** „ღვიანი ადგილია“;

ევუნ ოგი - ყანაა. თურქულად (დიალექტზე) „სახლის წინა ნაწილს“ ნიშნავს.

ფუნლარუნ დუზი - ნაყანებია. თურქული მიკროტოპონიმია და ნიშნავს „წყაროს ვაკეს“; სამწიგნობრო თურქულად ითქმის **Pınarın düzü**.

ტაუნუნ თარლასი - ყანაა. კომპოზიტური მიკროტოპონიმია, თუმცა გაუგებარია, რას ნიშნავს პირველი ნაწილი **ტაუნ-**; ალბათ, ანთროპონიმია. **თარლა** (თურქ.) „ყანა“;

ალიკარო - ყანაა. ეტიმოლოგია გაურკვეველია. სავარაუდოდ, აქ უნდა გამოიყოს ანთროპონიმი **ალი** და **-კარო**, რაც ჩვენი აზრით, კარმიდამოს უნდა ნიშნავდეს. ანუ **ალი[ს] კარო** იქნება „ვინმე ალის კუთვნილ კარმიდამოს“, თუმცა შესაძლოა, სხვაგვარი ეტიმოლოგიზებაც.

1.9.სოფელ ქოლიქის//ქოლიკის მიკროტოპონიმია.

სოფელი **ქოლიქ// ქოლიკ** მდებარეობს მდ. ჭოროხის სანაპიროზე, ქ. იუსუფელიდან 10 კმ-ის დაშორებით. ამჟამად ოფიციალურად ჰქვია **Irmakyanı** ანუ „მდინარის სანაპირო“.

ძველად, სოფელი იყოფოდა ორ მსხვილ უბნად: **ქოლიქ-ი-ულდა** (თურქ.-ოსმ.: „ზემო ქოლიქი“) და **ქოლიქ ქისქიმი**. ისტორიულ დოკუმენტებში

უბან ქოლიქ-ი-ულმას შესახებ პირველი ჩანაწერები გვხვდება 1848 წლის ერზრუმის ვილაიეთის მოსახლეობის აღწერის წიგნში. მოგვიანებით, სოფელი რეგისტრირებულია მხოლოდ როგორც ქოლიქ - სავარაუდოდ, უკვე ეს იყო ქოლიქ-ი-ულმასა და ქოლიქ ქისქიმის საერთო სახელწოდება (დემირელი, 2010:160).

იუსუფელის ჰიდროელექტროსადგურის ამოქმედების შემდეგ ქოლიქი მთლიანად წყალქვეშ უნდა მოექცეს. ამჟამად, მისი მთელი მოსახლეობა უკვე გადაყვანილია სხვა ადგილებში.

ქოფრუბაში - უბანია. ახალი სახელი არის yeni mahalle. ძველი სახელიც ასევე თურქულია და სიტყვასიტყვით ნიშნავს „ხიდის თავს“.

თაშბაში - უბანია. მიკროტოპონიმი თურქულია და ნიშნავს „ქვის თავს“;

ადა - უბანია. მიკროტოპონიმი თურქულია და ნიშნავს „კუნძულს“;

ზანგელლარ(ი) - უბანი თაშბაში'ს და ბოდურლარ'ს შორის. ზანგელ ტაოში მეტსახელად ხშირად გვხვდება. შესაბამისად, ზანგელლარ სიტყვასიტყვით ნიშნავს „ზანგელაანს“

ბოდურლარ(ი) - პატარა უბანია სოფლის ბოლოში. მის ზემოთ ცნობილი „თამარის აუზი“ მდებარეობს. მიკროტოპონიმი უშუალოდ უბნის მცხოვრებთა მეტგვარიდან მომდინარეობს. **ბოდურ-** ფუძის ეტიმოლოგია უცნობია

ყირაჩ(ი) - ადგილია. ეს დასახელება ადგილობრივ თურქულ დიალექტზე ნიშნავს „უწყლო ადგილს“ (სამწიგნობრო თურქულად **kıraç**).

ყარიხლა - ადგილია. დასახელება ადგილობრივ თურქულ დიალექტზე ნიშნავს „ხნულებს“ (სამწიგნობრო თურქულად **Karıklar**).

ზანგელლარუნ ბაღლარი - ადგილია უბან ზანგელლარ'ში. დასახელება თურქულია და სიტყვასიტყვით ნიშნავს „ზანგელაანთ ბაღებს“.

ბოდურლარუნ ბაღლარი - ადგილია უბან ბოდურლარ'ში. დასახელება თურქულია და სიტყვასიტყვით ნიშნავს „ბოდურაანთ ბაღებს“.

სარი ოსან(ი)- ადგილია. დასახელების ეტიმოლოგია გაურკვეველია: **სარი** თურქულად „ყვითელია“, მაგრამ უცნობია, რას უნდა ნიშნავდეს მეორე სიტყვა **ოსან**. მიკროტოპონიმის პირდაპირი თარგმანი იქნება „ყვითელი ოსან-ი“

ჰავუზ ბაში - ამ დასახელებით იხსენიებენ ქოლიქელები მთელ ტაოში კარგად ცნობილ „თამარის აუზს“, რომელიც გადმოცემით, თამარ მეფეს აუგია ადგილობრივი მოსახლეობისთვის. ლეგენდის თანახმად, მშენებლობისას, მას ფული შემოჰკლებია და თმა მოუკვეცია, გაუყიდია და ხელოსნების ვალი ისე გაუსტუმრებია. **ჰავუზ ბაში** თურქული მიკროტოპონიმია და სიტყვასიტყვით ნიშნავს „აუზის თავს“.

ყარა ყაძა - მთაა იქვე ახლოს. მისი დასახელება ადგილობრივ თურქულ დიალექტზე ნიშნავს „შავ კლდეს“ (სამწიგნობრო თურქულად **Kara kaya**).

ყარადაღ(ი) - **ქოლიქ**ის საზაფხულო სამყოფია. დასახელება ადგილობრივ თურქულ დიალექტზე ნიშნავს „შავ მთას“ (სამწიგნობრო თურქულად **Kara dağ**).

მაჰაგილ(ი) - **ყარადაღ**ის ერთ-ერთი უბანია. თურქული წარმოშობის მიკროტოპონიმია: ფუძე **მაჰა**- იგივეა, რაც აღმოსავლური ანთროპონიმი **იაჰია**, ხოლო **-გილ** გვაროვნობის აღმნიშვნელი სუფიქსია. შესაბამისად, **მაჰაგილ** არის „იაჰიანის“;

ქუჩუქ ალიგილ(ი) - ესეც **ყარადაღ**ის ერთ-ერთი უბანია. მისი დასახელება თურქული წარმოშობის მიკროტოპონიმია: **ქუჩუქ ალი** ნიშნავს „პატარა ალის“, **-გილ** გვაროვნობის აღმნიშვნელი სუფიქსია. შესაბამისად, **ქუჩუქ ალიგილ** არის „პატარა ალიანის“;

1.10.სოფელ ბალხის მიკროტოპონიმია.

სოფელი **ბალხი** ანუ თურქულ ენაზე **Balcılı** (სიტყვასიტყვით „მეთაფლე“) დღემდე ქართულად მეტყველი, თემის ტიპის დასახლებაა.

საკუთრივ ბალხში დიდთოვლობის გამო, ზამთარში მოსახლეობა არ რჩება. სოფლის ზამთრის საცხოვრისი ქვევით, **ბალხიბარსა და სავრიათშია**, სადაც შედარებით თბილი ჰავაა. გაზაფხულზე კვლავ ზემოთ, ბალხში ადიან. სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი სამუშაოდ სხვადასხვა ადგილებშია გაფანტული. ადგილზე დარჩენილები მიწათმოქმედებას და მეცხოველეობას მისდევენ. სოფელი მოიცავს რამდენიმე უბანს და სახნავ-სათეს ტერიტორიას, ტყეებს, იალაღებს. უბნები ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებულია. სოფ. ბალხში არის 6 უბანი: **ბალხიბარი, ჯამი, ორთამაჰალე, პოლიკერი, სავრეთი და სათლეკარი**. სავრეთში არის უძველესი არხი, რომელიც ადგილობრივთა გადმოცემით, თამარ მეფეს გაუყვანია. ეს არხი გამოდის სოფელ ქოლიქთან ახლოს მდებარე „თამარის აუზიდან“.

ბალხი ტაოს სხვა ქართულ სოფლებთან შედარებით მცირერიცხოვანია: 2012 წლის მონაცემთა მიხედვით, სოფელში ცხოვრობს 65 კომლი - სულ 126 კაცამდე.

ბალხის მიკროტოპონიმია უმთავრესად ქართულია და წარმომავლობაც ნათელია:

აბაზიანნი/აბაზანნი/აბაზალარი – უბნის სახელწოდება. ადგილობრივთა გადმოცემით: „ხუთი-ექვსი თანე სახლები იყო. ახლა სახლი არ არი, მარტო ალაგები არი და ბოინა ანგრიეს“. ტოპონიმი დასტურდება სხვადასხვა ვარიანტით: აბაზ-იან-ნ-ი (აბაზ- ძირს დაერთვის ქართ. -იან, მრავლობითის -ნ და სახელობითი ბრუნვის -ი სუფიქსები); აბაზ-ან-ნ-ი< აბაზ-იან-ნ-ი (-ან < -იან ცვლილებით); აბაზა-ლარ-ი (ნაწარმოებია თურქ. -ლარ „-ებ“ სუფიქსით, გაფორმებულია სახელობითი ბრუნვის -ი ნიშნით).

ბალხიბარი (< **ბალხის ბარი**) – ბალხის უბანი. შდრ. **ბალხი ბარი** - სოფელი (მ. ფალავა..., 2005: 168).

ბალხიბარი ტყე - ტყეა. წმინდა ქართული მიკროტოპონიმია.

ბანგურა – მთის (თეფეს) სახელწოდება. მიკროტოპონიმის (ფუძის) წარმომავლობა ბუნდოვანია. გაფორმებულია -ურ და -ა სუფიქსებით. შდრ. ასევე **ბანგურიან**’ის მთა მესტიის მუნიციპალიტეტში, სვანეთის კავკასიონზე

გალმა(მ) – ყანა-ჭალის სახელი.

გალმი ყანები – ყანის სახელი.

გივნარი – ჭალების სახელი. ტოპონიმი ნაწარმოებია -ნარ ფორმანტით.

გორამეთი – ყანა-ჭალის სახელი. -ეთ სუფიქსიანი ტოპონიმი. ჩვენეული ვარაუდით, ფუძე **გორამ-** უნდა უკავშირდებოდეს **გურამ (გუარამ)** პირსახელს.

გორამეთი ღელე (<**გორამეთის ღელე**) - ღელე და მიმდებარე ადგილია, იქ ადგილობრივებს ყანები აქვთ.

დიდახო (<**დიდი ახო**) – ყანა-ჭალის სახელი. ტოპონიმის წარმომავლობა ნათელია: ახო - საყანედ გაკაფული ტყე, – ნატყევარი (ქეგლ).

დიდ მაძლა – საზაფხულო საძოვარი. თურქ. მაძლა „საზაფხულო საძოვარი“.

დიდჭალა(მ)/დიდჭალობა – ჭალის სახელწოდება. ეტიმოლოგია ნათელია.

ელიაჰყანა(მ) – ყანა-ჭალის სახელი. **ელიაჰ ყანა** (< **ელიას ყანა**) ნათელი ეტიმოლოგიის ქართული მიკროტოპონიმია.

ვაკე – ჭალის სახელი. ტოპონიმი დასტურდება ხევაში (ცერეკარში) (ე. დადიანი, მ. მიქაუტაძე, 2013: 48).

ვარდევლი – ყანა-ჭალის სახელი. შესაძლოა უკავშირდებოდეს ვარდ’ს: **ვარდ-ევლ-ი** < **ვარდ-ეულ-ი** „ადგილი, სადაც ვარდები ხარობს/ხარობდა“.

ზემუანი – მთის სახელწოდება. ტოპონიმი ქართული წარმომავლობისაა: **ზემო-ვან-ი** > **ზემოანი** > **ზემუანი**.

მასალი ტყე – ტყის სახელწოდება. ადგილობრივთა ახსნით, „**იქ მოჭრა** იასალია, **ორმანჯები დიგიჭირვენ**“. თურქულ-ქართული მიკროტოპონიმია: თურქ. დიალ. **მასახ** „აკრძალული“.

კალო/კალობი/კალოვნარი – ადგილი, სადაც პურს ლეწავდნენ. რესპონდენტის განმარტებით: „ესკიდან (ძველად) კალოვნარ უჯოლიან (უქნიათ); ჯარებ დუაბმიდით, გამუშაებდით, პურ ვთესვიდით და ახლა აღარ არი“. ტოპონიმი სხვადასხვა ვარიანტით გამოიყენება: **კალო** (მარტივი, უსუფიქსო წარმოება), **კალობი** < **კალოები** (-ბ < -ებ ფორმანტით გაფორმებული) და **კალო-ვ-ნარ-ი** (-ნარ სუფიქსიანი წარმოება; ვ ბგერა განვითარებულია).

კეტურეთი – ყანა-ჭალის სახელი. აშკარად ქართული წარმომავლობისაა, ოღონდ ვფიქრობთ, ფონეტიკურად ცვლილი: გვგონია, რომ უნდა ყოფილიყო **კვეტურეთი** - შდრ. ისტორიული ციხე კვეტერა ახმეტის მუნიციპალიტეტში.

ლიტრევი – ყანა-ჭალის სახელი. ქართული წარმოშობისაა.

მაღალევი – ყანა-ჭალის სახელი. აქ -ევ სუფიქსი მრ. რიცხვის მაწარმოებელი -ებ სუფიქსის ვარიანტია.

მუხრანი – ჭალა-ყანის სახელი. ნათელი ეტიმოლოგიისაა.

ნაფარაკევი (<ნაფარას კევი) – ჭალების სახელწოდება. ნაფარახეი გვხვდება კევაიში (ობლეკარში) ჭალის, ტყის სახელად (ე.დადიანი, მ.მიქაუტაძე, 2013: 50).

ონახატკარი – უბნის სახელწოდება. კომპოზიტური აგებულებისაა; პირველი ნაწილის წარმომავლობა ბუნდოვანია. შდრ. **ონოკეთკარი** ფორმით ადასტურებს შ. ფუტკარაძე (1993: 178).

პარიკევი – ადგილის სახელწოდება.

პარხალი თეფე – „პარხლის მთა“.

პაპაშები/პაპაშლარი – ადგილის სახელი ბალხიბარში. ტოპონიმი ქართული (-ებ) და თურქული (-ლარ) აფიქსებით არის ნაწარმოები.

რუძირი (<რუს ძირი) – ჭალის სახელწოდება ბალხიბარში. ეტიმოლოგია ნათელია.

საფრიათი/საფრეთი – უბნის სახელწოდება. საფრიათი ფორმით ასახელებს შ. ფუტკარაძე (1993:178).

სანაცრიე – მთის სახელი. ეტიმოლოგია გამჭვირვალეა.

სატალახე(ღ) – ტყისა და ყანა-ჭალის სახელი. ტოპონიმი ქართული წარმომავლობისაა: ტალახ- ძირს სა-ე კონფიქსი დაერთვის.

სატილვანი – მთის სახელი. ჩვენი აზრით, უწინ უნდა ყოფილიყო ***სამტილვანი** ანუ საბოსტნედ, ხვნა-თესვისთვის გამოსადეგი ადგილი.

საყდრიკარი – ადგილის სახელწოდება.

საშნოკარი – ტყისა და ყანა-ჭალის სახელი.

საცორები – ტყე. რესპონდენტის ახსნით: „პირტყევებ საცორი. საცორი - გიზა, პირტყევებ გიზა“. საცორი ადგილის სახელად დასტურდება ჯეჯასის (ე.დადიანი, მ.მიქაუტაძე, 2013: 51) და ქვაბაიში (ე. დადიანი, 2014: 56).

სახსერეები – ადგილის სახელწოდება.

სერი/სერობა – ყანა-ჭალის სახელი. „დუზი ალაგია“. გვხვდება ორგვარი ფორმით: სერი (უსუფიქსოდ) და სერობა (-ობა სუფიქსით).

სერიჭალა (< სერის ჭალა) – ტოპონიმის ეტიმოლოგია ნათელია.

სოშთი – მთის სახელი. წარმომავლობა უცნობია.

ტაშჩანთური – ჭალის სახელი. ჩვენი აზრით, უწინ უნდა ყოფილიყო **ტაშ** **ჭან[ე]თური** „ჭანებისეული ქვა“ - თურქულ-ქართული მიკროტოპონიმია.

ტყიძირი (<ტყის ძირი) – ადგილობრივთა გადმოცემით, „ტყეც არი, ყანა-ჭალაც არი“.

ფევზები/ფევზიანი/ფევზალარი - უბნის (თურქ. მაალეს//ქოის) სახელწოდება. ახლა მხოლოდ ჭალებია. რესპონდენტის ახსნით: „მიღეთ რამ ყოფილა, ფევზებ მიღეთ“. სამი ვარიანტით იხმარება: ფევზები (ქართ. -ებ სუფიქსიანი წარმოება), ფევზიანი (ქართ. -იან სუფიქსით გაფორმებული), ფევზალარი (თურქ. -ლარ აფიქსით გაფორმებული).

ფევზიან ორმანი (< ფევზიანის ორმანი) – ტყის სახელწოდება. ეტიმოლოგია ნათელია: **ფევზიანის ტყე** (თურქ. ორმან „ტყე“). შდრ. კაცის თურქული სახელი **ჭევზი**.

ფეზიან ღელე (< ფეზიანის ღელე) – ღელის სახელწოდება. წარმომავლობა ნათელია.

ფესანკარა(ღ) – ყანა-ჭალის სახელი. ჩვენი ვარაუდით, **ფესან** ანუ **ბესან** უნდა ყოფილიყო ანთროპონიმი, ხოლო **კარა** იგივეა, რაც **კარი**.

ფირიალო(ღ) – ადგილის სახელი. ციცაბო მდებარეობის გამო ჩანს შერქმეული. ფრიალო > ფირიალო (ი ხმოვანი განვითარებულია).

ფურცლიან ტყევენარი – ტყის სახელწოდება. რესპონდენტის ცნობით, „ქესთანე-მესთანე (წაბლი) არი, იმა ჭამენ და თხილსავთენ, ფურცელი აქვა და, სველი ტყე რი.“

ქაჯაქარი – მთისა და ტყის სახელწოდება. ჩვენი აზრით, უწინ იქნებოდა ***კლარჯაკარი**.

ქედიყანა(ღ) (<ქედის ყანა) – ყანა-ჭალის სახელი. რესპონდენტის თქმით, „იქ ძაღლები არი“.

ქედიყანი ტყე (<ქედიყანის ტყე) – ადგილობრივთა განმარტებით, „ტყევენარი, თეფევენარი“.

ყანიახო (<ყანის ახო) – ტყე. ტოპონიმის წარმომავლობა გამჭვირვალეა.

ყარამანლები – უბნის სახელწოდება. დღეს უკვე ნასახლარს წარმოადგენს. ფაქტობრივად აღარავინ ცხოვრობს. **ყაჰრამანლი** თურქული წარმოშობის მომთაბარე ტომია წინა აზიასა და ბალკანეთში.

ყარამანლებ ორმანი – გამჭვირვალე ეტიმოლოგიის ქართულ-თურქული მიკროტოპონიმია და სიტყვასიტყვით იქნება „ყარამანლების ტყე“.

ყარში - ყანა-ჭალის სახელი. ადგილობრივ თურქულ დიალექტზე **ყარში** ნიშნავს „გაღმითას“;

ყორეთი//ყვერეთი - ტყის, ყანა-ჭალის სახელი. ტოპონიმი ქართული წარმომავლობისაა: ყორეთი > ყვერეთი (ო > ვე). გამოიყოფა -თი სუფიქსი.

ჩალგულეთი – ჭალის სახელწოდება. მიკროტოპონიმი ნაწარმოებია -**ეთ** სუფიქსით. **ჩალგულ-** რთული ფუძეა: გამოიყოფა ძირები - **ჩალა** და **გული**;

მეძვნარი – ტყე, მთა. -ნარ სუფიქსით გაფორმებული მიკროტოპონიმი. ეტიმოლოგია ნათელია.

წალიკვანი – მთის სახელწოდება. მესხურ კილოებში **წალიკი** ნიშნავს წვრილტოტება ხეს. **წალიკვანი** < **წალიკოვანი**, ანუ ადგილი, სადაც ბევრი წალიკია.

წითლეკარი – უბნის სახელწოდება. კომპოზიტური აგებულებისაა. ჩვენი აზრით, **წითლე-** ფუძე პატრონიმული წარმომავლობისაა.

წითლეკარი ტყე (< წითლეკარის ტყე) - ეტიმოლოგია ნათელია.

წისკვილკარი – ყანა-ჭალის სახელი. ადგილობრივთა ახსნით, „ყანა-ჭალები არი. წყლი წისკვილი იყო და დიდრუანი, ოთხი თანე წისკვილი იყო და გავერანდა, აღარავინ დარჩა, ახლა დანგრევლია“. ტოპონიმი მსაზღვრელ-საზღვრულს წარმოადგენს: **წისკვილკარი** < **წისკვილის კარი**.

წყაროთვალი (<წყაროს თვალი) – ყანა-ჭალის სახელი. ეტიმოლოგია ნათელი და წმინდა ქართულია.

ჭანჭახი/ჭანჭალი – ყანა-ჭალის სახელი; „წყლიანი ალაგია“. **ჭანჭახი** > **ჭანჭალი** (ლ>ხ გამჟღერების შედეგად). **ჭანჭახი** – თხელი ტალახი (ქეგლ). **ჭანჭახი** (ხევს., ზ.აჭარ.) – ჭაობი (ა. ჭინჭარ., 225); ჭაობიანი, წყლიანი ადგილი, სახნავ-სათესად უვარგისი მიწა (შ. ნიჟარ.) (ალ. ლლონტი, 1984); **ჭანჭახად** ჭალის სახელად დასტურდება იმნიეთში (იმერხევი) (მ. მიქაუტაძე, ტ. ფუტკარაძე, 2006: 196).

ჭაყანა(ღ) (<ჭალა-ყანა) – ყანა-ჭალის სახელი. „ალაგ ქვია, დუზი ალაგებია“.

ჭაყანაჭეი – ხევის/ღელის სახელწოდება იქვე ახლოს. ეტიმოლოგია ნათელია. -ჭეი ელემენტში ხმოვანთა შორის დაკარგულია ვ.

ხალბაგი – მთის სახელი.

ჯარსაწოლი//ჯარსაწველი – ტყე, ყანა-ჭალა. კომპოზიტური აგებულებისაა: ხარის საწოლი > ხარსაწველი (დაიკარგა მსაზღვრელისეული -ის დაბოლოება, საზღვრულის ფუძისეული ო-ლ >ვე-ლ).

ხაშოტი – ყანა-ჭალის, ტყის სახელწოდება. შდრ. მდინარე **ხარშუტი** დას. ლაზეთში, ქ. ტრაპიზონს იქით.

ჭევი – ადგილის სახელი. ტოპონიმის ეტიმოლოგია ნათელია.

ხიდითავი – ადგილის სახელი. „ბეთონი ხიდია აშენებული“. ტოპონიმის წარმომავლობა გამჭვირვალეა.

ხერდობა – ყანა-ჭალის სახელი. ეტიმოლოგია გაურკვეველია.

ხუცეკარი – უბნის სახელწოდება. ელემენტი **ხუცე-** პატრონიმული წარმომავლობისა უნდა იყოს. შესაბამისად, **ხუცეკარი** ნიშნავს „ხუციშვილების კარს, კარმიდამოს“;

ხუცეკარი ტყე – ტყის სახელი. მიკროტოპონიმი წმინდა ქართულია, კომპოზიციური აგებულებისაა.

ხუხულაწვერი – მთის სახელი. „მაღალი არი კარგა დიდი, ვერ გავსულვართ“. ტოპონიმი ქართული წარმომავლობისაა: ხუხულას + წვერი.

ჯამეკარი – ადგილი, სადაც **ჯამე** (მეჩეთი) დგას.

1.11. სოფელ ჭევას მიკროტოპონიმია.

ჭევად პარხლისწყლის ხეობაში მდებარეობს. პარხლისწყლის ხეობის სხვა ქართულენოვან სოფლებთან (ქობაი, ბალხი) შედარებით ყველაზე მრავალრიცხოვანია (230-მდე კომლი ცხოვრობს).

ჭევაი (ისევე როგორც ქობაი, ბალხი) თემის ტიპის დასახლებაა; შედგება პატარა სოფლებისგან, რომელთაც დღეს უბნებს (მაჰალეებს) ეძახიან. ოფიციალურად დღეს ჭევაი ერთ სოფელს წარმოადგენს, რომელსაც ერთი გამგებელი (მუხტარი) ჰყავს.

ხევაიში ჩავიწერეთ 200-მდე მიკროტოპონიმი. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ქართულია და წარმომავლობაც ნათელია.

არზლიანკარი - ხევაის უბანი; შდრ. აზლიანკარი (შ. ფუტყარაძე, 1993);

აზლენკარი - ქელაზორის აგარა (რ.გუჯეჯიანი, ტ.ფუტყარაძე, 2009).

არტანი - ჭალა-ყანა ელიასხევში; არტანი/არტანისი - მთა, საძოვარი (მ. ფაღავა..., 2005); არტანი - ელიასხევის უბანი (რ.გუჯეჯიანი, ტ.ფუტკარაძე, 2009).

ახოვნარი - ტოპონიმი ჭილიანკარსა და იეთში. ეტიმოლოგია ნათელია.

ბალყანაძ - ყანის სახელი გოდლეკარში. ტოპონიმი შესაძლოა უკავშირდებოდეს ფუტკარს: თურქ. Bal „თაფლი, ფუტკარი“.

ბასლეკარი//ბასლიკარი - ჯევის უბანი; შდრ. **ბასლიკარი** (შ.ფუტკარაძე, 1993); **ბასლეკარი** - სოფელი (რ.გუჯეჯიანი, ტ.ფუტკარაძე, 2009). ჩვენი აზრით, **ბასლე-** // **ბასლი-** ელემენტი ტოპონიმური წარმომავლობისაა.

ბაწარი - ადგილის სახელი ბასლეკარში; შდრ. **ბაწარაი** (მ.ფაღავა..., 2005). რესპოდენტი ტოპონიმს ასე ახასიათებს: „ფეხის გზა, ბაწარივით გრძელი გზა“.

ბერიჰყანა - ყანა ქონოზანში. წმინდა ქართული, ნათელი ეტიმოლოგიის მიკროტოპონიმია.

ბიკრეიფი - ადგილის სახელი ელიასხევში. ეტიმოლოგია გაურკვეველია.

ბოწმინდა - ელიასხევის უბანი, იაილა; ელიასხევის ტოპონიმად ასახელებენ რ.გუჯეჯიანი, ტ.ფუტკარაძე (2009). ბოწმინდა გვხვდება სოფლის სახელადაც (შ.ფუტკარაძე, 1995; მ.ფაღავა..., 2005);

ბუჯალელე - პატარა ღელე და მიმდებარე ადგილია ელიასხევში. თურქულ-ქართული მიკროტოპონიმია: **ბუჯახ** თურქულის ადგილობრივ დიალექტზე ნიშნავს კუთხეს, ხოლო **ღელე** ქართულად „პატარა მდინარეა“

განეფადი - ტყე „ბასლეკარი გაღმი“. მესხურ კილოებში სიტყვა **განეფადი** ნიშნავს „განიერს, განეებიანს“.

გაღმაი - ტყე და ჭალა-ყანა. ეტიმოლოგია გამჭვირვალეა.

გაღმიჭალები - ჭალა გოდლეკარში.

გიდავტალი - მთა ელიასხევში. პირველი ნაწილის (**გიდავ-**) ეტიმოლოგია ბუნდოვანია. მეორე ნაწილი -**ტალ-**ი თურქულად „მთას“ ნიშნავს. შდრ. ასევე, ლაზეთის მიკროტოპონიმი **გიდრევედალი** არქაბის თემში.

გობზევლა - ჭალა ობლევარში. ჩვენი აზრით, უნდა გამოიყოს ელემენტი **გობ-ი** და **ზევლ-ა**. ეტიმოლოგიურად იქნება „ზეზეულა [მდგარი] გობი“;

გუბატყე - ტყე ელიასხევში. ნათელი ეტიმოლოგიის წმინდა ქართული მიკროტოპონიმია.

გოდლეკარი - ხევას უბანი; დასახელებულია სოფლის სახელად (შ. ფუტყარაძე, 1995; რ. გუჯეჯიანი, ტ. ფუტყარაძე, 2009).

გურჯი გოლი - ტბა. თურქული წარმომავლობისაა: თურქ. **Gürcü Gölü** „ქართული ტბა“

გუდასხევი - დღეს ცალკე სოფელია, ადრე ხევას უბანი იყო; სოფლის სახელად ასახელებს შ. ფუტყარაძე (1995). შდრ. გუდასხევი - ნასოფლარი, საზაფხულო სადგომი (მ. ფაღავა..., 2005).

გურგვალაი - ჭალა გოდლეკარში. ეტიმოლოგია: „დიდ ჭალა ვებნეით“.

გურგულყანა - ყანა გოდლეკარში. ეტიმოლოგია ნათელია: **გურგულ-** ფუძე იგივეა, რაც თანამედროვე ქართული მრგვალ-ი

გურგულჭალა - ჭალა გოდლეკარში. ეტიმოლოგია ნათელია.

გურგუნაქეთი - მთა, ტყე. ჩვენი ვარაუდით, ეტიმოლოგია ნათელია: **გვირგვინის** (მწვერვალის) **აქეთი**.

გურდნალი (<გვერდნალი) - ტყე ელიასხევში.

დამპალწყარო - ადგილობრივთა განმარტებით: „წყაროს კუთხე შავია და იმისთუნ დუურქმევნიან დამპალწყარო“.

დათვიწყარო - ადგილია ელიასხევში. ეტიმოლოგია ნათელია.

დევესეკარი - ხევას უბანი; დასტურდება სხვადასხვა ვარიანტით: დოსეკარი (შ. ფუტყარაძე, 1993, გვ. 181); დევსაკარი - სამოვარი (მ. ფაღავა..., 2005). **დევესაკარი** ანუ დევის საკარმიდამო ადგილი.

დვალურა//დოლურაი - ყანა-ჭალა დევსეკარაში. შდრ. ძველი ქართული ლოკალური თემის - **დვალთა** დასახელება. თუმცა შესაძლებელია, ამოსავალი იყოს **დოლურა** და ადგილის რელიეფის თავისებურებაზე მიუთითებდეს.

დიდიმთა - მთაა. ეტიმოლოგია ნათელია.

დიდიმთიკარი (<დიდი მთის კარი) - ტყე ბასლევარში; შდრ. დიდი მთიკარი - სამოვარი (მ. ფალავა..., 2005).

დიდი ტყე - ტყე ელიასწევში. ეტიმოლოგია ნათელია.

დიდთურგი (<დიდი დურგი) - მთა. ადგილობრივთა გადმოცემით, დურგი „ქედისი პატარაი, პატარა თა“; „დურგი უქო თაია, ქვა არ აი და თა არი“.

დიდვაკე - ტოპონიმი ელიასხევში; დიდვაკე/დიდი ვაკე - სამოვარი (მ.ფალავა..., 2005). ეტიმოლოგია ნათელია.

დიდიტყე - ტყე დოლენჯიანკარში. ეტიმოლოგია გამჭვირვალეა.

დიდქედი (<დიდი ქედი) - ელიასწევის სამოვარი (იაილა). შდრ. დიდქედი (შ. ფუტკარაძე, 1993, გვ. 181).

დიდმამული - ელიასწევის ტოპონიმი (რ.გუჯეჯიანი, ტ.ფუტკარაძე, 2009). ეტიმოლოგია ნათელია.

დიდნამწვარი - ტყე ბასლევარში. ეტიმოლოგია ნათელია: **ნამწვარი** ტაოურ დიალექტზე ნიშნავს სახნავ-სათესად გადამწვარ ადგილს.

დიდლელე - სოფლის სახელად ადასტურებს შ. ფუტკარაძე (1995). ეტიმოლოგია ნათელია.

დიდჭალაი/დიდჭალები - ჭალა დოლევარში; დიდი ჭალა - სათიბი (მ. ფალავა..., 2005). ეტიმოლოგია გამჭვირვალეა.

დიდცევი - უბანია. შდრ. **დიდიცევი** - სოფელი (შ.ფუტკარაძე, 1995). ეტიმოლოგია ნათელია.

დოლევარი/დვალევარი - უბანი. შდრ. **დოლევარი** - სოფელი (შ.ფუტკარაძე, 1995; რ.გუჯეჯიანი, ტ.ფუტკარაძე, 2009). ეტიმოლოგია უნდა უკავშირდებოდეს გვარსახელს ან თემონიმს **დვალი**.

დოლენ(ნ)ჯიანკარი - ხევასი უბანი. შდრ. თანამედროვე ქართული გვარი **დოლენჯაშვილი** (დღეს გურულები არიან).

დუგური - მთა, საძოვარი; ადასტურებს მ. ფაღავა... (2005). ჩვენეული ვარაუდით, ლაზური წარმოშობის მიკროტოპონიმია: ***დუდ-გური** ანუ „ცენტრი, მთავარი ნაწილი“.

ელიასცე[ვ]ი - ხევას უბანი. იყოფა ორად: **მაღლა ელიასცეი**, ქომო **ელიასცეი**; დასტურდება სოფლის სახელად (შ.ფუტყარაძე, 1995; მ. ფაღავა..., 2005; რ.გუჯეჯიანი, ტ.ფუტყარაძე, 2009).

ვაკე - ტოპონიმი ცერეკარში. ეტიმოლოგია ნათელია.

ვაჩეკარი - ხევას უბანი. გვხვდება ვაჩიკარი ფორმითაც (შ.ფუტყარაძე, 1993).

ვაჩეკარიღელე - ღელე ვაჩეკარში.

ველითაი - იეთის საძოვარი; შდრ. **ველითავი** - სოფელი (შ. ფუტყარაძე, 1995); აგარა, ნასოფლარი (რ.გუჯეჯიანი, ტ.ფუტყარაძე, 2009). ეტიმოლოგია ნათელია.

ვერანე ყანები - ყანა სადგიყანაში. ნათელი ეტიმოლოგიისაა.

ვიწროღელეთაი - მთა ფიშნარაჯევში. ნათელი ეტიმოლოგიისაა.

ვიწროცევი//ვიწროღელე - ღელე და მომცრო ჭალა ფიშნარაჯევში. ნათელი ეტიმოლოგიისაა.

ზომო მეელლე - უბანი ფიშნარაჯევში. ქართულ-თურქული სამეტყველო კოდების შერევით წარმოქმნილი მიკროტოპონიმია: **მეელლე** ადგილობრივ თურქულ დიალექტზე ნიშნავს „უბანს“. **ზომო მეელლე** არის „ზემო უბანი“

თავაიტყე - ტყე სადგიყანაში („ზეით მაღლა დამჩალი ტყე“). ეტიმოლოგია ნათელია: **თავაიტყე** < ***თავარი ტყე** < ***მთავარი ტყე**.

თეთქედი (< თეთრი ქედი) - ადგილის სახელია. ნათელი ეტიმოლოგიისა,

თხელჰა - ტბა დევსეკარაში. **თხელჰა** < **თხელტბა** (მ.ფაღავა..., 2005). გადმოცემით, იმ ადგილას „ტპასავთენ წყალი არი“.

ძარითავი - მთა ფიშნარაჯევში. ჩვენი აზრით, თურქულ-ქართული სამეტყველო კოდების შერევით წარმოქმნილი მიკროტოპონიმი უნდა იყოს:

მარი ადგილობრივ თურქულ დიალექტზე ნიშნავს „ადგილს“ (სამწიგნობრო თურქულად **Yeri**).

იეთი - უბანია; **შდრ. იეთი** - სოფელი (შ.ფუტკარაძე, 1995; რ.გუჯეჯიანი, ტ.ფუტკარაძე, 2009). **ფუმეა ია** (Viola), რომელსაც ერთვის ტოპონიმური სუფიქსი -**ეთ**.

ინტკორი - მთა, სამოვარი ელიასკევში; შ. ფუტკარაძე სოფლის სახელად ასახელებს (შ. ფუტკარაძე, 1995); **შდრ. ინკორი/ინტკორი** - აგარა, საზაფხულო სადგომი (მ.ფაღავა..., 2005); ელიასკევის მიკროტოპონიმი (რ.გუჯეჯიანი, ტ.ფუტკარაძე, 2009). ეტიმოლოგია ბუნდოვანია.

კააწინი (<კარასწინი) - ყანაა გოდლეკარში. **კარა** ტაოურ დიალექტზე ნიშნავს „კარმიდამოს“. **რ** იკარგება ხმოვანთაშუა პოზიციაში.

კაკათქედი - ტყე უბან დევსეკარაში. ჩვენეული ვარაუდით, **კაკა-** უნდა უკავშირდებოდეს პატრონიმს **კაკაშვილი**.

კაკლიანღელე - ღელე და მიმდებარე ადგილია. ეტიმოლოგია: „იმ ღელეში ბევრი კაკლები არი, სახელი კაკლიანღელე დუურქმევენებიან“.

კარატაში//ყარატაში - მთა. წმინდა თურქული წარმომავლობის მიკროტოპონიმია და ნიშნავს „შავ მთას“

კალოსწინი - ყანა-ჭალა დევსეკარაში. ეტიმოლოგია გამჭვირვალეა.

კანაფურა - ჭალა. ეტიმოლოგია ნათელია: ადგილობრივთა გადმოცემით, ამ ადგილას **კანაფი** ხარობდა.

კანკლეთი - ტყე ქონობანში („მიხვეულ-მოხვეული ტყეა“). ეტიმოლოგია ნათელია: **კანკლეთი** არქაული ქართულით ნიშნავს „მიხრილ-მოხრილს“;

კარჩიყანა - ყანა დევსეკარაში. ეტიმოლოგია ნათელია: „ქოხისწინიდან თუ ყანა არი, კარჩიყანა არი“.

კოკროხელი - ყანა ქონობანში. ეტიმოლოგია ბუნდოვანია.

კრაეკარი - უბანი; დაფიქსირებულია სხვადასხვა ვარიანტით: **კლაეკარი** - სოფელი (შ.ფუტკარაძე, 1995); **კრავეკარი//კრაეკარი** - სოფლის ყანები (მ. ფაღავა..., 2005). ჩვენი ვარაუდით, მიკროტოპონიმის პირველი ნაწილი **კრაე-**

პატრონიმული წარმომავლობის ფუძე უნდა იყოს (შდრ. დღევანდელი გვარი კრავიშვილი);

კუპრეთი - ელიასწევის სამოვარი; ამავე ფორმით ადასტურებენ რ.გუჯეჯიანი, ტ.ფუტყარაძე (2009), მ.ფაღვაძე, 2005. შდრ. კუეპრეთი - სოფელი (შ.ფუტყარაძე, 1995); კუპრეთი/კუპიეთი (მ.ბარამიძე, 2001). ხალხური ეტიმოლოგია: `კუპრეთი იმითვინ ქვია, რომ იქავრი ხალდი არვის მიაართუამს, არვის დააყენებს მოსაფირათ` (შ. ფუტყარაძე, 1993, გვ. 172).

ლაკატანა - ტყე ბასლევარში. ლაზურად **ლაკატა** ნიშნავს „ლატანს“, -ონა ჩვეულებრივი ტოპონიმური სუფიქსია.

ლონჯიქეთქედი - მთა. ჩვენი აზრით, პირველი ნაწილი **ლონჯიქ-ეთ** უნდა შეიცავდეს პატრონიმული წარმომავლობის **ლონჯიქ-** ფუძეს და ქართულ ტოპონიმურ სუფიქსს -ეთ. მეორე ნაწილია ლექსემა **ქედ-ი**.

ლომბიტა - ტბის მიმდებარე ადგილებია. მიკროტოპონიმის პირველი ნაწილია **ლომბ-ი**, რაც მესხურ კილოებში ნიშნავს „სველს, ნამიანს“.

მასისი - მთა. ეტიმოლოგია ბუნდოვანია.

მოგლესილი - მთა. ეტიმოლოგია ნათელია.

ნაბიანწინი - ადგილის სახელი ფიშნარახევში. კომპოზიტის პირველი ნაწილი უნდა ყოფილიყო **უნაბიან-ი**.

ნაკავლოე/ნაკევლოე - ყანა-ქალა ელიასწევში; შდრ. **ნაკაულო** - ელიასწევის მიკროტოპონიმი (რ.გუჯეჯიანი, ტ.ფუტყარაძე, 2009). **ნაკავლოე** < **ნაკალოევ** < **ნაკალოევ-ი**.

ნარიჭალები - ქალა დევსეკარაში. ეტიმოლოგია ნათელია: ქალა, სადაც ნარიანი, ეკლებიანი ბალახი ხარობს.

ნასყიდი - ყანა-ქალა ბასლევარში. ეტიმოლოგია აქაც ნათელია: ადგილი, რომელიც შეისყიდეს.

ნატბევი - ადგილია. ეტიმოლოგია ნათელია: ადგილი, სადაც ტბა იყო.

ნატპეიწვერი (< ნატბევის წვერი) - ტყე ელიასწევში. ეტიმოლოგია აქაც ნათელია.

ნაფარახეი – ჭალა და ტყე ობლევარში. ეტიმოლოგია ნათელია: ადგილი, სადაც იყო ფარეხი.

ნაღვა(რ)აღელე - ღელე და მიმდებარე ადგილები ბასლევარში. ნათელი ეტიმოლოგიისაა: **ნაღვარა** „ნანიაღვრევი“ და **ღელე**.

ნაყორი - ჭალები ფიშნარახევში. ეტიმოლოგია ნათელია: ადგილი, სადაც ყორე იყო.

ნაციხვარიღელე - ღელე და მიმდებარე ადგილები ფიშნარახევში. ნათელი ეტიმოლოგიისაა: **ნაციხვარი** „ადგილი, სადაც ციხე იყო“ და **ღელე**.

ნაჭალევი/ნაჭალი - ჭალა სადგიყანაში. ეტიმოლოგია გამჭვირვალეა.

ობლევარი - უბანი; დასტურდება სოფლის სახელად (შ.ფუტყარაძე, 1995; რ.გუჯეჯიანი, ტ.ფუტყარაძე, 2009).

ოლვილო - მთა. შდრ. ლაზური (ათინურ-ართაშენული) **ოლვალი** „სავალი“ - აქედან მართლა გადადის გზა ლაზეთის ათინას თემში.

ოქუზბოდანი - ადგილი. ტოპონიმი თურქული წარმომავლობისაა: თურქ. **ოქუზ** „ხარი“, **ბოდან** „დასახრობი“ გადმოცემით, „იმ ადგილას ახლაც არი გუბე, ტბა. იქ ხარები დამჩვალა და იმისთუნ დუურქმევნიან“.

ოხშანუკანაი - ტყე გოდლეკარში. **ოხშანების** (გვარსახელია) საცხოვრისის უკანა მხარე.

პარხალიცევი - პარხლისწყლის მიმდებარე ადგილებია. ეტიმოლოგია ნათელია.

პერანგასთავი - ადგილია ფიშნარაქევში. ეტიმოლოგია ნათელია: **პერანგა** ადგილია, რომელსაც ირგვლივ ქვაფენილი არტყია.

პეტერაი ინტკორი - მთა და მცირე სამოვარია ელიასწევში; გვხვდება სხვა მკვლევრებთანაც: შ. ფუტყარაძე, 1993; მ. ბარამიძე, 2001; მ. ფაღავა..., 2005. ნათელი ეტიმოლოგიისაა: **პეტერაი** „პატარა“

პეტერაი დურგი - მთაა იქვე ახლოს.

პეტ[ე]რაი ტყე - ტყე ელიასწევში. ნათელი ეტიმოლოგიისაა: **პეტერაი** „პატარა“ და **ტყე**.

პეტერა ჯევი - ადგილია იქვე ახლოს. ნათელი ეტიმოლოგიისაა.

პუტურუდ//პეტერა მასისი - მთა. კომპოზიტური მიკროტოპონიმია და პირველი ნაწილი იგივეა, რაც „პატარა“. "მასისი" ტაოში არსებული მაღალი მთის სახელია. ტ. ფუტკარაძის აზრით, "მასისი" სიტყვაში გამოიყოფა *მას-ძირი; მისი აზრით, იგივე "მას-ძირია *მას-ხ-/მესხ- ეთნონიმშიც, სადაც -ხ- არის წარმომავლობა-კრებითობის მაწარმოებელი სუფქსი. "მასისი" ადრე ერქვა არარატსაც (ტ. ფუტკარაძე, 2005: 90). ლოგიკურია, რომ "მასი" იყოს ადგილის სახლი, მასისი მას-ის მთა.

სადგიყანა - უბანი; შდრ. სადგიყანა - სოფელი (შ.ფუტკარაძე, 1995); სადირყანა - სამოვარი, სათიბი (მ.ფაღავა..., 2005); სადიყანა - სოფელი (რ.გუჯეჯიანი, ტ.ფუტკარაძე, 2009). ამოსავალი, ჩვენი აზრით, ალბათ უნდა ყოფილიყო **სადგურყანა > სადგურიყანა > სადგირყანა > სადგიყანა**.

სათარი - ტყე ბასლეკარში. ეტიმოლოგია აშკარად ნათელია: „ადგილი, საიდანაც შეშას ათრევენ“. ტაოშიც ისევე, როგორც საქართველოს მთაგორიან კუთხეებში, ჰქონდათ ე.წ. „ჩოჩია ურმები“.

სათიხე - ტყე დევსეკარაში; შდრ. სათიხე - ელიასკევის მიკროტოპონიმი (რ.გუჯეჯიანი, ტ.ფუტკარაძე, 2009). რესპოდენტთა განმარტებით, იმ ადგილას იყო წითელი მიწა, რისგანაც ძველად კეცებს ამზადებდნენ. ეგევე სახელწოდება ჩავიწერეთ **სატიხე** ფორმითაც.

სათრიღელე - ღელე და მისი მიმდებარე ადგილებია **ფიშნარაკეცში**. რაღა თქმა უნდა, ეტიმოლოგია ნათელია: „ღელე, რომელიც სათავეს იღებს სათარის ტყის სიახლოვეს“.

სალებე ტყე/სალებე ქეთქედი - ადგილია. რესპოდენტის განმარტებით: „იქ ვისვენებდით, არაბა არ იყო, იმხან ტირთვს იქ ჩამოვიხსნიდით და ვისვენებდით“.

სამანჯახო - ტყე ქონობანში. ეტიმოლოგია ნათელია: **სამანჯე ახო** ანუ ახო, რომელსაც ჯერ პატრონი (ლაზ. **მანჯე**) არ ჰყავს, საპატრონოა.

სანახშირე - ჭალა. გადმოცემით, იქ მენახშირეები (ქიომურჯები) იყვნენ და ამზადებდნენ ნახშირს

სამრავლო - ადგილია. ეტიმოლოგია ნათელია: ჩვენი ვარაუდით, უწინ ეს ადგილი წარმოადგენდა ადგილობრივ მორწმუნეთა (მრევლის) ერთობლივ საკუთრებას.

სამრავლოწვერი - მთა, სამოვარი (სამრავლოს უკიდურესი მაღალი წერტილი).

სანაცრიე - მთა (მველად ყანა იყო). ეტიმოლოგია გამჭვირვალეა.

სანჩრითაი - მთა, სამოვარი. შდრ. აგრეთვე **სანჩარო**: უღელტეხილი აფხაზეთის კავკასიონზე - სოხუმის მუნიციპალიტეტის ფსხუს თემში.

საპწინალო - მთა „მასისის თერეფში“. ქართული ეტიმოლოგიისაა, თუმცა ისეა შეცვლილი, რომ სემანტიკური მნიშვნელობის გარკვევა ჭირს.

სარცხიპაი - ადგილის სახელი. ხალხური ეტიმოლოგია ასეთია: „გირმა (დამსხვრეული) ქვები დაწკაბული, იმიზედან სარცხელ, კონკებ ურცხიათ. იმბააზე სარცხიპაი უთქვამან იმისთუნ“.

სასვენი - ტყე ფიშნარახევში. ეტიმოლოგია ნათელია.

საფალანთო - პატარა ქედია. ეტიმოლოგია აშკარად ქართულია, თუმცა იმდენად შეცვლილია, რომ სემანტიკური მნიშვნელობა ბუნდოვანია.

საფერჯულე - ადგილი, სადაც ფერხული იმართებოდა.

საფლაყყანა - ყანა-ჭალები ელიასკევში; შდრ. საფლაყყანა - სასაფლაოები (მ.ფაღავა..., 2005). ეტიმოლოგია ნათელია.

საფურე - ტოპონიმი დევსეკარაში. ადგილობრივთა განმარტებით, „მოსათიბელი ადგილია“.

საყდარი - შემალეებული ადგილის სახელია დევსეკარაში, ქელაზორში. გადმოცემით, ადრე იქ სალოცავი ყოფილა.

საცორი - ადგილის სახელი დევსეკარაში. „მალე (საქონლის) გზაა“.

საჯარე - ჭალა ბასლეკარში. ეტიმოლოგია ნათელია

სახტომღელე - ღელე და მიმდებარე ადგილი **ფიშნარაგევი**. ეტიმოლოგია ნათელია.

საჯიმჭკლე - ტყე დევსეკარაში. ეტიმოლოგია აშკარად ქართულია, თუმცა იმდენად შეცვლილია, რომ სემანტიკური მნიშვნელობა ბუნდოვანია. სავარაუდოდ, ფუძეა "ჯინჭველი" - ჭიანჭველა: სა-ჯინჭველ-ე > საჯიმჭკლე - კომპლექსის ლაბიალური კომპონენტის შეიცვალა ლაბიოველარული კომპონენტით (ტ. ფუტკარაძე).

სილეჯიანტყე - სილეჯიანების საკუთრებაში არსებული ტყე ქონობანში.

ტუზიყანა - ყანა. რესპოდენტის განმარტებით: „იქ ძველად პატარა კაკლებ - ტუზი ყოფილა“.

ტუზიჭალა - ჭალა.

უკანტყე/უკანაიტყე - ტყე გოდლეკარში. ეტიმოლოგია გამჭვირვალეა.

უკანჭალა - ჭალა ელიასკევიში. ეტიმოლოგია აქაც გამჭვირვალეა.

უკანკევი - ჭალაა. ეტიმოლოგია აქაც გამჭვირვალეა.

ფაცხები - ყანა. ეტიმოლოგიურად უნდა ყოფილიყო „ფაცხები“

ფიშნარკევი//ფიშნაკევი - უბანი. დასტურდება სხვადასხვა ფორმით: **ფიშნარხევი** (შ.ფუტკარაძე, 1993); **ფიშნარჭვეკ/ფიშნარხევი** - საძოვარი (მ.ფაღავა..., 2005); **ფიშნახევი/ფიშნარიხევექი** (რ.გუჯეჯიანი, ტ.ფუტკარაძე, 2009). **ფიშნა** სულხან-საბასთან განმარტებულია, როგორც „ეკალ-ჩალა“. ტოპონიმის წარმომავლობა ნათელია: ეკლიანი ხევი.

ფოსვათი - ყანა-ჭალა ფიშნარაგევიში. ეტიმოლოგია გამჭვირვალეა: **ფოსო** „ფესვი“ და -**ეთ** სუფიქსის ვარიანტი -**ათ**.

ფოსო - ჭალა დევსეკარაში. ასახელებს შ.ფუტკარაძეც (1993).

ფუჩიანკარი - უბანი. შდრ. **ფუჩანნი** - ელიასხევის უბანი (რ.გუჯეჯიანი, ტ.ფუტკარაძე, 2009). ეტიმოლოგია ნათელია: **ფუჩიან-** აშკარად პატრონიმული წარმომავლობის ელემენტია და **კარი** „კარმიდამო“

ქაცხეთი - ჭალა ბასლეკარში. ეტიმოლოგია ბუნდოვანია.

ქედაჲ ყანები - ადგილია. ეტიმოლოგია გამჭვირვალეა: ყანები, რომლებიც „მაღლა ქედზე არის“.

ქელაზორი - უბანი; შდრ. გელაზორა (შ.ფუტყარაძე, 1993); ქელაძორი - სოფ. ხევას უბანი (რ.გუჯეჯიანი, ტ.ფუტყარაძე, 2009). ჩვენეული ვარაუდით, ქართულ-სომხური სამეტყველო კოდების შერევის შედეგად წარმოქმნილი მიკროტოპონიმია: **გელა** ქართული ანთროპონიმია და სომხური **-ზორ** (< ძორ) კი „ხევს“ ნიშნავს. ანუ **ქელაზორ** < **გელა ძორ**, „გელას ხევი“;

ქელაზორიწვერი - სამოვარი (ქელაზორის უმაღლესი წერტილი).

ქესადგური - ტყე. ეტიმოლოგია ნათელია: **ქედ-სადგური** ანუ სამყოფად გამოყენებული მთაგორიანი ადგილი.

ქესადგურიწვერი (< ქედ-სადგურის-წვერი) – მთაა იქვე. ეტიმოლოგია ნათელია.

ქომო მეელლე - უბანი ფიშნარაკევაში. ქართულ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევით მიღებული მიკროტოპონიმია: **ქომო** „ქვემო“ და თურქული დიალექტური **მეელლე** „უბანი“.

ქონობანი - უბანი; შდრ. ქონობანი - სოფელი (შ.ფუტყარაძე, 1995; რ.გუჯეჯიანი, ტ.ფუტყარაძე, 2009); ქონუბანი/ქონობანი - სამოვარი (მ.ფაღავა..., 2005); ქონუბანი/ქონობანი (მ.ბარამიძე, 2001). **ქონობანი** < **ქვენ უბანი** < **ქვენა უბანი**.

ქორიეთი//ქორიათი - უბანი; შდრ. ქორიეთი - სოფელი (შ.ფუტყარაძე, 1995); ქორიეთი/ქორეთი (მ.ბარამიძე, 2001); ქორიეთი - საზაფხულო სადგომი, სამოვარი (მ.ფაღავა..., 2005); ქორიათი - სოფელი (რ.გუჯეჯიანი, ტ.ფუტყარაძე, 2009). სულხან-საბას განმარტებით: **ქორი** - სახლი სახლზედ აგებული; რაჭ. **ქორეთი** - სხვენი. თუმცა, აქ მიკროტოპონიმის ფუძე **ქორია-** ანთროპონიმული წარმომავლობისა ჩანს.

ქოშასწვერი - მთაა ელიასკევაში. ეტიმოლოგია ნათელია: **ქოშა** შესაძლოა, შერქმეოდა ქედს, რომელიც მოყვანილობით ქოშს წააგავდა და -წვერი.

ქოხითა[ვ] - ტოპონიმი ბასლეკარში. ეტიმოლოგია ნათელია.

ლოდნარი - მთიანი ადგილია (ძველად ყანები იყო). აშკარად ქართული წარმომავლობის მიკროტოპონიმია, თუმცა ისე შეცვლილა, რომ ეტიმოლოგია გაურკვეველია.

ყავახლული - ტყე ფიშნარაჟევეში. ადგილობრივ თურქულ დიალექტზე სიტყვა **ყავახლუხ** აღნიშნავს „ადგილს, სადაც ბევრი ალვის ხე ხარობს“.

ყარაგოლი - „ბლენი გოლი, ჩუხური, შაი“. მიკროტოპონიმი თურქული წარმომავლობისაა: თურქ. **Kara** „შავი“, **Göl** „ტბა“.

ყარათალი - მთა, ტყე. თურქ. **Kara dağ** „შავი მთა“.

ყიშლიწვერი - მთა, ტყე ელიასხევეში. **ყიშლა** „საზამთრო სამოვარი“ და **წვერი**.

ყორიეთი - ყანა-ჭალა ფიშნარაჟევეში; შდრ. ყორიეთყანა - სათიბი (მ.ფაღავა..., 2005). ეტიმოლოგია გამჭვირვალეა: ყორიანი ადგილი.

ყოჩიან ტყე (<ყოლეჩიან ტყე) - **ყოლეჩიანების** საკუთრებაში არსებული ტყე.

შაბანიანკარი - უბანი. შდრ. შაბელენკარი (შ.ფუტყარაძე, 1993); შაბლინკარი - აგარა, ნასოფლარი (რ.გუჯეჯიანი, ტ.ფუტყარაძე, 2009). ჩვენი აზრით, აქ უნდა გამოიყოს ანთროპონიმული წარმომავლობის ფუძე **შაბან-** და **კარი** „კარმიდამო“

შაი ტბა - პატარა ტბაა. ეტიმოლოგია ნათელია.

შაი ტყე - ტყეა. ეტიმოლოგია ნათელია

შინდიზირი - ყანა. ეტიმოლოგია ნათელია.

შორალი - მთა („თი გიდავლილ ადგილი“). ჩვენი აზრით, ქართული, წარმომავლობის, კომპოზიტური მიკროტოპონიმია: **შორ-ი** აღი ანუ „შორეული სახეობა“

შვაცანები//ჭაცანები - ყანები ფიშნარაჟევეში. ეტიმოლოგია ნათელია. ჩვენი ყურადღება მიიქცია **შვ > ჭ** პროცესმა.

შვახიდები/ჭახიდები - ჭალებია. შუახიდები ჰქვია იეთიჯევისა და ქვაბაიჯევის შეერთების ადგილს. იქ ძველად ხიდი ყოფილა.

ჩაადალოდ/ჩარდალო - ჭალა-ყანა დევსეკარაში. უწინ უნდა ყოფილიყო **ჩარდახოლო** „ჩარდახიანი ადგილი“

ჩათალდელე - ღელე და მიმდებარე ადგილია. თურქულ-ქართული სამეტყველო კოდების შერევით წარმოქმნილი მიკროტოპონიმია: თურქულად **ჩათალ** „ჩანგალი“ და **ღელე**. ასე შეიძლება დარქმეოდა დელტას.

ჩიდილი/ჩირდილი - ჭალა ბასლეკარში. ეტიმოლოგია: „იმ ალაგ მზე არ ადგება და ჩდილები დუურქმევინ“.

ჩილდირტყე - ტყეა. ეტიმოლოგია ნათელია: დაჩრდილული ტყეა.

ჩილდირყანები - ჭალაა. ეტიმოლოგია აქაც ნათელია: დაჩრდილული ყანები.

ჩილდი[რ]კევი - ხეობაა. ეტიმოლოგია ასევე ნათელია: დაჩრდილული ხევი.

ჩუმბულო - ჭალა ბასლეკარში. ეტიმოლოგია გაურკვეველია.

ჩუჩუნაკალო - ვაკე დოღეჯიანკარში. **ჩუჩუნა** ლაზურად ნიშნავს „არცთუ მშვიდს“; **ჩუჩუნა კალო** იქნება კალო, სადაც არაიშვიათად ლეწავენ ხოლმე.

ჩუხურები - ტყე ფიშნარახევში. თურქულად **ჩუხურ** „ორმო, ქვაბული, ოღრო-ჩოდრო“.

ცერეკარი - ქონობნისა და ბასლეკარის სამოვარი. შდრ. ცერეკარი - სოფელი (შ.ფუტკარაძე, 1995); ცერეკარა (შ.ფუტკარაძე, 1993); ცერეკარი - აგარა, ნასოფლარი (რ.გუჯეჯიანი, ტ.ფუტკარაძე, 2009). ჩვენი ვარაუდით, უნდა ყოფილიყო **ცერა კარი** ანუ დაფერდებული ალაგი/კარმიდამო.

ციცეველი - ჭალა გოდლეკარში. ეტიმოლოგია ნათელია და ნიშნავს „კატისეულ [ადგილს]“

ძირვანი - ჭალები ფიშნარაკევიში. ეტიმოლოგია ნათელია: ძირში მდებარე ანუ ძიროვანი.

წვერსიქითი - ყანა-ჭალა; წვერსიქითა-ს სახით ადასტურებს შ.ფუტკარაძე (1993). ეტიმოლოგია ნათელია.

წითელმიწა ყანა - ყანაა. ეტიმოლოგია ნათელია.

წინყანა - ყანაა. ეტიმოლოგია ნათელია.

წინჟალები - ჟალები გოდლეკარში და ბასლეკარში. ეტიმოლოგია

წისქვილკარაი - ჟალა დევსეკარაში. ეტიმოლოგია ნათელია.

წყაროთი - ტოპონიმი დევსეკარაში. აღნიშნავს წყაროს მიმდებარე ტერიტორიას.

წყაროთუალი - ჟალა-ყანა დევსეკარაში; დადასტურებული აქვს შ.ფუტკარაძესაც (1993). ეტიმოლოგია ნათელია.

ჭეილიანკარი//ჭედლიანკარი - უბანი. შდრ. ჭედლიან კარი (შ.ფუტკარაძე, 1995); ჭელენკარა/ჭელონკარი (შ.ფუტკარაძე, 1993); ჭეილენკარი - სოფელი (რ.გუჯეჯიანი, ტ.ფუტკარაძე, 2009).

ჭიშკარი - მთა. სავარაუდო ეტიმოლოგია: ადგილი, რომელიც შემოსასვლელს კეტავს.

ჭოროხლაქედ/თი - სამოვარი იეთში. **ჭოროხულა ქედი** - კენჭოვანი ქედი.

ხანდიცხვირი - ადგილის სახელი. „ცხვირსავთენ გირძელ ადგილ არი, იმაზე ხანდიცხვირ ებნევიან“.

კეითა(ვ)ი - მთა. ეტიმოლოგია ნათელია: „ჭორულისი დაწყებული ალაგია“.

კეიყანა - ყანა ბასლეკარში. აღნიშნავს ხევში არსებულ ყანებს.

ხიდითავი - ჟალა გოდლეკარში. ეტიმოლოგია გამჭვირვალეა.

ხუხულათაი - ტყე. ეტიმოლოგია ნათელია: **ხუხულა თავი** დაერქმეოდა ისეთ ტყეს, რომელშიც ხეები მჭიდროდ იქნებოდა ერთმანეთთან ახლოს.

ხუხულატყე - ტყე ფიშნარაკევეში. წინას ანალოგიური ტოპონიმია.

ჯამეყანა - ჯამესთან ახლოს არსებული ყანა.

ჯამიანწინი - ჯამის (სალოცავის) წინ მდებარე ტერიტორია.

ჯუა(რ)საქეთი - ტყე ქონობანში. ეტიმოლოგია ნათელია.

ჰამფიანკარი//ჰამფიენთი - უბანი. ეტიმოლოგია ნათელია: **ჰამფი**- ძირი ანთროპონიმული წარმომავლობისად გვესახება.

ჰაჯიანუკანაი - ჟალა-ყანა დევსეკარაში. ეტიმოლოგია: „ჰაჯიანნი

ცხოვრობენ იქა“.

1.12.უბან დევთისეს მიკროტოპონიმია.

უბანი **დევთისე** (ანუ თურქულად **Dikmenler** „ადგილი, სადაც დიკმენის გვარის ხალხი სახლობს) **კევაძე**’ს ცალკე უბანია, სადაც 15 კომლი სახლობს. ადგილი საკმაოდ მოშორებულია სოფლის ცენტრიდან და მოსახლეთა სურვილია, რომ გამოიყოს ცალკე სოფლად. ჩვენ აქ ჩავიწერეთ შემდეგი მიკროტოპონიმები:

გადაღმი - ჭალა-ყანაა. ეტიმოლოგია ნათელია.

ღროვლი - ჭალა-ყანაა. ეტიმოლოგია ნათელია: **ღროული** ანუ ისეთი ადგილი, რომელიც ჩაღრმავებულია.

ზოლბარები - ყანაა. უწინ უნდა ყოფილიყო **ზველ ბარები** „ძველი ნათესი ადგილები“

კევნაი//კევნარი - მდინარის სანაპირო. ეტიმოლოგია ნათელია.

წმენიანობა - ყანაა. ეტიმოლოგიურად არის ***წმენიანი ობა**. **წმენ**-ი რაღაც მცენარეა, **ობა** უბეა.

ჯარათობა - ყანაა. ეტიმოლოგიურად არის **ჯარათ ობა** ანუ ჯარაშვილთა თუ ჯარაძეთა უბე.

ჭაბაზევლაი - ჭალა-ყანაა. ეტიმოლოგიურად არის **ჭარბადისეული**.

ბოლო მამული - ჭალაა. ეტიმოლოგია ნათელია.

ბახჩები - ჭალებია. ეტიმოლოგია ნათელია.

წისქვილი წვერი - მთაა. ეტიმოლოგია აქაც ნათელია.

თეთრი ღელე - პატარა ღელე და მიმდებარე ადგილებია. ეტიმოლოგია ნათელია.

ყავნერი - ჭალაა. ეტიმოლოგია ბუნდოვანია.

დუზ ევლეგი- ყანაა. თურქული წარმომავლობის მიკროტოპონიმია და ნიშნავს „ვაკე, სწორ ნაკვეთს“.

თევნარი - პარხლისწყლის გაღმა მხარეა. მოსახლეობა სამოვრად და ასევე საზაფხულო სამყოფად იყენებს. ეტიმოლოგია ნათელია: **მთევნარი** ანუ **მთები**.

სარწევი - მთაა. ეტიმოლოგია აშკარად ქართულია, ოღონდ უწინ უნდა ყოფილიყო „საღრწევ-ი“ ანუ ადგილი, სადაც უნდა ააღწიონ. მეორენაირად - ეს ადგილი ქარიანია და ყველაფერი ირწევა.

ტალავარი - მთაა. **ტალავერი** - ხის ან რკინაბეტონის ბოძებით აგებული და ვაზით გადახურული საჩრდილობელი. მაღლარი მევენახეობის ერთ-ერთი უძველესი ფორმაა საქართველოში.

ნაგარევი - კლდეა. ეტიმოლოგია ნათელია: **ნა-აგარ-ევ-ი** ანუ ადგილი, სადაც იყო სახნავ-სათესი მიწა.

1.13.სოფელ ხერმუტის მიკროტოპონიმია.

სოფელი **ხერმუტი** ანდა ასევე **ხერმუდი** (თურქული სახელით **Dereiçi** ანუ „შიდა ხევი“) რაიონის ცენტრიდან დაშორებულია დაახლოებით 10 კმ-ით. ცხოვრობს სულ 122 კაცი. ოსმალურ წყაროებში არ ჩანს 1555 წლამდე. ამ დროიდან კი მიწერილია **ნიფ-ი ლივანეს** სანჯაყზე (დემირელი, 2010:158). მოსახლეობა ენობრივად გათურქებულია და საუბრობს ქოროხულ დიალექტზე. მიუხედავად ამისა, სოფელში საკმაოდაა ქართული წარმომავლობის მიკროტოპონიმები.

აშალი მეჰლე - უბანია. თურქული წარმომავლობის მიკროტოპონიმია და სიტყვასიტყვით ნიშნავს „ქვემო უბანს“.

აუხარი მეჰლე - უბანია. თურქული წარმომავლობის მიკროტოპონიმია და სიტყვასიტყვით ნიშნავს „ზემო უბანს“.

სასაფელ(ი) - ძველი სასაფლაოა. ამ ადგილის მეორე სახელწოდებაა ასევე თურქული მეზერლუხ. სემანტიკა იგივეა.

ქერთ(ი) - ადგილია იქვე ახლოს. ვფიქრობთ, რომ უნდა უკავშირდებოდეს სიტყვას **ქერ-ი** (*Hordeum sativum*) „თავთაიანი პურეული მცენარე“.

ბურათ(ი) - ადგილია. ეტიმოლოგიურად „დაბურულ ადგილს“ უნდა ნიშნავდეს, ან პატრონიმული წარმომავლობისა უნდა იყოს.

ჭალათ(ი) - ჭალებია. ეტიმოლოგია ნათელია: უნდა გამოვყოთ ფუძე **ჭალა-** და ქართული **-ეთ** სუფიქსის ვარიანტი **-ათ**.

აშალი ვარმეთ(ი) - უბანია. ჩვენეული ვარაუდით, თურქულ-ქართული სამეტყველო კოდების შერევით წარმოქმნილი მიკროტოპონიმია: **აშალი** თურქ. დიალექტურ მეტყველებაში ნიშნავს „ქვემოს“, ხოლო **ვარმეთ** ელემენტში, ჩვენ ვფიქრობთ ფუძე **ვარმ-** უნდა იყოს პატრონიმული წარმომავლობის (შდრ. მაგ., თანამედროვე გვარი **ვარამაშვილი**); **-ეთ** ქართული სუფიქსია.

ტალბეთ(ი) - მთაგორიანი ადგილია სოფლის განაპირას. ადგილობრივებმა გვითხრეს, რომ ეს სომხური წარმომავლობის მიკროტოპონიმია: **ტალ ბერდ** არის „პიტალო კლდე“.

ქეთქეთ//ქედქედ - უბანი და საძოვარია. ეტიმოლოგია ნათელია და მისი ქართულობა ეჭვს არ იწვევს.

სოკო// წერულიან სოკო - ადგილის სახელია. ეტიმოლოგია ქართულია: ელემენტი **წერულიან** ტაოურ დიალექტში ნიშნავს „მოხატულ ნიმუშს“, **სოკო** არის Fungi.

ისრეთ(ი) - ჭალაა. ეტიმოლოგია ნათელია: **ისლ-ეთ-ი** ანუ „ადგილი, სადაც ბევრი ისლი ხარობს“.

სალნეთ(ი) - სალი და მაღალი კლდეა. სახელწოდებაც ამაზე მიუთითებს.

მურმაყევ(ი) - პატარა ხევია. ეტიმოლოგია ნათელია: **მურმან** (საკ. სახელი) და **ჰევ-ი** (> ყევ).

ჭანჭივან(ი) - ქართული სიტყვაა: **ჭანჭ-ივ-ან-ი**: სავარაუდოდ, წყლიანი, ჭაობიანი ადგილი; შდრ.: **ჭანჭახი** - ჭაობიანი ადგილი; **ჭენჭ-ი** - ცხიმი; **ჭენჭიანი** - ცხიმიანი; გადატანით - სველი ადგილი.

მაღალათ(ი) - მაღლობი ადგილია. ეტიმოლოგიაც ნათელია.

ალიგილუნ დერე - ადგილია. თურქული წარმოშობის მიკროტოპონიმი გახლავთ: **ალიგილ** არის „ალიაანთი“, **დერე** - „ღელე“

ჩაისილარუნ დერესი - დამშრალი ხევია. ჩვენი ვარაუდით, ქართული და თურქული სამეტყველო კოდების შერევით წარმოქმნილი მიკროტოპონიმი უნდა იყოს: ქართ.-თურქ. **ჩაისილარ** „ჩაისაანთი“ და თურქ. **დერე** „ღელე“

აფისირიქ(ი) - ადგილია. ეტიმოლოგია გაურკვეველია.

სანზორ(ი) - ადგილია. ეტიმოლოგია გაურკვეველია. შეიძლება იყოს რთული ადგილი: სა-ზორ-ი: ზორი - გაჭირვება. საზორი > სანზორი (ნ განვიტარებულია).

ხაჭუკორ(ი) - ადგილია. ქართული წარმოშობის მიკროტოპონიმია: **ხაჭუკული** ტაოურად არის „საქანელა“.

ბუდიქ თეფე - კლდეა. თურქული წარმოშობის მიკროტოპონიმია და ეტიმოლოგიაც ნათელია: ადგილობრივ თურქულ დიალექტზე ეს სახელი სიტყვასიტყვით ნიშნავს „დიდ გორაკს“

ფუჭ(ი) - ხრიოკი ადგილია. ქართული წარმოშობის მიკროტოპონიმია: შდრ. **ფუჭ-ი** უგულო, ჭიანი (კაკალი და მისთ.) (ქეგლ).

დეშილ სირთ(ი) - პატარა სერია. ეს აშკარად თურქული მიკროტოპონიმია: სამწიგნობრო თურქ. **yeşil sirt** სიტყვასიტყვით ნიშნავს „მწვანე სერს“;

ბაგათ(ი) - ადგილია. **ბაგა** (ქართ.) საქონლის დასაბმელი ადგილი; **ბაგათი** ფშავში საძოვარია. („ადმოსავლეთ საქართველოს მთის ტოპონიმია (ფშავი)“, თბილისი 2015, გვ 212)

საგულე - აგარის სახელია. ფშავის ტოპონიმებშიც არის **საგულე**ბელი. მაღლა მთებზე ნათიბ თივის, აგებულ „თევზს“, ზაფხულსა და შემოდგომაზე ქალამდე ვერ ჩამოატრევენ, ჩაიბნევა, რჩება. თოვლი მოვა და შეიძლება ზვავმა წამოიღოს. ამიტომ ხარებით გაზიდავენ გორებზე და შევაკებულ ადგილზე „დააყანებენ“, დაიგულებენ“ (საგულეებელში დააყენებენ) თოვლზე კი ნელ-ნელა, თითო-ოროლობით ჩამოზიდავენ. უმთავრესად, თავისი

საგულებელი აქვს ყველა მთას (აღმოსავლეთ საქართველოს მთის ტოპონიმია ფშავი, თბილისი 2015, გვ 288)

აეშილ გედიქ - ადგილია. თურქული წარმოშობის მიკროტოპონიმია და სიტყვასიტყვით ნიშნავს „მწვანე ხვრელს“

ოლბოზო - ადგილია. ეტიმოლოგია უცნობია.

საპჭალა - ჭალაა. ჩვენი ვარაუდით, თურქულ-ქართული სამეტყველო კოდების შერევით წარმოქმნილი მიკროტოპონიმია: თურქულად **საფ** ნიშნავს „ძნას“; ამ სიტყვის მეორე თანხმოვანი განიცდის ცვლილებას (მკვეთრდება) ქართული **ჭალა** ელემენტის საწყისი თანხმოვნის გავლენით.

ვერანე - ხრიოკი ადგილია. ქართულადაც და თურქულადაც „ვერანი“ და „ვირანი“ ნიშნავს მიტოვებულს, გავერანებულს (ადგილს).

გაბან დიბი - ადგილია. ადგილობრივ თურქულ დიალექტზე გაბან ნიშნავს „სახიფათო გადასასვლელს“, ხოლო **დიბი** „ძირია“

გაბან ბაში - ადგილია იქვე ახლოს. ესეც თურქული წარმომავლობის მიკროტოპონიმია და სიტყვასიტყვით ნიშნავს „სახიფათო გადასასვლელის თავს“.

1.14. სოფელ ქვაბაჲს//ქობაჲს მიკროტოპონიმია.

ქვაბაჲ ტაოს ამჟამინდელ სამ ქართულენოვან სოფელთაგან ერთ-ერთია. მისი სახელწოდება დღეს სხვადასხვა ვარიანტით გვხვდება: **ქვაბაჲ//ქობაჲ** ან **ქობაქი//ქუაბაქი//ქუაბახი...** სოფლის ოფიციალური თურქ სახელია **იუქსექობა** (**Yüksek oba** სიტყვასიტყვით ნიშნავს „მაღალ კარავს“) ადგილობრივთა განმარტებით: „ზათი ქვაბა იყო, ახლა იუქსექობა არი, ფაქა ქართული სახლებია აქრობა“; „ბუქი ბევრია, ქუაც ბევრი, იმისთუნ ქაბუქ უთქვიან ამისთუნ“.

ტაოს **პარხლის** და **ჭევაის** ხეობათა ქართულენოვანი სოფლების (მისეული დაწერილობით: **კობაკი, არმენხევი, პარხალი**) ეთნოგრაფიულ-გეოგრაფიული აღწერილობა ეკუთვნის გიორგი ყაზბეგს, რომელმაც 1874 წელს იმოგზაურა ამ კუთხეში. მისი აღწერით, „ამჟამად

არმენხევისა და კობაკის ხეობების მთელი მოსახლეობა ძალზე შერყვნილ ქართულ ენაზე ლაპარაკობენ, თუმცა მათს გვერდით, სოფელ პარხალში ქართული ყველამ არ იცის“... „მკაცრმა ბუნებამ და სრულმა კარჩაკეტილობამ განსაკუთრებით ძლიერი გავლენა მოახდინა კობაკის მცხოვრებთა ზნე-ჩვეულებებზე... კობაკის ხეობის სიგრძე 20 ვერსს არ აღემატება. ცხოვრობს 200 კომლი, რომელთა დიდი ნაწილი ცალკე ჯგუფებადაა განლაგებული“ (გ. ყაზბეგი, 1995, გვ. 141-142).

დღეს სოფელ ქვაბაძეში დაახლ. 35-მდე კომლი ცხოვრობს. ადგილობრივი მაცხოვრებლები აქ გაზაფხულზე ამოდიან, ზამთარში კი ბარში (**ჭილათი**, **სარიკველი**...) ან დიდ ქალაქებში მიდიან.

სოფლის მიკროტოპონიმთა აბსოლუტური უმრავლესობა ქართულია და წარმომავლობაც ნათელია. ტოპონიმების ნაწილს დროთა განმავლობაში გარეგნული (ფორმოზირი) იერ-სახე შეუცვლია, ამდენად, ძნელია მათი ამოსავალი, ქართული ძირ-ფუძეების ამოცნობა.

აგრისი გზევნარი - წალიკვან'ისკენ მიმავალი გზის სახელია. ქართული, კომპოზიტიური მიკროტოპონიმია და „აგრის[კენ მიმავალ] გზებს ნიშნავს.

აღნიანნი//ავნიანი//აღნი მაალლე//აღნიან მეელლე – უბანი. შდრ. **აინიანნი** - (შ. ფუტყარაძე, 1993: 176). გადმოცემით, „აღნიან იყო, იმისავთენ პეტერაო ალაგო, პეტერაო, იმბარზე აღნიან მეელლე უთქვამან“. თურქ. ანა „სარკე“.

აღნიანფარდი – ტყე იმ უბნის მახლობლად. ამავე ფორმით ადასტურებს შ. ფუტყარაძე (1993: 176).

აღნიანჭალები - ჭალებია **აღნიანნი**'ს უბნის მახლობლად. ეტიმოლოგია ნათელია.

არყიალელე – ტყე. ეტიმოლოგია ნათელია: **არყიან ღელე**, ანუ იმგვარი ღელე, სადაც არყის ხეებია ბევრი.

ახაჩა//აყაჩა – ადგილია. თავად სიტყვა ტაოურ დიალექტზე ნიშნავს „გამხმარ, ხმელ ადგილს“. ადგილობრივი ეტიმოლოგია ამგვარია: „**ჩიჩეგსავენ**

ადგილი არი. საჭმელ ემენი არი, თივები, ეადა, იგინიც ქარჩიხზე ომოვა, ახაჩა ეტყვიან”.

ახოთწუერი/ახოწუერი (<ახოთ წვერი) – ტყე, ყანა-ჭალა. შდრ. **ახოწუერი** – კაპნები არი (შ. ფუტკარაძე, 1993: 176). **ახო** – საყანედ გაკაფული ტყე, – ნატყევარი (ქეგლ).

ბაგირწყალი – პატარა, ამომშრალი ხევია. ეტიმოლოგია ნათელია: ასე შეიძლებოდა შერქმეოდა იმგვარ ნაკადულს, რომელიც მსხვილად ჩქეფდა.

ბალყიზო – უწყლო ადგილი. აფიქსირებს შ. ფუტკარაძე (1993: 176). ეტიმოლოგია სადავოა: შეიძლება უწინ ყოფილიყო **ბალჭი ზორ** (სომხურად „ბალხის ხევი“), თუმცა ამგვარ შემთხვევაში, ძნელია თქმა, რას უნდა ნიშნავდეს **ბალჭი**, რომელიც სომხური სიტყვა, ცხადია, არ არის.

ბალდიეთი/ბარდიეთი – ადგილია. შდრ. **ბარდიეთი** (შ. ფუტკარაძე, 1993: 176). ადგილობრივთა ახსნით: „**ბარსავთენ ცხელი ადგილია, იმბაზე ბარდიეთ უთქვიან**“. ადგილის სახელწოდება შეიძლება უკავშირდებოდეს ბარდს: **ბარდი** ბუჩქების ანდა ბალახეული მცენარის ერთმანეთში გართხმული, გადახლართული ღეროები (ქეგლ).

ბარდიეთი ტყევნარი – ტყეა **ბარდიეთ**’ის მახლობლად, ეტიმოლოგია ნათელია.

ბარდიეთი ჭალები – ჭალებია **ბარდიეთ**’ის მახლობლად. ეტიმოლოგია ნათელია.

ბარდიეთი კევი – დამშრალი ხევია **ბარდიეთ**’ის მახლობლად. ნათელია ეტიმოლოგიისაა.

ბასლიანდუზი – საზაფხულო სამოვარია. მიკროტოპონიმი გვხვდება შ. ფუტკარაძესთანაც (1993: 177). **ბასრია** მესხურ კილოებში ერთგვარი ბალახის სახელია, **დუზი** კი თურქულად ნიშნავს ვაკეს. შესაბამისად, **ბასლიანდუზი** ანუ ***ბასრიანდუზი** ნიშნავს ვაკეს, სადაც ბასრია ბალახი ხარობს.

ბასლიანცევი - ხევია. მიკროტოპონიმს ამავე ფორმით ადასტურებს შ. ფუტკარაძე (1993: 177). **ბასლიანცევი** ანუ ***ბასრიანცევი** ნიშნავს კევს, სადაც ბასრია ბალახი ხარობს.

ბიკრიეთი – ყანა-ჭალა. ამავე ფორმით აფიქსირებს შ. ფუტკარაძე (1993: 176). ეტიმოლოგია უცნობია.

ბლენიე[ვ]ი (<ზნელი კევი) - პატარა ხევია. ეტიმოლოგია ნათელია.

ბოზალთი - ტყე და მთა. „ჯარებ მათალი“ (ხარების დასაწოლი).

ბრანგი/ბრანგი – ტყე და მთა; „ისე ჩიმერლულიც არი, თაც არი“. შდრ. **ბრანგი** (შ. ფუტკარაძე, 1993: 176); **ბირანგი** (შ. ფუტკარაძე, 1993: 178). **ბრანგი** ლაზურში, ზოგ სვანურ კილოში და ლივანურში „დათვის“ სახელია, რომელსაც მონადირეები ნადირობისას იყენებენ (მ. ლაბაძის ცნობა). ჩვენი ვარაუდით, ტყით დაბურული მთა მართლაც შეიძლებოდა მიემგვანებინათ დათვისთვის და შესაბამისად, „ბრანგი“ შეერქმიათ.

გაღმა მალლე/გაღმი მალლე/გაღმელ მალლე/გაღმა ქვაბა – უბანია. შდრ. გაღმა (შ. ფუტკარაძე, 1993: 177). თურქულად **მალლე** ნიშნავს უბანს. აქ საინტერესო ისაა, რომ შერეულ თურქულ-ქართულ დასახელებებთან ერთად, შემონახულა წმინდა ქართული სახელი **გაღმა ქვაბა**.

გაღმა ტყე - ტყეა ამ უბნის მახლობლად. ეტიმოლოგია გამჭვირვალეა.

გაღმელ თევნარი - მთებია ამ უბნის მახლობლად. ეტიმოლოგია აქაც გამჭვირვალეა.

გაღმელ ჭალა - ყანა. ეტიმოლოგია გამჭვირვალეა.

გაკიდობა – ადგილის სახელია კილათში (შ. ფუტკარაძე, 1993: 178). ამ მიკროტოპონიმის სემანტიკური მნიშვნელობა, ჩვენი აზრით, არის „გაყოლება“.

გაწვრეტილ კილდე – ტყე. გადმოცემით: „იქ ერთი კაპანი ყოფილა, კილდე, იგი გაწვრეტიან და ძირიდან მუვლიან, გახვრეტილ კილდე იმისთუნ დურქმევნებიან“; „კილდე გახვრეტიან, ისე გზა უქნიან“. შდრ. **გაწვრეტილ კილდე** (შ. ფუტკარაძე, 1993: 176).

გოლფარახი – ჭალაა, მომცრო ხევი. **გოლფარახი//გველფარახი** ფორმით ადასტურებს შ. ფუტყარაძე (1993: 178). ჩვენი აზრით, წმინდა ქართული, ნათელი ეტიმოლოგიის მიკროტოპონიმია: **გველ ფარახი** ანუ **გველის ფარეხი**, გველის თავშესაფარი.

გომოდმა ქვაბამ//გომოდმა მაალე – უბანი. მიკროტოპონიმი ორი - წმინდა ქართული და შერეული ქართულ-თურქული სახით არსებობს.

გულია – ჭალები. „**დუზი ადგილი, გულისაგეთენ ძალუზი ადგილი**“. ამავე ფორმით ადასტურებს შ. ფუტყარაძე (1993: 177). ადგილის სახელწოდება გულს, შუაგულს უკავშირდება.

გულიყანა – ყანა. ადასტურებს შ. ფუტყარაძე (1993: 178). ეტიმოლოგია აქაც ნათელია.

გუნემ მაალე//გონემ მაალე – ქვაბაის უბანი. თურქ. Güney „სამხრეთი“.

გურუგოლი – დამშრალი ტბა ანუ „ხემელი გოლი“. შდრ. თურქ. Kuru „მშრალი“, Göl „ტბა“.

დალეწილკატრები – ტყეა. ეტიმოლოგია გამჭვირვალეა: „**კატრები დატეხილა, ხევნარში შვავი ჩომოსულა, იმბაარზე დალეწილ კატრები ღურქმევენებიან**“. მიკროტოპონიმი გვხვდება შ. ფუტყარაძესთანაც (1993: 177). **კატარი** – ცუდი ფიჭვი (საბა); **კატარი** (იმერ., აჭარ., მესხ.) – იგივეა, რაც კავკასიური ფიჭვი (ქეგლ).

დამპალწყარო – ტყეა.

დაღარული – მთა. ადგილობრივთა განმარტებით: „**თა, ასე გომოხვევლი, დაღარულ ეტყვიან**“; „**შუავი მოვა ქომოთკე, ედდა, დაღარულ უთქვიან**“. ადასტურებს შ. ფუტყარაძე (1993: 176).

დიდვაკე – ჭალა. ეტიმოლოგია გამჭვირვალეა.

დიდ მათალი – მთა. „**ჯარებ მათალი, კარგა დიდი ჯარები წვებიან იქა, ედდა, მათალ ეტყვიან იმა**“. თურქ. Yatak „საწოლი“.

დიდი მთა – მთა, ტყე. ადასტურებს შ. ფუტყარაძე (1993: 176). ტოპონიმი დასტურდება ხევაშიც (ე.დადიანი, მ.მიქაუტაძე, 2013).

დიდი ჯევი - უბანია. შდრ. დიდიხევი - სოფელი (შ. ფუტკარაძე, 1995).

დიდელე - დელე და მიმდებარე ადგილია. ადასტურებს შ. ფუტკარაძე (1993: 176).

დიდქედი/დითქეთი – ტყეა. შდრ. დიდქედი (შ. ფუტკარაძე, 1993: 176). ეტიმოლოგია ნათელია. დასტურდება ჯევაშიც: სამოვრის სახელია ელიასჯევში (ე.დადიანი, მ.მიქაუტაძე, 2013).

დიდჩაღილი – ადგილის სახელი. შდრ. თურქ. *çakıl* „ღორდი, ხრეში“. ქართულ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევის შედეგადაა წარმოქმნილი

დინგისკარი – ადგილის სახელწოდება. რესპონდენტის ახსნით: „**დინგი** დუდვიან იქ დიდი, უფქვიან იქა, ეადა, **დინგი** დურქმევნებიან იმბარზე“; შდრ.: დინგის კარი: „**დინგი** - წისკვილის ქვა არი, ქვა ბრუნავს, აფქვევს“ (შ. ფუტკარაძე, 1993: 176).

ერთი ხე - ადგილია. მიკროტოპონიმის წარმომავლობა ნათელია: იმ ადგილას ერთი ხე (კატარი) დგას და ამიტომ დაერქვა ეს სახელი.

ეჭენდიწყარო - ადგილია. გადმოცემით: „**ეჭენდი** მოსულა, დამჯდარა იქა, წყალი შუსვია, **ეჭენდიწყარო** დურქმევნებიან“. შდრ. ეჭენდი წყარო (შ. ფუტკარაძე, 1993: 177).

ვაკე – ტყეა. ეტიმოლოგია ნათელია.

ვაკევენარი – ყანა-ჭალა.

ვეჟანჯევი – წყარო. „წყალი არი, ჭონჭიანი ადგილია, ცხენებ უბტუნებიან ზათინდელთ და ვეჟანჯევი დურქმევნებიან“. ტოპონიმს ადასტურებს შ. ფუტკარაძე (1993: 176). შდრ. ვეჟანა – წითელ-შავი (სულხან-საბა, 1991).

ვირიგორდნალი//ვირიგვერდნალი//ვირიგუერდნალი - ადგილია. შდრ. ვირიგუერდნალი//გუერდნალი (შ. ფუტკარაძე, 1993: 176, 177, 178). ნათელი ეტიმოლოგისაა და სიტყვასიტყვით ნიშნავს „ვირის ფერდობებს“.

ზემო მაალლე – უბანია. ქართულ-თურქული სამეტყველო კოდთა შერევით წარმოქმნილი მიკროტოპონიმია და სიტყვასიტყვით ნიშნავს „ზემო უბანს“. „ზემოთ არი მა, ზემო მეელე უქნიან“. ფონეტიკურ ვარიანტებად

გამოიყენება: ზოოჰმელე/ზოჰმელე/ზოომელე. შდრ. ზემომეჰელელნი (შ. ფუტკარაძე, 1993: 176).

ზემო ნეკნარი//ლეკნარი - ჭალა-ყანაა. „აგრები, მილეთი ქოხები არი“. ეტიმოლოგია გამჭვირვალეა: ნეკერი – ცაცხვის, მუხის, წიფლის, თელის ტოტები; ზამთარში საქონელს აჭმევენ. ნეკნარი < ნეკერნარი; ადგილი, სადაც ნეკერს ჭრიან.

ზემო ქობაი – უბანი. იგივე ზემო მაალე. ნათელი ეტიმოლოგიისაა.

ზექარიქეთი (< ზეკარის ქედი); შდრ. ზექარიქედი (შ. ფუტკარაძე, 1993: 176). ზეკარი - 1. უღელტეხილი, გადასავალი, 2. აქედან – ადგილის, სოფლის სახელწოდება (ქეგლ).

თენწყარო – წყარო და მიმდებარე ადგილია. ადგილობრივთა ახსნით, „ლემიანი წყარო“. შდრ. თენწყარო – „წყაროს წყალი მოწმეთავს, თენავს“ (შ. ფუტკარაძე, 1993: 176). ჩვენეული ვარაუდით, ეს მიკროტოპონიმი შესაძლოა, წარმოქმნილიყო ამოსავალი ფორმისაგან ***თეთრწყარო**.

თხელპა ბაირები – ადგილია. „**დალუზი ადგილი, ასე, გოლები-მოლები**“; **‘დუზი ადგილი, თხელპა უქნიან, გოლები უქნიან მა, თხელპა გოლი**“. შდრ. თხელპა ბაირები (თხელპა < თხელტბა. მ. ბარამიძე, 2001: 26). თურქ. Bayır „ბორცვი, ბექობი, მთის კალთა, ფერდობი.“

თხელპა გოლები//თხელპა გოლები – პატარა ტბების მიმდებარე ჭალა. „წყალი ბევრი არ არის, დერინე’რი“. შდრ.: თველ ტკბა (შ. ფუტკარაძე, 1993: 176); თველტბა (შ. ფუტკარაძე, 1993: 178); თხელპა (მ. ფაღავა., 2005: 164); თხელპა (თხელტბა?) – ტბა (მ. ფაღავა., 2005: 168).

მასადი ტყე - ადგილია. ეტიმოლოგია ნათელია: „**ბევრი თოვლი იქნება, ღარი არ ემექნასო, არ დაშუავოსო, იმბარზე მასად ტყე ვეტყვით**“. თურქ. Yasak „აკრძალული“. ტყე, სადაც ხის მოჭრა აკრძალულია.

კვერნალათი – ადგილია. ეტიმოლოგია ნათელია: კვერნა „Martes“, -ლა კი აქ კნინობითი სუფიქსი უნდა იყოს. -თი, რასაკვირველია, -ეთ სუფიქსის ვარიანტია.

კილდიათი - ადგილია. ადგილობრივთა ახსნით: „კილდე ბევრი არი მა იქა, იმბარზე კილდიათ უთქვიან; კილდესი ალაგი“. შდრ. ქილდიათი (შ. ფუტკარაძე, 1993: 176).

კვირიქეთი - ჭალა-ყანა, ანუ „ხმელი სირთი“. დასტურდება შ. ფუტკარაძესთანაც (1993: 176). ეტიმოლოგია ნათელია: კვირიკეთი ანუ ვინმე კვირიკეს შთამომავალთა საცხოვრისი ადგილი.

კოჭიატყე - ადგილია. იდენტური ფორმით აფიქსირებს შ. ფუტკარაძე (1993: 176). რესპონდენტის განმარტებით: „კოჭიაჲ პატინაჲ ადგილია“. შდრ. კოჭყანა (ქიზიყ.) - შუათანა სიმაღლის ყანა (ალ. ღლონტი, 1984).

ლევნარი//ლევნარები//ნევნარი - ჭალები. „აგრები იყო ძველინდელი, ახლა დანგრეეს აგრები, ლევნარ ეტყვიან“. შდრ. ლევნარი (შ. ფუტკარაძე, 1993: 177-178).

ლერწმანიკევი//ნერწმანიკევი - ადგილია. ადგილობრივთა განმარტებით, „ვიწრო კევი“; „ნევნარისი კევი, ძანი, ხემელი კევი“. ეტიმოლოგია ნათელია: ლერწმანი კევი ანუ ხევი, სადაც ბევრი ლერწამი ხარობს.

მარანწინი - ქვიანი ადგილი, ჭალები. ამავე ფორმით ადასტურებს შ. ფუტკარაძე (1993: 176). ეტიმოლოგია ნათელია: მარნის წინ მდებარე მიდამოს შეიძლება დარქმეოდა ასე.

მასისი - მთაა. შდრ. მასისი თა - (შ. ფუტკარაძე, 1993: 176); მასისი (მ. ფაღავა..., 2005: 164). მას-ის-ის-ი (ეტიმოლოგიისათვის იხ. ზემოთ).

მახათეთი - უბანი. მიკროტოპონიმი პატრონიმული წარმომავლობისაა - შდრ. თანამედროვე გვარი მახათაძე. მახათეთი ნიშნავს „მახათაძეების გვარის საცხოვრისს“. მიკროტოპონიმში გამოიყოფა გვართან საერთო ეპონიმი მახათა.

მოგლესილი - ადგილია. ამავე ფორმით ადასტურებენ: მ. ბარამიძე (2001: 26), მ.ფაღავა... (2005: 164). ეტიმოლოგია ნათელია: მოგლესვა „არს გაჯითა, კირითა და რაფთაც კედელს შეაგოზდე“ (საბა). აქედანაა „მოგლესილი“ - ასე შესაძლოა დარქმეოდა მოტკეპნილ, მოსრიალებულ ადგილს.

მორიპირი - ადგილია. ეტიმოლოგია ნათელია: მორის პირი.

მურუდა კეი - ადგილია. ამავე ფორმით აფიქსირებს შ. ფუტკარაძე (1993: 176). ეტიმოლოგია ნათელია: **მურუდა** შესაძლოა იყოს ანთროპონიმი იმისა, ვინც ამ ადგილას პირველად დასახლდა. **კეი < ჯევი**.

მუშტიწყარო - წყარო და მიმდინარე ადგილებია. მიკროტოპონიმს ასევე ადასტურებს შ. ფუტკარაძე (1993: 176). ეტიმოლოგია ნათელია, ოღონდ აქ **მუშტი** უნდა იყოს პირსახელი (ანთროპონიმი ან მიკროანთროპონიმი); შდრ. ანთროპონიმი **მუშნი**.

ნაბიანნი/ნაბიანი/ნაბიანი მაჰალე – უბანი. ხალხური ეტიმოლოგიით: „ორი ძმა ყოფილან. ერთი ძმა აქ დამდგარა, ერთი ძმა გაღმი. აქვერი ძმა ნები ყოფილა, სახელი ნაბიანი დუურქმევნებიან“. შდრ. ნაბიანნი (შ. ფუტკარაძე, 1993: 176).

ნაბიანწინი/ნაბიანწინობა – ყანა-ჭალა. შდრ. ნაბიანწინი (შ. ფუტკარაძე, 1993: 176). ეტიმოლოგია ნათელია.

ნაბიანჭალები – ადგილია. „ნაბიანისი ჭალები, მაალლესი ჭალებია“.

ნასილავი (< ნასელავი?) - ადგილია. შესაძლოა, უწინ ყოფილიყო **ნასელავი** ანუ „ადგილი, სადაც ადრე სელი მოჰყავდათ“. მეორე ვარაუდით, შესაძლოა აქ ქვიშიანი ანუ **სილიანი** ბორცვები იყო და მიტომაც დაერქვა ასე.

ნაცრიქეთი/ნაცრიქეთქეთი – ადგილია. „ზადრი ადგილია, კაპანი“. შდრ. ნაცარქეთქეთი (შ.ფუტკარაძე, 1993:176); ნაცრაქედი - სამოვარი, სათიბი (მ.ფაღვაძე, 2005:168). ეტიმოლოგია ნათელია: **ნაცრის ქედი**.

ნეკნარი//ნეკნაჲ ძირი – „ზადრი ადგილი“, ჭალებია. შდრ. ლეკნარი ზირი (შ. ფუტკარაძე, 1993: 177). ეტიმოლოგია ნათელია: **ლეკნარის ძირი**.

ნეკნარიჯევი - ადგილია იქვე მახლობლად. ეტიმოლოგია აქაც ნათელია: **ლეკნარის ხევი**.

ოროკი – „ზადრი ადგილი, ჭალისი ძირაჲ, ე ჭალაჲ და ი მისი ოროკი; ბევრი აბლი ქომოთვე, დიქია“. შდრ. ოროკი – ადგილის სახელი ჭილათში (შ. ფუტკარაძე, 1993: 178). ოროკო – მიწა ბაქან-ბაქანად მოვაკებული

(სულხან-საბა, 1991); ოროკი (გურ.) – ნარიყალი ნიადაგი, სახნავ-სათესი მიწა (ალ. ღლონტი, 1984).

პარხალი სირთი//პარხლენთ სირთი – მომცრო გორაკებიანი ადგილია ადგილობრივთა გადმოცემით: „პარხლენთი აქ დამჯდარან, იმბააზე პარხალი სირთი უქნიან. მალე მემყვანდეს და აქ ამოებდეს. ახლა აღარ არიან, არ მოდიან”. თურქ. Sirti „ზურგი, უკანა მხარე“.

რუსათავო – ადგილია. “იქიდან წომოგდებულია რუ” (შ. ფუტყარაძე, 1993: 177). ეტიმოლოგია ნათელია: "არხის სათავე".

სავილვილე/სავილვილო – მომცრო ტბის მიმდებარე ადგილებია „წყალი დაგოლებულა და გოლები ქნილა, წყლისი გოლები”; „სავილვილოს შიგანაა ჩანსა”. შდრ. სავილვილე – ტბა (მ. ფაღვაძე, 2005: 164, 169); საელვილო (შ. ფუტყარაძე, 1993: 178). ეტიმოლოგია: სავილვილე < სალივლივე (მეტათეზისის საფუძველზე). სა-ე კონფიქსით გაფორმებულია გაორკეცებული ლივ-ლივ ძირი. სა-ლივლივ-ო – საცურავო ტბა ან ლივლივა ტბა.

სათიხე – ყანა-ჭალა. რესპონდენტის ახსნით, „თიხა ყანაა, კაი არ არი”. ტოპონიმი დასტურდება კევაშიც: ტყის სახელია დევსეკარაში (ე. დადიანი, მ. მიქაუტაძე, 2013). შდრ. სათიხე – ელიასკევის მიკროტოპონიმი (რ. გუჯეჯიანი, ტ. ფუტყარაძე, 2009). ეტიმოლოგია ნათელია: ასე შეიძლება დარქმეოდა იმ ადგილს, სადაც თიხას მოიპოვებდნენ.

სათოვლექეთქეთი ჭალები – ჭალებია. ეტიმოლოგია ნათელია: სათოვლე ქედის ჭალები. სათოვლე ჰქვია ისეთ სამოვრებს/მთებს, რომლებიც თოვლით იფარება ხოლმე.

სამანთელო – ჭალა. შდრ. აგრეთვე შამანთელო (შ. ფუტყარაძე, 1993: 176). სა-მანთელ-ო; მანთელ- ფუძის ეტიმოლოგია საკვლევა.

სამარილე – ტყე. „იქ მარილი ყოფილა რაცხას, ქვები მარილი ყოფილა და სამარილე დუურქმევნებიან”. შდრ. სამარილო (შ. ფუტყარაძე, 1993: 176).

სამურღულე - გზის და გორაკის სახელია: „ზათინდელები მურღულიდან ისე წევდოდენ. ახლა დეიკარგა გზევნარი. ახლა გზევნარი აქობაში არი და, იქიდან არ მივდივართ“. **მურღულიც** ართვინის ოლქის ერთ-ერთი ქართული რაიონია.

სანეხვე - „დუზი ალაგი“. ამავე ფორმით ადასტურებს შ. ფუტკარაძე (1993: 176). ეტიმოლოგია ნათელია.

სანიკრიქეთი - ტყეა. „იქ ნეკერ დავჭრავთ, დავჯობავთ, იმბააზე სანიკრიქეთ უთქუამან“. ეტიმოლოგია ნათელია.

სასპარაზონი - „დუზი ალაგია“. აფიქსირებს შ. ფუტკარაძე (1993: 178). ეტიმოლოგია აქაც ნათელია: სასპარეზონი ანუ სასპარეზო ადგილები; შდრ. აგრეთვე თბილისის მიკროტოპონიმი **საბურთალო**;

საფლაქეთი. ადგილია. შდრ. საფლაყანა - სასაფლაოები (მ. ფაღავა..., 2005:169). ეტიმოლოგია: საფლავ-ქეთი ანუ ქვიანი სასაფლაო.

საფურე - ყანა-ჭალებია. „იქ ზემოთკე მილეთ ფურებ გადევნიან, იქ საფურე არი იქა“; `საფურე ვეტყვით იმ სირთსა“. შდრ. საფურე - „ფურები იქ ზოვენ“ (შ. ფუტკარაძე, 1993: 177). ეს მიკროტოპონიმი დასტურდება აგრეთვე ჭევაიშიც (დევესეკარაში) - „მოსათიბელი ადგილი“ (ე. დადიანი, მ. მიქაუტაძე, 2013).

საცორი - ადგილია. ჩვენი ვარაუდით, სემანტიკურად უნდა ნიშნავდეს რაიმის გასაცრელ ადგილს.

საწისქვილე - ადგილია. შდრ. საწისკვილო (შ. ფუტკარაძე, 1993: 176). ეტიმოლოგია ნათელია.

სახუნდარი - ადგილია. ჩვენი რესპონდენტის განმარტებით: „**ჯარებ იქ ვაწვენდით. ჩომა, მეცხვერე იქ იქნებოდეს, იქ ღამით დაწვებოდეს, იმისთუნ სახუნდარი, ძანი, სასწომლი ადგილი ჯარეთი**“. შდრ. **ხუნდი** - ძვ. ფეხის ბორკილი, ფეხების ჩასაყოფი ნახვრეტების მქონე გრძელი, მსხვილი ძელი; 2. დიდი ნადირის დასაჭერი მახე; **სახუნდარი** - 1. ადგილი, სადაც მონადირე უსაფრდება ნადირს; 2. ძვ. გარეულ ცხოველთა სადგომი, - ბუნაგი (ქეგლ).

საყვერავი - ადგილია. ეტიმოლოგია ნათელია: „ჯარებ ძათადი, ჯარებ უყვერიან იქა“.

სახაზო – ჭალები. ამავე ფორმით გვხვდება შ. ფუტკარაძესთან (1993: 178). ეტიმოლოგია ნათელია: სახაზო ანუ სასაზღვრო, სამანისა. შდრ. აგრეთვე სოფ. სარფში მიკროტოპონიმი ქვა ომხაზე „სახაზო ქვა“

სიკლიატყე - ტყიანი ადგილია. ადგილობრივთა გადმოცემით, „ბევრი ტყე ყოფილა და იმისთუნ სიკლიატყე დუურქმევნებიან“. თურქ. Sık „ხშირი“, Sıklık „სიხშირე“.

სოროჯეი - ადგილია. შდრ. სოროჯევი (შ. ფუტკარაძე, 1993: 176). ხალხური ეტიმოლოგია: „წორი ადგილი რამ ყოფილა და სოროჯეი დუურქმევნებიან“.

ტყიპირი – მთა და ტყე. დასტურდება შ. ფუტკარაძესთანაც (1993: 176). ეტიმოლოგია ნათელია.

ტყიპირი - ადგილია. მიკროტოპონიმის წარმომავლობა გამჭვირვალეა.

უკანამთა//უკანა თა - მთაა. ეტიმოლოგია აქაც გამჭვირვალეა.

უკანტყე - ადგილია აფიქსირებს შ. ფუტკარაძეც (1993: 176). ეტიმოლოგია გამჭვირვალეა: „სახლი უკნიდამ არი“.

უკანჭალები - ადგილია. ეტიმოლოგია ნათელია.

ფილაღრეთი – სამოვარია: „დუზი ადგილია, მალეზ ამოებენ“. ამავე ფორმით ადასტურებს შ. ფუტკარაძე (1993: 176, 178). ეტიმოლოგია უცნობია.

ფინთმოლიფარდი - ადგილია. შდრ. ფინთმოდიანფარდი (სამოვარი) (შ. ფუტკარაძე, 1993: 176). ეტიმოლოგია ნათელია: **ფინთი მოლის ფერდი**.

ფიქალთავი – უბანია. ეტიმოლოგია ნათელია.

ქასახეთი ჭალები - ჭალებია. ეტიმოლოგია ნათელია. **ქასახეთი** უნდა იყოს პატრონიმული წარმომავლობის. აქედან გამომდინარე, ქასახეთი ჭალები ნიშნავს ქასახის შთამომავლების კუთვნილ ჭალებს.

ქეთქეთი – ჭალები და იალაღებია. შდრ. ქედქედი (შ. ფუტკარაძე, 1993: 178). ეტიმოლოგია ნათელია: ქედქედი ტაოურში ნიშნავს ქედს.

ქომო ნეკნარი//ლეკნარი – ჭალები, იალაღები. ეტიმოლოგია ნათელია: ქვემო ლეკნარი.

ქომსი გზა – ზემოდან ქვემო უბნებისკენ მიმავალი გზაა. ეტიმოლოგია აქაც ნათელია: უნდა ყოფილიყო *ქვეისი გზა.

ქუაბელეთი – უბანი. შდრ. ქვაბელეთი (შ. ფუტყარაძე, 1993: 176). მიკროტოპონიმი თავად სოფლის სახელწოდებასთან (ქვაბაძესთან) უნდა იყოს დაკავშირებული. შდრ. აგრეთვე, ქალაქის სახელი **ქობულეთი**.

ქვაფუტკარი მაღარა – ადგილია. „მაღარას ნამყოფნ ალაგს ქვაფუტკარ ებნევიან“. შდრ. საფუტკარი – მაღრები, ქვაფუტკარი არი (შ. ფუტყარაძე, 1993: 176); ქვაფუტკარი (შ. ფუტყარაძე, 1993: 178).

ღუზემ მაალე/ყუზემ მაალე –უბანი. თურქ. Kuzey „ჩრდილოეთი“. ადგილობრივთა განმარტებით: „ბევრი ზე რომ შაადგება „გაუნე მაჰალე“, ბევრი ზე რომ არ შაადგება – „გაუზემ მაჰალე“ (მ. ფალავა., 2005: 156).

ჩათალი – ადგილია. „წომომსვლელ ადგილი, გამოსაჩენ ადგილი ჩათალი; უწინ ფაქას ფეხით ვიარებოდით და, ამა გზა იყო, იქენდამ წომომსველს დეინახევდი, ჩათალი იმისთუნ დუურქმევნებიათ“; „ზათინდელთ უთესიან იქობაში, ახლა გუგდიან, მალებ აძუებენ“. თურქ. çatak – გეოგრ. უნაგირა. შდრ. ასევე: უნაგირა „ორად ამოწვერილი მთა, ქედი, რომელიც უნაგირს მოგვაგონებს“ (ქეგლ).

ჩეფერდები – ადგილის სახელია ჭილათში (შ. ფუტყარაძე, 1993: 178). თურქ. çeper „კედელი, ტიხარი, ჯებირი“, dip „ფსკერი, ძირი“.

ძველ აგარა – ტყე, ჭალა. „ძველ აგრი ტყეა“. აგარა – საზაფხულო საძოვარი. შდრ. ზუელაგარა (შ. ფუტყარაძე, 1993: 177). ეტიმოლოგია ნათელია.

წალიკვანი – მთა, საძოვარი. „შენლიგები გუაქუა იქა“. ტოპონიმს ადასტურებენ: შ. ფუტყარაძე (1993: 176, 178), მ. ფალავა.. (2005: 169).

წუართი – ადგილია. „დუზი ალაგია, ისე გევდოდით, ვიჯდებოდით“. ეტიმოლოგია: -თი სუფიქსით გაფორმებულია წუარ (წვერ) ძირი, აღნიშნავს (მთის) წვერზე, მაღლა მდებარე ვაკე ადგილს.

წითელი - ადგილია. შესაძლოა აღნიშნავდეს „ადგილს, სადაც წითელი მიწა“, ან წითელაძეების/წითელაშვილების საცხოვრისს.

წითლობი - ადგილია. რესპონდენტის ახსნით: „წითელი მიწები არი და, იმბარზე წითლობ ვეტყვით“.

წისქვილები - ადგილია. ეტიმოლოგია ნათელია: „წისქვილებ აბრუნებენ და, ი ადგილი არი წისქვილები, ამა ახლა არ ფქუავენ“.

წყაროთი - ყანა-ჭალა. „წყალი ბევრია, იმისთუნ წყაროთი უთქვიან“. დასტურდება შ. ფუტკარაძესთანაც (1993: 176, 178). ტოპონიმი გაფორმებულია -თი სუფიქსით და აღნიშნავს წყაროს მიმდებარე ტერიტორიას.

ჭილათი - უბანია. შდრ. ჭილათი - სოფელი (მ. ფაღავა..., 2005: 169).

ჭონჭები - ადგილია. „წყლიანი, გოლი, ასე ფაქა შიგა ვერ შეხვალ, ჩეფლობი შიგან; ფურები, ძროხები შევიდენ მი, დეიკარგვიან. ი ადგილი ფინთი ადგილია“. ამავე ფორმით ადასტურებს შ. ფუტკარაძე (1993: 177).

ჭუვითჭალა - ჭალაა. ეტიმოლოგია ქართულია, თუმცა ბუნდოვანია.

ჯამიანკილდე - ადგილია. გადმოცემით: „დიდი კილდე ყოფილა, ჯამიანკილდე დუურქმევნებიან იქა“; „ქი გაწვიმდება, მზე მაადგება, ემეიქამს, სანთელსავთენ გომოჩდება“. სიტყვასიტყვით არის „შუშიანი კლდე“.

ჯამიანწინე - ადგილია. ეტიმოლოგია ნათელია: „ჯამეს წინაა არი“. დასტურდება ხევიაშიც: ჯამიანწინი (ე. დადიანი, მ. მიქაუტაძე, 2013).

ჰაჯიმეზერი - ადგილის სახელწოდება. ადგილობრივთა ახსნით: „იქ ჰაჯი მომკტარა, იქ ჩუდვიან მიწაში, ჰეიდა, ჰაჯიმეზერ ეტყვიან იმასა“. ტოპონიმი კომპოზიტური შედგენილობისაა: თურქ.-არაბ. **Hacı** `მექაში სალოცავად ნამყოფი მუსლიმანი` და **Mezar** „საფლავი“.

II თავი

ჰიდრონიმია ხეობების მიხედვით

2.1. ტაოს ჰიდრონიმიის ძირითადი თავისებურებანი.

ტაოს ჰიდრონიმია ძირითადად, იმავე სახის თავისებურებებით ხასიათდება, როგორითაც ჩვენს მიერ ზემოთ უკვე განხილული ტოპონიმია/მიკროტოპონიმია. კერძოდ - გვაქვს პარალელური სახელწოდებანი: ერთი ოფიციალური (თურქული), მეორე კი ძველი ანუ ე.წ. ხალხური, რომელიც წარმომავლობით შესაძლოა იყოს როგორც ქართული, ისე თურქული, სომხური ან ბუნდოვანი ეტიმოლოგიისა.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ტოპონიმთაგან ან მიკროტოპონიმთაგან განსხვავებით, ჰიდრონიმთა ძველი სახელწოდებები არაიშვიათად აღარც არის შემორჩენილი: მოსახლეობა ფართოდ იყენებს ამჟამინდელ ოფიციალურ ანუ თურქულ სახელწოდებებს. ამის მიზეზი, ჩვენეული ვარაუდით, უბრალოა და ადვილადაც აიხსნება - ტაოში არ არის სანაოსნო მდინარეები და ადგილობრივ მოსახლეთა ტრადიციული ყოფა-ცხოვრებაც წყალთან/მდინარესთან უფრო ნაკლებადაა დაკავშირებული, ვიდრე მაგ., მათივე მეზობელი ლაზებისა. ამის გამო, ოფიციალური ჰიდრონიმები, როგორც ითქვა, ამჟამად უკვე ფართოდაა დამკვიდრებული როგორც თურქული, ისე ადგილობრივი - არათურქული წარმომავლობის მოსახლეობის მეტყველებაშიც.

ტაოს ძირითადი მდინარე, როგორც საყოველთაოდ ცნობილია - არის **ჭოროხი**, რომლის თურქული სახელია **Çoruh**. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისის მიხედვით, ჭოროხი ბუნდოვანი ეტიმოლოგიისაა (გ. ბედოშვილი, 2004: 7). ვფიქრობთ, ლოგიკურია ვარაუდი, რომ ჭოროხ- ფუძე ქართველური წარმომავლობის სიტყვაა და უკავშირდება წყალს: ჭორ- წყალი (არნ. ჩიქობავა 1938:56) ა. თანდილავას ლაზური

ლექსიკონის მიხედვით (2013) "ჭოროხა" მღვრიე წყალს ნიშნავს ლაზურ მეტყველებაში. ჭორ-ოფ-ა - "ავდრიანობა", "წვიმიანობა" (მეგრული). ჭორ-ო-ხ-ფუძეში ხ- კრებითობის გამომხატველი სუფიქსია (ტ. ფუტკარაძე); მთლიანობაში კი ფუძე ნიშნავს წყალუხვს: ჭოროხი - წყალუხვი მდინარე. სულხან-საბას ლექსიკონში "ჭოროხი" ნიშნავს "მდინარისაგან შეყრილ ქვიშას". "ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონის (1984: 728) მიხედვით, **ჭოროხი** არის „ადიდებული მდინარის ან ნიაღვრის მოტანილი ნარიყი, ღორღი, ქვიშა და ლამი“. მ. ლაბაძის ზეპირი ცნობის მიხედვით, **ჭოროხ-** ფუძე **ამავე მნიშვნელობით დასტურდება** თანამედროვე ლაზურშიც. ლაზურ კილოებში ასევე არსებობს ზმნა **ამიჭოროხენ** (საწყისი: **ამაჭოროხუ**), რომელიც იგივე ძირს შეიცავს, რასაც ჰიდრონიმი **ჭოროხი** და ნიშნავს „[მდინარის კალაპოტი] ლამით ან სილით ივსება“. მდინარე **ჭოროხი** მართლაც იმითაა ცნობილი, რომ ზემო დინებიდან ბევრი ლამი და ნაშალი ჩამოაქვს შესართავისაკენ. ჭოროხის ჩამოტანილი მასალითაა შექმნილი ქალაქ ბათუმის სამხრეთით მდებარე კახაბერ-გონიოს ვაკეც.

იუსუფელის აბსოლუტურად ყველა მდინარე და ღელე სწორედ **ჭოროხის** აუზს ეკუთვნის. ჩვენ სპეციალურად განცხადებით მივმართეთ თურქეთის რესპ. ართვინის ოლქის წყლის დეპარტამენტს და ვთხოვეთ, გადმოეცა იუსუფელის რაიონში არსებული მდინარეებისა თუ ღელების დასახელებათა სრული სია. დეპარტამენტმა ჩვენი მოთხოვნა შეასრულა. ქვემოთ წარმოგიდგენთ სწორედ ამ დასახელებებს, რომლებიც ამჟამად ოფიციალურადაა მიღებული თურქეთის რესპუბლიკაში:


	40-უზუნ დერესი	71- ბუღუქდუზ დერესი	109- ქუჩუქქათენე ქ
1-ჩორუკ ნეჰრი	41-ჰანიმინ დერესი	72- ონბოლათ	110- ჩაქალოღლუ

		დერესი	
2-ჯენნეთ დერესი	42-გულორენ დერესი	73-სარელ დერესი	111- ბეიაზ იათაქ
3-კანლიჩუქუ რ დერესი	43- ქარაქუჩუქ დერესი	74- ლაზ დერესი	112ქუჩუქნა ლდამათ
4-არნავუდუნ დერესი	44- გულლუ დერესი	75- ფალაქჩურ დ.	113- ქანლი დერესი
5-ჩაქილლი დერესი	45- ჰინზირ დერესი	76- მეჩოვით დერესი	114-გუნდალ ი
6-ჩაქილოღლ უჩაირი დერესი	46- ქაჩქ დერესი	77- ჩერნოვით დერესი	115- ოგდემ დერესი
7-ჯენგიზლელი ნ დერესი	47-ჰავუზ დერესი	78- ჯეიმაქჩურ	116 იამაჩ დერესი
8-საფლარინ დერესი	48-გუვენ დერესი	79- დუფედუზ დერესი	117 სუბაში დერესი
9- გუნეი დერესი	49- ჩენგელ დერესი	80- ფიშოვით დერესი	118 დოქუზფინა რ დ
10- ბუუქ	50-	81- ორენ	119- ჯალა

დერესი	აღლიგელინ	დერესი	დერესი
11-ზიარეთ დერესი	დერესი	82- ჰუნგამექ დერესი	120- დიდოგელე დერესი
12- ალდაშ დერესი	51- ოლოთუ ჩი	83- ქავუშუმ დერესი	121- შანლიფეთ დერესი
13- იამაჩუსთუ დერესი	52-მიშნექ დერესი	84- აქჩექი დერესი	122- ქაირან დერესი
14-იენი იაილა დერესი	53- ჩილგავულ დერესი	85- დარგილ დერესი	123- ზემოვან დერესი
15-იაზიოლუ დერესი	54- თიანსუქარა	86- დოქუმაჯი ლარ	124- თილლაფ დერესი
16-ოჯაქლი დერესი	დერესი	87- მუჰნადი დერესი	125- აქსავ დერესი
17- ქავაქლი დერესი	55- ქობნარ დერესი	89- ქიზილ დერესი	126- ბერათ დერესი
18- ქარათაშ დერესი	56- თოროზიქოვ	90- დელირმენ დერესი	127- დუბეთ დერესი
19-ქიზილ დერესი	დერესი	91- სოლ დერესი	128- დერით დერესი

20- ავჯილარ დერესი	57-სერინსუ დერესი	92- თუმქემ დერესი	129- ფარმაქლარ
21-ადილლი გუნეი დერესი	58- ჩურალ დერესი	93- ჰაფისორ დერესი	დერესი 130- ქიშლა დერესი
22- ქოფ დერესი	60- ზალიქან დერესი	95- ქილიჩქაია დ.	141- გუნგორმეზ დერესი
23- ავზან დერესი	61- ვეჯაჰვე დერესი	96- ბალსუი დერესი	142- თაშლივათ დერესი
24- ჯეჰენნემ დერესი	62- სერჯან დერესი	97- სულუ დერესი	143- ოქუზდადი დერესი
25-იაშალი დერესი	63- ალლენგარ დერესი	98- ქირაზ დერესი	144- ბალსუი დერესი
26-ჩინჩილ დერესი	64-ოზგუვენ დერესი	99- აქილლა დერესი	145- იალაქ დერესი
27- ქარაჩამ დერესი	65- გუდასხევ დერესი	100- ჰუსრეთ დერესი	
28- გოლლუდუზ დერესი	66- ბოგათგეთ დერესი	101- ქულა დერესი	
29-თორბაჩერე	67- ბაშქაია	102- ირთან	

ქ დერესი	დერესი	დერესი	
30- იქიზლერ დერესი	68- დემირქალებ	103- დორუქ დერესი	
31- გეზიზ დერესი	დერესი	104- გოქ დერესი	
32- ორქართ დერესი	69- ბარჰალ დერესი	105- ქოფრულუ დ.	
33- ჩათალ დერესი	70 - ქალედუთან	106- ჩუქურ დერესი	
34- ქიზილგუნეი დერესი	დერესი	107-ჰასან დერესი	
35-მუქურურ დერესი		108- ბუუქქათენ ექ დერესი	
36- თორთუმ ჩაი			
37- სირიქდიზი დერესი			
38- ქულა დერესი			
39-ქირაზქუმა ლი დერესი			



ართვინის ოლქის იუსუფელის რაიონი გამოირჩევა მდიდარი წყლის რესურსებით - აქ სულ 150-მდე მდინარე და ღელეა. ქვემოთ განვიხილავთ მათ ხეობათა მიხედვით.

2.2. ჭოროხის ხეობის ჰიდრონიმია.

ჭოროხს სათავე აქვს ქ. ბაიბურთის ახლოს - მთა მესჯიდთან (ზღვის დონიდან 3239 მ.). მდინარის სიღრმეა 3.225 მ., საერთო სიგრძე - 466 კმ და აქედან 150 კმ - ართვინის ოლქის ტერიტორიაზეა. ჭოროხი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ჩქარ მდინარედ მიიჩნევა (თურქეთის ტერიტორიაზე). მას ორივე მხრიდან უერთდება უამრავი მომცრო მდინარე თუ ღელე. ჭოროხის აუზი მოიცავს დღევანდელი ართვინის ოლქის თითქმის მთელ ტერიტორიას.

სელანთი (Güngörmez) - სოფელ ოთხთას მთავარი მდინარეა. მას აგრეთვე ეწოდება **ოთხთის წყალი** და **გუნგორმაზი**. აქედან მეორე სახელწოდება წარმოადგენს ოფიციალური - თურქული სახელწოდების ერთ-ერთ ვარიანტს.

სახელწოდება **ოთხთის წყალი** ანუ თურქულად **Dörtkilise suyu** უკავშირდება ცნობილ ქართულ ისტორიულ ძეგლს - **ოთხთა ეკლესიას**. რაც შეეხება უფრო ძველ, ქართულ სახელწოდებას - **სელანთი**, იგი მომდინარეობს იალაღის სახელიდან: იქ, **დიდი ტბა**'დან (თურქ.**Büyük göl**) სათავე აქვს ამ მდინარეს, რომელიც საზაფხულო სამყოფ **ბოლუქბაშგილში** ჯერ იერთებს დელე **საგულეს**, მერე კი - სოფლის ცენტრში, უბან **ბასილეთში** მდინარე **ჭოროხს** უერთდება.

დიდი ტბა (Büyük göl) - ტბაა სოფელ **ოთხთას სელანთის** იალაღზე. აქედან იღებს სათავეს მდ. **სელანთი**. ტბის ქართული და თურქული სახელწოდებები სემანტიკურად ერთი და იგივეა.

ბოდიქ დერე (Büyük dere) - ჰიდრონიმი თურქულია და ნიშნავს „დიდ მდინარეს“. ჩამოდის სოფ. **ოთხთას** სიახლოვეს. სათავე აქვს იალაღებზე.

დეგირმან დერე - პატარა არხია სოფ. **ოთხთაში**. ზედ წისქვილი ყოფილა და აქედან გამომდინარე, სახელწოდებაც ადგილობრივ თურქულ დიალექტზე ნიშნავს „წისქვილის დელეს“.

ჰარხ ბაში - დეგირმან დერესა და ჭოროხის ხერთვისის სახელწოდებაა და სიტყვასიტყვით ნიშნავს „არხის თავს“.

შორახ დერე - **ოთხთას** უბან **მოლლემერგილის** დელეა. სათავეს იღებს წითელმიწანიადაგიანი ადგილიდან. წყალი ცოტათი მჟავა და სასმელად არ იყენებენ. კომპოზიტური ჰიდრონიმია. პირველი ნაწილის ეტიმოლოგია არაა ნათელი, ხოლო მეორე ნაწილი კი, რაღა თქმა უნდა, თურქული სიტყვაა და „დელეს“ ნიშნავს.

ბოქიან დერე - ესეც სოფ. **ოთხთას** ერთ-ერთი პატარა დელეა, რომელიც სოფლის ფარგლებშივე ერთვის მდინარე **ჭოროხს**. ჰიდრონიმი, ჩვენეული ვარაუდით, ქართული და თურქული სამეტყველო კოდების შერევით უნდა იყოს წარმოქმნილი: სიტყვა **ბოქი**-ი დავით ჩუბინაშვილის მიხედვით ნიშნავს აბრეშუმის ჭიის გარსს (кокона, скорлупа, в которой лежит шелковой червь), აქედან ნაწარმოებია ჯერ მიკროტოპონიმი **ბოქიან-ი**, ანუ ადგილი, სადაც ჭიის

ბევრი „ბოქია“, ხოლო შემდეგ კი კომპოზიტური ჰიდრონიმიც, რომლის მეორე ნაწილი თურქულია - **დერე** „ღელე“.

გივნარლი დერე - ოთხთას უბან **გივნარ**'ის მთავარი ღელეა. აქაც, რაღა თქმა უნდა, დასტურდება ქართულ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევა - ფორმა **გივნარლი** ადგილობრივ თურქულ დიალექტზე „გივნარულს“ ნიშნავს და ის ნაწარმოებია აშკარად ქართული მიკროტოპონიმისაგან **გივნარი**, ხოლო სიტყვა **დერე** კი, როგორც უკვე აღინიშნა, თურქულია და „ღელეს“ ნიშნავს.]

მარან დერე - ესეც სოფელ ოთხთას ერთ-ერთი პატარა ღელეა, რომელიც მდ. **ჭოროხს** ერთვის. ჰიდრონიმი აშკარად ქართულ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევითაა წარმოქმნილი: ქართულია **მარანი**, ხოლო თურქულია **დერე**.

საგულე - ოთხთაში, საზაფხულო სამყოფ **ბოლუქბაშგილ**'ის მთავარი ღელეა, რომელიც სათავეს იღებს **საგულე**'ს იალაღიდან და ერთვის სოფლის მთავარ მდინარე **სელანთ**'ს. ჰიდრონიმი აშკარად ქართული წარმომავლობისაა და ნათელი ეტიმოლოგიისაა.

ჯენნეთ დერესი - პატარა მდინარეა, ერთვის **ჭოროხს**. ჰიდრონიმი აშკარად თურქული წარმომავლობისაა და სიტყვასიტყვით ნიშნავს „სამოთხის ღელეს“.

ჩაქილლი დერე - ესეც პატარა მდინარეა და ერთვის **ჭოროხს**. ჰიდრონიმი აშკარად თურქული წარმომავლობისაა და სიტყვასიტყვით ნიშნავს „ხრეშიან ღელეს“.

ამაჩუსთუ დერესი (*yamaçüstü deresi*) - სოფელ **ამაჩუსთუ**'ს მთავარი ღელეა და ერთვის **ჭოროხს**. თურქულად სიტყვასიტყვით ნიშნავს „ფერდობის ზედა მხრის ღელეს“ - ასეთი დასახელება გამომდინარეობს იქიდან, რომ ღელე სათავეს იღებს წაფერდებული მთის ძირში.

ჯეჰენნემ დერესი - ესეც **ჭოროხის** ხეობის ერთ-ერთი პატარა ღელეა. მისი სახელწოდება თურქულია და ნიშნავს „ჯოჯოხეთის ღელეს“. ადგილობრივთა

გადმოცემით, ამგვარი სახელი დარქმევია იმის გამო, რომ საკმაოდ ღრმა და კბოდებიან კანიონს ქმნის, სადაც ჩავარდნა სახიფათოა.

ჰუნგამექ დერესი - ჭოროხის ხეობის სოფელ **ჰუნგამექ**ის მთავარი ღელეა და ერთვის მდ. ჭოროხს. ჩვენეული ვარაუდით, სამეტყველო კოდთა შერევით წარმოქმნილი ჰიდრონიმი უნდა იყოს: **ჰუნგამან** სპარსულად ნიშნავს „ხმაურს, აურზაურს“. ეს ფორმა შესულია სომხურ მეტყველებაში, როგორც პატრონიმი: **ჰუნგამენქ** „ჰუნგამაანი“, ამ უკანასკნელი ფორმიდან იწარმოება ტოპონიმი, ხოლო ჰიდრონიმი კი თავის მხრივ, შეიცავს ტოპონიმსა და თურქულ სიტყვას **დერე** „ღელე“.

ჰაფისორ დერესი - ჭოროხის ხეობაში მდებარე სოფელ **ჰაფისორ**ის ღელე გახლავთ. ჩვენეული ვარაუდით, ტოპონიმი სომხურია: **ჰაბუი ზორ** სომხურად ნიშნავს „ჰაბოს (მამაკაცის სახელია) ხევს“. **ჰაფი ზორ** დასავლურ-სომხურია. **დერე** თურქულად, როგორც აღინიშნა, „ღელეს“ ნიშნავს.

ქილიჩქადა დერესი - სოფელ **ქილიჩქადა**ს (თურქ. **Kılıçkaya** „ხანჯალივით კლდე“) მთავარი მდინარეა, რომელიც ერთვის მდინარე ჭოროხს. ჰიდრონიმი იწარმოება ტოპონიმისაგან **დერე** „ღელე“ ელემენტის მიმატებით.

ჯიჭალა დერესი - სოფელ **ოთხთა**ში, საზაფხულო სამყოფ **ჯიჭალა**ს მთავარი ღელეა. ჰიდრონიმი ნაწარმოებია მიკროტოპონიმ **ჯიჭალა**საგან (ანუ ***ქილ-ჭალა**საგან) თურქული სიტყვა **დერე**ს („ღელეს“) მიმატებით. როგორც ვხედავთ, ისევე როგორც ტაოში დადასტურებული არაერთი სხვა ტოპონიმი ან ჰიდრონიმი, **ჯიჭალა დერესი**ც ქართულ-თურქული სამეტყველო კოდების შერევითაა წარმოქმნილი: პირველი სიტყვა ქართულია, მეორე - თურქული.

2.3. პარხლისწყლის ხეობის ჰიდრონიმია.

მდინარე **პარხლისწყალი** ანუ თურქულად **Barhal çayı** იუსუფელის რაიონში **ჭოროხის** შემდეგ სიდიდით და მნიშვნელობით მეორე მდინარეს წარმოადგენს. სათავე აქვს პონტოს მთებში. მისი საერთო სიგრძეა 40 კმ. სახელწოდება მომდინარეობს სოფლის სახელის მიხედვით. ამ სოფელშია

ცნობილი ქართული ისტორიული ძეგლი - **პარხლის ტაძარი** (აშენდა 973 წ.). ამჟამად ადგილობრივი ქართველები მდინარეს კვლავ **პარხლისწყალს** ეძახიან, ხოლო გათურქებულთა მეტყველებაში კი ჰიდრონიმი ჟღერს, როგორც **პარხალ ჩაი** და ამ უკანასკნელი ფორმიდანვე მომდინარეობს თანამედროვე თურქული (ანუ ოფიციალური) დასახელება. მნიშვნელოვანი შენაკადებია უტაიწევი, ღომელთ დერესი და ა.შ. პარხლისწყალს **Altıparmak çayı** ანუ „ექვსთითა წყალიც“ ჰქვია.

უტაიწევ(ი) [დერესი] - პარხლისწყლის ხეობაში მდებარე სოფელ **უტავ**'ის მთავარი მდინარეა. სათავე აქვს იალაღებზე. ჰიდრონიმი დასტურდება ორი ფორმით: 1. **უტაიწევ(ი)**, რომელიც წმინდა ქართულია და „უტავის ხევს“ ნიშნავს და 2. **უტაიწევ დერესი**, რომელიც წარმოსდგება პირველი ვარიანტისაგან და იმითღა სხვაობს, რომ ერთვის ჰიდრონიმთა მაწარმოებელი ელემენტი **დერე**, რაც თურქულად „ღელეს“ ნიშნავს.

ხახვეთუნ დერე - სოფელ **უტავის** ერთ-ერთი ღელეა. თურქულ-ქართულ სამეტყველო კოდთა შერევის შედეგად წარმოქმნილი ჰიდრონიმია: ქართული მიკროპონიმი **ხახვეთ-ი**, რომლის ეტიმოლოგიაც ნათელია და თურქული **დერე** „ღელე“. ჰიდრონიმში ასევე წარმოდგენილია თურქული დიალექტური ნათეს. ბრუნვის სუფიქსი -უნ.

სანზურე დერე - ესეც სოფელ **უტავის** ერთ-ერთი ღელეა. როგორც ჩანს, ეს ჰიდრონიმიც სამეტყველო კოდთა შერევის შედეგადაა წარმოქმნილი, მაგრამ ელემენტ **სანზურე**'ს მნიშვნელობა ბუნდოვანია - მის ქართულობას მხოლოდ **სა-** ე კონფიქსის გამო ვვარაუდობთ. დერე თურქულია.

ბაქთუნ დერესი - ესეც სოფელ **უტავის** ერთ-ერთი ღელეა. როგორც ჩანს, ჰიდრონიმი სამეტყველო კოდთა შერევის შედეგადაა წარმოქმნილი: **ბაქთუნ** ელემენტი იგივეა, რაც ***ბაგეთ-უნ** ანუ „ბაგეთისა“ - აქ **-უნ** თურქული ნათეს. ბრუნვის ნიშანია. **დერე** თურქულია და ნიშნავს „ღელეს“.

ღომელთუნ დერე - სოფელ **უტავის** ღომელთის უბნის მთავარი ღელეა. სათავეც ამავე უბანში აქვს. ერთვის მდინარე პარხლისწყალს სოფელ ბალხი

ბარის ქვემოთ. ჰიდრონიმი ქართულ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევის შედეგადაა წარმოქმნილი: **ლომელთი** ანუ ***ლომელათი** მიკროტოპონიმია. აქედან მომდინარეობს ჰიდრონიმი **ლომელთუნ დერე** ანუ ლომელთის დელე.

პალ სუფ - სოფელ **გოჯეჯ**ის მთავარი დელეა. ჰიდრონიმი თურქულია და ნიშნავს „ტკბილ (თაფლის) წყალს“ - მასში აისახება ადგილობრივი თურქული დიალექტური წარმოთქმა (პ მკვეთრით), ხოლო თანამედროვე სამწიგნობრო თურქულადაა **Bal suyu**.

გუდასკევ დერესი - პარხლისწყლის ხეობის ერთ-ერთი მდინარეა. ეს ჰიდრონიმი შედგება ორი ნაწილისაგან, რომლის პირველი კომპონენტი - „**გუდასკევ**“ ქართველური წარმოშობისაა: მისი სემანტიკა გამჭვირვალეა. „**გუდა**“ ქართულში თავისი სემანტიკით უკავშირდება ღრმას. ეს არის ტყავის ჭურჭელი, რომელიც მზადდება ცხვრის ან ხბოს ტყავისაგან. ხოლო „**დერესი**“ - თურქული წარმოშობისაა. თვითონ ადგილი, რომელსაც ეწოდება „**გუდასკევ დერესი**“ ჩადრმავებული ადგილი, ხევია, რომელშიც მიედინება პატარა მდინარე, დელე. ტოპონიმის თურქული ნაწილი „დერესი“ დელეს ნიშნავს.

ოგდემ დერესი - სოფელ ოგდემის მთავარი მდინარეა. ტოპონიმიდანვეა წარმოშობილი ჰიდრონიმიც, რომელიც სემანტიკურად ნიშნავს „[სოფელ] ოგდემის დელეს“; ანუ აქ აღწერითი წარმოება გვაქვს.

დიდგოლე დერესი - პარხლისწყლის ხეობის ერთ-ერთი დელეა. სათავე აქვს პარხლის ტაძრის ზემოთ, იალაღებზე, რომელთა დასახელებიდან (**დიდი გოლა** [ლაზ.] „დიდი იალაღი“) მომდინარეობს ჰიდრონიმიც. ცხადია, რომ აქ გვაქვს ქართულ-თურქული სამეტყველო კოდების შერევა - **დერე** ელემენტი, როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, თურქულია და „დელეს“ ნიშნავს. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ იალაღის სახელად **დიდი გოლა** აღარ შემორჩა.

ზემოვან დერესი - პარხლისწყლის ერთ-ერთი შენაკადია სოფელ **უტავის** უბან **ზემოვანში**. ჰიდრონიმი კომპოზიტურია; პირველი ელემენტი აშკარად ქართულია, ხოლო მეორე - თურქული. შესაბამისად, აქაც ქართულ-თურქული სამეტყველო კოდების შერევა დასტურდება.

დუბეთ დერესი - ესეც პარხლისწყლის ერთ-ერთი შენაკადია. ჩამოუდის სოფელ უტავის უბან **დუბეთს**: როგორც ცნობილია, ამ უკანასკნელ ტოპონიმს საფუძვლად უდევს სიტყვა **დუბე** „ჩავარდნილი ადგილი“. ჰიდრონიმი კი უკვე ქართულ-თურქული სამეტყველო კოდების შერევითაა წარმოქმნილი: **დუბეთ დერესი** სიტყვასიტყვით „დუბეთის ღელეა“, ოღონდ მისი პირველი ელემენტი ქართულია, ხოლო მეორე კი - თურქული.

ფარმაქლარ დერესი - პარხლისწყლის ერთ-ერთი შენაკადია. ჰიდრონიმი წმინდა თურქულია და სიტყვასიტყვით ნიშნავს „თითების ღელეს“. ამგვარი სახელი, ადგილობრივთა განმარტებით, ღელეს დაერქვა იმიტომ, რომ სათავეს იღებს რამდენიმე წვრილი, უსახელო ნაკადულის შეერთებით. ეს ნაკადულები კი, თავის მხრივ, თითების ასოციაციას იწვევს.

ყიშლა დერესი - პარხლისწყლის ერთ-ერთი შენაკადია. სათავეს იღებს იალალებიდან, საიდანაც მომდინარეობს მისი სახელწოდებაც: თურქულად ის სიტყვასიტყვით ნიშნავს „იალალის ღელეს“ წმინდა თურქული, კომპოზიტიური ჰიდრონიმია.

კევისკარის წყალი//ღელე - ესეც პარხლისწყლის ხეობაშია. ჰიდრონიმი კომპოზიტიურია და წმინდა ქართული სახით შემორჩენილია დღემდე. ტაოელ ქართველებს მის სათავესთან აქვთ იალალები და საზაფხულო სამყოფი. რაც შეეხება ეტიმოლოგიას, ის ნათელია: **კევისკარი** ანუ ხეობაში შესასვლელი და **წყალი//ღელე**.

ჭანჭახ სუფ - პარხლისწყლის ხეობაში. სათავეს იღებს **ჭანჭახ**-ის იალალზე და აქედან გამომდინარეა დასახელებაც, რომლის პირველი ელემენტიც, რაღა თქმა უნდა, ქართულია: **ჭანჭახი** „თხელი ტალახი“ (ქეგლ); (ხევს.,ზ.აჭარ.) - ჭაობი (ჭინჭარაული, 225); ჭაობიანი, წყლიანი ადგილი, სახნავ-სათესად უვარგისი მიწა (დლონტი, 1984) ; ჭანჭახაი ჭალის სახელად დასტურდება იმნიეთში (იმერხევი) (მიქაუტაძე, ფუტკარაძე, 2006: 196). მეორე ელემენტი - **სუფ** თურქულია და ნიშნავს „წყალს“.

ყარანლუხ დერე - პარხლისწყლის ხეობაში ერთ-ერთი დელეა. სახელი წმინდა თურქულია: **karanlık deresi** „ბნელი დელე“; ჰიდრონიმში ასახულია ადგილობრივი დიალექტური წარმოთქმა და უიზაფეთო წყობა.

ჩამურლუ დერე - პარხლისწყლის ხეობაში პატარა დელეა. სათავეს იღებს ჭაობიანი ადგილიდან. აქედან მომდინარეობს მისი სახელწოდება: თურქულ ენაზე **Çamurlu dere** „ტალახიანი დელე“.

გუმათვევ დერე - პარხლისწყლის ხეობაშია. ჰიდრონიმი კომპოზიტურია და წარმოქმნილია ქართულ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევის შედეგად: **გუმათვევ**- ელემენტში, **გუმათ** შეიძლება „გუმბათი“ იყოს. ამ ხეობაში ძველი ეკლესია უნდა ყოფილიყო. სხვა ვერსიით, შდრ.: ლაზური **გუმა** „ღომის ცეხვის დრო“ და **-ათ** სუფიქსი (**-ეთ** სუფიქსის ვარიანტი); **ვევ**- ცხადია, „ხევია“. მეორე ელემენტი **დერე** თურქულია და ნიშნავს „დელეს“.

ერმენჯევ(ი)/არმენჯევ(ი) - პარხლისწყლის ერთ-ერთი შენაკადია. ჩამოუდის სოფ. **ჯევეგ-ი-ერმენ**’ს, რომლის ქართული სახელია **ერმენჯევ(ი)**. საგულისხმოა, რომ ეს წმინდა ქართული წარმოშობის ჰიდრონიმია. ქართულისთვის უფრო ბუნებრივი **სომეხ**- ლექსემის ნაცვლად, ტოპონიმშიც და ჰიდრონიმშიც წარმოდგენილია დღეს თურქულ და ევროპულ ენებში პოვნირი **ერმენ- // არმენ**- ფუძე. საფიქრებელია, რომ ტაოელები ასხვავებდნენ **სომეხებსა** და **არმენებს** - უკანასკნელი დასახელებით ისინი ალბათ დასავლელ სომეხებს (ხემშილებს, ერზინკელებს...) იხსენიებდნენ. სემანტიკურად **არმენჯევ(ი)** ჰიდრონიმი, ნიშნავს „სომხურ ხევს“. ტ. ფუტკარაძის აზრით, რამდენადაც ამავე სახელით ცნობილი სოფლის (**ერმენჯევი**) მიკროტოპონიმია ქართულია, სოფელს ეს სახელი შეიძლება დაერქვა იმიტომ, რომ ამ სოფელში ცხოვრობდნენ გრიგორიანელი ქართველები.

ვანისჯევ(ი) (küplüce deresi) - პარხლისწყლის ერთ-ერთი შენაკადია. სათავე აქვს იალაღებზე. ჩამოუდის სოფელ **ვანისჯევის** ქართულ უბან **მახათეთს**. მისი სახელწოდება წმინდა ქართულია: **ვანის ჯევი** ნიშნავს „მოსასვენებლის ხეობას“; თურქული სახელწოდება კი (რომელიც დღეისთვის

ოფიციალურად იხმარება) ითარგმნება, როგორც „პატარა ქვევრის ღელე“ - ადგილობრივთა თქმით, ასე უწოდეს იმიტომ, რომ მდინარის მიმდებარე ტერიტორიაზე უწინ ხშირად პოულობდნენ ხოლმე პატარა ქვევრებს.

დადაბერა - პატარა ღელეა ვანისკევის უბან მახათეთში. ჩვენი აზრით, ჰიდრონიმი ქართულია: ამოსავალი უნდა ყოფილიყო **დედაბერა**. შდრ. ასევე, ანალოგიური სემანტიკის მქონე მიკროტოპონიმი **ხჩინგელაღურელი** ანუ „დედაბერდამკვდარი“ სოფელი სარფის სიახლოვეს, საქართველო-თურქეთის საზღვარზე. ტაოური ჰიდრონიმი მიღებული უნდა იყოს მიკროტოპონიმისგან, რომელიც თავის მხრივ, დაკარგული ჩანს.

ფიქალლარ დერესი - ესეც მახათეთის უბნის ღელეა. ჰიდრონიმი აშკარად ქართულ-თურქული სამეტყველო კოდების შერევის შედეგადაა წარმოქმნილი - მისი პირველი ნაწილი **ფიქალ-** აშკარად ქართულია: ეს ფუძე ხშირად იჩენს თავს ტოპონიმთა წარმოქმნის დროს მესხეთში - მაგალითად, ე.წ. ქვეშა მთაზე არის საზაფხული საძოვარი, რომელსაც **ფიქლური** („ფიქალ-ფიქალ ნაგები მთა“) ჰქვია. **-ლარ** სუფიქსი თურქულია, ისევე, როგორც მეორე ნაწილი **დერე**, რომელიც „ღელეს“ ნიშნავს. ამდენად, **ფიქალლარ დერესი** სემანტიკურად ნიშნავს „ფიქლების ღელეს“.

ოდათ - სოფელ ვანისკევის ერთ-ერთი პატარა ღელეა. ჰიდრონიმი, ჩვენი აზრით ქართულია, თუმცა მისი ეტიმოლოგია ჩვენთვის გაურკვეველია.

ტაბაღაწყარო - უბან მახათეთის მთავარი წყაროა. ჰიდრონიმი აშკარად ქართულია: **ტაბაღა** იგივეა, რაც **ტაბაკა** ანუ „სართული“. მართლაც, ამ წყაროს წყალი ჩანჩქერივით, სართულ-სართულ გადმოდის.

წპინწყარო - ესეც იმავე უბნის წყაროა. ჰიდრონიმი აშკარად ქართულია და ჩვენეული ვარაუდით, წარმოქმნილი უნდა იყოს ასე: ***წიფლის წყარო > *წიფლი წყარო > *წფილი წყარო > წპილ წყარო > წპინწყარო**.

ფუნდარგოზე - ესეც მახათეთის წყაროა და ჩვენეული ვარაუდით, ძალზე საინტერესო წყობა აქვს: **ფუნდარ-ი გორზე** ანუ გორაკზე მდებარე წყარო. მისი პირველი ნაწილი **ფუნდარ-ი** თურქულია - ქართულ მეტყველებებში ეს სიტყვა

შეთვისებულია ადგილობრივი თურქული დიალექტიდან, სამწიგნობრო თურქულში კი გვაქვს ფორმა *pınar*. მართალია, -ზე რთული ბრუნვის ნიშნის (ზოგი მეცნიერის კლასიფიკაციით - თანდებულის) ტოპონიმებში პოვნისებრა ტაო-კლარჯეთისთვის ცოტათი უჩვეულოა, მაგრამ ქართულ ონომასტიკაში ასეთი შემთხვევები დასტურდება. ფუნდარგოზე ჰიდრონიმში დაკარგულია -გორზე ელემენტის რ თანხმოვანი.

მურწუქ დერესი - ღელეა სოფელ ვანისკევეში. ჰიდრონიმი კომპოზიტიური გახლავთ: მისი მეორე ნაწილი აშკარად თურქულია და „ღელეს“ აღნიშნავს, თუმცაღა ჩვენთვის გაუგებარია, რას უნდა ნიშნავდეს პირველი ნაწილი **მურწუქ** - შესაძლებელია, ის იგივე იყოს, რაც **მუწუკი** და სემანტიკურად ეს სახელწოდება „მუწუკის [მოსარჩენ] ღელეს“ გულისხმობდეს.

ქოშათ დერესი - ესეც სოფელ ვანისკევის ერთ-ერთი ღელეა. ჰიდრონიმი კომპოზიტიურია: მისი პირველი ნაწილი უდავოდ წარმოებულია ქართული მიკროანტროპონიმისაგან **ქოშა**, მეორე ნაწილი - **დერე** - თურქულია. უწინ, ალბათ **ქოშათ კევი** ან **ქოშათ ღელე** იქნებოდა.

ჭანნახ დერესი - ღელეა სოფ. ვანისკევეში იმავე დასახელების ადგილზე. ელემენტი **ჭანნახ**, ჩვენი აზრით, უნდა უკავშირდებოდეს ფორმა **ჭანჭახ**-ს ანუ „ჭაობიან ადგილს“, ხოლო მეორე ელემენტი - **დერე** - თურქულია.

კანის კევი - ღელეა ვანისკევის უბან **ჭილათში**. ეტიმოლოგია ნათელია და ჰიდრონიმის ქართულობაც ეჭვქვეშ არ დგება.

მეზერლული კევი - ესეც ჭილათის უბნის ერთ-ერთი ღელეა. ჰიდრონიმი წარმოქმნილია ქართულ-თურქული სამეტყველო კოდების შერევის შედეგად: თურქული დიალექტური ლექსემა **მეზერლუხ**, რომელიც მესხურ და ლაზურ კილოებში **მეზერლული**//**მეზარლული** ფორმითაა შესული, „სასაფლაოს“ ნიშნავს (მისი ძირი - **მეზერ** „საფლავი“ - არაბულია), ხოლო **კევი**-ი კი, რა თქმა უნდა, ქართულია.

ეონწოლოთ კევი - ესეც ჭილათის უბნის ერთ-ერთი ღელეა. ჰიდრონიმი აშკარად ქართული ეტიმოლოგიისაა: **ეონწულა** ლაზურად „დასაკიდებელს“

ნიშნავს. ამ ლექსემას ერთვის -**ეთ** სუფიქსის ვარიანტი -**ოთ**. სემანტიკურად კი, ამ ჰიდრონიმის მნიშვნელობა იქნება „დასაკიდებლიანთ ხეობა“; უნდა ითქვას ისიც, რომ ჰიდრონიმის ფუძედ უნდა მივიჩნიოთ აწ უკვე გამქრალი, ძველი მიკროტოპონიმი **ეონწოლოთი**.

ელიათვევის გევი - სოფელ ვანისგევის უბან ელიათვევის მთავარი ღელე. ჰიდრონიმი ნათელი ეტიმოლოგიისაა და წმინდა ქართულია.

2.4. თორთუმისწყლის ხეობის ჰიდრონიმია.

მდინარე **თორთუმისწყალი** ანუ თურქულად **Tortum çayı** - მდ. ჭოროხის ერთ-ერთი შენაკადია, რომელსაც სათავე აქვს ერზურუმის ოლქის ტერიტორიაზე - ქარგაფაზარის მთებში. მისი ქვემო დინების აუზი - სოფელ **აშბიშედიდან** შესართავამდე იუსუფელის რაიონში შემოდის. ხეობის მცხოვრებნი ენობრივად უკვე გათურქებულები არიან. მათ სოფლებში სულ აღარ გვხვდება ქართულენოვანი ონიმები. ამისდა მიუხედავად, ჩვენ წარმოგიდგენთ იმ ჰიდრონიმებს, რომლებიც საინტერესოდ გვეჩვენა:

ხანუმუნ დერესი (hanımın deresi) - ღელეა. სახელწოდება თურქულია და ითარგმნება, როგორც „ქალბატონის ღელე“. ადგილობრივთა გადმოცემით, აქ იყო მეფე თამარის სადგომი და ღელესაც იმიტომ ეწოდა ამგვარი სახელი.

გაულლუ დერე (Güllü dere) - ღელეა. მისი სახელწოდებაც თურქულია და ითარგმნება, როგორც „ვარდებიანი ღელე“. ადგილობრივების გადმოცემით, ეს ადგილი თამარ მეფეს დაულოცავს და მას შემდეგ აქ სულ ვარდები ხარობს.

III თავი

იუსუფელის რაიონის ტოპონიმები და ჰიდრონიმები ოსმალურ არქივებში

3.1. იუსუფელის რაიონის მიწები ოსმალეთის იმპერიაში.

ამჟამინდელი იუსუფელის რაიონის ტერიტორია ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა XVI საუკუნის 70-იანი წწ. ბოლოდან. ოსმალებმა იქაურ მოსახლეთა საყოველთაო აღწერა ჩაატარეს 1579-1580 წლებში და შექმნეს ფეთეჟრეჟის ანუ ფეთერეჟის სანჯაყი (სადროშო) არზრუმის საბეგლარბეგოს შემადგენლობაში, თუმცა მალევე, იუსუფელის ამჟამინდელი ტერიტორია გადავიდა ჩილდირის საბეგლარბეგოს გამგებლობაში. 1632 წელს, ფეთეჟრეჟის სანჯაყი შევიდა უკვე ყარსის საბეგლარბეგოს შემადგენლობაში.

ოსმალური მმართველობის (ე.წ. „ნიზამ-ი ოსმანის“) დამყარებისთანავე, როგორც ითქვა, ოსმალებმა აღწერეს ადგილობრივი მოსახლეობა. აღწერის წიგნებში მოცემულია არამართო ამჟამინდელი იუსუფელის რაიონის ტერიტორიაზე მაშინ არსებული სოფლების დასახელებები, არამედ ასევე ისიც, თუ რომელ რელიგიას მისდევდა იქაური მოსახლეობა, რამდენი იყო ქალთა და კაცთა ხვედრითი წილი მათ შორის და ა.შ.

აქვე აღსანიშნავია: როგორც თანამედროვე თურქი ისტორიკოსი მუამერ დემირელი წერს, ქრისტიანთა რაოდენობა რაიონში თვით XVIII საუკუნის დასასრულამდეც კი არ ჩამორჩებოდა მუსლიმანებისას: მაგალითად, 1571 კომლიან ქისქიმის ნაჰიეში ქრისტიანი იყო 1612 კაცი, მუსლიმანი კი - 4060 კაცი. მთლიანად სანჯაყში კი ქრისტიანთა რაოდენობა 3 ათას კაცს აჭარბებდა.

მაშინ ფეთეჟრექის სანჯაყში იყო 10 მეჩეთი, 12 ეკლესია, 10 მუსლიმანური მედრესე და 13 ქრისტიანული დაწყებითი სკოლა.¹⁴

ქვემოთ ჩვენ წარმოვადგენთ ტაბულას, რომელშიც მოცემულია ამჟამინდელი იუსუფელის რაიონის სოფლების მოსახლეობის რაოდენობა და ოჯახური მდგომარეობა 1555 წელს (ამასიის ზავის დადების დროს, როცა ეს მიწები ოსმალეთის გავლენის სფეროდ ჩაითვადა) და 1574 წელს, როცა აღწერისათვის დაიწყო მზადება (დემირელი, 2010:323):

Köy İsimleri	1555 Tarihinde			1574 Tarihinde		
სოფლის სახელები	Hane (კომლი)	Mücerred (სული)	Tahmini Nüfus	Hane (კომლი)	Mücerred (სული)	Tahmin i Nüfus (სულ)
Pertekrek	10		50	98	37	527
Givnar	3		15	18	8	98
Göcek	7	2	37	52	25	285
Kiskim	65		625	191	65	1.020
Ersis	73		365	289	112	1.557
Solporek (Söllek)	16		80	20	7	207
Nihah	30	1	151	50	15	265
Çörgens-i Ulya	28	12	152	86	26	456
Çörgens-i	17	3	88	12	3	63

¹⁴ იხ.: <http://www.yusufeli.gov.tr/yusufelinin-tarihi> დამოწმებულია 12.04.18

Süfla						
Orçanak (Oşnak)	28	13	153	90	28	478
Hav	4	1	21	12	5	65
Hüngamek-i Ulya ve Süfla	Bu yazımda nüfus yazılmamıştır.			28	8 12	148
Habkanis	8	7	1 47	28		152
Karakarmış/ Vank	Bu yazımda nüfus yazılmamıştır.			23	8	123
İsator	Bu yazımda nüfus yazılmamıştır.			52	18	278
Hamrut	Bu yazımda bu köyler Yazılmamıştır.			23	7	122
Kidason				12	5	65
Arkil				10	5	55
Kisporot				18	6	96
Kirkicor	18	1	91	2	3	13
Hoduçur	Bu yazımda nüfus yazılmamıştır.			334	134	1.804
Kudreşen	30	1	151	103	36	551
Hohurgut	Bu yazımda Nüfus yazılmamıştır.			57	24	309

Karmirik	11	3	58	51	27	282
Toplam (ჯამი)	348	44	1.284	1.659	624	9.019



ძველი ტოპონიმები იუსუფელის გამგეობის მიერ შექმნილ რუკაზე

ამდენად, იუსუფელის რაიონის ძველი ონომასტიკა წარმოდგენილია ოსმალურ აღწერის წიგნებში. აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ოსმალებს თითქმის არც კი შეუცვლიათ დასახლებული პუნქტების სახელწოდებები - მათ უბრალოდ, ისინი ისე ჩაიწერეს, როგორც ესმოდათ

ანდა როგორც არაბულ-ოსმალური ანბანი იძლეოდა ამის საშუალებას. მაგალითად, 1579-1580 წწ. აღწერის წიგნებში მოცემულია იუსუფელის რაიონის შემდეგი სოფლების დასახელებები: **ფეთეჟრეჟ** // **ფეთერეჟ** (დღეს **Çevreli Köyü**), **ნოხს** (**Yokuşlu köyü**), **ერსის** (**Kılıçkaya**), **ოშნაჟ** (**Köprügören**) და ა.შ. უნდა ითქვას, რომ ამ სახელწოდებებს ადგილობრივი, ენობრივად უკვე გათურქებული მოსახლეობა დღემდე აქტიურად იყენებს.

დავძენთ იმასაც, რომ იმავე აღწერის წიგნებში მწირია ინფორმაცია იმ მაღალმთიანი სოფლების შესახებ, სადაც დღეს შემორჩენილია ქართული მეტყველება - ტაოური დიალექტი. ვგონებთ, ამისი მიზეზი უნდა იყოს ის, რომ ოსმალთა აღმწერებმა იქამდე ვერ ააღწიეს. სამაგიეროდ, მოცემულია აშკარად ქართული წარმომავლობის ტოპონიმები, როგორებიცაა, მაგ., **ერკინისი** (დღეს **Demirkent**), **ნიზგოვანი** (**Demirköy**) და ა.შ.

აღწერის დოკუმენტებში წარმოდგენილი მასალის გაანალიზების შედეგად ცხადი ხდება, რომ როგორც უკვე ითქვა, ოსმალები ძირითადად, ინარჩუნებდნენ დასახლებული პუნქტების ძველ სახელწოდებებს - ჩვენი ვარაუდით, ამისი მიზეზი უნდა ყოფილიყო ის, რომ მათში ძირითადად, არათურქული მოსახლეობა ცხოვრობდა, რომელთა მიმართ სულთნის კარი ღმობიერებას იჩენდა და არ ავიწროვებდა. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ არათურქულ მოსახლეობაში თურქული ენისა და ისლამის დანერგვა ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ნაბიჯ-ნაბიჯ, ნელ-ნელა წარმოებდა (დემირელი 2010: 123). ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ სოფელ **ერკინისსა** და **ნიზგოვანში** ქართული ამჟამად აღარავინ იცის, თუმცაღა ქართულ-თურქული სამეტყველო კოდების შერევა/აღრევის პროცესი იქ თვით XX საუკუნის დასაწყისამდე უნდა გაგრძელებულიყო. ამასთან, ჩანს **ერკინისში** ქართული მეტყველება პოზიციებს 50-იან წლებამდეც ინარჩუნებდა - მაშინ, როგორც ცნობილია, თურქეთის რესპუბლიკაში არათურქული წარმომავლობის თითქმის ყველა ტოპონიმი (და ასევე - ოსმალური ტოპონიმებიც, რომლებიც თურქული ენის კანონზომიერებებს არ ემორჩილებოდა) მასობრივად

შეიცვალა. საყურადღებოა, რომ ქართული ტოპონიმი **ერკინისი**, რომელიც ოსმალურ წყაროებშიც ამ ფორმით დასტურდება, იმ დროს პირდაპირ ითარგმნა თურქულად - **Demirkent** სწორედ „რკინის დასახლებას“ ნიშნავს.

რაც შეეხება მეორე ქართულ სახელს - **ნიზგოვანს**: იქაც, როგორც ჩანს, ქართულენოვანი მოსახლეობა მკვიდრობდა ოსმალების მოსვლისას, თუმცაღა შემდეგ, თანდათან, მათ განიცადეს ასიმილაცია და შეითვისეს თურქული ენა. ქართველურ-თურქული სამეტყველო კოდების შერევა/აღრევა ამ სოფელშიც ისევე, როგორც ტაოს სხვა დასახლებულ პუნქტებში, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გრძელდებოდა, მაგრამ აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ უკვე XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან, **ნიზგოვანის** (ასეა მოცემული სოფლის სახელი ოსმალურ დოკუმენტებში, არაბულ-ოსმალური გრაფიკით) სიახლოვეს მკვიდრდებიან მომთაბარე თურქმენული ტომები - ავშარები. შესაბამისად, ქართულ მოსახლეობას უწევს მათთან მჭიდრო კონტაქტი და აქედან გამომდინარე, მათი დიდი ნაწილი ითვისებს მომხდურების მოტანილ თურქულ ენას. დავძენთ იმასაც, რომ ქართულმა მეტყველებამაც, თავის მხრივ, დიდი გავლენა მოახდინა თურქულზე და ამ ორმხრივი კონტაქტის შედეგად წარმოიქმნა იუსუფელის რაიონის ტერიტორიაზე დღეს გავრცელებული თურქული დიალექტური მეტყველება, რომელსაც ბევრი მკვლევარი (მაგალითად, იხ. ვეჯილოვი, 1973:45) თურქული ენის ჭოროხული დიალექტის ნაწილად მიიჩნევს და რომლის სუბსტრატულ ფენას წარმოადგენს ქართული ენა (ტ. ფუტკარაძე). შდრ., თურქოლოგები არ უარყოფენ, რომ ჭოროხულში დადასტურებული მკვეთრი თანხმოვნები, რომლებიც იბერიულ-კავკასიურ ენებს (მ.შ. ქართულს) ახასიათებს, იქ სწორედ ენობრივ კოდთა ხანგრძლივი შერევა/აღრევის შედეგად გაჩნდა (შორი, 1939:67). ამრიგად, XVII საუკუნის დასასრულიდან მოყოლებული, სოფელ **ნიზგოვანში** უმეტესად ქართულ-თურქულ ნარევ კილოზე უფრო ხშირად მეტყველებდნენ, ვიდრე ქართულად ან თურქულად. შემდგომ კი ადგილობრივმა მოსახლეებმა უკვე მთლიანად თურქული ენა შეითვისეს.

მართლაც XVIII საუკუნით დათარიღებულ ოსმალურ დავთარში სოფლის შვიდი უბნის სახელწოდებიდან ექვსი უკვე თურქულია (**აჰმეთოღლუ, ჯამი, ედრიტაშ, მუსაგილ, ორთაქიო, მონჯალჯე**), ხოლო ქართულია მხოლოდ ერთი (**გეისკარ**, ანუ ოსმალურ-არაბული დაწერილობით **ხეისქარ**; სამწიგნობრო ქართული ფორმა უნდა ყოფილიყო **ხევის კარი**).

XIX საუკუნის დასაწყისიდან, ფეთერექის სანჯაყის ადმინისტრაციულ ცენტრად საბოლოოდ დამკვიდრდა სოფელი **ქისქიმი**, რომელიც სანჯაყის შემადგენლობაში ცალკე **ნაჰიეს** (თემს) შეადგენდა. ქისქიმის თემის მეთაური (მუდირი) იყო **დერვიშ ბეი**. თვით სოფელში კი ცხოვრობდა 5672 კაცი. მათ შორის მუსლიმანები უკვე უმრავლესობა იყო და ისინი შვიდჯერ აღმატებოდნენ ქრისტიანებს. საყურადღებოა, რომ ამ პერიოდიდან იქ ჩნდებიან მოსულების: ბოშების, თურქმენებისა და სხვათა წარმომადგენლები, რომლებიც - როგორც ოსმალთა აღწერის დოკუმენტებშია მოცემული, - ხელობით მჭედლები, ჩალვადრები ან დურგლები იყვნენ.

1877-1878 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ, დღევანდელი იუსუფელის რაიონის ტერიტორიის მეტი წილი ისევ ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში დარჩა, ხოლო რუსეთის შემადგენლობაში კი მოხვდა მხოლოდ სოფელ **ქობაძე**ს ჩრდილოეთით მდებარე იალაღების ტერიტორია. ამიერიდან, როგორც მუამერ დემირელი წერს, ფეთერექის სანჯაყი სასაზღვრო მიწად იქცა და იქ ამოქმედდა სხვადასხვაგვარი შეზღუდვა, რაც ცხადია, საზღვრის დემარკაციასთან იყო დაკავშირებული.¹⁵ მოგვიანებით, რუსეთში გადასასვლელი სასაზღვრო პუნქტები გაიხსნა სოფელ **მელოსა** და **ხოდში**: მელოდან გზა გადადიოდა **ართვინში**, ხოლო ხოდიდან კი - **არტანუჯში**.

სასაზღვრო ზონად ქცევის შემდეგ - 1885 წლიდან, ყოფილი **ფეთერექის სანჯაყის** ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა **ქისქიმის კაზა** (რაიონი), რომელიც 9 **ნაჰიეს** (თემს) და 61 სოფელს მოიცავდა. თემებად ჩაითვალა **ერსისი**,

¹⁵ იხ.: <http://www.yusufeli.gov.tr/yusufelinin-tarihi> დამოწმებულია 12.04.18

ფეთერეკი, ოშნაქი, ხოდუჯური, ბალხი, უტავი (ოსმალური წყაროს მიხედვით - უდავ), არჯივანი, ზორი და მილო. ნაჰიეს ცენტრების ეს სახელები, როგორც ვხედავთ, ოსმალებს არც ამჯერად შეუცვლიათ: წარმოდგენილ ტოპონიმთაგან არცერთი არ არის თურქული. ქისქიმის კაზა, თავის მხრივ, დაექვემდებარა ისევ ერზრუმის ვილაიეთს (პროვინციას)

ამგვარი ვითარება შენარჩუნდა I მსოფლიო ომის დასაწყისამდე. შემდეგ კი დაისვა საკითხი, რომ ქისქიმის კაზას სახელი გადარქმეოდა.

3.2. იუსუფელის რაიონის წარმოქმნა.

როგორც იმჟამინდელ ოსმალურ წყაროებშია მითითებული, ერზრუმის პროვინციის ქისქიმის/ქესქიმის რაიონისა და ანკარის პროვინციის ქესქინის რაიონის სახელების მსგავსების გამო ხშირად ხდებოდა შეცდომები საფოსტო გზავნილების დარიგებისას.

საფოსტო გზავნილების შეცდომით დარიგების თავიდან აცილების მიზნით საფოსტო-სატელეგრაფო ზედამხედველობამ შიდა (სახელმწიფო) ზედამხედველობას შესთავაზა, სახელი ქისქიმი შეცვლილიყო დასახელებით ერსისი. ამ წინადადების მუხედავად შიდა ზედამხედველობამ, 1914 წლის 7 თებერვლის მითითებით, ანკარის პროვინციის მმართველობას შესთავაზა შეეცვალათ სახელი ქესქინი. ამ მითითებას ანკარის პროვინციმა უპასუხა, რომ ქესქინის რაიონი ანკარის განვითარებული რაიონი იყო. ამავე დროს ქესქინი წარმოადგენს თურქულ სახელს და შესაბამისად უფრო მართებული იქნებოდა შეცვლილიყო სახელი ქისქიმი.

აღნიშნულიდან გამომდინარე შიდა ზედამხედველობამ 1914 წლის 24 თებერვალს ერზრუმის პროვინციას გასცა განკარგულება ქისქიმის რაიონის სახელი შეცვლილიყო შესაფერისი დასახელებით. ერზრუმის პროვინციამ, 1914 წლის 6 მარტს, შესაბამისი ბრძანება გასცა ქისქიმის რაიონს. ქისქიმის რაიონის მეჯლისი შიკრიბა 1914 წლის 6 მაისს (1330 წლის 23 აპრილი) და განიხილა აღნიშნული საკითხი.

რაიონისათვის შესაფერისი სახელის შერჩევის მიზნით რაიონის მეჯლისი, რაიონის მმართველის, აჰმეთ ნეჯათ-ბეის თავმჯდომარეობით, 1914 წლის 6 მაისს შეიკრიბა მეჯლისის სააქტო დარბაზში. დარბაზის კედელზე გამოფენილ სურათზე გამოსახული სასულთნოს ტახტის მემკვიდრის, შაჰზადე (უფლისწულ) იუსუფ იზზედდინ ეფენდის სახელის პატივისცემის ნიშნად, მეჯლისის თავმა აჰმეთ ნეჯათ-ბეიმ მეჯლისს შესთავაზა რაიონს დარქმეოდა სახელი **იუსუფელი**. მეჯლისმა კენჭისყრით დაადასტურა წარმოდგენილი ცვლილება. აღნიშნული გადაწყვეტილება, რაიონის მეჯლისის ყველა წევრის მიერ ხელმოწერილი ოქმის სახით, იმავე დღეს აცნობა ერზურუმის პროვინციას.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაში აღნიშნული იყო, რომ მას შემდეგ რაც უარი ითქვა რაიონის ცენტრს დარქმეოდა **ერსინი**, საფოსტო განყოფილებებში წარმოქმნილი შეცდომების აღმოფხვრის მიზნით, უსარგებლო იქნება **ქისქი** დასახელების შენარჩუნება და მიზანშეწონილია დასახელების შეცვლა. აღნიშნულიდან გამომდინარე რაიონის ძველი დასახელება **ქისქი** სასურველია შეიცვალოს **იუსუფელი** სახელით, სასულთნოს ტახტის მემკვიდრის, შაჰზადე იუსუფ იზზედდინ ეფენდის სახელის პატივისცემის ნიშნად. რაიონის მეჯლისი შედგებოდა რაიონის მმართველ აჰმეთ ნეჯათ-ბეის, ყადის, მუფთის, ოფიციალური საქმისმწარმოებლის (ქათიბი), ორი არჩეული მუსლიმანი და ორი არამუსლიმანი წევრისაგან.

მეჯლისის მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება პროვინციის მმართველობამ აცნობა ქვეყნის მმართველობას (მთავრობას). ქვეყნის მმართველობამ დაამტკიცა მიღებული გადაწყვეტილება და ფადიშაჰ მეჰმედ რეშანის ფირმანით **ქესქიმის** რაიონს ეწოდა **იუსუფელი**.

ქვემოთ ჩვენ წარმოვადგენთ ოსმალეთის სახელმწიფო არქივიდან ამოღებული სათანადო დოკუმენტაციის (მიწერ-მოწერისა და ბრძანებების) ქართულ თარგმანს. დედანი - ოსმალური ტექსტი (ლათინური გრაფიკით) შეგიძლიათ იხილოთ დანართში:

DH_id__00097_2_00045_001_001

ანკარის ვილაიეთის მმართველობას

აღნიშნულ განცხადებაში სატელეგრაფო სამსახურის რეგიონალურმა მართველობამ წინადადებით მიმართა ანკარის ვილაიეთის მმართველობას, რათა ანკარის ვილაიეთის ქესქინის რაიონის დასახელება შეცვლილიყო სხვა დასახელებით, რადგან ერზრუმის ვილაიეთის ქესქიმის რაიონისა და ანკარის ვილაიეთის ქესქინის რაიონის დასახელებების მსგავსება ხშირად იწვევდა საფოსტო გზავნილების არასწორ მისამართზე დაგზავნას.

DH_id__00097_2_00045_002_001

Devlet-i Osmâniye

Posta ve Telgraf ve Telefon Nezâreti

Posta Umûru Müdüriyeti

İşletme Kalemî

Husûsî 244

საკითხის არსი: ქესქიმ და ქესქინ დასახელებების ერთმანეთთან მსგავსების გამო ქესქიმ დასახელების შეცვლა და ძველი დასახელების, ერსის-ის აღდგენა

შინაგან საქმეთა სამინისტროს

აღნიშნულ განცხადებაში სატელეგრაფო სამინისტრო მიმართავს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ ერზრუმის ვილაიეთის ქესქიმის რაიონისა და ანკარის ვილაიეთის ქესქინის რაიონის დასახელებების მსგავსებიდან გამო საფოსტო გზავნილების არასწორ მისამართზე დაგზავნის თავიდან აცილების მიზნით ქესქიმის რაიონს დაუბრუნდეს ძველი დასახელება ერსისი.

DH_id__00097_2_00045_002_002

Posta 745

İrâde-i Umumiye

Fî 25 Kânun-ı Sâni sene 329

2

239

Lütfi Bey'e

25

Vilâyetten istifsâr

Kaleme 25

DH_İD___00097_2_00045_003_001

Evrak Umumi Numarası 1042

Müsevvidi (İSİM)

Kalem Numarası 2797

Târih-i tebyiz Fî 28 Rebîü'l-Evvel sene 332 / Fî 11 Şubat sene 329

ერზრუმის ვილაიეთის მმართველობას

საფოსტო სამინისტრო მიმართავს ერზრუმის ვილაიეთის მმართველობას, რომ ერზრუმის ვილაიეთის ქესქიმის რაიონისა და ანკარის ვილაიეთის ქესქინის რაიონის დასახელებების მსგავსებიდან გამო საფოსტო გზავნილების არასწორ მისამართზე დაგზავნის თავიდან აცილების მიზნით ქესქიმის რაიონის დასახელება შეიცვალის სხვა დასახელებით.

DH_İD___00097_2_00045_004_001

Ankara Vilâyeti

Mektubi Kalemî

Umumi 23753

Hususi 1090

შინაგან საქმეთა სამინისტროს

ანკარის მმართველი ატყობინებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ ქესქინის რაიონი უძველესი დროიდან ატარებს ამ სახელს. ეს არის ნამდვილი თურქული წარმოშობის დასახელება და ის არასდროს შეცვლილა. ქესქინი წარმოადგენს ვილაიეთის მნიშვნელოვან და განვითარებად რაიონს და მიმოწერაში არსებული შეცდომების აღმოფხვრის მიზნით უფრო მიზანშეწონილია შეიცვალოს ქესქიმის რაიონის დასახელება. თუ აუცილებელია რაიონის დასახელების შეცვლა, საურველი იქნება გავითვალისწინოთ რაიონის ცენტრალური დასახლების დინექ მადენი-ს სახელი და რაიონს დაერქვას დენექ მადენი.

ანკარის ვალი

ჰულუსი

DH_id__00097_2_00045_004_002

ანკარა

ერზურუმის ვილაიეთის განმარტება ქესქიმთან დაკავშირებით

DH_id__00097_2_00045_005_001

Evrak Umumi Numarası 172

Müsevvidi (İSİM)

Kalem Numarası 2063

Tarih-i tesvid 11 Mayıs sene 330

Târih-i tebyiz 12 Mayıs sene 330

დიდი სავეზირო

ერზრუმის ცენტრალური სადროშოს შემადგენლობაში არსებული ქესქიმის და ანკარის ვილაიეთის ქესქინის რაიონის სახელების მსგავსების გამო საფოსტო გზავნილების დაგზავნისას წარმოქმნილი შეცდომების შესახებ შიდა ზედამხედველობამ აცნობა ერზრუმის ვილაიეთს. ვილაიეთიდან მიღებულ პასუხში ვილაიეთის მმართველობა ითხოვს ნებართვას, რომ დაადასტუროს რაიონის მეჯლისის გადაწყვეტილება ქესქიმის რაიონის ცენტრალურ დასახლებას ერსისს მისი აღმატებულების ტახტის მემკვიდრის იუსუფ იზზედინ ეფენდის პატივსაცემად და მისი სახელის უკვდავსაყოფად ეწოდოს სახელი „იუსუფ ილი“.

უზენაესი ბრძანება

ერზრუმის ცენტრალური სადროშოს ქესქიმის რაიონის ცენტრალურ დასახლებას ერსისს შეეცვალოს სახელი და ეწოდოს **იუსუფ ილი**. აღნიშნული ბრძანების აღსრულება ევალება შინაგან საქმეთა სამინისტროს.

DH_id___00097_2_00045_006_001

Numara 83

ძირითადი საკითხი: რაიონის დასახელების **იუსუფ ილით** შეცვლის შესახებ

ვილაიეთის მმართველობა

Huzûr-ı Sâmi-i Cenâb-ı Vilâyet-penâhî'ye

აღნიშნული დოკუმენტში ვილაიეთის მმართველმა შინაგან საქმეთა სამინისტროს ატყობინებს რაიონის მმართველობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და თხოვნას.

თხოვნაში აღნიშნულია, რომ ქესქიმის რაიონისა და ანკარის ვილაიეთის ქესქიმის რაიონის სახელების მსგავსებიდან გამომდინარე საფოსტო გზავნილების დაგზავნისას წარმოქმნილი შეცდომების გამო არ არის მიზანშეწონილი ძველი დასახელების შენარჩუნება და ითხოვს მიღებულ იქნას საბოლოო გადაწყვეტილება, რათა მისი აღმატებულების ტახტის მემკვიდრის იუსუფ იზზედინ ეფენდის პატივსაცემად ქესქიმის რაიონს ეწოდოს სახელი **იუსუფ ილი** და გამოიცეს შესაბამისი ბრძანება (ფირმანი)

ქესქიმის გამგებელი აჰმედ ნეჯათი	მუფთი მეჰმედ ჯელალი	ფინანსების მმართველის მოადგილე (ბეჭედი)	წევრი ქაჰრამან	წევრი (ბეჭედი)	წევრი Kopyasında	წევრი Bu dahi
--	---------------------------	--	-------------------	-------------------	---------------------	---------------------

DH_id__00097_2_00045_007_001

Erzurum Vilâyeti - ერზრუმის ვილაიეთი

Tahrirat Kalemi

Aded

Umumi 20379

Hususi 172

შინაგან საქმეთა მინისტრს

Dâhiliye Nezâret-i Celilesi'ne

წერილი წარმოადგენს ერზრუმის მმართველის საპასუხო წერილს სამინისტროს წერილზე. წერილში აღწერილია, რომ გამოგზავნილია ადგილობრივი მეჯლისის გადაწყვეტილების ოქმი ქესქიმის რაიონის ერსისის

დასახლებას ტახტის მემკვიდრის პატივსაცემად დაერქვას იუსუფ ილი, მაგრამ გართულდა საბოლოო გადაწყვეტილების მიღება. ერზრუმის მმართველი ითხოვს თანხმობას ადგილობრივ გადაწყვეტილებაზე ან სხვა საბოლოო გადაწყვეტილებას სახელის ცვლილებასთან დაკავშირებით.

ერზრუმის მმართველი

ელ-სეიდ აჰმედ რეშიდი

DH_ID__00097_2_00045_007_002

Erzurum 172

Dosyasıyla İdâre-i Umumiye Müdüriyeti'ne

Fî 11 Mayıs sene 330

2063

Lütfi Bey'e 11

Sadaret-i Uzmâ'ya tezkire yazılması emir buyurulmuştur

Kaleme 11

Nuri Bey'e 11

DH_ID__00097_2_00045_008_001

Evrak Umumi Numarası 428

Müsevvidi (İSİM)

Kalem Numarası 2269

Tarih-i tesvid 18 Mayıs sene 330

Târih-i tebyiz 20 Mayıs sene 330

ერზრუმის ვილაიეთის მმართველობას

ცენტრალურ სამმართველოებს

მისი უდიდებულესობა ფადიშაჰი თანახმაა ერზრუმის ცენტრალური სადროშოს ქესქიმის რაიონის ცენტრალური დასახლებას ერსისს დაერქვას სახელი იუსუფ ილი. 18 მაისი 330 წ.

ხელმოწერა

DH_İD___00097_2_00045_009_001

Bâb-ı Âli

Dâire-i Sadâret

Umur-ı Mühimme Kalemi

უზენაესი ბრძანების (ფირმანი) ასლი

îrâde-i Seniyye suretidir

ერზრუმის ცენტრალური სადროშოს ქესქიმის რაიონის ცენტრალურ
დასახლება ერსისს შეეცვალოს სახელი და ეწოდოს იუსუფ ილი

მეჰმედ რეშადი	დიდი ვეზირი მეჰმედ საიდი	შინაგან საქმეთა მინისტრი ჯავიდი
---------------	-----------------------------	---------------------------------------

დიდი სავეზიროს საქმის წარმოების სამმართველო

მ. სეიფედდინი

შინაგან საქმეთა მინისტრისადმი გაგზავნილი შეტყობინების ჩანართი

DH_İD___00097_2_00045_009_002

პასუხი გაცემულია

მუჰიდინი	ხელმოწერა
----------	-----------

DH_İD___00097_2_00045_010_001

Bâb-ı Âli

Dâire-i Sadâret

878 Umur-ı Mühimme Kalemi

Umumî 321563

Hususi 428

Keskim kazâsıyla Ersis kasabası nâmlarının “Yusuf İli”ne tahviline dâir melfuf

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს

Dâhiliye Nezâreti Vekâlet-i Celilesi’ne

აღნიშნულ წერილში დიდი ვეზირი ატყობინებს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფადიშაჰის გადაწყვეტილების შესახებ, რომ ერზურუმის ქესქიმის რაიონის დასახლება ერსისს დაერქვა **იუსუფ ილი** და მას ეგზავნება ბრძანება, რათა ამის შესახებ აცნობოს ყველა უწყებას (მმართველობას)

დიდი ვეზირის სახელით

Sadrâzam nâmına

მრჩეველი ემინი

DH_İD___00097_2_00045_010_002

Sadâret 42

İrâde-i Umumiye

Fî 17 Mayıs sene 330

2239

Lütfi Bey'e 17

Kaleme 17

Nuri Bey'e 17 akşam

DH_SN__THR__00055_00082_001_001

Erzurum Vilâyeti

Tahrirât Kalemi

Aded

Umumi 21457

Hususi 274

შინაგან საქმეთა მინისტრს

Dâhiliye Nezâret-i Celilesi'ne

ერზრუმის მმართველი აცნობებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ ქესქიმის რაიონისათვის იუსუფ ილის სახელის დარქმევის გამო ვილაიეთის

განსახლების სამმართველომ ითხოვა ახალი ბეჭდის გამოგზავნა რაიონის განსახლების სამმართველოსათვის

ერზრუმის ვალი

აჰმედ რეშიდი

DH_SN__THR__00055_00082_002_001

Sicil-i Nüfus İdâre-i Umumiyesi Tahrirat Kalemi

Evrak Numarası 530

Dosya Numarası 6010

Tarih 2 Temmuz sene 330

ერზრუმის ვილაიეთის მმართველობას

Erzurum Vilâyet-i Behiyyesi'ne

განსახლების სამინისტრო ატყობინებს ერზრუმის ვილაიეთის მმართველობას, რომ მათი მოთხოვნის შესაბამისად, იუსუფ ილის რაიონის მოხელეებისათვის სახელმწიფო ბეჭდების ერთი კომპლექტი, ვილაიეთში გამოსაგზავნად, ჩაბარდა ფოსტას.

DH_SN__THR__00055_00082_003_001

Sicil-i Nüfus İdâre-i Umumiyesi Tahrirat Kalemi

Evrak Numarası 530

Dosya Numarası 6010

Kalem Numarası 695

Tarih 15 Haziran sene 330

განცხადება მომარაგების სამმართველოს

Levâzım İdâresi'ne müzekkire

ქესქიმის რაიონისათვის ახალი სახელის, **იუსუფ ილი**-ს დარქმევის გამო, განსახლების სამმართველოსათვის ვილაიეთის მმართველობის მიერ ახალი ბეჭდის გამოგზავნის შესახებ მოთხოვნიდან გამომდინარე გეგზავნებათ შესაბამისი ბეჭდების გამოსახულების ერთ კომპლექტს დასამტკიცებლად

İ_DH__01508_000049_001_001

Bâb-ı Âlî

Dâhiliye Nezâreti

İdâre-i Umumiye-i Dâhiliye Müdüriyeti

Umumi: 90961

Hususi: 451

დიდ ვეზირს

Huzûr-ı Âlî-i Cenâb-ı Sadâret-penâhî'ye

ერზრუმის ცენტრალური სადროშოს **ქესქიმის** რაიონისა და ანკარის ვილაიეთის **ქესქინის** რაიონების სახელებს შორის არსებული მსგავსების გამო საფოსტო გზავნილების დარიგებისას წარმოქმნილი შესცდომების შესახებ საფოსტო-სატელეგრაფო სამინისტრომ აცნობა ერზრუმის ვილაიეთს. აღნიშნულთან დაკავშირებით ვილაიეთის მმართველობაში იმსჯელეს და გადაწყვიტეს **ქესქიმის** რაიონის ცენტრალურ დასახლებას **ერსინს** ტახტის მემკვიდრის სახელის პატივსაცემად ეწოდოს სახელი **იუსუფ ილი**. საკითხის მოწესრიგების მიზნით ვილაიეთის მმართველობამ ითხოვა თანხმობა ამ

გადაწყვეტილებაზე და შესაბამისი ბრძანების გამოცემა. დანართის სახით წარმოგიდგენთ შესაბამისი ბრძანების პროექტს.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე

ხელმოწერა

İ_DH__01508_000049_002_001

Bâb-ı Âlî

Dâhiliye Nezâreti

İdâre-i Umumiye-i Dâhiliye Müdüriyeti

Hususi: 784

უზენაესი ბრძანება (ფირმანი)

İrâde-i Seniyye

ერზრუმის ცენტრალური სადროშოს ქესქიმის დასახლებას შეეცვალოს სახელი და ეწოდოს „იუსუფ ილი“. ბრძანების აღსრულება ევალება შინაგან საქმეთა მინისტრს.

მეჰმედ რეზადი	დიდი ვეზირი (პრემიერმინისტრი) მეჰმედ შაიდი	შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე (ხელმოწერა)
---------------	--	--

3.3. იუსუფელის რაიონის ართვინის ოლქისადმი გადაცემა.

იუსუფელის მმართველობის რეორგანიზაციის შემდეგ განხორციელდა ცვლილება რაიონის ტერიტორიულ მოწყობაში და მინისტრთა კაბინეტის 1921 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით გაუქმდა იუსუფელის

შემადგენლობაში შემავალი ჰოდუჭურის რაიონი და მისი ოთხი სოფელი დაექვემდებარა ცენტრალურ რაიონს. იმავე გადაწყვეტილებით შეიქმნა სერიგიოლის რაიონი. ოგდემის რაიონის ზოგიერთი სოფელი ახლადშექმნილი სერიგიოლის რაიონის შემადგენლობაში შევიდა. ეს სოფლები იყო ქობაქი, ჰევეკი-ი ლივანე, ჰევეკი-ი ქისქიმი, ჰაზათი/ჰარათი, ზემავანი, ბალხი, უტავი, ბარხალი (პარხალი), ზიგაპორი, ვანისხევი და გუდასხევი.¹⁶ ცენტრალური დაქვემდებარებიდან სარიგიოლის რაიონს ასევე გადაეცა სოფლები, ხერმუთი და ქისპოროთი.

1926 წლის 30 მაისს გამოცემული „სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის“ შესახებ კანონის თანახმად იუსუფელის რაიონი ერზრუმის პროვინციიდან ართვინის პროვინციის შემადგენლობაში გადავიდა. რაიონის ცენტრად დასახელდა დაბა ოგდემი, რადგან ერსისტან შედარებით ის უფროს ახლოს მდებარეობდა ართვინთან და ოგდემის სოფლები გეოგრაფიულად იკავებდნენ რაიონის ცენტრალურ ადგილს.

რაიონის ცენტრად დასახელების შემდეგ ოგდემში ვითარების შესწავლის მიზნით ჩამოსული მუჰავიდ ზექის ცნობებით გზების ჩაკეტილობის გამო იმავე წელს ვერ მოხერხდა მმართველობის ზოგიერთი რგოლის გადატანა ოგდემში. იქ მოსახლეობა ჯერ კიდევ მცირერიცხოვანი იყო. გზათა უმეტესობა წარმოადგენდა უბრალო საცალფეხო ბილიკებს, რის გამოც ტვირთის გადაზიდვა უწევდათ ჯორების გამოყენებით ან ზურგით. გზების არარსებობის გამო მოსახლეობა დიდი სირთულეებს განიცდიდა.

1933 წლის 20 მაისს გაუქმდა ართვინის პროვინცია და შეიქმნა ჭოროხის პროვინცია, რომლის ცენტრი გახდა რიზე. იუსუფელის რაიონი, მთელი თავისი შემადგენლობით, ისევ ერზრუმის პროვინციის გადაეცა.

¹⁶ აღნიშნულ სოფლებს მოსახლეობა დღესაც ამ სახელებით მოიხსენიებს.

ჭოროხის პროვინციის ცენტრი, 1936 წლის 4 იანვრის კანონით, რიზედან გადატანილ იქნა ართვინში. იმავე კანონით იუსუფელის რაიონი ერზრუმის პროვინციიდან ისევ ჭოროხის პროვინციას გადაეცა.

1956 წლის 17 თებერვალს ჭოროხის პროვინციას შეეცვალა სახელწოდება და დაერქვა ართვინის პროვინცია. 1950 წლის 11 თებერვლის No 5531 კანონის თანახმად იუსუფელის რაიონის ცენტრმა ოგდემიდან გადაინაცვლა ვეჯენგეთისა და კაზახორას თემებისაგან შემდგარ სოფელ ახალთში. იუსუფელის რაიონის შემადგენლობაშია ერკინისის, ერსისის, ოგდემის, სარიგიოლის რაიონები და 56 სოფელი.

იუსუფელის წყალსაცავის მშენებლობის გამო წყლის ქვეშ მოექცევა რაიონის ცენტრი, რის გამოც იუსუფელის ცენტრთან დაკავშირებით თურქეთის დიდმა ეროვნულმა მეჯლისმა გამოსცა შესაბამისი კანონი. ამ კანონის თანახმად იუსუფელის რაიონის ცენტრი გაშენდება იუსუფელის ჩრდილოეთით, მთაგორიან ტერიტორიაზე.

ძირითადი დასკვნები

თურქეთის რესპუბლიკაში - ქოროხის ხეობაში, ზემდღავრი ჰიდროელექტროსადგურის ამოქმედების გამო, იუსუფელის რაიონის დიდი ნაწილი წყალქვეშ უნდა მოექცეს. შესაბამისად, ტოპონიმთა თუ ჰიდრონიმთა უმრავლესობა სულ რამდენიმე წელიწადში, შესაძლოა დავიწყებას მიეცეს. ამის გამო, მათ შესახებ არსებულ ყოველ მონაცემს, დროთა განმავლობაში უთუოდ დოკუმენტის მნიშვნელობა მიენიჭება. უდავოა, რომ თურქეთისთვის დღეს მნიშვნელოვანია იუსუფელის რაიონის ტოპონიმებისა თუ ჰიდრონიმების მეცნიერული ანალიზი.

იუსუფელის სოფლების ტოპონიმია მეტად საინტერესოა სამეტყველო კოდთა შერევა/აღრევის თვალსაზრისით: სოფლების უბნებს და ადგილებს ხშირად ორენოვანი - ქართველურ-თურქული დასახელებები აქვთ. ამჟამად ახალგაზრდა თაობამ უმეტესად, თურქული დასახელებები იცის, ქართველური კი მხოლოდ მოხუცებსდა ახსოვთ. აქვე უნდა ითქვას, რომ ხალხი მეტწილად ძველ არაოფიციალურ სახელწოდებს იყენებს, რომელთა დიდი ნაწილი ქართულია.

იუსუფელის ონომასტიკაში პროდუქტიულია როგორც თურქული აფიქსები და ელემენტები, ასევე ქართული; იშვიათად დასტურდება სომხური მასალა.იმ სოფლებში, სადაც მუშაობა ვერ მოგვიხერხდა, სომხური მასალა არის. ბევრია მიკროტოპონიმთა კომპოზიტური წარმოების შემთხვევა: მსაზღვრელად გამოიყენება თურქული, ხოლო საზღვრულად - ქართული არსებითი სახელი.

ტოპონიმის მსგავსად, ჰიდრონიმებშიც აქტიურად დასტურდება სამეტყველო კოდების შერევა, ძირითადად, ქართულ-თურქული.

ტოპონიმთაგან ან მიკროტოპონიმთაგან განსხვავებით, ჰიდრონიმთა ძველი სახელწოდებები უფრო ნაკლებად არის შემორჩენილი: მოსახლეობა

ფართოდ იყენებს ამჟამინდელ ოფიციალურ ანუ თურქულ სახელწოდებებს. ჰიდრონიმების საწარმოებლად ყველაზე მეტად გამოყენებულია თურქული სიტყვა დერე „ღელე“.

ნაშრომში ჩვენ მიერ მოყვანილი და გაანალიზებული ოსმალური დოკუმენტები ცხადყოფენ იმასაც, თუ როგორ ხდებოდა ონომასტიკური ცვლილებები ამჟამინდელი იუსუფელის რაიონის ტერიტორიაზე. აქედან გამომდინარე, მათში დაფიქსირებული მასალა მეტად მნიშვნელოვანია ისტორიული დინამიკის შესწავლისათვის.

ჩვენ მიერ იუსუფელში ჩაწერილი და გაანალიზებული მასალის საფუძველზე ვასკვნით, რომ ამ მხარის დღევანდელი თურქულენოვანი მოსახლეობის მეხსიერებაში ფუნქციონირებას აგრძელებს ძველი ონიმები (ტოპონიმები, მიკროტოპონიმები და ჰიდრონიმები), რომელთა დიდი ნაწილი წარმოშობით არის ქართული; მცირე ნაწილია თურქული; იშვიათად არის სომხური მასალაც. არის აგრეთვე, ისეთი ონიმებიც, რომელთა უძველესი მნიშვნელობა და წარმომავლობა, ზოგ შემთხვევაში, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა უკვე აღარ იციან. აქედან გამომდინარე, ზოგჯერ ვეღარ ხერხდება ადგილთა სახელთა თავდაპირველი მნიშვნელობების დადგენა.

დამოწმებული ლიტერატურა:

ა) ქართულ ენაზე:

1. ართვინლი თანერ, იუსუფელის ქართული სოფლები, ჟურნალი "ჩვენებური" №38, ოქტომბერი-დეკემბერი, 2000.
2. ასათიანი ირინე, ჭანური (ლაზური) ტექსტები, თბილისი, 1974;
3. ასათიანი ირინე, ლაზური (ჭანური) ტექსტები II, თბილისი, 2012;
4. ასათიანი ირინე, ლაზური ლექსიკონი, თბილისი, 2012;
5. აფრიდონიძე შუქია, მაკალათია ფ., ქართული ოიკონიმები, ტოპონიმოგრაფია II, თბილისი, 1980;
6. ახვლედიანი გიორგი, შენიშვნა „ვარები, ჟარე“-ს შესახებ, ჩვენი მეცნიერება, 6-7, თბილისი, 1923;
7. ახვლედიანი ხარიტონ, ნარკვევები აჭარის ისტორიიდან, ბათუმი 1944.
8. ახვლედიანი ხარიტონ, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ბათუმი 1978
9. ბარამიძე მაია, ტაოს ქართული ტოპონიმოგრაფია: XXI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2001.
10. ბატიაშვილი ზურაბ, ქართველები ოსმალური პერიოდის ტრაპიზონში, თბილისი, 2008;
11. ბაქრაძე დიმიტრი, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987
12. ბედოშვილი გურამ, ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2001
13. ბერიძე ეთერ, ნიგალი, თბილისი, 2009;
14. ბერიძე მერაბ, ჯავახეთი (ტოპონიმოგრაფიული ანალიზი), თბ., 1992
15. ბერიძე მერაბ, ტოპონიმები და გვარები მეტყველებენ, ახალციხე, 2005
16. ბერიძე მერაბ, რატომ აცალბებენ ქართულ ტოპონიმებს? თბ., 2006

17. ბერიძე მერაბ, თურქეთში შემორჩენილი ქართული ტოპონიმები თბ., 2009
18. გამყრელიძე თამაზ, მაჭავარიანი გივი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი, 1965;
19. გიგინეიშვილი ივანე, თოფურია ვარლამ, ქავთარაძე ივანე, ქართული დიალექტოლოგია I, თბილისი, 1961;
20. გრიშაშვილი იოსებ, ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა, თხზულებათა კრებული ხუთ ტომად, ტ. III, თბილისი, 1963;
21. გრიშაშვილი იოსებ, ქალაქური ლექსიკონი, თბილისი, 1997;
22. გუჯეჯიანი როზეტა, თოფჩიშვილი როლანდ, ფუტკარაძე ტარიელ, შოშიტაშვილი ნოდარ, ჭეიშვილი გიორგი, ეთნოგრაფიული ზედა მაჭახელი, ქართველური მემკვიდრეობა XII, ქუთაისი, 2008;
23. გუჯეჯიანი როზეტა, ფუტკარაძე ტარიელ, იუსუფელის (ისტორიული ტაოს) ქართულენოვან სოფელთა ეთნო-ლინგვისტური მიმოხილვა ქართველური მემკვიდრეობა, XIII, ქუთაისი, 2010;
24. დადიანი ეკა, მიქაუტაძე მაია, სოფელ ხევას (ტაოს) მიკროტოპონიმია, ონომასტიკური კრებული, ახალციხე-თბილისი, 2013.
25. დადიანი ეკა, სოფელ ქვაბას (თურქ. იუქსექობა) ტოპონიმია, ონომასტიკური კრებული, ახალციხე, 2014.
26. დიუმეზილი ჟორჟ, ლაზური ზღაპრები და გადმოცემები, თბილისი, 2008;
27. ვანილიში მუჰამედ, თანდილავა ალი, ლაზეთი, თბილისი 1964;
28. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941;
29. ვეიდენბაუმი ედგარ, ბათუმიდან ართვინამდე, თბილისი, 2005;
30. თანდილავა ალი, მასალები ლაზური ლექსიკონისათვის (ხელნაწერი);

31. თანდილავა ზურაბ, ნარაკიძე ციალა, ზანური ლექსიკური სუბსტრატის კვალი აჭარულ დიალექტში, აჭარული დიალექტის დარგობლივი ლექსიკა V, თბილისი, 1988;
32. თაყაიშვილი ექვთიმე, სამუსულმანო საქართველო, დაბრუნება, ტ. I, თბილისი, 1991;
33. თოფურია ვარლამ, გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VI, თბილისი, 1954;
34. თოფჩიშვილი როლანდ, მოსახლეობის შიდა მიგრაციული პროცესების მნიშვნელობისათვის საქართველოს ისტორიაში, მიემდგნა ალექსანდრე ორბელიანის ხსოვნას (მეორე სამეცნ. კონფერენცია), თბილისი, 1998;
35. თოფჩიშვილი როლანდ, -ფხე (-ხე) სუფიქსის უცნობი ფუნქციის შესახებ ქართულ ანთროპონიმიაში, ქართული წყაროთმცოდნეობა XI, თბილისი, 2006;
36. თოფჩიშვილი როლანდ, ზოგიერთი ეთნოგრაფიული რეალია შავშეთში, კლარჯეთსა და ტაოში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო მეზობელ სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური ინტერესების კონტექსტში, ბათუმი, 2009;
37. თურქულ-ქართული ლექსიკონი, ლ. ჩლაიძის რედაქციით, სტამბოლი, 2011.
38. იმნაიშვილი გრიგოლ, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბილისი, 1966;
39. იმნაიშვილი ივანე, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, თბილისი, 1949;
40. ინგოროყვა პავლე, გიორგი მერჩულე, 1956;
41. ინგოროყვა პავლე, ჭანეთ-ლაზეთის ისტორიის საკითხთა გამო, თბილისი, 2003;
42. კალანდია თეა, ლაზური ტექსტები, თბილისი, 2008;

43. კარალიძე ჯემალ, „აჭარის მუჰაჯირთა ისტორიის ზოგიერთი საკითხისთვის“, საისტორიო მაცნე N 15, ბათუმი 2005;
44. კარტოზია გურამ, ლაზური ტექსტები I, თბილისი, 1971;
45. კარტოზია გურამ, რამდენიმე საერთო-ქართველური ფუძისათვის ქართულსა და მეგრულ-ლაზურში II, „აჭარული დიალექტის დარგობლივი ლექსიკა“, V, თბილისი, 1984;
46. კარტოზია გურამ, ლაზური ტექსტები II, თბილისი, 1992;
47. კარტოზია გურამ, სვანურისა და ზანურის ურთიერთმიმართების ისტორიისათვის, ს.-ს. ორბელიანის სახ. თბილისის სახელმწიფო პედ. უნ-ტის ქართული ენის კათედრის შრომები 5, თბილისი, 2000;
48. კარტოზია გურამ, ლარინგალური ხშულის საკითხი ლაზურში, „ენათმეცნიერების საკითხები“ 4, თბილისი, 2002;
49. კარტოზია გურამ, ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში, თბილისი, 2005;
50. კახიძე ნოდარ, მაჭახლის ხეობა, ბათუმი 1974.
51. კიზირია ანტონ, ზანური ენა, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. IV თბილისი, 1973;
52. კიტხვარი ქართული დიალექტოლოგიური ატლასის მასალისათვის, თბილისი, 1984;
53. ლაბაძე მიხეილ, ქართველთა ეროვნული ერთიანობის ანარეკლი თურქეთის ლაზთა ფოლკლორში, `ქართველური მემკვიდრეობა` IX, ქუთაისი, 2005;
54. ლაბაძე მიხეილ, ლაზური კილოების ხმოვანთა სისტემა, `ქართველური მემკვიდრეობა` XII, ქუთაისი, 2008;
55. ლომთაძე თამარ, ქალაქის ენის შესწავლის ისტორიიდან, ქართველური მემკვიდრეობა, IX, ქუთაისი, 2005;
56. მაკალათია სერგი, თუშეთი, თბილისი, 1933;
57. მაღაყმაძე როინ, ლიგანის ხეობა, თბილისი, 2008;

58. მეგრელიძე შამშე, აჭარის წარსულიდან, თბილისი 1964.
59. მიქაუტაძე მაია, ფუტკარაძე ტარიელ, იმნიეთის (შავშეთის) მიკროტოპონიმია, კრებ. ქართველური მემკვიდრეობა, ტ. X, ქუთაისი, 2006.
60. ნიჟარაძე შოთა, ზემოაჭარულის თავისებურებანი, ბათუმი, 1957;
61. ნიჟარაძე შოთა, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი, 1971;
62. ნიჟარაძე შოთა, აჭარული დიალექტი, ბათუმი, 1975;
63. ნოღაიდელი ჯემალ, ნარკვევები და ჩანაწერები II, დიალექტოლოგიის საკითხები, ბათუმი, 1972;
64. ონიანი ალექსანდრე, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები (სახელთა მორფოლოგია), თბილისი, 1989;
65. ჟღენტი სერგი, გურული კილო (გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი), თბილისი, 1936;
66. ჟღენტი სერგი, ჭანური ტექსტები, არქაბული კილოკავი, თბილისი, 1938;
67. ჟღენტი სერგი, ზანიზმები გურულ ზმნებში, ენიმკი-ს მოამბე, ტ. V-VI, თბილისი, 1940;
68. ჟღენტი სერგი, მეგრულ-ჭანური ვოკალიზმი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. IV, თბილისი, 1953;
69. ჟღენტი სერგი, ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის ზოგიერთი საკითხი, თსუ შრომები, ტ. 49, 1953;
70. ჟღენტი სერგი, ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბილისი, 1953;
71. ჟღენტი სერგი, ქართული დიალექტების წარმოთქმის თავისებურებათა შესწავლის ზოგიერთი საკითხი, თსუ შრომები, ტ. 69, თბილისი, 1958;
72. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ III, ბათუმი, 2008

73. სარჯველაძე ზურაბ, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1975;
74. სარჯველაძე ზურაბ, ფენრიხი ჰაინც, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა თბილისი, 2000;
75. სვანიძე მიხეილ, ქართველები თურქეთში, თბილისი 1996.
76. სიხარულიძე იური, ჭანეთი (ლაზეთი), საისტორიო გეოგრაფიის მასალები I, ბათუმი, 1977;
77. სიხარულიძე იური, ნიგალი (ლივანა), საისტორიო გეოგრაფიის მასალები, ბათუმი, 1988;
78. სურმავა ნარგიზა, სიტყვათწარმოების შესახებ აჭარულში, აჭარული დიალექტის დარგობლივი ლექსიკა IV, თბილისი, 1983;
79. სურმავა ნარგიზა, სიტყვათწარმოების ზოგიერთი თავისებურება აჭარულში, აჭარული დიალექტის დარგობლივი ლექსიკა V, თბილისი, 1986;
80. სურმავა ნარგიზა, კირნათ-მარადიდული მეტყველების სინტაქსური თავისებურებანი, დიალექტოლოგიური კრებული, თბილისი, 1991;
81. ტაბიძე მანანა, ენობრივი კონტაქტები და ენობრივი დაგეგმვა, არნ. ჩიქოზავას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბილისი, 1998;
82. ტაოური დიალექტური ტექსტები (დაცულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ქართველური დიალექტოლოგიის მიმართულებაში).
83. ფაღავა მ., ცინცაძე მადონა, მაკარაძე ე., დიასამიძე რ., თანდილავა ლილე, ტაოური მეტყველების ნიმუშები, ბათუმის უნივერსიტეტის კრებული IV, ბათუმი, 2005;

84. ფუტკარაძე ტარიელ, სახელის ფორმაწარმოების თავისებურებანი ქართული ენის სამხრეთ-დასავლურ დიალექტებში, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1986;
85. ფუტკარაძე ტარიელ, მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებისათვის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიალექტებში (აჭარულში, გურულში, მესხურ-ჯავახურში, იმერხეულში), აჭარული დიალექტის დარგობლივი ლექსიკა VI, თბილისი, 1987;
86. ფუტკარაძე ტარიელ, თანამედროვე ქართული ენის ხმოვანთა სისტემა, სადოქტორო დისერტაცია, თბილისი, 1998;
87. ფუტკარაძე ტარიელ, ქართველები I, თბილისი, 2005;
88. ფუტკარაძე შუმანა, ჩვენებურების ქართული, წიგნი I, ბათუმი, 1993;
89. ფუტკარაძე შუმანა, ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით, სადოქტორო დისერტაცია, თბილისი, 1995;
90. ფუტკარაძე შუმანა, ფონეტიკური პროცესები იმერხეულში, ქართველური მემკვიდრეობა, XII, ქუთაისი, 2008;
91. ქავთარაძე ივანე, ქართული ენის ისტორიისათვის I, თბილისი, 1964;
92. ქალდანი მაქსიმე, დიალექტთა შერევა კოდორის ხეობის სვანურში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება XVII, თბილისი, 1970;
93. ქართული ენის ისტორია, პროფ. ტარიელ ფუტკარაძის რედაქციით, ქუთაისი, 2006;
94. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული, არნ. ჩიქობავას რედაქციით, თბ., 1950-1964.
95. ქამადაძე მალხაზ, ანთროპონიმული წარმომავლობის გეოგრაფიული სახელები ზემო აჭარაში, აჭარული დიალექტის დარგობლივი ლექსიკა VI, თბილისი, 1987;

96. ქამუშაძე გიგა, იანეთში მცხოვრები ქართველი რეპატრიანტების თურქული მეტყველების თავისებურებანი, სადოქტორო დისერტაცია, თბილისი, 2004;
97. ქაჯაია ოთარ, მეგრულ-ქართული ლექსიკონი I-III, თბილისი, 2001-2002;
98. ქუთელია ნათელა, ლაზურის ფონემატური სტრუქტურა, თბილისი, 2005;
99. ღლონტი ალექსანდრე, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984.
100. ყიფშიძე იოსებ, საანგარიშო მოხსენება ჭანეთში საენათმეცნიერო მივლინებისა 1917 წლის ზაფხულს, ენიმკი-ს მოამბე I, თბილისი, 1937;
101. ყიფშიძე იოსებ, ჭანური ტექსტები, თბილისი, 1939;
102. ყიფშიძე იოსებ, რჩეული თხზულებანი, თბილისი, 1993;
103. შაჰინი მ., მაჭახლური თქმანი, ჟურნ. ხერთვისი, 2005, #1;
104. ჩიქობავა არნოლდ, ჭანური ტექსტები, ნაკვეთი პირველი - ხოფური კილოკავი, თბილისი, 1929;
105. ჩიქობავა არნოლდ, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1936;
106. ჩიქობავა არნოლდ, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 1938;
107. ჩიქობავა არნოლდ, ჭანური მყოფადის წარმოებისათვის, საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. V (1), თბილისი, 1944;
108. ჩიქობავა არნოლდ, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში II, ერგატიული კონსტრუქციის რაობის თეორიები, თბილისი, 1961;
109. ჩიქობავა არნოლდ, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბილისი, 1964;
110. ჩუხუა მერაბ, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 2000-2003

111. ჩხენკელი სტეფანე, ყიზლარ-მოზდოკური ქართული, თსუ შრომები V, თბილისი, 1936;
112. ჩხუბიანიშვილი დავით, ფერეიდნულის შესწავლის ზოგი ასპექტი, არნ. ჩიქობავასადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბილისი, 1998;
113. ცეცხლაძე ნ., შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია, ბათუმი, 2000;
114. ცინცაძე მადონა, კირნათ-მარადიდის მეტყველების თავისებურებანი, ბათუმის პედ. ინსტიტუტის სტუდენტთა შრომები, I, ბათუმი, 1954;
115. ცინცაძე მადონა, ფაღავა მ., სამხრული დიალექტები და ქართული სამწერლობო ენა (V-XVIII სს.), ბათუმი, 1998;
116. ცინცაძე მადონა, ტაოური ქართულის ზოგი თავისებურება, XXI დიალექტოლოგიური სამეცნ. სესიის მასალები, თბილისი 2001;
117. ცოცანიძე გიორგი, თიანურის ძირითადი ფონოლოგიური და მორფოლოგიური თავისებურებანი, ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა კრებული, თბილისი, 1970;
118. ცხადაია პაატა, „ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი“, თბილისი, 1988;
119. ძიმიგური შოთა, დიალექტოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1973;
120. ჭინჭარაული ალექსი, ხევსურულის თავისებურებანი, თბილისი, 1960;
121. ჭინჭარაული ალექსი, ხევსურული ლექსიკონი, თბილისი, 2005;
122. ხახუტაიშვილი მზია, ქობულეთელი მუჰაჯირები თურქეთში, ქართველური მემკვიდრეობა XII, ქუთაისი, 2008;
123. ჯიქია სერგი, თურქული სინტაქსური კალკები ლაზურში, ორიონი – აკაკი შანიძეს, თბილისი, 1967;
124. ჯიქია სერგი, თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობიდან, თსუ შრომები, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, 4, თბილისი 1964;
125. ჯიქია სერგი, თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობიდან II, თსუ შრომები, 164, თბილისი, 1975;

126. ჯიქია სერგი, თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობიდან III, თსუ შრომები, 8-9, თბილისი, 1974;
127. ჯორბენაძე ბესარიონ, ქართული დიალექტოლოგია I, თბილისი, 1989;
128. ჯორბენაძე ბესარიონ, ქართველურ ენათა დიალექტები, თბილისი, 1995;
129. ჯორბენაძე ბესარიონ, ქართული დიალექტოლოგია II, თბილისი, 1998;
130. ხუნდაძე სილოვან, ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში (XIX ს. 80-იანი წლები), თბილისი, 1940;
131. ჰელიმიში ხასან, დობლურაში, ბირაფა დოსქიდასენ, ლაზური ლექსები, მიხეილ ლაბაძის რედაქციით; თბილისი, 2003;
132. ჰელიმიში ხასან, მუ პათ ე სქირი, ლექსები; ისმაილ ავჯი ბუჯაქლიშის რედაქციით, სტამბოლი, 2006;

ბ) თურქულ ენაზე:

133. Abaşişî Nurdoğan, Laz masalları, İstanbul, 2005;
134. Alkumru Nizamettin, Şimşir kokardı Azlağa, İstanbul, 2005;
135. Aksamaz Ali İhsan, Öğretim ve ana dil, İstanbul, 2003;
136. Avcı Munir Yılmaz, Lazuri nenaçkina, lazca dilbilgisi, İstanbul, 2002;
137. Avcı Munir Yılmaz, Şurimşine, şiirler, İstanbul, 1994;
138. Bucaklışı İsmail Avcı, Uzunhasanoğlu Hasan, Lazca-Türkçe sözlük, İstanbul, 1999;
139. Bucaklışı İsmail Avcı, Uzunhasanoğlu Hasan, Aleksiva İrfan, Büyük Lazca-Türkçe sözlük, İstanbul, 2007;
140. Erten Metin, Lazca-Türkçe, Türkçe-Lazca sözlük, İstanbul, 2000;
141. Kal Paluri Arzu, Paponi, Laz yemekleri ve laz yemek kültürü, İstanbul, 2006;
142. Kojima Goichi, Bucaklışı İsmail Avcı, Lazca gramer, İstanbul, 2003;
143. Özsoy Cemal, Murgul ve Murgulluları İstanbul, 2005;
144. Öztürk Özhan, Karadeniz Ansiklopedik Sözlüğü, İstanbul, 2005;

გ) სხვა უცხოურ ენებზე:

145. Acar Turgut, Influence of Georgian Language on Artvin Dialects, ბათუმის და სამსუნის უნივერსიტეტების ერთობლივი კონფერენციის გეგმა და მასალები, ბათუმი, 1991;
146. Adjarian Hratchia, Étude sur la langue laze, Extrait des mémoires de la société de linguistic de Paris, Paris, 1897-1898;
147. Belazi, Heidi; Edward Rubin; Almeida Jacqueline Toribio; "Code switching and X-Bar theory: The functional head constraint". Linguistic Inquiry 25 (2), 1994: 221–37;
148. Blom, Jan-Petter; John J. Gumperz, "Social meaning in linguistic structures: Code switching in northern Norway". In J. J. Gumperz and D. Hymes. Directions in Sociolinguistics. New York, 1972;
149. Bokamba-Eyamba, George, „Are there syntactic constraints on code-mixing?“, World Englishes 8 (3), London - New York, 1989;
150. Bonner, J. K. "Kirk", Introduction to Sicilian Grammar. Legas, 2001;
151. Bopp, Franz, Über das Georgische in sprachverwandtschaftlicher Beziehung, Berlin, 1846;
152. Bredemoen Berndt, Laz Influence on Black Sea Turkish Dialects? ed. Altaica Osloensia. Proceedings from the 32nd Meeting of the Permanent International Altaistic Cionference, Oslo, June 12–16, 1989, 49–64. Oslo: Universitetsforlaget.
153. Bredemoen Berndt, Case Merge in the Black Sea Dialects. A Kartvelian Substrate Feature? ორპოდ Berta, Bernt Brendemoen & Claus Schönig, eds. Symbolae Turcologicae. Studies in Honour of Lars Johanson on his Sixtieth Birthday 8 March 1996. Stockholm: Almqvist & Wiksell;
154. Brice, A. & Brice, R., (Ed.s). Language development: Monolingual and bilingual acquisition. Old Tappan, NJ: Merrill/Prentice Hall, 2009;
155. Centro di Studi Filologici e Linguistici Siciliani, Vocabolario Siciliano, 5 volumi a cura di Giorgio Piccitto, Catania-Palermo 1977-2013.

156. Clyne Michael, "Constraints on code-switching: how universal are they?" in *The Bilingualism Reader*: pp. 12-30, London, 2000;
157. DeBose Charles, "Codeswitching: Black English and Standard English in the African-American linguistic repertoire". In Eastman, Carol. *Codeswitching*. Clevedon: Multilingual Matters, 1992; pp. 157–167.
158. Das, Sonia. "Rewriting the past and reimagining the future: The social life of a Tamil heritage language industry". *American Ethnologist* **38** (4), 2011; pp. 774–789.
159. Deeters Gerhard, Armenisch und Südkaukasisch, Ein Beitrag zur Frage der Sprachmischung, "Caucasica", Leipzig, 1926-1927;
160. Hervos y Panduro Lorenzo, Vocabolario poliglotta con prolegomeni sopra più CL. lingue: Dove sono delle scoperte nuove ed utili all'antica storia dell'uman genere, ed alla cognizione del meccanismo delle parole, Roma, 1787;
161. Joshi, Aravind, "How much context-sensitivity is necessary for assigning structural descriptions: Tree adjoining grammars". In D. Dowty, L. Karttunen, and A. Zwicky. *Natural Language Parsing*. Cambridge, 1985;
162. Kroskrity, Paul V., "Language ideologies in the expression and representation of Arizona Tewa identity". In P. V. Kroskrity. *Regimes of Language: Ideologies, Politics, and Identities*. Santa Fe: School of American Research Press, 2001. pp. 329–59.
163. Lang, David Marshall, *The Georgians*, Thames and Hudson, 1966;
164. Li Wei, "The 'Why' and 'How' Questions in the Analysis of Conversational Code-switching". In *Code-Switching in Conversation: Language, Interaction, and Identity*: pp. 156–76; London, 1998;
165. Li Wei, *The Bilingualism Reader*. London: Routledge, 2000;
166. Lindow Wilhelm, *Plattdeutsches Wörterbuch*. Leer, 1984
167. Mark Janse, Aspects of Pontic grammar, *Journal of greek linguistic*, 3, 2002;

168. MacSwan, Jeff, "Code-switching and grammatical theory". In T. Bhatia and W. Ritchie. *Handbook of Multilingualism* (2nd ed.). Cambridge, 2013;
169. Muysken, Pieter, "Code-switching and grammatical theory". In L. Milroy & P. Muysken. *One Speaker, Two Languages: Cross-disciplinary Perspectives on Code-switching*. Cambridge: Cambridge University Press, 1995; pp. 177–98.
170. Myers-Scotton, Carol. "Codeswitching with English: types of switching, types of communities". *World Englishes* **8** (3), 1989; pp. 333–346.
171. Pujolar, Joan. *Gender, Heteroglossia and Power. A Sociolinguistic Study of Youth Culture*. Berlin: Walter de Gruyter, 2000;
172. Räsänen Miika, *Türkliche Sprachproben aus mittel-Anatolien*. I. Sivas Vil. Helsinki, 1932;
173. Reyes, Iliana. "Functions of code switching in schoolchildren's conversations". *Bilingual Research Journal* **28** (1), 2004; pp. 77–98.
174. Rosen Georg, *Über die Sprache der Lazen*, Berlin, 1844;
175. Sebba, Mark; Tony Wooton; "We, They and Identity: Sequential Versus Identity-Related Explanation in Code Switching". In P. Auer. *Code-Switching in Conversation: Language, Interaction, and Identity*. London, 1998. pp. 262–86.
176. Smrzova Irena, *Czesztyna*, Warszawa, 1987;
177. Torres, Lourdes. "In the Contact Zone: Code-Switching Strategies by Latino/a Writers". *Melus* **32** (1), 2007; pp. 75–96.
178. Van Gaal, Robert. *Afrikaanse Gramatiek*, Bloemfontein, 2012;
179. Weinreich, Uriel, *Languages in Contact*. The Hague, 1953;
180. Wertheim Susanne, *Linguistic purism, language shift and contact-induced change in Tatar* - PhD Dissertation, Los Angeles, 1999;
181. Woolard, Kathryn, "Codeswitching". In A. Duranti. *A Companion to Linguistic Anthropology*. Malden, Mass.: Blackwell, 2004; pp. 73–94;

182. Zingarelli, Nicola; Zingarelli Lorenzo; Vocabolario della lingua italiana. Con CD-ROM. Roma, 2006;
183. Баскаков Николай. Историко-типологическая морфология тюркских языков: (Структура слова и механизм агглютинации) Институт языкознания АН СССР. — Москва, 1979.
184. Баскаков Николай. О некоторых типологических изменениях в синтаксисе современных тюркских литературных языков // Тюркологический сборник: К шестидесятилетию академика А.Н. Кононова. — Москва, 1963; с. 17-23;
185. Векилов Афрасияб, Турецкая диалектология, часть I, Ленинград, 1973;
186. Векилов Афрасияб, “особенности склонения имён существительных в турецких диалектах Малой Азии”, Сб. Филология и история Стран Азии и Африки. стр. 131-142; Ленинград, 1966.
187. Десятова М.Ю., „Сицилийский диалект в современной лингвистической ситуации Италии“, Вестник ПСТГУ III, Санкт-Петербург, 2008;
188. Дмитриев, Николай. Строй турецкого языка. Москва, 1939;
189. Кипшидзе Иосиф, Дополнительные сведения о чанском языке, Санкт-Петербург, 1911;
190. Кипшидзе Иосиф, Грамматика Мингрельского (Иверского) языка с хрестоматией и словарем, Санкт-Петербург, 1914;
191. Климов Георгий, Склонение в Картвельских языках в сравнительно-историческом аспекте, москва, 1962;
192. Климов Георгий, Этимологический словарь Картвельских языков, Москва, 1964;
193. Марр Николай, Грамматика Лазского (Чанского) языка с хрестоматией и словарем, Санкт-Петербург, 1910;
194. Марр Николай, Из поездки в Турецкий Лазистан, Известия Императорской академии наук, № 7, 8; Санкт-Петербург, 1910;

195. Марр, Николай, Избранные работы, т. 1-5, М. — Л., 1933-37;
196. Марр, Николай, Яфетидология. М., 2002;
197. Марр Николай, Тубал-Кайнский склад в Сванском, Санкт-Петербург, 1912;
198. Мегрелидзе Иосиф, Лазский и мегрельский слой в Гурийском, Москва-Ленинград, 1938;
199. Пирогов Николай. Статус нижненемецких диалектов и их функции в обществе // Политическая лингвистика. Вып. 2(36). Екатеринбург, 2011
200. Цагарели Александр, Мингрельские этюды, I-II, Санкт-Петербург, 1880;
201. Шор Розалия, К вопросу о яфетическо-турецким языковом смешении. ДАН-В, 1930; с. 43-44;